

დამუშავებისა და ცალკეულის სპოლის ცენტრალურ-ზოგადობა. ინდივიდუალურ

ტს. ერეაპტ

# სახისძიე საგანგათლებო პოლიტიკა საქართველოში

(80-იანი წლები)

ინიციატივის გაგონების დღე

თბილისი.

1940



ტრ. ხუნდაძე

6. ბორჯომი (142)

2. ბრილი (143)

ქართული 109

ქართული 106

თბილისი 86

29515  
ვარიზმის საგანგანათლებლო  
კოლეგია საქართველოში

ქართული 95

ქართული 118



ინსტიტუტის გამოცემლობა

თბილისი

1939

პ/შჩებელი რედაქტორები: { ა. ლომინაძე  
გ. თავაჯიშვილი

## ჭირასიტებაობა.

თვითმპყრობელობის კოლონიალურ პოლიტიკაში რუსიფიკაციას შენიშვნელოვანი ადგილი ეჭირა; დაპყრობილი ერების გასარუსებლად, მათი ასიმილაციისათვის, ცარიზმი, სხვა მრავალ საშუალებათა შორის, სკოლას იყენებდა.

თვითმპყრობელობის სკოლა და საგანმანათლებლო პოლიტიკა მეტად მძლავრი იარაღი იყო ცარიზმისათვის.

ამ ნაჩვევების მიზანს შეადგენს საქართველოში რუსეთის ბიუროკრატიის საგანმანათლებლო პოლიტიკის გაშუქება. რუსიფიკატულმა პოლიტიკამ ჩვენში, წარმოებულმა მთელი XIX საუკუნის მანძილზე, მწვავე და სისტემატიური ხასიათი მიიღო ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან.

შრომის ქრონოლოგიურ ფარგლებად აღებულია 1881 წელი, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის შზრუნველმა იანოვსკიმ თავისი ცნობილი სასწავლო გეგმა გაატარა დაწყებით სკოლებში და ამით ქართული ენის შევიწროება დაიწყო ამ სკოლებში, და 1889 წელი, როდესაც მან მშობლიური ენის შევიწროება დაასრულა სკოლებიდან მისი სრული განდევნით.

შრომის პირველ ორ თავს ზოგადი მიმოხილვის ხასიათი აქვს.

უნდა აღვნიშნო, რომ თემის დამუშავებაში მე საგრძნობი დაბრკოლებები შექვდა. საქმე ის არის, რომ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, სხვა მსგავს საკითხებთან ერთად, სრულიად არ არის დამუშავებული. შზრუნველის ცირკულარები, დადგენილებანი, მოხსენებანი, მრავლად გამოცემული, არ იძლევა საშუალებას საკითხის ისე გასაშუქებლად, როგორც ის სინამდვილეში მიმდინარეობდა: ფაქტები იქიდან ან სრულიად უკუგდებულია, ან ისე გალამაზ-გამშვენიერებულია, რომ მკითხველს მთელი განათლების უწყება ახალგაზრდობის მზრუნველ და გულშემატკივარ მშობლად დაესახებს. ორიოდე მიმოხილვა, დაწერილი

ამავე მასალებით განათლების უწყების მოხელეების მიერ (პოპოვი, რომანოვსკი), მთავრობის მოხელეთა და იანოვსკის „ბრძნული“ პოლიტიკის ქება-დიდებას წარმოადგენს.

ამიტომ მე უმთავრესად სასწავლო ოლქის ის მასალა გამოვიყენე, რომელიც საქ. ცენტრალურ არქივში ინახება. იქ ისეთი მასალა აღმოჩნდა, რომელიც არც მზრუნველის სამმართველოს მიერ და არც სხვა დაინტერესებული პირისაგან გამოქვეყნებული და გამოყენებული არ ყოფილა: ჩემი შრომაც უმთავრესად ამ მასალებს ეყრდნობა, ხოლო რომ მისი გაცნობის საშუალება მკითხველისათვისაც მიმეცა, ტექსტში ის საკმაოდ გამოვიყენე. ვსარგებლობდი აგრეთვე თანამედროვე პრესით და მემუარული ლიტერატურით. მე ვცდილობდი თითოეული მნიშვნელოვანი ფაქტისათვის მიმეცა მარქსისტული ახსნა-განმარტება, რისთვისაც შეძლებისდაგვარად ვხელმძღვანელობდი ლენინისა და სტალინის შესაფერი შრომებით. ამასთანავე ვცდილობდი ჟგრეთვე თემის ძირითადი საკითხები დამეკავშირებია გარემოსთან და მეჩვენებია როგორ გამოხმაურებას პპოებდა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში — ინტელიგენციაში, გლეხობასა და თავადაზნაურობაში — ხელისუფლების პოლიტიკა და მისი ღონისძიებანი.

## 1. თვითმაყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში.

საქართველოს, ისე როგორც ყველა დაბყრობილ ქვეყანას, რუსულის თვითმპყრობელობა უცქეროდა როგორც კოლონია. ანეთი შეხედულება ჯერ კიდევ 1827 წელს გამოსთქვა ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა კავკასიის შესახებ მეფისადმი მირომეულ მოხსენებაში:

„... არა უსაფუძვლოდ ამიერკავკასიის პროვინციები შეიძლება წოდებულ იქნან ჩვენს კოლონიებად, რომლებმაც სამხრეთის ჰავის ნაწარმოებით სახელმწიფოს უნდა მოუტანონ მეტად მნიშვნელოვანი სარგებლობა“.

კომისია, რომელიც მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში ბუნებრივი სიმდიდრისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად იქნა გამოგზავნილი 1828 წელს, თავის ოთხტომიანი შრომის წინასიტყვაობაში წერს: „ამიერკავკასიისათვის რუსეთის კოლონიის დარწმევა, პირველად აღიარებული, გზას უხსნის იქაურ სამფლობელოებზე ყოველგვარ განზრაზვებს; ეს სწორედ ის წერტილი, საიდანაც უნდა კუცქიროთ მათ და ყველა მოქმედებათა სისტემას მიმართულება გაძლიოთო“<sup>1</sup>.

რუსეთის თვითმპყრობელობა ამიერკავკასიაში და საქართველოში განმტკიცებით, როგორც კოლონიაში, მიზნად ისახავდა მტაცებლური ექსპლოატაციით გამოეყენებია მისი დიდი მარაგი წედლეულისა თავისი მრეწველობისათვის, მოეპოებია კავკასიაში და მასზე დაყრდნობით მთელს ახლო აღმოსავლეთში ბაზარი რუსეთის მრეწველობისათვის და გადაექცია ის თურქეთ-ირანისა და მის მოსალოდნელ მოქავშირეების მიმართ მოქმედების დასაყრდენ ბაზად:

„რუსეთმა თავისი ბატონობის განმტკიცებით კავკასიაში შაგრად დასდგა ფეხი აზიაში და ამით გადამწყვეტი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა ორ ძლიერ მეზობელ სახელმწიფოზე: სპარსეთსა

<sup>1</sup> იხ. „Обзор российских владений за Кавказом“ 1836 № 1. გვ. 12 — 13.

და თურქეთზე“ — ვკითხულობთ ზემოდღასახელებული შრომის წინასიტყვაობაში.

საქართველოს გადაქცევა რუსეთის ორგანიულ ნაწილად, თვითმპყრობელობის სისტემისა და მართვა-გამგეობის აპარატის განმტკიცება საქართველოში ყოველივე ადგილობრივი თავისებურების აღმოფხვრით, ცარიზმის მიზანსა და სამოქმედო გეგმას შეადგენდა.

რუსეთის თვითმპყრობელების პოლიტიკა დღიდან მისი გაბატონებისა საქართველოში, იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩვენს ქვეყანას დაკარგოდა თავისი დამოუკიდებელი სახე და ის სავსებით შედუღებოდა რუსეთს; აქეთკენ იყო მიმართული ბიუროკრატიული აპარატის ყველა ნაწილი; ეს იყო გამოსავალი წერტილი ცარიზმის მფხველეთა მოქმედებისა საქართველოში, რომელთაგან ზოგი უხეშად, ზოგიც მოქნილი პოლიტიკით ერთსადაიმავე წერტილს სცემდა.

კავკასიის კომიტეტი 1845 წლის 29 ნოემბერს აღნიშნავდა უურნალში კავკასიაში რუს გლეხთა გაღმოსახლების შესახებ:

„...კომიტეტი თავის მხრით ფიქრობს, რომ ამიერკავკასიის მხარეში რუს გლეხების დამკიდრება მეტად სასარგებლო იქნებოდა პოლიტიკური მხრით, შეუწყობდა რა ხელს რუსეთის ბატონობის იქ განმტკიცებას და მხარის იმპერიასთან შეერთებასო...“<sup>1</sup>.

ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელიც ცარიზმის განმტკიცებისათვის თავდადებულად იბრძოდა, — „მოსკოვის უწყებათა“ რედაქტორი კატკოვი 1883 წლის 23 აპრილს გამოცემულ ბრძანების შესახებ „О преобразовании управления Кавказом и Закавказским краем“ — წერდა თავის გაზრდში:

„... ეს მნიშვნელოვანი ნაბიჭია ჩვენი განაპირა მხარეების მართვა-გამგეობის ნაციონალური პოლიტიკით წარმართვისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველს შემდეგი ნაბიჯებიც დაერთვის, რომ აღმინისტრატიულ გაერთიანებას თან მოჰყვება კავკასიის ეკონომიკური და სხვა სახის განცალკევებულების აცილებაო...“<sup>2</sup>.

მე-19 საუკუნის 60 — 70-იან წლებში რუსეთის თვითმპყრობელობამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია კავკასიაში განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. 1859 წელს შამილის დატყვევებითა და მისი უკანასკნელი სიმაგრის გუნიბის აღებით დამორჩილებულ იქნენ აღმოსავლეთი კავკასიის მთიელები, ხოლო ჩამდენიმე წლის

<sup>1</sup> იხ. კავ. არქეოგრ. კომისიის აქტები, ტ. X, გვ. 119—120.

<sup>2</sup> იხ. „მოსკოვის უწყებათა“ 1883 წ. მოწინავეაა კრებული, გვ. 233—4.

შემდეგ შეფის არმიამ გაანადგურა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნია დასავლეთ კავკასიის მთიელებიც. 1870 წელს რუსეთმა ისარგებლა თავისი მოკავშირის პრუსიის გამარჯვებით საფრანგეთზე და თვითნებურად გააუქმა პარიზის ხელშექრულების ის მუხლი, რომლითაც რუსეთს შავზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და სიმაგრეების აგება ეკრძალებოდა.

1877 — 78 წლებში თურქებზე გამარჯვებამ და ბერლინის კონგრესით ბათომისა და ყარსის ოლქების შემოერთებამ იმპერიის საზღვრები კავკასიაში შორს წასწია და უზრუნველყო ამიერკავკასია თურქეთის მხრით რაიმე მოსალოდნელი ხიფათისაგან.

მესამოცე წლებიდან კაპიტალისტურმა განვითარებამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ.

იმ მოვლენათა შორის, რომელთაც ხელი შეუწყვეს ჩვენში კარჩაკეტილი წატურალური მეურნეობის რღვევას და საქართველოს ჩაბმას ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობაში, ჩვენ დავასახელებთ რამდენიმეს.

1. 1861 წლის გლეხთა რეფორმა გავრცელდა. საქართველოზე 1864 წლიდან. მიუხედავად „რეფორმის“ ბატონყმური შინაარსისა, როგორც ამბობს ამს. ლენინი, ის მაინც „წარმოადგენდა ნაბიჯს გადადგმულს ფეოდალური მონარქიიდან ბურუუაზიული მონარქიისაკენ“. თუმცა „დედამიწის არც ერთ ქვეყანაში გლეხობას „განთავისუფლების“ შემდეგაც არ განუცდია ისეთი განადგურება, სიღატაკე, ისეთი დამცირება და შებილწვა, როგორც რუსეთში“ — აღნიშნავს ლენინი.

მიუხედავად ამისა, გლეხობა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ახერხებდა ბატონყმური ნაჭუჭისაგან თავის დაღწევას. განთავისუფლებული გლეხობა კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ჩვენში მრეწველობის გასავითარებლად ბაზრისა და იაფი მუშა ხელის უზრუნველყოფით.

2. ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა რკინიგზების გაყვანამ. ეს გზები თვითმპყრობელობას გაყავდა, რა თქმა უნდა, არა საქართველოსა და ამიერკავკასიის წარმატების მიზნით, არამედ სტრატეგიული მოსაზრებებითა და ბაზრებისათვის საქონლის მისაწოდებლად. 1865 წელს დაწყებული პირველი რკინიგზა ფოთი-თბილისი გაიხსნა 1871 წელს. 1883 წელს გაერთიანდა რკინიგზით ბაქო-ბათომი. 1886 წელს გაიხსნა ქუ-

თაისი-ტყიბულის შტო, ხოლო 1893 წელს ჭიათურა-შორაპნის ხაზი. ჩვინიგზების გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად წარმატებისათვის: დაუკავშირა რა საქართველოს კუთხეები ერთმანეთს ეკონომიურად, მოსპონა აგრეთვე ქართველ ტომთა განკერძოება და ხელი შეუწყო მთლიანი ერის წარმოქმნას.

ამხ. სტალინი ასე განმარტავს ამ საკითხს:

„საქართველო, როგორც ერი გაჩნდა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონიშვილის დაცემამ და ქვეყნის ეკონომიურმა ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ქრთ მთელად“<sup>4</sup>.

3. შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენად, ჩვენი ქვეყნის წარმატებას რომ შეუწყო ხელი, დასახელებული უნდა იქნას სამთომაღნო მრეწველობის განვითარება. საქართველოში. ტყიბულში ამოღება ქვანახშირისა, რომელიც მე-40 წლებში უკვე იყო ცნობილი, გაძლიერდა 80-იან წლებიდან, განსაკუთრებით ტყიბულში რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ჭიათურის მარგანეცის ამოღება და გატანა 1879 წელს დაიწყო და სისწრაფით ფართოვდებოდა. ორივე ამ წარმოებაში სოფლებან გამოსული დიდალი მუშა-ხელი იყო დაბანდებული. ეს მაღაროები ხელს უწყობდა აგრეთვე ქართველ მრეწველთა გაჩენასაც.

4. ჩვენი ქვეყნის წარმატების ნაქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე 1878 წელს ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებას. ბათუმი წარმოადგენდა ბუნებრივ ნავსაღგურს, რომელიც აკავშირებდა საქართველოს რუსეთისა და ევროპის ბაზრებთან; ბაქოს საექსპორტო ნავთის ბათუმზე გატარებამ ის სამრეწველო ქალაქად გადააქცია და თავი მოუყარა აქ დიდალ მუშას.

ამრიგად, ბატონიშვირი წყობილების გაუქმება, რკინიგზების გაყვანა, სამთომაღნო მრეწველობის განვითარება, სამრეწველო ქალაქებისა და ცენტრების გაჩენა — თბილისი, ჭიათურა, ტყიბული, ბათუმი, ფოთი — ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო.

1 იხ. სტალინი—..მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“.  
გვ. 9, გამოც. 1934 წ.

60—80 წლებში, რამაც ჩვენი ქვეყანა ნატურალური, კარჩაკეტი-  
ლი მდგომარეობიდან გამოიყვანა და ცხოვრების ახალ ფერხულში  
ჩააბა.

ამ პროცესის ნათელი მაჩვენებელია ქალაქების ზრდა საქართ-  
ველოში. 1886 წელს თბილისის გუბერნიის ქალაქების მცხოვრებ-  
თა რაოდენობა 129.925 სულს აღწევს, ხოლო 10 წლის შემდეგ—  
1897 წელს — 215,196 სულს, ათი წლის განმავლობაში ზრდა  
65,6 % უდრის. კიდევ მეტი სისწრაფით იზრდება ქალაქის მოსახ-  
ლეობის რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში: 1886 წელს ქუთაისის გუ-  
ბერნიის ქალაქებში 44.421 სული ცხოვრობდა, ხოლო 1897 წელს  
82.058 სული; აյ ზრდა 10 წლის მანძილზე 84,7 % აღწევს<sup>1</sup>.

საინტერესოა ამიერკავკასიის და საქართველოს ეკონომიკური  
და აღმინისტრატიული ცენტრის თბილისის ზრდის სურათი მე-19  
საუკუნის მანძილზე. 1803 წელს თბილისის მოსახლეობა 20.000  
სულს აღწევდა. 1835 წელს თბილისში მცხოვრებთა რიცხვი  
25.290 სულს უდრის<sup>2</sup>. 1864 წლის აღწერით აქ 60.085. სული  
უმფილა. 1876 წლის 25 მარტის ერთდღიანი აღწერით თბილისის  
მოსახლეობა 91.668 სულს აღწევს<sup>3</sup>, ხოლო 1897 წლის აღწე-  
რით თბილისში ცხოვრობს 160.645 სული. ამ ციფრებიდან ცხა-  
დად ჩანს, თუ რა სწრაფად მიმდინარეობდა თბილისის ზრდა გა-  
შულ საუკუნის მეორე ნახევარში პირველ ნახევართან შედარებით.

საკმაოდ განვითარებული სავაჭრო და ახლად ფეხადგმული სა-  
მრეწველო კაპიტალი იჭრება სოფლებშიაც და ითრევს მთელს მხა-  
რეს თავის ორომტრიალში. მისი გავლენით სოფლად ხდება მო-  
სახლეობის დიფერენციაცია. ვლებობა იყოფა ფენებად. კაპიტა-  
ლისტური ურთიერთობა გავლენას ახდენს მემამულეთა ეკონომი-  
კასა და ყოფა-ცხოვრებაზე.

მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოს სავაჭრო ურთიერ-  
თობაში საგრძნობ როლს უცხოეთი თამაშობდა. საუკუნის მეორე  
ნახევარში კი, რუსეთის მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით,  
უცხოეთი საქართველოსა და კავკასიის ბაზარზე ადგილს უთმობს  
რუსეთს; სწარმოებს საქართველოს ბაზრების რუსეთის მიერ ათ-  
ვისების პროცესი.

<sup>1</sup> იხ. ს. ხუნდაძის „სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში“, ტ. I,  
გვ. 40.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. „თბილისი ერთი დღის აღწერის მიხედვით“, 1876 წ. 25 მარტს, გვ. 75.

ამ საკითხს ასე განმარტავს ლენინი 1899 წელს დაწერილს თავის შესანიშნავ შრომაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

„რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობა მოხდა უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო სავსებით ეკონომიური დაპყრობა დღესაც არ არის დამთავრებული. ჩეფორმის შემდგომ ეპოქაში ხდება, გროვის მხრით, ძლიერი კოლონიზაცია. კავკასიისა, ფართოდ დამუშავება მიწებისა კოლონისტების მიერ, რომელთაც მოპყავთ ხორბალი, თამბაქო და სხვა ნაწარმოები გასასყიდად და რომელნიც იწვევდენ სოფლის დაქირავებულ მუშებს: რუსეთიდან. მეორე მხრით, ხდება განადგურება ადგილობრივი, დაძველებული შინამრეწველური სახელოსნოებისა. რომელნიც მოსკოვიდან მოტანილ ფაბრიკატების კონკურენციაში ხვდებოდნენ... მოისპონ რქისგან ჭიქების კეთება ფეოდალური წყობილების დამხობის გამო საქართველოში და მის ისტორიულ ნაღიმთა მოპობით; დაეცა ბოხოხი ჭუდის წარმოება, რაღვან აზიური კოსტიუმი ევროპიულმა შესცვალა. დაეცა, გუდებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ლვინისათვის, რომელიც პირველად გამოვიდა გასასყიდად (განვითარდა კასრების წარმოება) და თანდათანობით იპყრობდა რუსეთის ბაზარს.

ამგვარად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრიალში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებას, — ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ქნიდა თავისთვის ბაზარს საკუთარ ფაბრიკებისათვის. მხარე, ჩეფორმის დასაწყისში სუსტად დასახლებული, ანდა დასახლებული მთიელებით, რომელნიც შორს იდგნენ მსოფლიო მეურნეობისაგან და თითქმის ისტორიიდანაც, გარდაიქცა ნავთის მრეწველაა, ლვინის გამყიდველთა, პურისა და თამბაქოს მექანიზნეთა ქვეყნად. და ბატონი კუპონი შეუბრალებლად ჰყაზმავდა ამაყ მთიელს მისი პოეტური ნაციონალური კოსტიუმის ნაცვლად ევროპული ლაქის კოსტიუმით“<sup>1)</sup>.

ასე ცხადად და ნათლად გვიჩატავს ამს. ლენინი იმ ძვრებს, რომელსაც აზდენდა კავკასიისა და საქართველოს ნატურალურ მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში შემოჭრილი ახალი ურთიერთობა.

ამჩიგად, რუსეთის ბურუუაზი, თვითმპყრობელობის მფარველობის ქვეშ, იპყრობდა საქართველოსა და ა-კავკასიის ბაზრებს, არღვევდა აქ ძველ საწარმოო ურთიერთობას, გაპქონდა ადგილობ-

<sup>1)</sup> იხ. ლენინი „Развитие капитализма в России“, 1931 წ. გვ., 463—4.

რივი ნედლეული რუსეთის მრეწველობის მოსამარაგებლად. სა-  
ქართველო, როგორც კოლონია მჭიდროდ გადაეჭაჭვა რუსეთს.  
მაგრამ რუსეთის თვითმშერობელობა, თავადაზნაურობა და ბურ-  
უაზია კოლონიურ პოლიტიკაში გულისხმობდა განაპირა მხარეე-  
ბის დაპყრობას არა მარტო პოლიტიკურად და ეკონომიკურად, არა-  
მედ ადგილობრივი ხალხების კულტურულ და ეროვნულ თავისე-  
ბურებათა აღმოფხვრას, ასიმილიაციას.. ნაციონალური შევიწროვე-  
ბა, ნაციონალური ჩაგვრა ცარიზმის პოლიტიკაში მნიშვნელოვან  
რეოლს წარმოადგენდა და ბრძოლის ამ მეთოდებს თვითმშერობე-  
ლობა მით უფრო ანვითარებდა, რამდენადაც ის მტკიცდებოდა  
კავკასიაში, რაც უფრო იზრდებოდა აქ კაპიტალისტური ურთიერ-  
თობა, იზრდებოდა მუშათა კლასი და ვითარდებოდა რევოლუცი-  
ური მოძრაობა.

ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიალურ პოლიტიკას ამს. სტალინი  
მისთვის ჩვეულებრივი სიმკვეთრით და მოჭრით გვისურათებს:

„ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ანვითარებდა პატრიარ-  
ქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასს მონობასა და  
უვიცობაში ჰყოლოდა. ცარიზმი განზრახ ასახლებდა განაპირა მხა-  
რეების საუკეთესო კუთხეებს კოლონიზატორული ელემენტებით-  
იმისათვის, რომ მკვიდრნი უარეს რაიონებში გაეძევებიათ და ნაცი-  
ონალური შური გაეძლიერებიათ. ცარიზმი ავიწროებდა, ხან კი აუჭ-  
მებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს; საგანმანათლებლო დაწესე-  
ბულებებს იმისათვის, რომ მასა სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი  
ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანობა  
ყოველგვარ ინიციატივას და ბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა.  
მხარის მოსახლე მასის ყოველგვარ აქტიობას“ (1920 წლის 10 დუ-  
კემბრის „პრავდა“ № 266. „ზარია ვოსტოკა“ № 266 1938 წლის).

ნაციონალური საკითხის გადაჭრას რუსეთის რევოლუციონერე-  
ბი, მოკიდებული დეკაბრისტებიდან (პესტელი). ვიდრე მენშევიკე-  
ბამდის, ან სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდნენ, ან მას  
სწყვეტდენ არა ჰყრობილ ხალხთა სასარგებლოდ და მაშასადამუ-  
რსათა არა სასარგებლოდაც, რადგან ლენინის თქმით — „ინოროდ-  
ცების ჩაგვრა“ ორთავიანი ჯოხია. ერთით ის „ინოროდცეს“ სცემს,  
მეორეთი რუსის ხალხს“<sup>1</sup>.

მხოლოდ ბოლშევიკებმა ლენინისა და სტალინის მეთაურობით-  
დააყენეს თავიდანვე ნაციონალური საკითხი მთელი თავისი სივრ-

<sup>1</sup> ლენინი, ტ. 17, გვ. 321.

ქე-სიგანით გააშუქეს ის თავიანთ საუკეთესო ნაშრომებში და გა-  
დასჭრეს მშრომელთა ინტერესების მიხედვით.

„ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები, ყოველთვის იცავდენ ერთა  
თვითგამორკვევის უფლებას, როგორც პრინციპულ მოთხოვნას,  
რომლის საფუძველზე პროლეტარიატი თავის მხარეზე იზიდავს  
ჩაგრულ ერების მშრომელთა ფართო მასას“ — წერს ამს. იაროს-  
ლავსკი<sup>1</sup>.

„რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუ-  
თედი (ზუსტად 57 პროც.) ნაციონალურ ჩაგვრას განიცდის; ისინი  
ვერ სარგებლობენ მშობლიური ენის თავისუფლებითაც კი, მათ  
ძალით არსებენ“, ამბობს ამს. ლენინი<sup>2</sup>. დაპყრობილ ხალხთა  
მშობლიური ენის დევნა და მათი გარუსება ცარიზმის მთავარი  
ამოცანა ძყო, რომლითაც ის რუსეთში ნაციონალური საკითხის  
„გადაჭრას“ ფიქრობდა. ამ მიზნისათვის თვითმპყრობელობა სხვა-  
დასხვაგვარ საშუალებას მიმართავდა და მართვაგამგეობის ბიუ-  
როკრატიულ აპარატს იყენებდა.

განაპირა მხარეების რუსებით დასახლება, რაც გაკვრით ზემოდ  
გვქონდა მოხსენებული, ერთერთი საშუალება იყო თვითმპყრობე-  
ლობისათვის აღგილობრივი მოსახლეობის შესავიწროებლად და  
მათ გადასაგვარებლად. ამიერკავკასიასა და საქართველოსათვის ეს  
საკითხი აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-იან წლებში,  
როდესაც რუსეთ-თურქეთს უმის შედეგად შავიზლვის სანაპი-  
როებიდან აღგილობრივი მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწასთან  
დაკავშირებით მთავრობამ განიზრახა ამ სანაპიროების რუს გლე-  
ხებით დასახლება. ცნობილი კატკოვი ურჩევდა მთავრობას შავი-  
ზლვის სანაპიროები კაზაკებით დაესახლებია, „რაღგან ნამდვილ  
რუს კოლონისტებად ყოველთვის და ყველგან კაზაკები ყოფილან.  
ეს ისტორიული ფაქტია, რომლის ამოშლა შეუძლებელია. საღაც  
სცადეს კოლონიზაციის სხვაგვარად წარმართვა, ის არ ეწყობოდა,  
როგორც არ ეწყობა ის ეხლა კავკასიის შავიზლვის ნაპირებზე<sup>3</sup>.  
კატკოვის ანგარიშით მაშინ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე  
მხოლოდ 8.000 კოლონისტი იყო მოწყობილი, რაც, რა თქმა უნდა,  
მისთვის საკარისი არ იყო. საუკუნის პირველ ნახევარში მთავ-  
რობა ხელს უმართავდა აგრეთვე კოლონისტებით დასახლებას  
ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში, კახეთში, ბორჩალოში,

<sup>1</sup> Ен. Ярославский — „К 35 летию II съезда Р.С.Д.Р.П.“, 83. 23.

<sup>2</sup> იბ. ლენინი, ტ. 19, გვ. 354.

<sup>3</sup> იბ. „მოსკოვის უწყებათა“ 1883 წ. მოწინავეთა კრებული, გვ. 233—4.

ქართლში და ასე გასინჯეთ, სამეგრელოშიც, დაღიანთან შეთანხმებით, საღაც აღგილობრივი გლეხობა მიწის დიდ სივიწროეს განიცდიდა.

თვითპყრობელობის „ნაციონალური პოლიტიკა“ გამოიხატებოდა აგრეთვე ერთი ეროვნების მეორეზე წასისიანებაში. ამ სისტემის გამოყენება მეფემ ჭერიდევ 80-იან წლებში დაწყო, როდესაც მისი ავტორი, შემდეგში ცნობილი პლევე პოლიციის დეპარტამენტის მოხელე იყო და ებრაელებზე ნაძირალების წაქეზებით ცდილობდა ნაროლნიკული მოძრაობის შენელებას. შემდეგშიც, 1904—7 წლებში ებრაელების დარბევა და „პოგრომები“ თვითმპყრობელობამ რევოლუციასთან ბრძოლის ერთერთ საშუალებად გაიხადა.

ამიერკავკასიაში მთავრობამ ასეთი პოლიტიკა სომეხ-თათართა ულეტის მოწყობაში და სომეხ ბურეუაზიისა და ქართველ თავადაზნაურთა ინტერესების დაპირისპირების ხელისშეწყობაში გამოხატა.

„სვადასხვა ერთა ინტერესების დაპირისპირებაზე, ბნელ და ტანჯულ მასის შეგნების მოწამვლაზე არის აგებული შავრაზმელთა ყველა ანგარიში“ — წერდა ამ. ლენინ<sup>1</sup>. ამ პოლიტიკას ატარებდა ცარიზმი განაპირა მხარეში და საქართველოშიც.

მაგრამ, არც მხარის კოლონიზაცია, არც ერთი ერის მეორეზე გადაკიდება არ გაამართლებდა ცარიზმის მიზნებს დაპყრობილ ერებისადმი ისე, როგორც ამ ერის ენის განდევნა სკოლიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მწერლობიდან, რადგან მშობლიური ენა განათლების ერთეულთი უძლიერესი იარალია და მისი ნაციონალური კულტურის განვითარების საშუალებაა: ქართული ერისა და ეროვნული კულტურის დევნით და აღმოფხვრით, მის ნაცვლად რუსული ენისა და „რუსული კულტურის“ დანერგვით, ქართველი ერის დენაციონალიზაციით, ცარიზმი მიზნად ისახავდა ქართველი ერის დეგრადაციას, მის დაკნინებას და დედამიწის პირიდან წაშლას.

ამ. სტალინი ასე განმარტავს თვითმპყრობელობის პოლიტიკას დამონებულ ხალხებისადმი:

„ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურეუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ მდგომარეობდა იმაში, რომ ჩაეხშოთ

<sup>1</sup> ლენინი, ტ. 17, გვ. 342.

შათში ყოველგვარი სახელმწიფო ბრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებიათ მათი კულტურა, შეევიწოდებიათ მათი ენა, ყოლოდათ ისინი უმეცრებაში და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი ოუსიფიკაცია”<sup>1</sup>.

ამ მიზნის განხორციელების საქმეში რუსულ სკოლას მთავარი როლი უნდა შეესრულებია და საქართველოში განათლების უწყების წარმომადგენელთა პოლიტიკაც აქეთენ იყო მიმართული. მაგრამ სკოლისათვის რუსიფიკატული პოლიტიკის დაკისრება მხოლოდ მაშინ შეიქმნებოდა შესასრულებელი, როდესაც ასე თუ ისე საგრძნობი სასკოლო ქსელი შეიქმნებოდა. ასეთი ქსელი კი საქართველოში მხოლოდ 70 — 80 წლებიდან უნდა ვივარაუდოთ.

პირველი რუსული სკოლა თბილისში 1804 წლის 31 მაისს გაიხსნა. ეს იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც ექვსი კლასისაგან შესდგებოდა. ეს იყო ერთადერთი საერო სახაზინო რუსული სასწავლებელი საქართველოში მთელი 30 წლის შანდილშე.

პირველად დებულება ამიერკავკასიის ფარგლებში სასკოლო ქსელის შესახებ დამტკიცებული იქნა 1829 წლის 2 აგვისტოს. ამ დებულებით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო საქართველოს მაზრებში — თელავში, გორში, ქუთაისში, სიღნალში, ახალციხეში და სამეგრელოში — ორკლასიანი სამაზრო სასწავლებლები გაიხსნა. 1834 წელს ამ სამაზრო სასწავლებლებში სულ 444 ბავშვი სწავლობდა, მათში 284 თავადაზნაურად შვილები იყო, დანარჩენი ვაჭრებისა და მოქალაქეების.

შემდეგი ნაბიჯი საერო სასწავლებელთა ქსელის გაფართოების შესახებ გადადგმული იქნა ვორონცოვის დროს, როდესაც 1848 წელს, დაწესებული იქნა კავკასიის სასწავლო ოლქი და მიღებული დროებითი დებულება სასწავლებელთა შესახებ, დამტკიცებული 1853 წელს მცირეოდენი ცვლილებებით.

ამ დებულებით კავკასიის სასწავლო ოლქი ხუთ დირექციად იყოფოდა; მათში თბილისის დირექცია განავებდა:

1. თბილისის სააზნაურო გიმნაზიას პანსიონით და თბილისის კომერციულ გიმნაზიას.

2. სამაზრო სასწავლებლებს: გორში, ღუშეთში, სიღნალში, თელავში, განჯაში, ერევანში, ნახშევანში და ალექსანდროპოლში.

3. ქვეშეთის ორკლასიან სკოლას პანსიონით.

<sup>1</sup> ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაც.-კოლონ. სკითხი“, გვ. 95, გამოც. 1934 წ.

ხოლო ქუთაისის დირექცია ემორჩილებოდა:

1. ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია კეთილშობილთა პანსიონით.
2. ახალციხის და ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლები.
3. ორკლასიანი სკოლები ყულევში და ონში.

ასეთი მჭელე და ღატაკი იყო სასკოლო ქსელი საქართველოში იქ რუსეთის თვითმპურობელობის გაბატონების 60—70 წლის მანძილზე. ამას უნდა დაემატოს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი თბილისში და საზოგადოების თანხებით არსებული ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი თბილისა და ქუთაისში — ექვსკლასიანი. გიმნაზიებში მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს იღებდნენ, კომერციული გიმნაზია თბილისში ვაჭართა შვილებისათვის იყო განკუთვნილი, სამაზრო სასწავლებლებიც აზნაურთა, ვაჭართა და მოქალაქეთა შვილებისათვის არსებობდა.

აქ სახალხო განათლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მთავრობა მხოლოდ სამ დაწყებით სკოლას ინახავდა საქართველოში და ისიც მოსახლეობის ზედაფენებისათვის <sup>1</sup>.

ამ ორიოდე სასწავლებლის დაარსება მთავრობის მიერ გამოწვეული იყო არა თვითმპურობელობის სურვილით გაენათლებია ჩვენი ქვეყანა (ამაზე ცარიზმი ყველგან ნაკლებად ზრუნავდა), არამედ იმ აუცილებელი საჭიროებით, რომელსაც ცარიზმის სახელმწიფო აპარატი მოითხოვდა — ჰყოლოდა მას „რუსულად განათლებული“, რუსული კანონების მცოდნე მოხვდები. ეს საჭიროება ჯერ კიდევ ციციანოვმა გამოსთქვა მეფისადმი გაგზავნილ მოხსენებაში 1803 წლის ივნისში:

„აუცილებელმა საჭიროებამ რუსული ენისა ამ ქვეყანაში, სადაც სამართლისწარმოება ამ ენაზე მიმდინარეობს, სიმცირემ თარჯიმნებისა და აღგილობრივი აზნაურობის უკიდურესმა უვიცობამ, იმდენათაც კა, რომ მათგან დიდმა ნაწილმა თავისი ბუნებრივი ენაც კი არ იცის წესისამებრ, მაიძულა მე შემომეტანა საქართველოში განათლების პირველი სხივებით“ <sup>2</sup>.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდის სკოლებიდან ქართული და სხვა აღგილობრივი ენების დევნის საკითხი არ მდგარა. პირიქით, სკოლების დაარსების მიზანი ისეთი მოხელეების აღზრდა იყო, რომელთაც აღგილობრივი ენები ეცოდინებოდათ, რაღაც ასეთი

<sup>1</sup> საერო განათლების შესახებ საქართველოში, იხ. პედაგოგიკის კულ. ინსტიტუტის კრებული, 1, გვ. 74.

<sup>2</sup> იხ. აქტები, ტ. 1.

მოხელეების დიდი სიმცირე (თარჯიმნებად) მეტად ართულებდა და აბრკოლებდა რუსული მართვა-გამგეობისა და კანონების დანერგვას ადგილობრივ მოსახლეობაში. ამიტომ, ამ პერიოდში, თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ყველა სკოლაში, გიმნაზიებში და სამაზრო სასწავლებლებში ქართულისა და თათრულის სწავლა-სავალდებულო იყო ყველა მოწაფისათვის, ხოლო სომხური ენისა-მხოლოდ სომხებისათვის.

მთავარმართებელი როჩენი განათლების მინისტრის უვაროვი-სადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა 1834 წელს: „აუცილებელია დაევალოს ადგილობრივ სასწავლებელთა უფროსს მიიღოს ყოველ-გვარი ზომები აქაურ სკოლებში მოსწავლე რუს მოხელეთა შვილების წასაქეზებლად საფუძვლიანად შეისწავლონ ადგილობრივი ენები, რომლებიც ადგილობრივ სკოლებში ისწავლება, განსაკურ-რებით თათრული, როგორც აუცილებელი ამიერკავკასიის მხარის-უდიდეს ნაწილში<sup>1</sup>.

მაგრამ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, მთავრობის ეს მიზანი, რუსებს ადგილობრივი ენები შეესწავლათ სკოლის საშუალებით, გაუმართლებელი გამოდგა.

1867 წლის 25 ივნისს დამტკიცებული იქნა ახალი დებულება— „Приложение о б учреждении частн в Кавказе и за Кавказом“. ამ დებულებით ოღნავ გაფართოებული იქნა დაწყებითი სკოლის ქსელი: მთავრობის ხარჯზე დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი იქნა დაარსებული თბილისში (კუკიაში), თიონეთში, ქუთაისში, ახალქალაქში, რაჭაში და ზუგდიდში. ერთკლასიანი დაწყებითი სკოლები: თბილისში, დუშეთში, შორაპანში, ლეჩხუმში, მარანში და სუჭუნაში. აღნიშნულ სკოლებს, ნათქვამი იყო დებულების გან-მარტებაში, მთავრობა ხსნის და ინახავს „ნიშნად ყურადღებისა მხარის საჭიროებისადმი“, თორემ დაწყებითი სკოლები ორივე სქესის ბავშვთათვის უნდა გაეხსნა და შეენახა თვით ქალაქისა და სოფლის საზოგადოებას თავისი ხარჯით, თანახმად საერთო საიმპე-რიო დებულებისა.

ამ ახალი დებულებით თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში ადგილობრივი ენები ისწავლებოდა მათ მიერ, ვისთვისაც ის მშობლიური იყო და ისწავლებოდა გიმნაზიის ყველა კლასში.

ხოლო სამაზრო სასწავლებლებში რუსები მას სწავლობდნენ მშობლების სურვილის მიხედვით.

<sup>1</sup> იხ. აქტები, ტ. VIII, გვ. 99.

დებულების ავტორი, მომავალი შზრუნველი ნევეროვი წერდა ადგილობრივი ენების სწავლების შესახებ: „ერთერთი საფუძველი, რომლის შიხედვით აქ შემოღებული იყო ადგილობრივი ენების სავალდებულო სწავლება ყველა რუს წარმოშობის მომსვლელ მოწაფეებისათვისაც“ კი, ეს იყო განზრახვა ამ გზით ადგილობრივი ენების მცოდნე მოხელეები შეექმნათ. მაგრამ ადგილობრივი ენები არავის უსწავლია, თუ ის მისი მშობლიური ენა არ იყო, ან არ ჰქონდა მას შესწავლილი ის პრაქტიკულად.

ადგილობრივი ენების დატოვება აქაურ სასწავლებლების პროგრამებში შესაძლებელია და საჭირო, წერს ნევეროვი განმარტებით ბარათში, მაგრამ არა იმ საფუძვლით, რომ მიაწოდოს' ადგილობრივ ადმინისტრაციას თარჯიმნები და ადგილობრივი ენების მცოდნე რუსი მოხელეები, არამედ სხვა, უფრო ფართო, ვიტყვი, ჰუმანიური საფუძვლებით, იმ ხალხების პატივსაცემად, რომელთაც აქვთ რაიმე ლიტერატურა, თუნდაც დრომოჭმული, და შესაძლებლობის მისაცემად თითოეულმა გაიცნოს თავისი მშობლიური ენა, რომლის შესწავლით, როგორც აზროვნების უახლოესი იარაღით, უნდა იწყებოდეს ყოველგვარი განათლება. ამ მოსაზრების გამო ადგილობრივი ენები სავალდებულოა მხოლოდ მათვის, კისთვისაც ის ბუნებრივია“<sup>1</sup>.

1867 წლის 25 ივნისის დებულების პროექტით და მისი განმარტებითი ბარათი იწერებოდა ნევეროვის მიერ 1864 — 5 წლებში, როდესაც ჭერ კიდევ ძლიერი იყო 60-იანი წლების განმანთავისუფლებელი იდეების გავლენა; ამით აიხსნება „ჰუმანიური საფუძვლებით“ და „ხალხების პატივისცემით“ გამოწვეული მშობლიური ენის შესწავლის საჭიროება, თორემ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც რუსეთში რეაქციამ ფეხი საგრძნობლად მოიკიდა, მთავრობას „დაავიწყდა“, რომ „ყოველგვარი განათლება უნდა იწყებოდეს მშობლიური უნით, როგორც აზროვნების უახლოესი იარაღით“. 1873 წლის 22 ნოემბერს დამტკიცებული კანონით — „Об устройстве учебной части на Кавказе и за Кавказом“ — ადგილობრივი ენები დატოვებული იქნა გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების მარტო პროგიმნაზიულ კლასებში და ისიც მხოლოდ შესურველთათვის <sup>2</sup>.

აღნიშნული დებულება კავკასიის სასწავლო ოლქის კანცე-

<sup>1</sup> იხ. „კავკ. სასწ. ოლქის განკარგულებათა კრებული“, ტ. I, გვ. 136—138.

<sup>2</sup> იხ. „კავკასიის სასწ. ოლქის განკარგულებათა კრებული“, ტ. I, გვ. 170.

ლაპრიაშვილის დამზადდა. 1871 წლის დეკემბრის მიწურულში მზრუნველის ნევეროვის მიერ მოწვეული იქნა კავკასიის სახალხო სკოლების და გომნაზიების დირექტორების თათბირი ამინისტრუაციისის საშუალო სკოლუბში აღგილობრივი ენების სწავლების საკითხში გადასასინჯად. მეტად საინტერესოა ამ „ნააღრევ“ რუსიფიკატორებში მიერ გამოთქმული აზრი და დადგენილება „ტუზემური“ ენების სწავლების შესახებ.

სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილიაშვილი თავის მოხსენებაში ამბობდა:

„საზოგადოდ, მთავრობის ზრუნვა ტუზემური ენების სწავლების შესახებ, უკვობ, დროული იყოს იმ ზომით, როგორც ის არსებობს, და შეიძლება, რამდენადმე კილუც აზიანებდეს რუსული ენის წარმატებას. ყოველ შემოვხევაში ტუზემური ენების მასწავლებელთა დანიშვნით ნამსახურობის უფლებებით, მათი ჩინებითა და პენსიებით დაჯილდოებით ჩვენ მივდივართ არა სხვაერისანთა ასიმილირებისაცენ, რაც საფიქრებელია, მთავარი მიზანი უნდა იყოს. ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულება ხელისუფლებისა ტუზემურ ენებისაღმი უფრო ამაღლებს მათ შნიშვნელობას ინოროლცების თვალში და აკანონებს შესაძლებლობას იოლოდ წავიდეს მხოლოდ თავისი ბუნებრივი ენით“. „...კომისია ფიქრობს, რომ კავკასიაში რუსულ სკოლას თრგვარი მიზანი აქვა: ერთი მხრით მისცეს ტუზემცებს საკაცობრიო განვითარება, მეორე მხრით კი, ნელნელა შეამზადონ სხვაერისან ტომები მთლიან რუსულ ოჯახთან შესაღულებლად საერთო ინტერესებითა და მისწრაფებით“.<sup>1</sup>. ვკითხულობთ ამავე თათბირის „ერთსულლოვან“ დადგენილებაში. შედეგად აღგილობრივი ენები და ტოვებული იქნა პროგიმნაზიებში და გიმნაზიის პროგიმნაზიულ კლასებში როგორც არასავალდებულო საგანი; ამ საგნის მასწავლებლები კი შტატის მასწავლებლებათ და პედ. საბჭოს წევრებად აღარ ითვლებოდნენ და ხელფასსაც ენის შესწავლის მსურველთაგან იღებდნენ.

თუ რა უმწეო მდგომარეობა იყო სახალხო განათლების დაწესები მესამოცე წლების მიწურულში, ამას ვერ მაღავს ი. ნევეროვიც, განთლების ხელმძღვანელი კავკასიაში, 1864 წლიდან კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის, ხოლო 1868 წლიდან ოლქის მზრუნველის სახით: „თბილისს, სადაც ასი ათასი მცხოვრები არის,

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ბ, საჭ. № 216.

თუ გააჩინია არც ერთი საერო დაწყებითი სასწავლებელი. ქართველებისა და რუსების ქვეღა ფენებიდან სრულიად არა აქვთ საშუალება ასწავლონ თავიანთ შვილუბს წერა-კითხვაც კი<sup>1</sup>.

რუსეთში სახალხო განათლების, საქმეს ერობამ მოჰკიდა წელი და ის ხელმძღვანელობდა უმთავრესად, თუმცა მთავრობა მას თანადათანობით ზღუდავდა და ავიწროვებდა.

საქართველოში კი ერობის უქონლობის გამო, სახალხო განათლების საქმე გლეხობის ანაბარად იქნა დატოვებული, რომელიც ეს-ეს იყო ბატონყმური ნაჭუჭისაგან გამოდიოდა. თუ როგორი შეგნებით და სალისით ეპფრობოდა გლეხობა თავიანთ (საზოგადოუბათა) სკოლების გასსნას, ამაზე შესაფერ თავში გვექნება უფრო დაწვრილებით აღნიშნული, აქ კი მოვიყვანთ ერთთ კორესპონდენტის ცნობას გაზ. „დროებიდან“:

„... ამასწინათ წამოსული თბილისიდან ქართლში, მე და ჩემთან მოგზაური, სადაც სოფლებში მივდიოდით, იმ სოფლის გლეხკაც განგებ ვკითხავდით: თქვენში სკოლა არის თქვენი შვილები-სათვის სასწავლებელი, პურის მაღაზია გაქვთ. ამის პასუხად ზოგნი თავაზიანად გვიპასუხებდენ: დააღ, გახლავს შკოლაც და პურის მაღაზიაცა, ფულების შეგროვებასაც ვცდილობ ღვთით, რომ ჩვენი სასოფლო გვერნდეს. ზოგი ამაყად გვეტყვის: რატომ არ გვექნება, ჩვენ ვისჩე ნაკლები ვართ; თუ გინდათ ნახეთ...“<sup>2</sup>.

1875-წლისათვის ქუთაისის უბერნიაში ექვსი სახაზინო დაწყებითი სკოლა იყო, რომელშიც 698 მოწაფე სწავლობდა. მაგრამ ეს სახაზინო სკოლებიც კი, საშუალო სასწავლებლების მსგავსად, მოსახლეობის ზედა ფენას ემსახურებოდა. ამ რიცხვში 378 აზნაურთა შვილი იყო და 115 ქალაქის მცხოვრებისა. სოფლის მცხოვრებთა შვილები კი 175 იყო. სწავლის ქირა 1 მ. 50 კაპ. — 5 მან. უდრიდა:

ამავე დროს იმავე გუბერნიაში 53 საზოგადოებათა სკოლა იყო 2100 ბავშვით ლა ცხრა სამრევლო სკოლა—367 ბავშვით, რომელთაც გლეხობა ინახავდა.

იმავე 1875-წლისათვის თბილისის გუბერნიაში სულ ცხრა სახაზინო დაწყებითი სკოლა იყო 880 ბავშვით, ამათში მხოლოდ 123 ბავშვი იყო სოფლის მცხოვრებთა (გლეხების). შეიძლება ითქვას, რომ სახაზინო სახალხო სკოლებიც კი მხოლოდ მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს ემსახურებოდა და არა გლეხობას.

<sup>1</sup> კავკ. სამოსწ. ოლქის განკარგულებათა კრებული, ტ. I, გვ. 105.

<sup>2</sup> იხ. „დროება“ 1868 წ., № 7.

თბილისის გუბერნიაში 23 საზოგადოების სკოლიდან 14 დახურულთ ცუდი ხელმძღვანელობისა და უფარჯისობის გამო, 9 სკოლაში კი 412 ბავშვი სწავლობდა. სტრევლო სკოლებშიც დაახლოებით ამდენოვე ბავშვი ყოფილა (456 მოწ.). შედარებით დიდი რაოდენობა ყოფილა ბავშვებისა არა. მართლმადიდებელ სამრევლო სკოლებში — სომეხთა; ებრაელთა მაპმაღრანთა — 5.893 ვაჟი და 1.129 ქალი<sup>1</sup>.

ამრიგად, დაწყებითი განათლების სიმძიმე თითქმის საუსებით მოსახლეობის დაბალ ფენას, გლეხობას აწვა კისრად და მთავრობა შასჩე არ ჩრუნაულა. მთავრობამ იკისრა ამ სკოლების (საზოგადოებათა და მართმ. სამრევლო) ხელმძღვანელობა 1869 წელს ქუთაისისა და თბილისის ინსპექციების დაჯრსებით, რაც შემდეგში დირექციად იქნა გადაკეთებული.

თუ რა „ხელმძღვანელობას“ უწევდა სასწავლო უწყება დაწყებით სკოლებს, ამისი მაგალითი მრავალია. მოვიყვანთ ერთი კორესპონდენტის ცნობას, „დროებიდან“, რომელიც ასე თუ ისე ჩვენი ხალხის ჭველაფენების ავკარგსა და ჭირვარამს აშუქებდა.

„ჩვენი რუდმამები ემუქრებიან თავიანთ შეილებს, რომ „შეტლაში დაგაცკვიანებენო“ და მართლაც, ჩვენ ზოგიერთ სასწავლებლებს „ლამაზუკიანებელი“ ხასიათი აქვს: „ყმაწვდოლს აძლევენ ხელში წიგნსა უცხო ენაზედ, და ეუბნებიან გაიზეპირეო. ყმაწვილი რაც უნდა ფხიზელი და ცკვიტი იყოს, ის გამოშტერდება, რომ „კუუიანობის“ მეტი ველარ შეუძლიან რა. ამნაირ შეკოლებში თავიანთი შემოქმედებით ყმაწვილებში აჭკნობენ ყოველს კაცურს ნლობას, ფიქრს და გრძნობას: იქ ყმაწვილები ისეთ მდგომარეობამდის მიაღწევენ ხოლმე, რომ იმათ ყველაფერზე გული უცრუდებათ და ვერც ერთ საგანზე ცხოველის აზრის წარმოთქმა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ“<sup>2</sup>.

ეს ამონაწერი ჩვენთვის იმით არის საყურადღებო, რომ ქართველ ინტელიგენციას დასაწყისშივე შეუნიშნავს იმ საგანმანათლებლო პოლიტიკის ღამლუპველობა ნორჩ ბავშვებისა, რომელსაც თავიღანვე ატარებდნენ დაწყებით სკოლებშიც განათლების უწყების მოხელეები და რომელსაც 80-იან წლებიდან მზრუნველი იქნოვსკის ხელმძღვანელობით ორგანიზებული და სხვოველთაონასიათი მიეცა.

<sup>1</sup> მ. მამაცაშვილი. „სახალხო განათლება“, 1876 წ., გვ. 29—40.

<sup>2</sup> იხ. „დროება“, 1866 წ., № 24.

გლეხობაც არ შეიქმნა ყაჩუ ახლად ღაარსებული რუსული (საზოგადოებთა) სკოლების ავტარების შეფასებაში და ქვემოდ (თავთ 8) დავინახავთ, როგორი პასუხი გასუა მან ასეთ სკოლებს.

1878 წლის მიწურულისათვის, როდესაც იანოვსკი შეუდგა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობის ასრულებას, საქართველოში სკოლების ქსელი შემდეგნაირი იყო:

სასწავლო ოლქის უწყებაში: 1. ვაჟთა გრძნაზია — 2 თბილისა და ქუთაისში; ვაჟთა პროგიმნაზია — იმავე ქალაქებში. რეალური სასწავლებელი — 1 (თბილისში). ქალთა გრძნაზია — 2 თბილისა და ქუთაისში; ქალთა პროგიმნაზია — 1, თბილისში; კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი — თბილისში.

2. თბილისის სამასწავლებლი ინსტიტუტი და მასთან ორკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. საოსტატო სემინარია — (გორში) და მასთან ორი სანიმუშო დაწყებითი სკოლა — ქართული და სომხური.

3. საქალაქო სასწავლებლები — 4: ახალციხეში, სიღნაღმი, უელავში და ოზურგეთში. სამაზრო სასწავლებლები — 2, გორსა და ზაქათალაში.

4. დაწყებითი საქალაქო სკოლები ორკლასიანი — 8; მათში ერთი (ხონის) ადგილობრივი საზოგადოების ხარჯზე ინახებოდა. ერთკლასიანი საქალაქო სკოლა — 2. ნორმალური სასოფლო სკოლა ორკლასიანი — 2, ერთკლასიანი — 1.

5. დაწყებითი სახალხო სკოლები საზოგადოებათა ხარჯზე: თბილისის გუბერნიაში — 32, ქუთაისის გუბერნიაში — 76, სულ 108, წერა-კოხხევის სკოლა თბილისის გუბერნიაში — 8.

სხვადასხვა უწყების: სამრევლო სკოლა — 44, საქველმოქმედო — წმ. ნინოს სასწავლებლები: თბილისში, ქუთაისში და ოელავში; თბილისში ქალთა დაწყებითი სასწავლებელი — 1. მთიელითა დაწყებითი სკოლები: სამურზაყანოში — 4, სოხუმში, — 1, ახალციხეში — 5, თიონეთის ოლქში — 4, ორი მაცმადიანთა სკოლა თბილისში და აგრეთვე სკოლები მისითებთან — თბილისის გუბერნიაში — 98, სადაც ხოჭები ყურანს ასწავლიდნენ. საჩრდინებრივი ხასიათისა იყო აგრეთვე ებრაელთა სკოლები ტფილის გუბერნიაში — 12, ქუთაისის გუბერნიაში — 7.

ამ სასკოლო ქსელისა და ტიპების არსებით განხილვას ვერ შევუდგები, რაღაც ჩემს მიზანს არ შეადგენს სწავლა-განათლების განხილვა საზოგადოების საქართველოში, ჩემი განზრახვაა გავაშუქო ავითმპრობელობის გამარტინებელი პოლიტიკა სკოლებში და

სკოლების საშუალებით; აქედან ნაწილობრივ მარნც ზათელი უნდა გახდეს, თუ როგორი შინაარსის ყოფილა ეს სკოლები და რა ამო-ცანები ჰქონია მას დაკისრებული. 80-იან წლებში ზემო მოყვანი-ლი ქსელი სკოლებისა ოდნავად თუ შეიცვალა, რადგან მთავრო-ბა საჭიროდ არ ნახულობდა სახალხო განათლების გაფართოებას. სათანადო ბიუჯეტის უზრუნველყოფით. სასწავლო უწყების ხელ-მძღვანელთა მთელი ყურადღება იქითქენ იყო მიქცეული, რომ არსებული სკოლები ნამდვილ „რუსულ სკოლად“ გადაქექიათ იმ შინაარსით, როგორც ეს იანვესკისა და მის ხელქვეითებს ესმო-დათ.

თუ რა ამოცანებს უსახავდა იანვესკი სკოლას, ამას აშკარად და უტითრად გამოხატავს ერთი „მკვლევარი“ კავკასიის სასწავლო ოლქის „მოღვაწეობისა“ იმ პერიოდში, როდესაც მას სათავეში იანვესკი ედგა:

ალნიშნავს რაც სიხარულით და კმაყოფილებით, ეს „ისტორი-კოსი“ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში რუს მოწაფეთა. ზრდას „ტუზემცების“ ანგარიშზე — დაასკვნის: „ამრიგად, მთა-ვარი სამასწავლებლო სკოლა კავკასიაში, რომლის მოწაფენი და-ნიშნულნი არიან საუკეთესო და აღილობრივ მოსახლეობაში ყვე-ლაზე უფრო გავლენიან სკოლების მასწავლებლებად, ამჟამად წარმოადგენს სავსებით გარუსებულ სკოლას, რაც, რასაკვირვე-ლია, რუსული ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით აღიარებულ უნდა იქნას სავსებით სასურველ და მეტად სანუგეშო მოვლენად“<sup>1</sup>.

იგივე ავტორი სიხარულით ალნიშნავს მშობლიური ენის დევ-ნას, როგორც სასწავლო ენისას, კავკასიის სკოლებიდან. ისეთი სკოლა კავკასიის ოლქში, საღაც სწავლება მშობლიურზე იყო, მაგრამ რუსული ენაც ისწავლებოდა 1879 წ. იყო — 33,3%, ე. ი. ერთი მესამედი ყველა სკოლისა, 1888 წ. ასეთი სკოლა — 28% უდრიდა, 1893 წ. — 26%, ხოლო 1898 წ. მათი რიცხვი — 9%-მდის შემცირდა. ისეთი სკოლის რაოდენობა, საღაც ყველა საგანი რუ-სულად ისწავლებოდა 1879 წ. 49,8% უდრიდა, 1888 წ. — 71% ავიდა, ხოლო 1898 წ. — 91% მიაღწია.<sup>2</sup>

ამ მიზანს, გარუსებასა და ასიმილაციას, უსახავდა ამოცანად ცარიზმი სკოლებს საქართველოში და ყველა დაპყრობილ ქვეყ-ნებში.

<sup>1</sup> იხ. უზრ. „რუსკად შკოლა“, 1901 წ. № 2, გვ. 81.

<sup>2</sup> იხ. იგივე უზრნალი № 1, გვ. 76.

2. მე-60—80 წლების რეაქცია განათლების დარგში.

რუსეთში რეაქცია სახალხო განათლების უწყებაში, ისე როგორც მართვა-გამგეობის სხვა დარღმიც, 60-იანი წლების ნახევრიდან დაიწყო. ამან გარეგნულად გამოხატულება სინოდის ობერპროკურორის დ. ტოლსტიოს ერთდროულად განათლების მინისტრად დანიშვნაში პპოვა 1866 წელს. პირველი იერიშები უმაღლეს სასწავლებლებზე იქნა მიტანილი.

1 ბრძანებათა და დადგენილებათა მთელი რიგი მიმართული იყო 1863 წლის უნივერსიტეტის ლიბერალური წესდების გაუქმებისაკენ.

1867 წლის 26 მაისს გამოცემულ იქნა „წესები სტუდენტოა ზედამხედველობის შესახებ“ უნივერსიტეტის კედლებს გარეშე, გამოწვეული კარაკოზოვის გასროლის შედეგად. რაღაც გამოძიებამ გამოარკვია, რომ შეთქმულებაში პოლონელი სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას; მათი რიცხვი უნივერსიტეტში განისაზღვრა. ამავე დროს შეზღუდული იქნა თავისუფალ მსმენელთა უფლებები.

1869 წელს, პეტერბურლის უმაღლეს სასწავლებლებში მოძრაობასთან დაკავშირებით, გატარებული იქნა მთელი რიგი რეპრესიული ზომებისა სტუდენტების მიშართ: გაძნელებული იქნა მიღება, შეზღუდეს უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში გადასვლის პირობები, გამოცდებს მიეცა მკაცრი ხასიათი, გააძლიერეს ინსპექტორების ზედამხედველობა სტუდენტებზე, სტიპენდიებისა და დახმარების გაცემა დაუკავშირეს სტუდენტთა ყოფაქცევასა და წარმატებას.

1869 წელს წესდება სახალხო სკოლების ინსპექტორობა სახალხო განათლებაზე ერობის ხელმძღვანელობის შევიწროების მიზნით.

1871 წლის ინსტრუქცია ნებას აძლევს სახალხო სკოლების ინსპექტორებს დაითხოვონ ერობის ის მასწავლებლები, რომელთაც ინინი არაკეთილსაიმედოდ სცნობენ; შეაჩერონ სასწავლო საბჭოს ყოველგვარი დადგენილება და ასეთი საქმეები წარუდგინონ მზრუნველს გადასაწყვეტად.

1873 წლის 25 დეკემბერს სახალხო განათლების მინისტრისადმი რესკრიპტში ალექსანდრე II შიშს გამოსთვევამს, რომ სახალხო

სკოლა მზრუნველობითი ზედამხედველობის უქონლობის გამო შეიძლება გადაიქცეს „ხალხის ზნეობრივი გახრწნის საშუალებად, რომლის ზოგიც დღები უკვე გამომულავნებულია“ და უბრძანებს თავადაზნაურთა წინამდლოლთ უახლოესი თავისი მონაწილეობით დაეხმარონ ამ სკოლებს ზნეობრივი გავლენის უზრუნველსაყოფად.

1874 წელს გამოვიდა ახალი დებულება სახალხო სკოლების შესახებ, რომელიც სკოლების მართვის მთელ უფლებას სახალხო სკოლების დირექტორებს ანიჭებდა<sup>1</sup>.

1871 წლის რეფორმით გიმნაზიუმში განმტკიცდა განათლების კლასიკური სისტემა, ხოლო რეალური გიმნაზიები დაყვანილ იქნა პროფესიონალური ტიპის სკოლის მდგომარეობამდის; სახელმწიფო საბჭოში ამ პროექტის წინააღმდეგი 29 წევრი იყო და მხარს მხოლოდ 19 წევრი უჭერდა, მეფემ წააწერა: „შესრულდეს 19 წევრის აზრის თანახმად“-ო.

1874 წლის 25 მაისის „დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ“ აძლიერებდა თავადაზნაურთა მეთვალყურეობას სახალხო განათლებაზე: „თავადაზნაურთა წინამდლოლს ევალებოდა დარწმუნებულიყო მასწავლებლის ზნეობრივ თვისებებში და მის სასარგებლო გავლენაში მოწაფებზე“.

1875 წლის 17 მაისს მინისტრმა მიწერილობა დაგზავნა სკოლებში მასწავლებლად უვადო შევებულებაში მყოფი უნტერ-ოფიცირების დაშვების შესახებ; მეფემ ამ საკითხის შესახებ წარდგენილ მოხსენებას წააწერა: „სავსებით თანავუგრძნობ ამ აზრს“-ო.

1879 წელს უკვე გამზადებული იყო ახალი საუნივერსიტეტო პროექტი შემდეგ პრინციპებზე დამუშავებული:

1. იზლუდებოდა პროფესორთა კოლეგიის ავტონომია.
2. იცვლებოდა წესი პროფესორის მოწვევისა.
3. ძლიერდებოდა მთავრობის კონტროლი უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილზე.

4. მცირდებოდა სუსტად მომზადებულ და ნივთიერად არა უზრუნველყოფილ მსმენელთა მიღება.

1879 წლის ზაფხულში მინისტრთა კომიტეტმა „გამოსთქვა ერთსულოვანი რწმენა, რომ ხალხის სულიერ-ზნეობრივი განვითარება, რომელიც მთელი სახელმწიფო წყობის ქვაკუთხედს შე-

<sup>1</sup> იხ. ლენინი, ტ. 4, გვ. 131—133.

თღგენს, მიუღწეველია, თუ სამღვდელოებას არ მიენიჭება გადამ-წყვეტი მონაწილეობა სახალხო სკოლების მართველობაში“-ი<sup>1</sup>.

ასე თანდათანობით, ყოველწლიური შეტევით ბიუროკრატიულ-რეაქციონური ხელისუფლება მე-60 წლებიდან ცდილობდა სახალხო განათლების ორგანოები გადაექცია მონა-მორჩილებისა და თავდასი მიზნების გამტარებელ პარატად.

პოლონელების, უკრაინელების და სხვა დაპყრობილ ხალხთა ენისა და ნაციონალური კულტურის დევნამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მაგრამ 1879—80 წლებში ტერორისტული აქტებით დამფრთხალი მთავრობა იძულებული გახდა შეეცვალა ბრძოლის მეთოდები; მთავრობის ხელმძღვანელად დიქტატორის უფლებებით მოწვეული იქნა ლორის-მელიქოვი. რევოლუციონერებთან ბრძოლაში ლორის-მელიქოვი დაუნდობელი იყო<sup>2</sup>; თავისი ბუნდოვანი „კონსტიტუციური“ დაპირებებით, რომლიდანაც ერთი პუბლიკისტის თქმით „მელას კუდიც მოსჩანდა და მგელის ხახაც“, მას უნდოდა ობოზიციის დასუსტება; ლიბერალების რევოლუციონერებისაგან განცალკევება და ამ გზით მონარქიის განმტკიცება. მაგრამ 1881 წლის 1 მარტის აქტის გამო ეს „ლიბერალურ ოცნებათა“ ახალი კურსი ხანმოკლე გამოდგა და უკიდურესი რეაქცია განმტკიცდა. მე-80 წლების რეაქციის სულისხამდგმელი იყო ვ. პობედონოსცევი, სინოდის ობერ-პროკურორი, სინამდვილეში ჭირუსეთის ფაქტიური დიქტატორი ალექსანდრე III მთელს მეფობაში (1894 წლამდის). მას გვერდში ედგა შონაგან საქმეთა მინისტრი დ. ტოლსტოი. ტოლსტოიმ 70-იან წლებში, განათლების მინისტრად ყოფნის დროს, ისეთი სასკოლო სისტემა დანერგა, რომ შელსაც სახელმწიფო საბჭოს წევრებიც კი, უკიდურესი რეაქციონერები და კონსერვატორები, წინააღმდეგნ. პობედონოსცევა და ტოლსტოის ნიაღაგს უმავრებდა ცნობილი შავრაზმელი მ. კატკოვი, „მოსკოვის უწყებათა“ რედაქტორი, რეაქციის ერთერთი ბურჯთაგანი. განათლების სამინისტროს სათავეში ჩაუდგა დელიანოვი, ტოლსტოის ამხანაგი განათლების სამინისტროში, და თუმცა ის მტკიცე პრინციპებით არ იყო ცნობილი — იქითქენ მიაბრუნებდა პირს, საითაც ქარი ჰქონდა, — მაგრამ პობედონოსცევისა და ტოლსტოის ხელში ის მათი პოლიტიკის საიმედო გამტარებე-

<sup>1</sup> იხ. Рождественский — „Ист. обозр. деят. м. н. пр.“ გვ. 500—565

<sup>2</sup> ლენინი, ტ. IV, გვ. 137.

ლი იყო. მის შესახებ მღეროდა სტუდენტობა „...и болван из болванов, наш министр Дёльянов...“

70—80 წლების რევოლუციური მოძრაობა ნაროდნიკული იყო. ნაროდნიკებმა ვერ შექმნეს ვერცერთი მასიური ორგანიზაცია; მასიური ორგანიზაციების ნაცვლად ისინი ვიწრო, შეთქმულებით ხასიათის წრეებით ქმაყოფილდებოდნენ; ამავე დროს განავითარეს ერთპიროვნული ტერორის თეორია და პრაქტიკა (ნაროდოვოლცებმა). ნაროდოვოლცების დიდი უმრავლესობა საზოგადოების ქვედა ფენებიდან იყო გამოსული „რაზნორინიულ“ ინტელიგენციას, წარმოადგენდა. რადგან ხალხოსნების ბრძოლას ხელისუფლებასთან ფართო დასაყრდენი ბაზა არ გააჩნდა, ამიტომ მათ ბრძოლას ხელისუფლებასთან „გმირთა“ ბრძოლის ხასიათი ჰქონდა.

„ინდივიდუალური ტერორის პოლიტიკა გამომდინარეობდა არასწორი ნაროდნიკული თეორიიდან აქტიური „გმირებისა“ და პასიური „ბრძოს“ შესახებ, რომელიც „გმირებისაგან“ საგმირო საქმეებს მოელის“<sup>1</sup>:

მთავრობამაც ამ „გმირებს“ ბრძოლა გამოუცხადა. განათლების სამინისტროს მოვალეობას ამ მხრივ წარმოადგენდა სასკოლო კარების დახშობა მათვის, ვინც „გმირთა“ კადრებს იძლეოდა.

გარდა ნაროდოვოლცების ტერორისტული აქტებისა და შეთქმულებითი ხასიათის რევოლუციური მოძრაობისა, მთავრობას თავზარს სცემდა მუშათა და გლეხთა მოძრაობა, რომელიც 80-იან წლებში ფართო ხასიათს იღებდა სამრეწველო კრიზისებისა და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის გამო.

„70-იანი წლების დამლევს — წერს ამხ. ლენინი — პეტერბურლში მეტად დიდი გაფიცები სწარმოებს, სოციალისტები ცდილობენ ისარგებლონ ამ შემთხვევით აუიტაციის გასაძლიერებლად... დგება 1884—85 წლები. კრიზისი მრეწველობაში იწვევს მუშათა ვეებერთელა მოძრაობას და მთელ რიგ მღელვარე გაფიცებს ცენტრალურ რაიონებში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორიზოვის გაფიცვა). კატკოვი ცოფს პყრის იმის გამო, რომ მორიზოველები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცეს; ის ას ერთ კითხვას, რომელიც მოსამართლეებმა მსაჯულებს წაუყენეს გადასაწყვეტად, უწოდებს „ას ერთ სასალიუტო გასროლას რუსეთში გაჩენილ მუშათა საკითხის პატივსაცემად“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევკების) ისტორია“. მოკლე კურსი. გვ. 14.

<sup>2</sup> იხ. ლენინი, ტ. 4, გვ. 159.

1881 წლიდან 1886 წლამდის რუსეთში 48 გაფიცვა იყო, რომელშიც 80 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას.

მართალია, მუშათა ეს მოძრაობა სტიქიური იყო, მაგრამ ლენინის განმარტებით „სტიქიური ილემენტი“ წარმოადგენს არსებითად სხვა არაფერს, თუ არა შეგნებულობის ჩანასახ ფორმას<sup>1</sup>.

პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის არტახებში სული ხდებოდა გლეხობას, რომელიც 60-იან წლების რეფორმის შედეგად, ენგელსის თქმით, ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაეცნებული, რომელშიც „არც სიცოცხლეა შესაძლებელი და არც სიკვდილი“<sup>2</sup>.

1881 წლიდან 1888 წლამდის ოფიციალური ცნობებით რუსეთში 332 შემთხვევა იყო გლეხთა მოძრაობისა.

იმ მრავალგვარ ღონისძიებათა შორის, რომელიც განათლების მინისტრის დელიანოვის მიერ დაბალი ფენებისათვის განათლების დახშობისაკენ იყო მიმართული, ალანიშნავია შემდეგი:

1888 წლისთვის დელიანოვმა გამოითხოვა ნებართვა გიმნაზიებთან მოსამზადებელ განყოფილებათა დახურვის შესახებ, რომ ამით გიმნაზიებიდან გაედევნა დაბჭლი ფენის ბავშვები.

დელიანოვმა შესძლო 12 წლის მანძილზე (1882—1894) გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში მოწაფეთა რიცხვი 3 ათასით შეემცირებინა, ხოლო მუშებისა და წვრილი ბურუუაზის წრიდან მოწაფეთა % 45-დან 37-დის დაეყვანა.

ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა დელიანოვის სს ცირკულარი, რომელსაც უწოდებენ: „Циркуляр о кухаркиных деяниях,“ ხელმოწერილი 1887 წ. 18 ივნისს. ამ ცირკულარში ვკითხულობთ:

„ვზრუნავ რა გიმნაზიის მოწაფეთა შემაღენლობის გაუმჯობესებაზე, მე აუცილებელ საჭიროებად ვნახულობ ამ სასწავლებელში მხოლოდ იმ ბავშვების დაშვებას, რომელთა მზრუნველი საკმაო თავდებობას წარმოადგენენ მოწაფეებზე სწორ შინაურზედამხედველობის და სასწავლებლისათვის აუცილებელ საჭიროებათა მათთვის მიწოდების საქმეში.

ამრიგად, ამ წესის განუწყვეტელი დაცვით, გიმნაზიები და პროგიმნაზიები განთავისუფლდებიან მეეტლეთა, ხელზე მოსამსახურეთა, მზარეულთა, მრეცხავთა, წვრილ მეღუქნეთა და მსგავს ხალხთა შვილების მიღებისაგან, რომელთა ბავშვები, მხოლოდ იშ-

<sup>1</sup> იხ. ლენინი, ტ. 4, გვ. 384.

<sup>2</sup> იხ. მარქს და ენგელის ტ. XV, გვ. 408.

ურათი ნიჭით დაჭილდოვებულთა გარეშე, სრულიად არ საჭიროებენ იმ გარემოდან გამოყვანას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რაც, როგორც მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, ანვითარებს მათში მშობლების უპატიცემლობას; თავისი ყოფით უკმაყოფილებას, და იწვევს არსებული წყობილებისა და ბუნებრივად აუცილებელი ქონებრივი უთანასწორობისადმი გაბოროტებას..”<sup>1</sup>.

ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ცირკულარი დელიანოვის დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია; დელიანოვი ზოხავდა პობედონოსცევის წინაშე და უიმისოდ სუნთქვასაც კი ვერ ბედავდა. მისი წერძლები პობედონოსცევისადმი სავსეა გამოთქმებით:

„В какое время к вам притти?.. „Завтра зайду к вам, чтобы выслушать ваше мнение и затем послать доклад его величеству“.. „Пожалуйста, берегитесь простуды и не одевайтесь слишком легко“..<sup>2</sup>

აღნიშნული ცირკულარი მეორე პირველმარტელების განზრაზვასთან არის დაკავშირებული, — 1887 წლის 1 მარტს — ტერორისტთა ერთ ჯგუფს ლენინის ძმის, ალექსანდრე ულიანოვის მონაწილეობით რომ ალექსანდრე III-ეს აფეთქება უნდოდა.

ამ შემთხვევის გამო 1887 წლის 4 მარტს პობედონეცევი წერილს უგზავნის მეფეს, რომელშიც ცირკულარის ანალოგიურია აზრია სხვათა შორის გამოთქმული: „მაგრამ უნდა შევეკითხოთ თავისთავს, რატომ ასე მრავალრიცხვანია ის, გონება დაკარგული ახალგაზრდობა; იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენ შემოვიდეთ ყალბი; ჩვენთვის სრულიად არა ჩვეული განათლების სისტემა, რომელიც აცილებს თითოეულს თავის გარემოს, იტაცებს მას ოცნებისა და შეუფერებელი ფანტაზიის სფეროში, შემდეგში კი ასვრის მას ცხოვრების დიდ ბაზარზე უსაქმოს, სინამდვილესა და ხალხის ცხოვრებასთან დაუკავშირებელს, მაგრამ გადაჭარბებული და დასახიჩრებული თავმოყვარეობით, რომელიც ყველაფერს მოითხოვს ცხოვრებისაგან და თვით კი არაფერი შეაქვს მასში“<sup>3</sup>.

დაბალი ფენების განათლების შესახებ ამავე აზრისა იყო მანისტრი ტოლსტოიც, რომელიც ჯერ კიდევ 70-ან წლებში ამბობდა. „მთავრობას რამდენათაც ზნეობრივი, იმდენადცე პოლიტი-

<sup>1</sup> იბ. საქ. ც. არქ. ფ. 107. სერია ვ, საქ. № 2111.

<sup>2</sup> იბ. „Пообщеноисцев и его корреспонденты“, полутом 2-ой, 83 673—675.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 652.

კური მოსაზრებით მართებს არ ჩამოაშოროს ხალხს თავისი საუკეთესო ძალები გიმნაზიური განათლების მიცემით, ვაყენებთ რა გლეხობას მისი წარმოშობისათვის შეუფერებელ მდგომარეობაში, არამედ სამრევლო და სახელოსნო სკოლების საშუალებით განვავითაროთ ეს ძალები და შევუნარჩუნოთ ხალხს მისი საჭიროებისათვის<sup>1</sup>.

მინისტრთა ასეთ შეხედულებას, დაბალი ფენის ბავშვთა გიმნაზიებიდან დევნას, არ ჩამორჩებოდა თვით ალექსანდრე III-ი, რომელმაც ერთერთ თხოვნას წააწერა: „Это то!!! ужасно, музик, а тоже лежет в гимназию.“

ამავე 1887 წელს შემოღებულ იქნა ებრაელთათვის სკოლაში შესასვლელი ნორმები: 10% „ბინადრობის ფარგლებში“, 5% სხვა აღგილებში, ხოლო 3% მოსკოვსა და პეტერბურღში.

ებრაელების, ისე როგორც სხვა მცირე ერების შევიწროვება განათლების დარგში აღრე დაწყო: 1875 წელს სამინისტრომ საჭიროდ დაინახა მოსწავლე ებრაელთათვის შეეწყვიტა სტიპენდიების მიცემა.

ასებული წესების მიხედვით ებრაელთა პირველდაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულები უგამოცლოთ მიიღებოდნენ გიმნაზიის პირველ კლასში:

როგორც ვან. მინისტრი დელიანოვი აღნიშნავს თავის ერთერთ ცირკულარში (1886 წ. № 18095), ერთი ოლქის მზრუნველს აღუძრავს შუამდგომლობა ებრაელთა ამ პრივილეგიის გაუქმების შესახებ; განათლების სამინისტროს უმჯობესად უცვნია, რომ იქ კურსდამთავრებული ებრაელი ბავშვები არა, თუ გიმნაზიაში, არამედ არცერთ საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში უეგზამენოდ მიღებული არ ყოფილიყვნენ. ამის შესახებ აფრთხილებდა დელიანოვი ცირკულარით ოლქის მზრუნველებს<sup>2</sup>.

1888 წელს საშუალო სასწავლებლებში სწავლის ქირა 40 მან. გახადეს, ხოლო უნივერსიტეტში 100 მან. გიმნაზიებიდან დაუმაღლესი სასწავლებლებიდან ღარიბთა ჩამოშორების მიზნით.

ჩვენ აქ არათერს ვიტყვით 1884 წლის ცნობილ საუნივერსიტეტო წესდებაზე, რომელიც არსებოთად 1879 წელს ტოლსტოის მიერ დამუშავებული საუნივერსიტეტო წესდების შინაარსის იყო და რომლის შედეგად გაუქმდა სავსებით უნივერსიტეტების

<sup>1</sup> იხ. Рождественский, დასტელებული შრომა. გვ. 582.

<sup>2</sup> იხ. „Историч. журн.“, 1937 წ. № 5 გვ. 73.

<sup>3</sup> იხ. საქ. ც. არქ., ფრ 107, ხერია ვ, საქ. № 3716.. 119.

ჯვრონომია, სტუდენტობა ინსპექტორებისა და პოლიციის შედა-  
მხედველობას გადაეცა, ხოლო ლიბერალური პროფესურა უნი-  
ვერისტეტიდან განიღევნა.

აღსანიშნავია, როდესაც აღნიშნული საუნივერსიტეტო წესდე-  
ბის პროექტი ირჩეოდა სახელმწიფო საბჭოში, წევრთა უმრავლე-  
სობამ სამინისტროს პროექტს მხარი არ დაუჭირა; მეფემ კი 1884  
წლის 15 აგვისტოს პროექტი დაამტკიცა იმ სახით, როგორსაც  
საბჭოს უმცირესობა იცავდა.

1882 წელს დროებითი წესები გამოვიდა პრესის შესახებ, რო-  
მლითაც მესამე გაფრთხილების შემდეგ გამოცემა დაუყოვნებლივ  
სწყდებოდა. ალექსანდრე III-ჟს საშინაო პოლიტიკის ერთერთი  
მიმომხილველი აღნიშნავს, რომ 1865 წლიდან 1909 წლამდის შე-  
წყვეტილ გამოცემათა დიდი უმრავლესობა მოდის ჩვენთვის საინ-  
ტერესო ეპოქის ხუთ წელზე, — 1885 — 89 წლებზე<sup>1</sup>. ქვემოდ  
ჩვენ შემთხვევა გვექნება აღვნიშნოთ, თუ როგორი სიძიმით გა-  
ნიცდიდა ქართული პრესა ამ საცენზურო პირობებს და როგორ  
გახდა მისი მსხვერპლი 1885 წელს ერთადერთი ქართული ყო-  
ველდღიური გაზეთი „დროება“.

1884 წლის 5 იანვარს გამოცემული იქნა დებულება „О вре-  
менных мерах по отношению к открытию и содержанию  
публичных библиотек и кабинетов“.

ეს დებულება არსებითად მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაალ-  
მდეგ იყო მიმართული, რადგან ბიბლიოთეკებით მოსარგებლე  
დიდ უმრავლესობას სტუდენტები და მოწაფეები შეადგენდნენ.  
1886 წელს კავკას. სასწ. ოლქის მზრუნველი ბანოვსკი თხოვდა  
გუბერნატორს ჩამოერთვათ ხელშერილი ბიბლიოთეკის გამგე-  
თათვის, რომ ისინი არ დაუშვებდნენ მოწაფეებს სამკითხველო-  
ში და არც გასცემდნენ მათზე წიგნებს<sup>2</sup>.

ამავე წელს გამოქვეყნებული იქნა აკრძალულ წიგნთა სია, რო-  
მელშიც მოთავსებული იყო ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ბე-  
ლინსკის ნაწერები, მარქსის „კაპიტალი“ და ბევრი სხვა ადრე  
გამოცემული.

რამდენიმე წლის შემდეგ (1891 წ.) საიდუმლო ცირკულიარით  
დელიანოვმა აკრძალა მოწაფეთა თვითგანვითარების წრეები და  
კითხვა უურნალების: „Русская мысль“, „Вестник европы“, „Се-

<sup>1</sup> იხ. „История журнала“ 1937 წ. № 5, გვ. 72.

<sup>2</sup> იხ. საქ. ც.-არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. №, 3675.

верный Вестник“, „Наблюдатель“ — „которые содержанием и тоном способны производить в молодых умах развращающее действие“...<sup>1</sup>

Саха́рт ლექციების წაკითხვის ნებართვას აღმინისტრაცია იშვიათად იძლეოდა, ან ზუსტი მეცნიერებიდან უნდა ყოფილიყო, ან მეტად დრომოქმული საკითხის შესახებ.

1888 წელს ნება არ დართეს იონა მეუნარგიას წაეკითხა რამო-ლენიმე სახართ ლექცია გრ. ორბელიანის შესახებ.

თბილისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი თავ-შერვაშიძე წერს მზრუნველს იანვესკის:

„მე არ მიმაჩნია მოხერხებულად ნება დავრთო აზ. მეუნარ-გიას ამასთანავე დართული პროგრამით წაკითხოს რამდენიმე სა-ხართ ლექცია, მიძღვნილი განსვენებული გენ.-აღიუტანტის თავ-გრ. ლიმ. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმიო“<sup>2</sup>.

1884 წლის საუნივერსიტეტო წესდებით სტუდენტობას ეკრძა-ლებოდა უნივერსიტეტის კედლებში ჰქონდა რაიმე გამაერთია-ნებელი ორგანიზაცია, თუ ის არ იქნებოდა წმინდა აკადემიური ჭასიათისა.

ცალკე ცირკულარით განათლების მინისტრი უკრძალავდა მო-სწავლე ახალგაზრდობას რაიმე ზეიმსა და პატივსაცემ შეკრებაში მონაწილეობის მიღებას.

1886 წლის დეკემბერში დელიანოვი შემდეგ ცირკულარს უგ-ზავნის სასწავლო ოლქის მზრუნველებს: „17-ს ამა ნოემბერს სა-ტახტო ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა ორივე სქესის მოს-წავლე ახალგაზრდობას, თავისი მავნე მიმართულებით ცნობილის ლიტერატორის დობროლიუბოვის გარდაცვალების 25 წლის თა-ვის აღნიშვნის საბაზით, უნდოდა გაემართა დემონსტრაცია ვოლ-კოვის სასაფლაოზე, რაც პოლიციის დახმარებით შეწყვეტილი იქ-ნა დროულად“.

რადგან მსგავს პატივსაცემ შეკრებისათვის საბაზი ყოველ-თვის. ადვილი მოსაქებნი იქნება და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მასში უკიდურესად არა სასურველია — აფრთხი-ლებს მინისტრი მზრუნველებს — აღეკრძალოს მოსწავლეებს რაიმე ზეიმებში მონაწილეობის მიღება უახლოესი უფროსის ნება-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ., ფ. 107, სერია ვ, საქ. № 4965, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე, სერია გ, საქმე № 527.

დაურთველად და დამნაშავენი დაუყოვნებლივ უნდა გაირიცხონ  
სასწავლებლიდანაო<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ყველა ზომა, რომელსაც იყენებდა განათლების უწყება სასწავლებლის კედლებში და მის გარეშე, მიმართული იყო იქითკენ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა იზრლირებული ყოფილიყო რევოლუციურ მოძრაობისაგან და მათი აღზრდა წარმართულიყო მთავრობისათვის სასურველი მიმართულებით.

სასწავლო უწყება დაინტერესებული იყო მოწაფეთა საბინაო პირობებითაც, არა იმ მიზნით, რომ ისინი კეთილმოწყობილი ბინებით ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი, არამედ დაზღვეულნა არასასურველი გავლენისაგან.

ჯერ კიდევ 1882 წლის აგვისტოში მინისტრად ახლად დანიშნული დელიანოვი აფრთხილბს მზრუნველთა საშუალებით სასწავლებელთა გამგებს გააძლიერონ მეთვალყურეობა მოწაფეთა შინაზე, რადგან, „თავიანთი თავის ანაბარად მიტოვებულნი; კარგ მაგალითებს მოკლებულნი, ოჯახს მოწყვეტილნი, ასეთი პირები ლიჭველად ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენენ ყოველგვარი პროპაგანდისათვისო“... მინისტრი დაუშვებლად სთვლის სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეთა, ან მოსწავლე ვაჟთა და ქალთა ერთ ბინაზე ცხოვრებას.

1884 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი იანოვსკი წერდა სასწავლებელთა დირექტორებს, რომ თვალყური ედევნუბინათ მოწაფეთა ბინებისათვის და მათ შემნახველთათვის, რაღაც მოწაფეები, ყოველგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე დარჩენილნი, ხშირად ბოროტგანმზრახველი ხალხის გავლენაში ექცევიანონ<sup>2</sup>.

თუ ასე სათუთად იცავდა განათლების სამინისტრო მოსწავლე ახალგაზრდობას „ბოროტმზრახველთა“ გავლენისაგან სასწავლებლის გარეშე, კიდევ მეტი სიფრთხილე მართებდა მას, რომ ასეთნი თვით სკოლაში არ შეპაროდათ. ხელისუფლებას სიფხიზლუარც აქ ქონდა მოდუნებული.

ამ მხრით საინტერესოა დელიანოვის ცირკულარი, 1885 წელს დაგზავნილი, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ რა საშუალებებით ახერხებდა ვორონეჟის ერთერთი საშუალო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელი ისეთი იდეებისა და შეხედულებათა და-

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 3675.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 4445.

ნერგავს მოწაფეთა შორის, რომელნიც მათში აღძრავდენ უპატივ-  
ცემლობას მეფისადმი და უნდობლობას არსებული სახელმწიფო  
წყობილებისადმი.

მინისტრი ამ ცირკულარით აფრთხილებს სასწავლებელთა ხელ-  
მძღვანელებს ფხიზლად ადევნონ თვალყური მსგავს შესაძლებელ  
შემთხვევებს და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად<sup>1</sup>.

### 3. კავკ. სასწავლო ოლქის მუნიციპალი კ. პ. იანვანესი და მისი 1881 წლის სასწავლო გეგმა.

სახალხო განათლების საქმეს საქართველოში და მთელს კავკა-  
სიაში ოცი წლის (1878—1899) განმავლობაში სათავეში ედგა კი-  
რილე პეტრეს-ძე ძანოვსკი<sup>2</sup>, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელ-  
ნიც ხელმძღვანელობდნენ. ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას  
ჩვენს ქვეყანაში.

კავკასიის სასწავლო ოლქის ქუფროსად იანოვსკი წანიშნული  
იქნა 1878 წლის 13 ნოემბერს. ამ მაღალ თანამდებობაზე ახალი  
პრინციპი დანიშვნამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში და სა-  
ზოგადოებაში. „ჩვენ საზოგადოებაში ყოველგვარი ცვლილება პი-  
რდ შემადგენლობაში იწვევს ხმებს სისტემის მოსალოდნელი  
ცვლილებების შესახებ“ — წერდა გაზ. „ობზორი“. ამ შემთხვევე-  
ბის გამო<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, მოხელეთა პირადი შემადგენლობის  
ცვლილებასთან სისტემის შეცვლის დაკავშირება უიმედო საქმე  
იყო, რადგან პოლიტიკას ქმნიდა ცარიზმი, რომელსაც ესათუ ის  
შოხელე მეტნაკლები თავდადებით და ენერგიით ატარებდა.

იანოვსკის კავკასიაში გამომგზავრების შესახებ გაზ. „დროება“  
შეჭდავს თავის პეტერბურღელი კორესპონდენტის წერილს:

„..... ვერ წარმოიდგენთ რა თანაგრძნობით აცილებდენ ამ  
კაცს (იანოვსკის) და როგორ სწუხდეს მის განშორებას — წერს

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107. სურია. ვ. საქ. №3486.

<sup>2</sup> კ. პ. იანოვსკი — თფიცრის შეილი: 1843 წელს კიევის უნივერსიტეტის  
მათემათიკური ფაკულტეტი დაასტურდა და ქ. როვნოს გიმნაზიის მასწავლებ-  
ლად იქნა დანიშნული: 1851 წელს ქ. კიშინვის გიმნაზიაში გადაიყვანეს: 1863 წ. ბესარაბიის ოლქის სახ. სასწ. დირექტორად დანიშნეს; 1871 წელს  
პეტერბურღის სასწავლო ოლქის მზრუნველის ამხანძად იქნა გადაყვანილი.  
დაჯილდოვებული იყო მრავალგვარი ჩინებითა და ორდენებით. ოლქის მზრუნ-  
ველობას თავი დაანება 1899 წელს; გარდაიცვალა 1902 წელს.

<sup>3</sup> იხ. „ინვირ“ 1878 წ. № 216.

კორესპონდენტი; როცა პოეზიი დაიძრა, ერთმა წარმოსთქვა: „ნეტარება იმათ, საითაც შენ მიღიხარო“. ამ ამბავმა გამახარა; ერთ-ერთმა გამცილებელმა მკითხა — „რა გიხარიანო“. ავუხსენი, რომ მე კავკასიიდან ვარ და იქ მოუთმენლად მიელიან მაგას, რომ ეგები ჩვენი სასწავლებლის მაზრის ჭაობი გამოამშრალოს, ბალახ-ბუალხიდან გასწმინდოს და კარგ ნაყოფიერ მოსავლიან ადგილად აქციოს, რომ არცერთი ჩვენი ნორჩი ხეხილი არ ჩალპეს, ან უკულმართი არ აიზარდოს და კარგ ნაყოფს აძლევდეს ჩვენს ქვეყანას მეთქი“. — მაშ მოგილოცავთ მაგ კაცის წამოსვლას. შემიძლიან მეც და ჩემმა ამხანაგებმაც დაგარწმუნოთ, რომ თქვენი იმედი აუცილებლად აგისრულდებათ.

არ ვიცი რამდენი სიმართლე<sup>1</sup> მაქვს, რომ ასე მიხარიან და თქვენც გახარებთ, ჩემმა მკითხველნო, მაგრამ, მგონი არ ვცდებოდე ამ ჩემს სიხარულში, თუმცა თერგს რომ ჩამოუვლის აქაური ანგელოზიც ძნელად რომ არ შეიცვალოს მაინც აზრი ჩვენ მხარი-სათვის...“<sup>1</sup>. ასეთი იყო ცნობა პეტერბურლიდან იმ ადამიანის შესახებ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს კავკასიაში.

დიდი ილიაც კი სწერდა იანოვსკის შესახებ: „განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ კარგს მომავალს უქადის მიღრეკილება და მიმართულება მისი, ვინც ახლად დანიშნულ იქნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მეთაურად და მზრუნველობა...“<sup>1</sup>.

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, გაზ. „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი მოწინავეს უძღვნის იანოვსკის, დიდი ტემპერამენტით დაწერილს და იმედებით აღსავსეს:

„..... აქ კი (საქართვლოში) დღემდინ მუდამ და ყველგან ირ-ლვეოდა პედაგოგიის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზე უნდა მიიღოს პირველ-დაწყებითი სწავლაო. სხვა, გარეშე მოსაზრებებმა, სრულებით არა პედაგოგიურ მიზეზებმა და გარემოებამ დაავიწყებინა, გაათელ-ვინა ფეხქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება — წერს ს. მესხი, — თქვენგან მოველით ეხლა ამ ჭეშმარიტების აღ-დგენას, თქვენგან მოველით იმის მკვიდრ საფუძველზე დამყარებას. თქვენგან მოელის ქვეყანა გარეშე მიზეზთა და გარემოებათა

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1878 წ., № 262.

<sup>2</sup> იხ. „ივერია“ 1879 წ. № 1, გვ. 152.

შიტოვებასა და ნამდვილს პედაგოგიურ გზაზე დაყენებას ჩვენი ხალხის განათლებისას.

თქვენგან მოელის ეს მდიდარი, ეს ჩინებული ქვეყანა ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ყველა ხალხისათვის წარმატების გზაზე დაყენებელი საქმეა, რომლისთვისაც თითონ ეს ხალხი არაფერს არ ზოგავს.

...თქვენ დაინახავდით და დაინახავთ, რომ ჩვენი ხალხისათვის ნიჭი და გონება სხვებზე მომეტებული თუ არა, ნაკლები არ მიუცია ბუნებას, მაგრამ სწავლაში მაინც კიდევ არ არიან წარმატებულნი!

რატომ?

გაიცანით აქაური პედაგოგები, გაიცანით აქაური სწავლების წესი და პროგრამა და მაშინ მიხვდებით.

თქვენ დაინახავთ, რომ ძალიან ხშირად ჩვენებური ავაზაკები, ქაცის მკვლელები და ქურდები არიან ისეთი პირები, რომელნიც გიმნაზიის მეორე და მესამე კლასიდან გამოსულან.

რატომ?

გაიცანით ჩვენი პედაგოგები და იმათი პროგრამა და მაშინ თქვენ თითონ მიხვდებით ამის მიზეზს.

ეს არის ჩვენი უკანასკნელი სიტყვა და სალაში.

ჩვენი ნატვრაც ეს იყოს, რომ ნეტავი გამართლებულიყოს ყველაფერი ის, რაც თქვენზე კარგი, მიუდგომლობა, საქმის ბეჭითობა და პედაგოგიურ საქმეში გამოცდილება გვესმის“...<sup>1</sup>.

ასე ფიქრობდა განათლების უწყების ახალი ხელმძღვანელის შესახებ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი მისი ჩვენში „მოღვაწეობის“<sup>2</sup> დასაწყისში, მაგრამ სცდებოდა, რადგან იანოვსკი ორთავიან იანუსს წარმოადგენდა; მას „ხახა მგლისა და კუდი მელასი ჰქონდა“, დასაწყისში კუდს აჩენდა, ხახას მალავდა. როგორც ილია წერდა შემდეგში, ივანოვსკის „ქმნულსა და თქმულს“ შორის დიდი ზღვარი იყო. განსაკუთრებით მოხიბლა მან ადგილობრივი საზოგადოება იმით, რომ მხარი დაუჭირა კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის დაარსებას და აგრეთვე აღმოსავლეთი ენების ფაკულტეტის გახსნას თბილისში<sup>2</sup>.

იანოვსკის თრმიგობის დასაღასტურებლად მოვიყვანთ ერთ

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1878 წ., № 263.

<sup>2</sup>) Отчет поп. Кав. уч. округа о состоянии учебных завед. за 1878 г. გვ. 168. იხ. აგრეთვე კრებული „სახალხო განათლების ისტორია საქართველოში“ წიგნი I, გვ. 186.

მიგალითს. 1879 წლის 22 დეკემბერს კავკას. სასწავლო ოლქზე  
თან არსებული საბჭო აღგენს:

„ეთხოვოს სასწავლებელთა უფროსებს და დაწყებითი სკოლების დირექტორებს ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სასწავლებელთა მოსამზადებელი კლასებისა და დაწყებითი სკოლების. მასწავლებლები ადგილობრივ ბავშვებთან მეცალინეობისას, რუსული სიტყვებისა და წინადადებათა ასახსნელად იყენებდენ მოწაფეთა მშობლიურ ენას, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ ყოველივე შესასწავლი შეგნებულად და არა მექანიკურად ისწავლებოდეს. ამიტომ მზრუნველის საბჭო საჭიროდ სკოლას, რომ ასეთ კლასებსა და სკოლებში შეძლებისდაგვარად ისეთი პირები ინიშნებოდნენ. მასწავლებლად, რომელიც გაცნობილი არიან ადგილობრივ მოსახლეობაში გაბატონებულ ენასთ“<sup>1</sup>.

მაგრამ ამავე 1879 წელს, რომ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა იანოვსკის ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა სასწავლებლებში ქართული ენის საფუძვლიანი სწავლების შესახებ და აცნობა კიდეც, რომ მან უკვე დაავალა მოსამზადებელი და დაბალი კლასის მასწავლებლებს განსაზღვრულ ვადაში შეესწავლათ ქართული ენა, იანოვსკიმ მოხსენების არებზე საწინააღმდეგო და ირონიით სავსე შენიშვნები გააკთა<sup>2</sup>, საიდანაც ერთად ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ის გადაჭრით წინააღმდეგი იყო როგორც სამზრუნველო საბჭოს 22 დეკემბრის დადგენილებისა, ისე სტოიანოვის მოხსენებისა.

ხოლო შემდეგში, როდესაც იანოვსკის ნიღაბი კარგახნის ახდილი ქონდა, ხონის სემინარიის პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობაზე დაერთო ნება, რათა სემინარიის ყველა ეროვნების მოწაფეთათვის. სავალდებულო გამხდარიყო ქართული ენის შესწავლა (ჩადგან ქართული ენის უცოდინარობა მათ ხელს უშლიდა-სანიმუშო გაკვეთილების მიცემაში); — იანოვსკი უპასუხებდა, რომ ის ვერ გაიზიარებს საბჭოს მოსაზრებას, და რომ კავკასიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი არა უშედეგოდ ამეცადინებს ბავშვებს, რომელთა ენა მან სრულიად არ იცის; ხონის სემინარიაში კი ევალება შეიმუშავოს ხერხები, რომელიც უნდა გამოიყენოს, მასწავლებელმა ასეთ შემთხვევაში“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. Фальборк и Чапнолусский „Настольная книга по народному образованию“, ტ. III, გვ. 2108.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 246.

<sup>3</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 3419, ფ. 1 — 4.

იანოვსკი თავისი ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას უნდა შესდგომოდა: მას უნდა გაეტარებია თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში და სწავლა-განათების დარგში, განედევნა ქართული ენა, გარუსების საშუალებით გადაეგვა-რებია ქართველი ახალგაზრდობა და ამით ჩაეცა ლახვარი ეროვ-ნული კულტურისა და შემოქმედებისათვის ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით, გადაგვარებული თაობების სახით მიეცა ხელისუფ-ლებისათვის გონებით დაკნინებული და სულით დამონებული მო-ხელე-ჩინოვნიკობა.

საბოლოო ანგარიშში იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეების შე-ხედულობით სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილობრივი ერების გა-დაგვარებისა და მათი გარუსების მძლავრი იარაღად. ამას, რასა-კვირველია, გრძნობდენ და ანხორციელებდენ იანოვსკის წინაპრე-ბიც საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წი-ნაშე იმაში გამოიხატა, რომ მან სხვებზე მტკიცედ და სისტემა-ტურად დაიწყო ჩვენში რუსიფიკატული პოლიტიკის გატარება.

იანოვსკის მტკიცედ სწავლა, რომ სკოლა უნდა იქნას რუსული ცივილიზაციის დამნერგავი განაპირო ქვეყნებში და ადგილობრივი ეროვნული კულტურის შემუსვრელი.

1880 წლის 20 ოქტომბერს ის ცირკულარს უგზავნის თავის ტჯლქვეითებს, რომელშიც წერს:

„კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და აღგილობრივ შეკვიდრთა მოზიდვა მასში შესასვლელად უდაოდ ამ მხარეში რუ-სული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს...“

იმედი უნდა ვიქონიოთ; ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფ-ების შეიქრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინად აქ არსებულ ცივილიზაციებზე უფრო შტრიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელად ის აქ მოვიდა და ჭრობელნიც დაიღუპნენ უმთავრესად გარემომცველ უვიც ტომებ-თან და ხალხებთან საბრძოლველად კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამოო“<sup>1</sup>.

ამრიგად, იანოვსკის განმარტებით კავკასიის ხალხები და ტო-შები უვიცი და უმეცარნი ირინ, რომელთა შორის რუსულმა სკო-ლამ უნდა განამტკიცოს რუსული ცივილიზაცია, ე. ი. აღმოფხვრას დაგილობრივ ხალხთა ეროვნული სახე, გადააგვაროს ის, გაარუსოს;

<sup>1</sup> იხ. ც. ოქ. ფ. 107, სერია 3, № 300.

ამ ერების გადაგვარება ვერ შესძლეს წარსულში \* სხვა დამპყრობლებმა სათანადო კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამოსკოლა კი, რომელსაც ფლობს ცარიზმი, იანოვსკის აზრით, მძღვრი იარალია, რომელიც ამტკიცებს აქ რუსულ ცივილიზაციას.

ამავე დროს, იანოვსკის ცირკულარით, სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი რუსული ენის გავრცელებით იმპერიის ცალკეული ნაწილების გაერთიანებას და მეფისადმი ერთგულების გრძნობების განმტკიცებას ადგილობრივ მოსახლეობაში<sup>1</sup>.

იანოვსკისა და მის თანამებრძოლთა ცდას დაენერგათ ჩვენში სკოლის საშუალებით „რუსული ცივილიზაცია“, ჩვენ ვუპასუხებთ ამხ. ლენინის სიტყვებით:

„თითოეულ თანამედროვე ერში არის ორი ერი... თითოეულ მაციონალურ კულტურაში არის ორი ნაციონალური კულტურა. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვესი, მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა. ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელებით დახასიათებული...“<sup>2</sup>.

იანოვსკი ცდილობდა დაენერგა საქართველოში და მთელ ჭავკასიაში პურიშკევიჩისა, გუჩკოვისა და სტრუვეს წინაპართა—პობედონოსცევის, კატკოვის, ვორონცოვისა და მსგავსთა „ველიკორუსული კულტურა“. ქართველი ხალხი იბრძოდა შეძლებისდაგვარად ასეთი „კულტურის“ წინააღმდეგ და მასთან ბრძოლაში იყენებდა რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების — პუშკინის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, პლეხანოვის, ლენინის და სხვათა ველიკორუსულ კულტურას.

მზრუნველი იანოვსკი პროგრამის განხორციელებას ცნობილი 1881 წლის სასწავლო გეგმით შეუდგა. ეს გეგმა დაუდო მან ჭავკუთხედად საქართველოს სკოლებიდან დედაენის განდევნასა და მის ნაცვლად დაწყებით სკოლებშიც კი სწავლების რუსულ ენაზე შემოღებას. მაგრამ, როგორც გაქნილი პოლიტიკანი, ის შეეცადა თავის შეხედულებანი სახალხო მასწავლებელთა ყრილობის მიერ მიღებულ აზრად გაეტარებია და ამით თავისი ზრახვების განხორციელებისათვის ფართო დასაყრდენი მოეპოებია.

1880 წლის აგვისტო-სექტემბერში შესდგა ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. პირველი ასეთი ყრილობა საქართველოში მოეწყო 1878 წელს თბილისის გუბერნიის სა-

<sup>1</sup> იხ. ცირკ. იო. კავ. უ. ი. თებერვ. 1891 წ. № 759.

<sup>2</sup> იხ. ლენინი, ტ. 17, გვ. 143.

ხალხო მასწავლებელთათვის. მასწავლებელთა ყრილობის მსჯელობის საგანი ფართო და მრავალგვარი იყო: სასწავლო გეგმები და პროგრამები, სწავლების ენა, სახელმძღვანელოების შერჩევა, გარჩევა, კრიტიკა, მეთოდური საკითხები, სწავლების ხანგრძლივობა და მრავალი სხვ., მაგრამ ამ ყრილობებს მხოლოდ სათათბირო ხასიათი ჰქონდა და მათი დადგენილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიდოდა ძალაში, თუ სასწავლო ოლქის მზრუნველი მას დაამტკიცებდა. ქუთაისში 1880 წელს მოწვეული ყრილობა უკანასკნელიც იყო, რადგან რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით სამინისტრომ მასწავლებელთა ასეთი საგუბერნიო ყრილობები აკრძალა და აღარ განუახლებია 1899 წლამდის.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობა ღიდუნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა არა მარტო პედაგოგიურ ასპარეზზე მომუშავეთათვის, არამედ მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის. მასწავლებელთა კრებებს ესწრებოდნენ და სჯაბააში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები (კირილე ლორთქითანიძე, ალექსი ჭიჭინაძე, ანტონ ლორთქითანიძე, იაკობ ფხაკაძე და სხვანი), რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ სწყლებოდა სახალხო სკოლს საკითხები და, მაშასადამე, ძირითადი ქართული კულტურული საკითხი.

სწორედ ამ ყრილობასთან დაკავშირებით წერდა გაზ. „დროება“: „... ბოროტი ენები ამბობენ, კითომ კავკასიის მხარის სწავლა-განათლების მოთავის სურვილი იყოს, რომ ჩვენს სასოფლო სკოლაში სწავლა და საგნების გარდაცემა მეორე წლიდან დაიწყონ რუსულს ენაზედ. ჩვენ არ გვჭერა ამგვარი არა პედაგოგიური სურვილი ჩვენი სახალხო განათლების მთავრობისა; არ გვჭერა იმიტომ, რომ ამ სურვილის შესრულება იქნებოდა ყოველ პედაგოგიურ წესის დარღვევა, იქნებოდა ყმაწვილების გონების დამახინჯება და დაბრკოლება და არა წარმატება ხალხის განათლებისა. არ გვჭერა კიდევ იმიტომ, რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით და გაგვიგია ახლან-დელი მოთავე ჩვენი განათლების საქმისა ბატ. იანოვსკი ისეთი კაცი არ არის, რომ სწავლა-განათლების საქმეში პოლიტიკურს ან რომელსამე სხვა მიზანს გამოიყიდოს, ხალხის განათლების საქმე შესწიროს ამ გარეშე მიზანს“<sup>1</sup>.

ამ წერილის ავტორი ცდებოდა, უკეთ რომ ვთქვათ, თავს იტ-

<sup>1</sup> ინ. გაზ. „დროება“, 1880 წ. № 196.

ყუებდა, რადგან იანოვსკი სწორედ ისეთი კაცი რყო, რომელიც  
სწავლა-განათლების საქმეში პოლიტიკურ მიზანს მისდევდა,  
„ხალხის განათლების საქმეს სწირავდა გარეშე მიზანს“.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, იანოვსკი შეეცადა თავისი განზრახ-  
ვა სახალხო სკოლებში რუსული ენისა და რუსულ ენაზე სწავლე-  
ბის შესახებ მასწავლებელთა ყრილობის რეზოლუციებში შეეპა-  
რებია და ამ მიზნით ქუთაისის მასწავლებელთა საგუბერნიო ყრი-  
ლობაზე მიავლინა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი სე-  
მიონოვი, რომელიც ყრილობაზე თავგამოდებით ოცავდა იმ აზრს,  
რომ რუსული ენა სკოლებში პირველი წლის მეორე ნახევრიდან  
უნდა იწყებოდეს. (ასეთი იყო სწორედ იანოვსკის შეხედულება,  
რომელიც მან 1881 წლის გეგმაში გაატარა). სემიონოვი ამტკი-  
ცებდა, რომ ქართულ ენაზე არ არის არც გეოგრაფიის, არც ართ-  
შეტიკის, არც ფიზიკისა და სხვა საგნების წიგნები და ტერმინები,  
რის გამო მათი ქართულ ენაზე სწავლება შეუძლებელია.

სემიონოვს სათანადო პასუხი გასცეს კირ. ლორთქიფანიძემ და  
სხვებმა. რუსული ენის სწავლების შესახებ მასწავლებლობამ ერთ-  
ნმად მიიღო დადგენილება, რომ რუს. ენის ლექსიკური ნაწილი  
იწყებოდეს მეორე წლის მეორე ნახევრიდან; სემიონოვი თავისი  
წინადაღებებით კენტად დარჩა და თავისი შეხედულებანი ოქმში  
შეატანინა (ალბად იანოვსკის წინაშე რომ თავი ემართლებინა)<sup>1</sup>.

ქუთაისში მასწავლებელთა ყრილობაზე დამარცხებული იანოვს-  
კი ახალ-სენაკის ახლად დაარსებულ სკოლას ეცა. „იანოვსკის და-  
უწყიდა სხვათა შორის რუსულად ლაპარაკი სკოლაში ახლად შემო-  
სულ შეგირდებთან. ბავშვებს, რასაკვირველია, ვერ გაუგიათ ამი-  
სი ლაპარაკი,—რატომ არ იციან რუსული?—უკითხავს ბ. იანოვს-  
კის სკოლის მასწავლებლის ბ. ლომინაძისათვის. — წელს სექტემ-  
ბერში შემოვიდნენ ესენი სკოლაში, ჯერ ქართულს ვასწავლი და  
შემდეგ რუსული უნდა დავაწყებინოვო, უპასუხნია მასწავლებელს.

ამ პასუხს ძალიან გაუჭარებია ბ. იანოვსკი: როგორ თუ ქარ-  
თულს ასწავლიო. მე შევნიშნე, რომ თქვენ, ქართველები, რაღაც  
სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასათ. თქვენ წინააღმდეგი  
ხართ რუსულისათ. ქუთაისის მასწავლებელთა კრების გარდაწყვე-  
ტილებას მე არასდროს არ დავამტკიცებ და სხვადასხვა...“ — იწე-  
რება ახალ-სენაკიდან კორესპონდენტი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. გაზ. „დროება“, 1880 წ., №№ 208, 209.

<sup>2</sup> იქ. გაზ. „დროება“, 1880 წ., № 253.

იანოვსკი და ლომინაძე პრესის საშუალებით უაზყოფდენ სა-  
უბრის ასეთ შინაარსს, მაგრამ უშედეგოდ თვით ლომინაძის წე-  
რილის ერთი აღგილი ამეღავნებს „ამას: „... ბატ. იანოვსკიმ მკით-  
ზდ, თუ როგორ ვასწავლი ყმაწვილებს; მე უპასუხე, რადგან ჩემ-  
მა ყმაწვილებმა არ იციან ქართული ენა, ამისათვის ჯერ ვას-  
წავლი მათ ქართულ ენს და მერე კი რუსულს დავაწყებინებ-  
შეთქი. ამაზე ბ. იანოვსკიმ სთქვა, რომ, ჩემის აზრით, რადგანაც  
შეგრელების დედაენა მეგრული არისო, ამისათვის შეიძლებოდა  
შეგრულიდან პირდაპირ რუსულზე გადასულიყავით...“<sup>1</sup>.

მორჩილმა მოხელემ ლომინაძის სახით, რომლის წერილი ჩი-  
ნოვნიკური დამცირებისა და მოხრილობის ნიმუშს წარმოადგენს,  
არა თუ ვერ შესძლო თავის მბრძანებლის ჩეაბილიტაცია, არამედ  
დათვური სამსახურიც გაუწია მას, გამოამჟღავნა რა იანოვსკის  
შორიგშ ბოროტი ზრახვები ქართველობის მიმართ, — მეგრელების  
არა ქართველ ტრმად აღიარებისა, საკითხი, რომლის საფუძველზე  
„მუშაობას“ ის მხოლოდ 1884 წლიდან შეუდგა.

იანოვსკის ეს ინტი-ქართულთ და ანტი-პედაგოგიური გამოსვ-  
ლები ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა  
ურილობაზე და ახალსენაკის სკოლაში, ქართველ საზოგადოებაში  
გასქრა ყუმბარის მსგავსად. ეს იყო იანოვსკის პირველი ნაბიჯი,  
როდესაც ის „მელას კულს მალავდა და მგლის ხახას აბჩენდა“. ქარ-  
თველ საზოგადოებაში და მისი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილში  
სასწავლო ოლქის მზრუნველის ამ ნაბიჯებმა დიდი აურზაური გა-  
შოიწვია. ს. მესხმა. დიმ. ყიფიანმა, რ. ერისთავმა აღშფოთებით  
სავსე წერილები დაბეჭდეს მაშინ ერთადერთ ქართულ გაზეთში —  
„დროებაში“.

რომ უფრო ნათელი გახდეს სურათი, თუ როგორ ეხმაურებო-  
და ქართველი მოაზროვნე საზოგადოება საქართველოში წარმო-  
ებულ გარუსების პოლიტიკას, და კერძოდ იანოვსკის ნაბიჯებს,  
საჭირო იქნება თვით ამ წერილებდან მოვიყვანოთ აღშფოთები-  
თა და გულისტკივილით სავსე ზოგი აღგილ.

ბრძოლა სერგეი მესხის „დროებაში“ მოთავსებული მოწინავე  
წერილით დაიწყო: — „ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი“.

„ჩვენ აღტაცებული ვიყავით სიხარულისაგან, როდესაც პირ-  
ველად გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ უმაღლესმა მთავრობაშ  
ინება თქვენი წინამოადგილის ბ. ნევეროვის გამოცვლა და თქვენი

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1880 წ., № 259.

დანიშვნა კავკასიაში სწავლა-განათლების საქმის გამგებლად... პოლიტიკოსმა დასძლია იმაში პედაგოგი, ნაციონალურ ვიწრო მიზნების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე.

თქვენი დანიშვნა იმის ადგილზე გვიხაროდა იმიტომ, რომ პეტერბურლიდანვე კარგი ხმები ისმოდა თქვენს კეთილ-გონიერებაზედ, მიუდგომლობაზე და პედაგოგიის საქმის ერთგულებაზედ-გვწერდენ და გვეუბნებოდენ, რომ თქვენ მხოლოდ ხალხის განათლება, ახალგაზრდობის გონების გახსნა გექნებათ მხედველობაში, რომ თქვენ არ გაარჩევთ რუსს, ქართველს, სომებს, თათარს თუ ყიზილბაშს... გვეუბნებოდენ და გვარწმუნებდენ, რომ თქვენ პოლიტიკასა და პედაგოგიას ერთმანეთში არ არევდით და სხვა-აი, ეს გვახარებდა ჩვენ.

და მართლაც, პირველი ნაბიჯები თქვენი მოქმედებისა ჩვენში თითქო გვამედოვნებდენ, რომ, რასაც ამბობდენ თქვენზე მართალი იყო, რომ ნამდვილს პედაგოგიურს მიზანს მისდევდით და სხვას არაფერს...

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს დროს როგორ-ლაც სხვა ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენის მოქმე-დებისას...

მაგალითები ბევრია. მოვიყვანთ მხოლოდ ორს: როდესაც ამ ენკენისთვეში ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა კრება იყო, ამ სკოლების დირექტორს ოფიციალური ქაღალდი მისწერეთ; რომელშიც ეუბნებოდით იმას, ეცადეთ, მასწავლებელთა კრებამ გადაწყვიტოს, რომ რუსული ენის შესწავლა სასოფლო სკოლებში პირველს წლიდანვე დაიწყონ შეგირდებმათ. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ აზრი, რომელსაც გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი ბ. სემიონოვი იცავდა ასე უბედურად და უნაყოფოდ ქუთაისის მასწავლებელთა კრებაზე, რომ სოფლის სკოლებში პირველ წლიდანვე უნდა დაიწყონ. ქართველ ბავშვებმა რუსული სიტყვების გაზეპირებათ, — ჩვენ ვიცით, ვამბობთ, რომ ეს აზრი თქვენი აზრი იყო და არა საკუთრივ ბ. სემიონოვისა:

და საკმაოდ ცხადად დავამტკიცეთ ჩვენ, თუ ამას კიდევ ჩვენ-გან დამტკიცება ეჭირვებოდა, რომ ეს აზრი არის დარღვევა და უარყოფა პედაგოგიის უპირველეს მოთხოვნილებისა... (წერტილები ცენტორისაა ტ. ხ.)

მეორე ფაქტი კიდევ უფრო ცხადად გვიმტკიცებს, საუბედუ-როდ, ამას:

„დროების“ წინანდელ (253) ნომერში მოყვანილი იყო თქვენთ  
სიტყვა ახალსენაკის სკოლის მასწავლებლებისადმი. მოყვანილო  
იყო, თუ როგორ გაუჯავრდით თქვენ ამ მასწავლებელს იმისათვის,  
რომ რატომ წელს ენკენისთვეში შემოსულ ბავშვებს რუსულად  
არ ასწავლით, არამედ ქართულადაა. „მე შევნიშნეო, ბრძანეთ  
თქვენ, რომ თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისღეთ და  
არა პედაგოგიასო. თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო. ქუთაი-  
სის მასწავლებელთა კრების გარდაწყვეტილებას მე არასდროს არ  
დავამტკიცებო“ და სხვა და სხვა.

არ ვიცი რა არის თქვენი აზრი და მიზანი, მაგრამ ჩვენ კი შემ-  
დეგი უნდა მოგახსენოთ: ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალ-  
ხი ისტორიულის ცხოვრებით ცხოვრობს, ორი ათასი წელიწადია,  
ასც თითქმის დაუწყნარებლად, მოუსვენრად იბრძვის თავის დე-  
დამიწის, სარწმუნეობისა, ენისა და ერობის დასაცველად. თითო  
მტკაველი თავის სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს  
სწავლისა, ყოველი ლექსი თავის სამშობლო ენისა ათას, ათი ათას  
თავის საუკეთესო შვილად უღირს. ამ ორი ათასი წლის განმავ-  
ლობაში საქართველოს ხალხს ერთს ხელში მიწის სამუშაო იარა-  
ლი ეჭირა და მეორე ხელში შინაგან და გარეგან მტრის მოსაგე-  
რიებელი იარაღი. მუდამ დღე, მუდამ წამს ქართველის კაცის ფიქ-  
რი იმაზე, იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენასა და  
ერობას არ შეჰქებოდა.

თქვენ თუ არ გემით, ჩვენს უმაღლეს მთავრობას კარგად ეს-  
მის ამ ყველა ხალხისათვის ძვირფას საუნგის მნიშვნელობა. ჩვენი  
უმაღლესი მთავრობა არასდროს არ ცდილა, რომ თავის ქვეშვრ-  
დომ ხალხისათვის მოესპონ სამშობლო ენა, სარწმუნოება და ერო-  
ბა. უმაღლეს მთავრობას კარგად ესმის, რომ პოლშელს პოლშური  
ენა, ქართველს ქართული, სომეხს სომხური, თათარს თათრულო  
არასოდეს: არ დაუშლის რუსის ერთგულ ქვეშვრდომობას, სწავ-  
ლა-განათლების გზაზედ სვლას და მშვიდობიანად ცხოვრებას.

და თქვენ გნებავთ ახლა, რომ სოფლის სკოლების საშუალებით  
უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და  
თქვენ გნებავსთ, რომ ერთის თვალის დახმამებაში ხალხმა დაი-  
ვიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა-  
და ტანჯვა-წვალებით შეუძნენია და ძვირფას საუნგედ გარდმოუ-  
ცია თავის შთამომავლობისათვის?

და თქვენ გნებავთ, რომ ამ გვარ ხალხმა, ერთის სიტყვით, მია-  
ტოვოს თავის გვარტომობა?..

თქვენ უთხარით ახალსენაკის სკოლის მასწავლებელს „თქვენ, ქართველებს, რაღაც სხვა მიზანი გაქვთ და არა პედაგოგიურიო. თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო“.

არავის არ აქვს უფლება ამისთანა სიტყვებით მიჰმართოს ქართველ ხალხს. არავის არავითარი საფუძველი არა აქვს, რომ ამისთანა სიტყვები სთქვას ქართველებზე.

თოხმოცი წელიწადია, რაც რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშ შეიღო საქართველო და აბა ერთი მაგალითი მაჩვენეთ, რომელიც თქვენს სიტყვებს აძართებდეს. ერთი მაგალითი მიჩვენეთ, რომ ქართველ ხალხს რაშიმე მთავრობის ურჩობა, წინააღმდეგობა გა- მოეჩინოს. ჩვენ კი შეგვიძლია ათასი მაგალითი წარმოგიდგინოთ, რომელიც ყველას დაარწმუნებს, რომ ქართველი ერი ყოველთვის მორჩილი და ერთგული ყოფილა მთავრობისა, რომ მთავრობისა- თვის იმას თავისი უკანასკნელი სისხლი და შეძლება. არ დაუზო- გავს.

და თუ საღმე ოდესმე ჩვენში აღმოჩენილა უკმაყოფილება, ეს უკმაყოფილება წარმომდგარა ისეთი პირების, ისეთი ჩინოვნი- კების წყალობით, რომელნიც მართველობისათვისაც მავნებელი ყოფილან და ხალხისათვისაც დამღუბავნი.

ქართველების სურვილები იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაი- ცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, სჭული და სარწმუნოება. ეს სურვილი, მგონია, კანონიერია და ყოველი მართველობა ეხმარე- ბა თავის ხალხს ამაში.

თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწ- ეოთ, რომ პირველდაწყებით სკოლებში შესვლის უმაღვე ყმაწ- ელებმა უცხო ენაზე სწავლა დაიწყონ; ეს სურვილი წინააღმდე- გია როგორც სახელმწიფო ინტერესისა, აგრეთვე, რასაკვირველია, ნამდვილად პოლიტიკა აურეველის პედაგოგიურ ჭეშმარიტებისა.

ეს გვინდოდა გვეთქვა თქვენთვის, ბ. იანოვსკი. ვათავებთ სურ- ვილით, რომ შემდგვები უსაფუძვლოთ ცილისწამება ქართველ ხალხზე აღარ გაგვეგონოს და რომ თქვენ თქვენს გზას არასოდეს არ გარდაცილებულიყოთ“. (ხაზი ჩემია, ტ. ხ.)<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ამ წერილში ბევრი ისეთი აზრია, რომლის გა- ზიარება შეუძლებელია; ს. მესხი, დიმიტრი ყიფიანის მსგავსად ფიქრობს (ან უნდა იფიქროს), რომ ყოველი უბედურება რაც ქარ- თველ ხალხს თავს ატყდება, ადგლობრივი რუს მოხელეების ბრა-

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1880 წ. № 254.

ლია, და არა ცენტრალური ხელისუფლების, ცარიზმისა და სის-  
ტემის.

„ჩვენი უმაღლესი მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის  
ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპონ სამშობლო ენა; სარწმუნეობა  
და ერობა...“ სწორედ რომ უმაღლესი მთავრობა იყო, რომ წინა  
და მომდევნო წლებში სასტიკ დევნას აწარმოებდა პოლონელ, ფი-  
ნურ და სხვა ხალხთა ენისა და ერვნული კულტურის შესამუსრა-  
ვად.

არც ის არის მართალი. თითქოს რთხმოცი წლის განვალობა-  
ში ქართველებს „რასშიმე მთავრობის ურჩობა, წინააღმდეგობა  
გამოეჩინოს“.

იმ მრავალ აჯანყებას რომ თავი დავანებოთ, რომელსაც მუ-19  
საუკუნის ჰირველი ნახევრის მანძილზე აწყობდა ქართველი ხალხი.  
ცარიზმისა და მის მიერ განმტკიცებული ბატონყმური ურთიერ-  
თობის წინააღმდეგ, ს. მესხის კარგად ახსოვდა ალბალ, ასე ვთქვათ,  
სწორედ წინადღით (1878 წ.) ქაზიის გლეხობის მიერ მოწყობი-  
ლი აჯანყება, რომელიც გამოწვეული იყო ბატონყმური წყობი-  
ლების ნაშთებით და მთავრობის პილიტიკით გლეხობის მიმართ<sup>1</sup>.

მიუხედავად ამისა, ს. მესხის „ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი“  
მეტად მნიშვნელოვანი ღოკუმენტია ქართველი საზოგადოებრივი  
აზროვნებისა და ჰუბლიცისტების ისტორიაში; ასეთი მებრძოლო-  
ტონითა და კილოთი კავკასიის უმაღლესი მთავრობის ან მისი რო-  
მელიმე წევრის წინააღმდეგ პრესაში მანამდის არავინ გამოსულა.

ს. მესხის წერილს მოჰყვა შემდეგ დიმ. ყიფიანის გამოსულა-  
იანოვსკის წინააღმდეგ:

„... დღეს რომ წავიკითხე (ს. მ. ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი),  
ჯერ იქამდის აღმიშფოთდა გული, რომ ზეზე ჭამოვხტი და „პოგორ  
თუ“ მეტქი დავიძახე, წერს დ. ყიფიანი, მაგრამ როგორც მო-  
ხუცებულსა და მრავალგვარად ნაცოდვილებს კაცს შეჰვენის,  
მაშინვე დავიმშვიდე გული და საქმეს დავუფიქრდი... როგორც  
სამათემათიკა ჭეშმარიტება, ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ  
საქართველოს ხალხზე უფრო ერთგული ტახტისა მთელ რუსეთს  
სხვა ხალხი არ ასხია. თქვენ თუ არ იცით ესა, ჩვენმა სათაყვანე-  
ბელმა ერთმთავრობამ კარგად უწყის და მისმა უზენაესმა მშარ-  
თველობამაც კარგად იცის.

ასე ვართ ქართველები. და ასე ვიქნებით, მანამდისინ ჩვენი

<sup>1</sup> იხ. გ. ხაჭაპურიძე — „გლეხთა მოძრაობა საქართველოში“. გვ. 144—155.

ხალხოსნობა დაცული გვექნება; და ხალხოსნობა ხომ გამჭრალია, სადაც იმისი ენა აღარ არის.

არა, ბატონებო, თუ „ლია წერილის“ აზრი არ დაირღვა... ბ. იანოვსკის ათას წილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, ბ. იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად:

ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მერე მეცნირების წინაშე, რომ პედაგოგის ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიცა ბრძანებს „წულს ყრმას (ე. ი. ყმაწვილს) ჯერ საშინაო ენას ასწავლიდეთ და მერე საქვეყნოსა“<sup>1</sup>.

„ჩინგისხანმა, ლანგთემურმა, შაჰაბაზმა, ნაღირშამ ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!“ — მიმართავს დ. ყიფიანი იანოვსკის, აღარებს რა მის აგრესიულ პოლიტიკას ჩამოთვლილ დამპყრობელებისას<sup>2</sup>.

ასეთი ანალოგია არ იქნებოდა უცხო იანოვსკისათვისაც. როდესაც ის, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სათანადო კულტურულ საშუალებათა (სკოლების უქონლობის გამო) ძველად აქ არსებული ცივილიზაციების დაცემზე ლაპარაკობდა.

ამ წერილით დაიწყო დ. ყიფიანმა ბრძოლა იმ გამარჯუსებელი და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება დუნდუკოვ-კარსაკოვის, იანოვსკის და ექსახორსის პავლეს სახით აწარმოებდა საქართველოში. ეს ბრძოლა დ. ყიფიანს არა თუ არ შეუწყვეტია, არამედ კიდევ უფრო განავითარა, სანამ თვით არ გახდა ამისი მსხვერპლი<sup>2</sup>.

1880 წლის 12 დეკემბერს შესდგა კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებული სამზრუნველო კომიტეტის სხდომა. სხდომის დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა:

1. რა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ სკოლაში შესვლა.
2. რუსული ენის მდგომარეობა იმ სკოლებში, სადაც ბავშვთა უმრავლესობა არა რუსული ეროვნებისაა.

პირველი საკითხის შესახებ სხდომამ უარყო ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყრილობის დადგენილება დაწყებით სკოლებში მხოლოდ 7—12 წლის ასაკის ბავშვთა მიღების

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1880 წ. № 262.

<sup>2</sup> დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს მონოგრაფია — „დიმიტრი ყიფიანი“, თავი „80-იანი წლები და დ. დ. ყიფიანი“.

შესახებ და დადგინა, რომ არავითარი შეზღუდვა არ იქნეს ასაკის მხრით სკოლაში შემსვლელ ბავშვთათვის.

მეორე საკითხის შესახებ თავმჯდომარე იანოვსკიმ საბჭოს მოახსენა, რომ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობის დადგენილება, — რუსული ენა ქართულ სკოლებში ისწავლებოდეს როგორც საგანი და ისიც მესამე წლიდან, უდრის ამ საგნის გამორიცხვას გუბერნიის დაწყებითი სკოლებიდან.

იანოვსკის აზრით ასეთი დადგენილება ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს: 1) 1867 წლის 15 მაისის — „О преобразовании учебной части на Кавказе“, 2) 1868 წ. 19 ოქტომბრის — „Об обязательности преподавания русского языка во всех школах Империи“ და 3) 1873 წ. 22 ნოემბრის — „Об устройстве учебной части на Кавказе и за Кавказом“.

გარდა კანონის გვერდის ავლისა, მზრუნველს ანოვსკის შოპუავს ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობის დადგენილების საწინააღმდეგოდ შემდეგი მოსაზრებანი:

1. სოფლის სკოლაში სწავლობენ აზნაურთა და თავადთა შვილებიც, რომელთაც სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელება სურთ ქალაქის სასწავლებლებში, სადაც შემსვლელებს მოეთხოვებათ რუსულად თავისუფალი კითხვა, წერა და დაუბრკოლებლად. წაკითხული სტატიების მოყოლა, რაც მათ მიერ შესწავლილი უნდა იქნას სოფლის სკოლაში.

2. სოფლის საზოგადოებანი იმიტომ იღებენ სახსრებს სკოლებისათვის, რომ გარდა დედაენისა ბავშვები ისწავლიან რუსულ ენასაც, რომლის შესწავლას მშობლები სასარგებლოდ სთვლიან პრაქტიკული თვალსაზრისით.

და 3. რუსული ენის შესწავლა მშობლიურთან ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

ამიტომ, იანოვსკის აზრით, რუსული ენის შესწავლა უნდა იწყებოდეს არა მესამე წლიდან, არამედ პირველი წლის მეორე ნახევრიდან და დაკავშირებული უნდა იყოს მშობლიური ენის სწავლებასთან. პირველი წლის დასასრულს ბავშვებმა უნდა იცოდენ რუსული სიტყვები და გამოთქმები განსაზღვრული რაოდენობით.

ოქმში ნათევვამია:

„პირველ განყოფილებაში სწავლება საზოგადოთ სწარმოებს მშობლიურ ენაზე; რუსულ ენას ბავშვები მხოლოდ პრაქტიკულად ჰცნობიან, ზეპირად, მათ მისაჩვევად რუსული ენისა, სიტყვებისა

და წინადაღების სწორ გამოთქმისათვის, აგრეთვე შემდეგ განყოფილებაში რუსული ენის შესასწავლი მასალის შესამზადებლად. — მეორე განყოფილებაში თუმცა მშობლიური ენა სჭარბობს სწავლებაში, მაგრამ ნაწილობრივ ის რუსულზედაც სწარმოებს.

შესამე განყოფილებაში სწავლება უპირატესად რუსულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ყოველივე ამ ენაზე შესწავლილის მშობლიურ ენაზე თარგმნით“.

ეს დადგენილება სახელწოდებით: „Об учебном плане на начальной школы в среде туземного населения по постановке в ней русского языка“ 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული იქნა მეფის მოადგილის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მიერ, წარწერით:

„სავსებით იწონებს ამ გეგმას, როგორც მტკიცედ შეფარდებულს საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებებთან და თმ საფუძვლებთან, რომელნიც კავკასიის მკვიდრთა სკოლების შესახებ დაღვნილნი არიან მისი უმაღლესობის ნამესტნიკის უმაღლესად მოწოდებული მოსაზრებებით“.

მეტად საყურადღებო ჩეზოლუციაა ქართველ თავადაზნაურული ინტელიგენციის იმ ჯგუფისათვის (დ. ყიფიანი), რომელიც მიხეილ რომანოვს სთვლიდა ქართველი ხალხის მფარველად და მოამაგედ-

ალნიშნული გეგმა დაიბეჭდა და გაეგზავნა სახალხო სკოლების დირექტორებს შესასრულებლად მთელს ამიერკავკასიაში.<sup>1</sup>

სანამ სამზრუნველო საბჭოს მიერ მიღებული ზემო მოყვანილ სასწავლო გეგმა დამტკიცდებოდა და გამოქვეყნდებოდა, იანვაკიმ 1880 წლის გაზ. „კავკაზში“ № 348 ვრცელი წერილი მოათავსა ს. მესხის „ლია წერილის“ საპასუხოდ. ამ წერილის პირველ ნახევრაში იანოვსკი უარყოფდა ს. მესხის მღერ მის წინააღმდეგ წყვენებულ ბრალდებას; უარყოფდა უსაფუძვლოდ. რადგან მან სემიონოვი, რა თქმა უნდა, იმიტომ მიავლინა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობაზე, რომ ის იანოვსკის შეხედულებას იცავდა პირველდაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლების შესახებ. ხოლო „დროება“ რომ იანოვსკის ბრალს სდებდა სენაკში მისი განცხადების შესახებ, — ქუთაისის მასწავლებელთა დადგენილებას არასოდეს არ დავამტკიცებო, — განა ეს არ გამართლდა 12 დეკემბერს მისი თავმჯდომარეობით სამზრუნველი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით?!“

<sup>1</sup> ქ. ც. არქ., ფ. 107, სერია ვ, საქ. № 298.

თავისი ვრცელი წერილის მეორე ნახევარში იანოვსკი საბჭოს მიერ მიღებულს, მაგრამ ჯერ გამოუქვეყნებელ სასწავლო გეგმის დებულებას ანვითარებს, მაგრამ ისე კი, რომ ვერ შესძლო თავისი ცბიერი და ორმაგი ბუნების შენილბვა, რაც არ დარჩა შეუძლებელი ი. ჭავჭავაძეს.

— იხილავს რა ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“ იანოვსკის გეგმას, აღნიშნავს:

„... საეროს სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმცირესად რუსულ ენაზე უნდა მიღიოდეს. ეს უბრძანებია ბ. იანოვსკის 12 დეკემბერს „Полечительский совет“-ს, რასაკვირველია, მიუღია და 22 დეკემბერს თითონ ბ. იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა. იგივე ბ. იანოვსკი 28 დეკემბერს გაზ. „კავკაზში“ № 348 ამბობს: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიღიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო“.«

ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ არა სცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედანეაზედაც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო, და საგნები და სტატიები, შესწავლილი დედანეაზედაო — რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედამ ის გამოდის, რომ 12 და 22 დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც, რუსულ ენას დარჩენია და 28 დეკემბერს კი — დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია, 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიცარის. და უკვე ქმნულიცა; და 28-ს დეკემბრისა კი — მარტო თქმულია და „კავკაზ“-ის № 348-ში. დარჩება სახსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე“. მეტ ნათელსაყოფად იანოვსკის მიერ 12 და 22 დეკემბერს ქმნულისა და 28 დეკემბერს თქმულისა, ილიას მოჰყავს სვეტებად ამონაშერი რუსულ ენაზედვე და ასე ათავებს თავის წერილს „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“<sup>1</sup>.

იანოვსკის, ისე როგორც ყველა ფლიდსა და გაიძვერა მოხელეს, თავი მოაქვს ამ წერილში ქართველი ერის. მეგობრად და ქართველ ახალგაზრდობის მოამაგედ... „მე მაქვს მიზნად სიკეთე ყმაშვილებისა და იმ საზოგადოებისა, რომლის სამსახურისათვისაც მე ვარ მოწოდებული. მე მივსდევ იმას, რომ სამშობლო ენას სამართლიანად ეჭიროს ისეთი ალაგი, როგორიც საჭიროა ყმაშვილების

<sup>1</sup> იხ. ილ. ჭავჭავაძე, „პედაგოგიური თხზულებანი“. გვ. 231—233.

გონივრულად აღზრდისათვის“. სწორედ ამ „სიკეთისათვის“ ხდის-იანოვსკი თავისი გეგმით მეორე და მესამე კლასის მოწაფეთათვის, რომელნიც ჯერ კიდევ სამშობლო ენის წერა-კითხვაშიც არ არიან საკმაოდ გაწაფულნი, სავალდებულოდ ყველა საგნების რუსულ ენაზე შესწავლას!

„... მე არასოდეს არ მქონია ბოროტგანზრახულობა არც ქარ-ოულ ენაზედ და არც იმათ ხალხოსნობაზედ, პირიქით, მე სრუ-ლიად თანავუგრძნობ ამ ენის საუკეთესო შესწავლას და მის გო-ნივრულად წარმატებას.“<sup>1</sup> თუ რამდენად თანაუგრძნობდა იანოვ-სკი „ქართულ ენის შესწავლას და მის გონივრულად წარმატე-ბას“, ამისი ზოგი მაგალითი ზემოდ ვნახეთ, ხოლო უფრო მჭირ-ქვემოდ შევხვდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ მრავალრიცხოვან გამოსვლაში, რო-მელიც იანოვსკის წერილისა და გეგმის წინააღმდეგ იყო მიმარ-თული, მხოლოდ ილიამ შესძლო ლირსეული, დასაბუთებული პა-სუხის გაცემა. სხვა მოკამათეთა არგუმენტები იანოვსკის წინააღ-მდეგ მიმართული პოლიტიკური და ისტორიული კატეგორიის იყო, რომელსაც დიდ ანგარიშს არც მანამდის და არც მაშინ არავინ, მით უმეტეს ცარიზმის აგენტები, არ უწევდა. „ქართველი ხალხის მრავალსაუკუნიანი კულტურა“. „ქართველი ხალხის ერთგულება ტახტისაღმი“, „სამშობლოს და ქართული ენის სიყვარული არ ეწი-ნააღმდეგება რუსეთის ინტერესებს“ — ასეთი იყო არგუმენტები დ. ყიფიანისა, ს. მესხის და სხვათა.

ოლია ჭავჭავაძე კი (და შემდეგ ი. გოგებაშვილი) საკითხს ქარ-თული ენის სწავლების შესახებ წმინდა პედაგოგიური თვალსაზ-რისით უდგება.

იანოვსკის მიერ „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილის საპასუხოდ ილიამ „დროებაში“<sup>2</sup> ვრცელი წერილი მოათვარი, რომელშიც მან გამოამჟღავნა ლრმა ცოდნა პედაგოგიის კლასიკოსებისა და პედა-გოგიური საკითხებისა. ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამ წერილის გან-ხილვა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ილიამ მკვეთრი ანალიზის შედეგად გაანადგურა იანოვსკის მოსაზრებანი. და დამტკიცა: 1. რომ დაწ-ყებითი სკოლა გლეხობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, 2. რომ მას შეუძლებელია მიზნად ბავშვის ზედა საფეხურებისათვის მომზადება დავავალოთ, 3) რომ დაწყებითი სკოლა საკუთრივ ბავ-

<sup>1</sup> იხ. გან. „დროება“, 1881 წ. № 10—11.

<sup>2</sup> იხ. „დროება“, 1881 წ., № 33.

შვის დედაენისა და მისი გარემოს სკოლაა, 4) რომ ერთკლასიან - (სამი წლის კურსით) საერო სკოლას შეუძლებელია დავაკისროთ რუსული ენის შესწავლაც, 5) რომ „იგი (რუსული ენა) ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარედ ფეხს გამოვდგამთ“ და 6) რომ ამისათვის (რუსული ენის შესასწავლად) „არამც თუ სამყოფია ის სამის წლის კურსი საერო სკოლისა, არამედ არა ნაკლებ ექვსის წლისა“<sup>1</sup>.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა 1881 წლის გეგმის წინააღმდეგ ამა თუ იმ სახით შემდეგშიც გრძელდებოდა, შაგრამ რეალურად არაფერო გამოდიოდა, რაღგან იანოვსკი და მისი კამპანია თავის საქმეებს აკეთებდენ და ქართველი ინტელიგენციის გოდება უდაბნოში მღალადებლის ხმად რჩებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ იანოვსკიმ თვით დაიწყო 1881 წლის გეგმის გაუქმება, განდევნა რა ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდან თითქმის სავსებით და ბავშვებს სწავლება პირველი დღიდანვე დააწყებინა რუსულს ენაზედ. მაგრამ ამაზე შემდეგ.

იანოვსკის გეგმას მტრულად შეხვდა არა მარტო ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, არამედ ინტელიგენციის ფართო შასაც, პირველ რიგში სახალხო მასწავლებლობა.

მაშინ ბოლბისხვის სასოფლო სკოლის მასწავლებელი დ. ხ-შვილი წერს ამის შესახებ 1913 წელს: „1878 წლის სასწავლო გეგმით (მიღებული ტფ- გუბ. მასწავლებელთა ყრილობის მიერ) რუსული ენა მესამე კლასიდან იწყებოდა... უნდა გენახათ, რომ გაკვირვებულყავით, თუ რა ადვილად ეხერხებოდათ ბავშვებს ამ წლიდან (მესამე) რუსულის სწავლა, რაღგან საზრისი გახსნილი ქონდათ და სულ ადვილად ხვდებოდნენ; რასაც ეხლა სამ წელი-წადს ვერ ათვისებენ ახლანდელი ცრუ პედაგოგები, პოლიტიკანები, მაშინ ერთ წელს სულ ადვილად ითვისებდენ...“

იანოვსკიმ კი პირველ ყოვლისა თავისი ძალა და ორნე, თავისი სურვილი და ფიქრები იმას მოახმარა, რომ შეეზღუდა 1878 წლის სასწავლო გეგმა. ნაყოფად მისი ამნაირი ცდილობისა დაიბადა 1881 წლის 13 იანვრის სასწავლო გეგმა, რომელსაც მაშინ ყველა

<sup>1</sup> ილიას ბრძოლის შესახებ მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ იხ. პროფ. გ. თავში შვილის მონოგრაფია, ი. ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები“, თავი 9.

შეხვდა მეტისმეტად მტრულად. მიიღო იგი ვითარცა ვერაგული განკარგულება, უაღრესი ზიზღი დაბადა ჩვენს მასწავლებლებში, რომელთაც იცნეს მასში სურვილი არა ხალხის განვითარებისა, არამედ წვრილმანი პოლიტიკანობისა, რომ ამითი სწავლას, ხალხის თვითცნობიერებას ელობებიან წინა, ვიწყინეთ და 15-მდე მასწავლებელმა მივატოვეთ მასწავლებლობა... დღეს კი რასა ვხედავთ. დღეს ეს ყველასაგან აბუბული, ზიზღით მიღებული გეგმა 1881 წლისა სანუკრადაც კი გახდა მთელი ქართველი ხალხისათვის, ვითარცა ზეციერი მანანა და მაინც ვერ ლირსებია მის განხორციელებასა, ხოლო მისი მოტრფიალეთაგან ჯერ 15 მასწავლებელია დათხოვნილი მარტო ქუთაისში”<sup>1</sup>.

80-იან წლებში ქართველი ინტელიგენცია ებრძების 1881 წლის გეგმას და მასწავლებლები ნიშნად პროტესტისა სკოლას თავს ანებებენ. ათიოდე წლის შემდეგ კი, მასწავლებლები და ქართ. ინტელიგენცია იბრძვის 1881 წლის გეგმისათვის და მის დამცველებს მთავრობა სკოლიდან ერეკება. ნათელი სურათია იმის დასანახავად, თუ რა დიდი ნაბიჭი გადაუდგამს ცარიზმს ასე მცირე მანძილზე ქართული სკოლის გადასაგვარებლად; ქართველი ხალხის დენაციონალიზაციისა და აგრესიის მიმართულებით.

ცარიზმის რუსიფიკაციულ პოლიტიკას ხშირად ქართველა ინტელიგენტი უკიდურესამდის მიჰყავდა, — ქართველობისათვის რუსული ენის საჭიროების სრულს უარყოფამდის. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ქუთაისის გაზ. „შრომაში“ უნდა დაბეჭდილიყო, თუ ამის ნებას მზრუნველი დართავდა, ვკითხულობთ:

„... ჩვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ ჩვენ ლარიბნი. ჩვენში სკოლას მიშნად უნდა ჰქონდეს დასახული ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება და ამიტომ ის პრაქტიკულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რეალური ცოდნის გადაჭარბებით. ამის ნაცვლად კი სკოლაში ასწავლიან „რუსული ენის ფორმებსა და კონსტრუქციებს“... ძველი ჭეშმარიტებაა — ბავშვმა ჯერ თავისი მშობლიური ენა უნდა ისწავლოს, რის შემდეგ ის ადვილად დასძლევს უსცო ენასაც. რუსული ენის სწავლებას კი იოტის ოდენა სარგებლობაც არ მოაქვს გლეხისათვის“.<sup>2</sup> მაგრამ ასეთი შეხედულება იშვიათი იყო ქართველ ინტელიგენციაში.

ცარიზმის აგენტები, ჩვენში გამატონებული ბიუროკრატია, ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას ქართული ენისა და ეროვ-

<sup>1</sup> იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 813.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107; სერა ვ. საქ. № 983, ფ. 39.

ნული კულტურის შესანარჩიუნებლად ასაღებდენ ქართველთა ნაციონალიზმად და მისი ანტირუსული განწყობილებით ხსნიდენ. შაგრამ ეს, რასაკვირველია, სწორი არ იყო. ჩვენ დავინახეთ, რომ ილია ჭავჭავაძეს, „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ უდიდეს წარმომადგენელს“, თუ რა „ფარხმალად“ მიაჩნდა რუსული ენის ცოდნა „ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შენიდან კარში ფეხს გავდგამდით“.

ამს. სტალინი არკვევს რა ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზებს სხვადასხვა კლასში, აღნიშნავს: „თუ, მაგალითად, საქართველოში არა ცოტად თუ ბევრად სერიოზული ანტირუსული ნაციონალიზმი, ეს უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იქ არ არიან რუსი მემამულენი, ან რუსი მსხვილი ბურჟუაზია, რომელნიც ასეთ ნაციონალიზმს მასებში საზრდოს მისცემდენ“<sup>1</sup>.

წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის კოლონიზატორთა მტკიცებისა, საქართველოში ანტირუსული მიმართულება კი არა ყოფილა, არამედ ანტირუსითიკატული, ანტიბიუროკრატიული მოძრაობა იყო საკუთარი ეროვნული სახის დასაცავად.

ამს. ლენინს მეტად დამახასიათებელი მაგალითი მოჰყავს ნაციონალისტური მოძრაობის შესახებ პოლონელ მოწაფეთა შორის, თავის ცნობილ მოხსენებაში „1905 წლის რევოლუციის შესახებ“:

„1905 წლის დეკემბერში სასკოლო ასაკის პოლონელმა ბავშვებმა ასუულ შეკვებში დასწრეს ყველა რუსული წიგნები, სურათები და მეფის პორტრეტები, გალაზეს და გარეკეს სკოლებიდან რუსი მასწავლებლები და რუსი ამხანაგები ყვირილით: „წაჟარიენ ნით რუსეთში!“<sup>2</sup>.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ჩვენში ბევრი პორტრეტი დაიწვა მეფისა, ბევრი მოხელე განიდევნა ცარიზმისა, მაგრამ წაციონალურ მოძრაობას არც მოწაფეობაში და არც მოსახლეობაში არ მიუღია საგრძნობი ანტირუსული მიმართულება, როგორც განმარტავს ამს. სტალინი ადგილობრივ ბურჟუაზიულ ურთიერთობის სუსტი განვითარებისა და ჩვენში რუს მემამულეთა და რუსი მსხვილი ბურჟუაზიის არ ყოფნის გამო, რომელიც კვებავს ნაციონალიზმს მასაში.

რუსეთის რომელიმე განაპირო მხარეში, ზოგ შემთხვევაში

<sup>1</sup> იხ. სტალინი, „მარქსიზმი და ნაცი-კოლონ. საკითხი“, გვ. 17—18, გამოც 1934 წ.

<sup>2</sup> იხ. ლენინი, ტ. 19, გვ., 254.

ჩვენშიც, როდესაც თავს იჩენდა ხოლმე მტრული განწყობილება რუსული ენისაღმი, ამის მიზებს ლენინი ასე მარტავდა 1913 წელს დაწერილ წერილში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხე“: „გაზეთებს არა ერთხელ აღუნიშნავთ კავკასიის მეფის ნაცილის ანგარიში, რომელიც განირჩევა არა შავრაზმულობით, არამედ გაუბედავი „ლიბერალიზმით“. სხვათა შორის, მეფისნაცვალი წინააღმდეგია ხელოვნური რუსიფიკაციისა, ე. ი. არა რუს ეროვნებათა გარუსებისა. კავკასიაში არა რუს ეროვნებათა წარმომადგენელი თვითონ ცდილობდენ ბავშვებს რუსული ასწავლონ, მაგ., სომხურ სამრევლო სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო არ არისო.

აღნიშნავს რა ამას, რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გაზეთს — „რუსკოე სლოვოს“ (№ 198) ის სამართლიანი დასკვნა გამოჰყავს, რომ რუსეთში რუსული ენისაღმი მტრული განწყობილება „არსებობს მხოლოდ და მხოლოდ“. „რუსული ენის „ხელოვნურად“ (უნდა თქმულიყო: ძალატანებით) დანიჩვენების გამო.“<sup>4</sup>

ამხ. ლენინი თავის ღირსების დამამცირებლად ჩასთვლიდა ნამესტნიკის მოხსენების გარშემო კამათს, თორემ ის ჩამოგლეჭდა ნიღაბს ფლიდსა და გაქნილ კარისკაცს, რომელიც „ხელოვნური რუსიფიკაციის“ საწინააღმდეგო აზრებს გამოსთვავამდა მაშინ, როდესაც ქართულ სკოლებში, როგორც ზემოდ ვთქვით, 1881 წლის სასწავლო გეგმა სანატრელი იყო და 7—8 წლის ბავშვებს „ითხე ჩაშ“ და „Серенъкий კозлик“-ის გახეპირებით ულაყებდნენ ტვინს და აწყევლინებდნენ დაბადების დღეს.

ზემო ამოწერილი ციტატა ლენინის ნაწერებიდან მოვიყვანეთ იმის ნათელსაყოფად, რომ რუსეთის ხელისუფლება თავისი გამარუსებელი პოლიტიკით, რუსული ენის ძალით დანერგვით, ქმნიდა დაპყრობილ ერებში ანტირუსულ განწყობილებას; ასეთი განწყობელება ჩვენში, სრულიად უმნიშვნელო 80-იან წლებში, იზრდებოდა ქართველი ბურჟუაზიის ზრდისა და კოლონიალური ჩაგვრის გაძლიერების პარალელურად.

#### 4. ბრძოლა სამინისტროსა და საეკლესიო-სამრევლო უწყებებს შორის.

ჩა თქმა უნდა, 1881 წლის სასწავლო გეგმის შემუშავებით და მისი დაწყებით სკოლებში გატარებით არ განუსაზღვრავს იანოვს-

<sup>4</sup> იხ. ლენინი, „ნაციონალური საკითხი“, გვ. 73.

ჭის ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში. ქართული ეროვნული კულტურის აღმოსაფხვრელად და ქართველობის გადასაგვარებლად ეს გეგმა მეტად შემოფარგლული იქნებოდა განათლების უწყების ხელმძღვანელთათვის. იანოვსკისა და მის ხელშვეითებს თავის ზრახვების განსახორციელებლად უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდათ მოხაზული და სხვადასხვაგვარი მეთოდები გამოყენებული.

ამ მხრით მეტად საინტერესოა საერო განათლების უწყების მიერ, იანოვსკი — ლევიტსკის სახით, გამართული ბრძოლა საქართველოში სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა და სასულიერო უწყების წინააღმდეგ, რომელიც სკოლათა ამ ქსელს ხელმძღვანელობდა. ჩვენთვის ეს დავა ორ უწყებათა შორის სასკოლო ქსელის შესახებ საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში მულავნდება განათლების უწყების მესვეურთა რუსიფიკატული პოლიტიკა.

60-იან წლებიდან რუსეთში სახალხო პირველდაწყებით განათლებას ორი უწყება ხელმძღვანელობდა: სახალხო განათლების სამინისტრი და სინოდი. მანამდის კი თითქმის ყველა უწყებას თავისი დაწყებითი სკოლები ჰქონდა საკუთარი საჭიროებისათვის — წერა-კითხვის მცოდნე დაბალი ტექნიკური კადრების მოსამზადებლად. 60 — 70 წლებში ყველა დაწყებითი სკოლა განათლების სამინისტროს გადაეცა, გარდა სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა, რომელსაც სინოდი და სასულიერო წოდება ხელმძღვანელობდა.

ბიუროკრატიული საზოგადოების ზედაუენებში დიდი დავაც იყო ატენილი იმის შესახებ, თუ რომელი უწყება უნდა ხელმძღვანელობდეს დაწყებით სახალხო განათლებას — განათლების სამინისტრო თუ სინოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლას განათლების უწყების წინააღმდეგ აწარმოებდენ სამღვდელოების მაღალი ფენები; დაბალი სამღვდელოება კი გულგრილად შესცემული ამ კამათს, წინააღმდეგიც იყო მაღალი სამღვდელოების ზრახვებისა, რადგან სკოლის მოწყობა და მასზე ზრუნვა — მასწავლებლობა მღვდელს დიდ ნივთიერ სარგებლობას არ უქადღა.

1862 წელს მეფის ბრძანება იქნა გამოცემული, რომლითაც განათლების სამინისტროსაც და სინოდსაც უფლება ეძლეოდათ სკოლების გახსნისა და ამ საქმეში იმათ ერთმანეთისათვის ხელი უნდა შეეწყოთ.

1866 წლიდან სინოდის ობერ-პროკურორი ტოლსტოი ინიშნება შეთავსებით განათლების მინისტრადაც და ამრიგად ბრძოლა

დაწყებითი განათლების ხელმძღვანელობის შესახებ შენელდა. სამ-ლვდელოებისათვის სახალხო განათლების სავსებით გადაცემას ბევრი საერო მაღალი პირი უჭერდა მხარს, რადგან დაწყებით სკოლაზე კლერიკალების გაბატონება ახალგაზრდობის „კეთილსა-იმედოების“ გარანტიად მიაჩნდათ. 1866 წ. ალექსანდრე II-ს მოხ-სენება წარუდგინა სინოდის ობერ-პროკურორიმა, რომელშიც მან საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვის შემცირება აღნიშნა; მეფემ წააწერა: „Резупътат не ве съма утешителънай“. ამას შედეგаდ მოჰყვა საეკლესიო-სამრევლო სკოლების გაძლიერება.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებს აყვავების ხანა 80-იანი წლების დასაწყისიდან დაუდგა, როდესაც სინოდის ობერ-პროკურორი პო-ბედონოსცევი რუსეთის შეუზღუდველი მართველი გახდა, ხოლო ტოლსტიო შინაგან საქმეთა მინისტრი და დელიანოვი, ყოფილი მისი ამხანაგი განათლების სამინისტროში—განათლების მანისტრი.

საეკლესიო-სამრევლო სკოლას ბევრი ყავდა დამცველი, მაგ-რამ მისი სულის ჩამდგმელი და დამნერგავი რუსეთში პობედო-ნოსცევი იყო, რომელიც ჯერ კიდევ პირველი მარტის კატასტრო-ფამდის, 1881 წლის ობერვალში, ე. ი. ლორის-მელიქლავის „კონ-სტიტუციური“ ილუზიების პერიოდში თავგამოდებით იცავდა სამ-რევლო სკოლებს მინისტრთა საბჭოში.

ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც პობედონოსცევი რუსეთის ბედის გამკითხავი გახდა და მეფე ალექსანდრეს „მეურ-ვე“, მის მიერ დამუშავებული იქნა ახალი წესდება საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ, რომელიც მეფემ 1884 წელს 13 ივნისს დაამტკიცა. სინოდი განმარტებაში საეკლესიო-სამრეწველო სკოლებს შინად უსახავდა:... „აღზარდონ ყრმებში შიში ღვთისა, გარდასცენ მათ ცოდნა სარწმუნოებისა, შთანერგონ გულთა შინა მათთა სიყვარული წმინდისა ეკლესიისა და ერთგულება მეფისა და მამულისა“...

წესდების მე-5 მუხლში ნათქვამია: საეკლესიო სამრევლო სკო-ლანი შეიძლება იყონ ერთკლასიანი ორი წლის და ორგლასიანი ოთხი წლის კურსით. მათ შინა ასწავლიან: 1) საღმრთო სჭულს (და სახელდობრი): ა) ლოცვებს, ბ) საღმრთო ისტორიას და ღვთის მსა-ხურების ახსნას, გ) მოკლე კატეხიზმოს; 2) საეკლესიო გალობას; 3) ხუცური და მხედრული ნაბეჭდის კითხვას და წერას; 4) პირ-ცელდაწყებითი ცნობათა არითმეტიკისაგან. ორკლასიან სკოლებში,

გარდა ამისა, ასწავლიან პირველდაწყებით ცნობათა საეკლესიო და სამშობლო ისტორიაში და

სამრევლო-საეკლესიო სკოლებში 80-იან წლებში დიაკვნებს ევალებოდათ მასწავლებლობა. ამავე დროს სწრაფად იზრდება სამრევლო სკოლათა რიცხვი: 1882 წელს რუსეთში 4500 სამრევლო სკოლა იყო, 1884 წელს — 12.000, 1894 წელს მისი რაოდენობა 32.000 აღწევდა. გარდა იმისა, რომ მოსახლეობისაგან აკრეფილი თანხები ეძლეოდა ამ სკოლებს, მთავრობა საგრძნობ სუბსიტისა აძლევდა მას: 1885 წელს 55.000 მანეთს, 1887 წელს — 175.000, 1896 წელს — 3.454.645 მ., ხოლო 1902 წელს — 10.338.916 მანეთს, ორჯერ მეტს, ვიდრე ის ხარჯავდა მთელს დაწყებით განათლებაზე (1902 წელს დაწყებით სწავლაშე მთავრობამ დახარჯა 5.012.898 მ.). 1905 წელს სამრევლო სკოლების რაოდენობა მთელს რუსეთში ყველა პირველდაწყებითი სკოლის 64.5% შეადგენდა (42.696 სკოლა). სამრევლო სკოლები გაუქმებული იქნა მხოლოდ ოქტომბრის რვოლუციის შემდეგ, სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 11 დეკემბრის დეკრეტით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1889 წელს თბილისის გუბერნიაში: მხოლოდ 20 სამრევლო სკოლა იყო; იმერეთის ეპარქიაში 64 სკოლა; გურია-სამეგრელოში 40 სკოლა, სოხუმის ოლქში — 16.

1886 წელს ტფილისის გუბერნიაში 64 სახალხო (საერო) სკოლა იყო, ხოლო ქუთაისის — 96.

სამრევლო-საეკლესიო სკოლების დანერგვაში და მისთვის ნივთიერი ბაზის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. ვიტტეს, მას შემდეგ, რაც ის ფინანსთა მინისტრი გახდა.

„როდესაც მე მინისტრი გავხდი — ამბობს თავის მოგონებაში ვიტტე — მაშინ იმპერატორმა ალექსანდრე III თავის სხვა სურვილთა შორის გამოთქვა ჩემთან თავისი სანუკვარი სურვილი, ხალხში საეკლესიო აღზრდის განმტკიცებისა და მქვიდრ ნიადაგზე დაყენების შესახებ, ე. ი. საეკლესიო სამრევლო სკოლების ქსელის გაფართოების შესახებ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიენიჭებია სამღვდელოებისათვის ან მის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაში მყოფ პირებისათვის შესაძლებლობა ასწავლონ და მისცენ ხალხს დაწყებითი ცოდნა. ამ აზრს მე ყოველთვის ვიზიარებდი, ვიზიარებ აქამდისაც, თუმცა ახლა საეკლესიო-სამრევლო სკოლა მოდაში აღარ არის“.

<sup>1</sup> იხ. ეურნ. „მწყემსი“, 1884 წ. № 16.

„შეიძლება ითქვას, — განაგრძოს ვიტტე, — რუსის ხალხი, რომ ის ქრისტიანი და მართლმადიდებელი არ იყოს, ნამდვილი მხეცი იქნებოდა; ერთადერთი, რაც მას მხეცისაგან ანსევავებს — ეს რელიგიის საფუძვლებია, რომელიც გადატემული აქვს მას მექანიურად ან ჩანერგილია მასში სისხლით. რომ ეს არ იყოს, რუსის ხალხი თავისი უმეცრებითა და ელემენტარული განათლების უქონლობით ნამდვილი ველური იქნებოდა“.

მეტად „სანაქებო“ დახასიათებას აძლევს ეს „განათლებული“ მინისტრი რუსის ხალხს. ქრისტიანობითა და მართლმადიდებლობით რომ დაეღწია თავი უკულტურობისათვის რუს ხალხს, მაშინ ათასი წლის შემდეგ, მე-19 საუკუნის მიწურულებში, ამ მართლმადიდებლობის მოციქული პობედონოსცევი და ოგივე ვიტტე აღარ დაინახავდენ საჭიროდ ამ ხალხის აღზრდა და სწავლა იმავე მართლმადიდებულ წერაკითხვის უცოდინარ და ლოთ-მღვდელ დაკვირვისათვის მიენდოთ. რუსის დიდი ხალხი საუკუნეების მანძილზე ბრძოლითა და აჯანყებებით იყაფავდა გზას უკეთესი ეკონომიური და კულტურული პირობების შესაქმნელად, მე-19 საუკუნეში მან რევოლუციის რამდენიმე საფეხური განვლო—დეკაბრისტები, ხალხოსნები, მუშათა მოძრაობის დასაწყისი და მათში მეცნიერული სოციალიზმის გავრცელება დიდი ლენინის ხელმძღვანელობით სწორედ იმ წლებში, როდესაც ვიტტე და პობედონოსცევი „ველური“ რუსის ხალხის ხსნას მღვდელ-დიაკვნებითა და სამრევლო-სკოლებით ცდილობდენ. ამავე საუკუნეში რუსის ხალხმა წარმოშვა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მსოფლიო მნათობები, საკაცობრიო კულტურის სარგებლშე გამოვიდა, და, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, მინისტრი რუსებს ველურებსა და ნადირს უწოდებს!

შემდეგ ვიტტე აღნიშნავს, რომ თუ რაბინებს; ქსენძებს, მოლებს თავიანთი ხალხის განათლებაზე უდიდესი გავლენა აქვთ, იქნებოდა ბოროტება და სისულელე, რომ წინააღმდეგობა გაგვეწია ჩვენი სამღვდელოებისათვის ჰქონდა მას გავლენა რუსის ხალხის აღზრდაზე... თვით ხალხი ბევრ ადგილას უპირატესობას აძლევს საერთ სკოლების წინაშე საეკლესიო-სამრევლოსათ<sup>1</sup>.

ეს ამონაწერი ვიტტეს „მოგონებებიდან“ იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ვიტტეს შეხედულებები გაგვეცნო სამრევლო სკოლების შესახებ. ვიტტეს შეხედულებები უველავერში აღექსანდრუ

<sup>1</sup> იხ. Граф С. Ю. Витте — „Воспоминания“, т. III, гл. 316—317.

მესამის შეხედულებებით ისაზღვრებოდა. ვიტტე არ ზოგავდა ხალ-ხის თანხებს სამრევლო სკოლაზე, რაღაც სამრევლო სკოლის გან-მტკიცება მეფის „სანუკვარ სურვილს“ შეაღგენდა. ხოლო ასეთი სურვილი მეფისა პობედონოსცევის მიერ იყო ნაკარნახევი, ისე როგორც ყველა მისი აზრები და შეხედულებანი. ცნობილია, რომ პობედონოსცევი კარნახობდა მეფეს წინადადებებსაც კი, თუ ის გამოსჯევეყნებელი იყო.

- როდესაც პობედონოსცევმა საეკლესიო-სამრევლო სკოლების დებულება გაამზადა, მეფეს წარუდგინა და წერილობით მოახსენა:

„თუ თქვენ უდიდებულესობას კეთილენებება ამისი დამტკი-ცება, ხომ არ მოიღებთ წყალობას აღნიშნოთ ეს ტექსტის თავში წარწერით: „თანახმა ვარ“ ან „მტკიცდება“. და წერილის ბოლოში დასძენკ: „... მე ამ საქმისთვის ღიდ დახმარებად ჩავთვლიდი, თუ თქვენს უდიდებულესობას კეთილენებება და ჩემს უქვეშვრდო-მილეს მოხსენებით ბარათზე გამოსთქვამს რამდენიმე სიტყვით იმედს, რომ მრევლის მართლმადიდებელი სამღვდელოება ამ მნიშ-ვნელოვანი, მასაზე დაკისრებული სჭულის მოძღვრების საქმეში თავისი მაღალი მოწოდების ღირსი აღმოჩნდება“<sup>1</sup>.

მეფემ მეორე დღესვე რეზოლუცია დაადო წარწერით: „ვამ-ტკიცებ, ვიმედოვნებ, რომ მრევლის სამღვდელოება ამ მნიშვნე-ლოვან საქმეში თავისი მაღალი მოწოდების ღირსი აღმოჩნდება“. ვიღას უნდა ეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ პობედონოსცევს 45 წლის მეფე ტატით დაჰყავდა, როგორც მცირეშვლოვანი ბავშვი.

სამრევლო საეკლესიო სკოლები რუსეთში ოდესმე არსებულ დაწყებით სკოლებში ყველაზე საძაგელი ტიპისა იყო. ამის ნათელ-საყოფალ საკმარისია ერთი მაგალითიც: რუსული ენის მასწავლე-ბელს წინადადება ეძლეოდა: „განსაკუთრებული ყურადღება რუ-სული ენის შესწავლისათვის მიექცია და არ დაესახა გარეშე მიზნები, მაგალითად, მოწაფეთათვის გარემოდან სხვადასხვა ცნო-ბის მიწოდება“<sup>2</sup>.

სამრევლო-საეკლესიო სკოლები მექრთამე და ლოთ-მღვდელე-ბისა და ამგვარივე დიაკვნების ხელში იყო, რომელთაგან ბევრს თავისი გვარის მოწერაც კი უჭირდა.

ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ შედეგს შოიტანდა დაწყებითი

<sup>1</sup> იხ. პობედონოსცევის წერილები, გვ. 452.

<sup>2</sup> იხ. „რუსეთის ისტ. მე-19 ს-ში“, გრანატის გამოცემა, ტ. 7, გვ. 145.

სკოლისა და სახალხო განათლების საქმის საეკლესიო უწყების ხელში. გადასვლა.

საქართველოში სამრევლო-საეკლესიო სკოლები მე-19 საუკუნის ნახევრიდან საქმაოდ მომრავლდა.<sup>1)</sup> მაგრამ 70-იან წლებში, როდესაც ჩვენში სახალხო სკოლების დაარსება დაიწყო და ყველა დაწყებითი სკოლა ინსპექციის ზედამხედველობას დაემორჩილა, სამრევლო სკოლების ზრდა შენელდა. 1884 წლის 13 ივნისის დებულებას სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესახებ საქართველოს სამღვდელოების ზედაფენები დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ: „დღეს, მაღლობა ღმერთს, შემცდარი აზრი სამღვდელოებაზე მოისპონ; დღეს უმაღლესმა მართველობამ ისევე მიანიჭა სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გახსნისა და მათი გამგეობის უფლება. ამ სკოლების მართვაზე სასულიერო წოდება არც დირექტორობს და არც მათ ისპექტორებს ანგარიშს არ მისცემს“, — წერდა სამღვდელოების ორგანო უურ. „მწყემსი“<sup>2)</sup>.

იმერეთის არქიელი გაბრიელიც დიდი სიხარულით შეხვდა დებულებას სამრევლო სკოლების შესახებ: „სოფისტები, ლიბერალები, და საზოგადოდ ყველანი, ვინც დაშორდენ სარწმუნოებას და ვისაც უნდოდა ხელში ნახევრად წარმართული განათლების გავრცელება, ხშირად ახერხებდენ სამღვდელოების ხელიდან საქმის ჩამორთმევას, მაგრამ, აი, დღევანდელ კურთხეულ მეფობის დროს განათლება საბოლოოდ გაღაეცა სამღვდელოებას ხელში“<sup>3)</sup>.

სამღვდელოების ზედაფენებს აქ ახორებდა არა ხალხის განათლების საქმე, არამედ სამრევლო სკოლების საშუალებით, „რელიგიური და ზნეობრივი სწავლით“ ხალხზე გავლენის მოპოება. და ხალხში შერყეული რელიგიის განმტკიცება. „სამრევლო სკოლები საქართველოში აამაღლებენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას“ — წერდა „მწყემსი“ 1885 წ. № 24.

ქართველი მოსახლეობის დაბალი ფენაც სამრევლო სკოლებს გამოეხმაურა და მას ჩასჭიდა ხელი, არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მას ამ სკოლების კლერიკალურ-სარწმუნოებრივი შინაარსი იზიდავდა და ხიბლავდა. როგორც სათანადო მასალებიდან ჩანს, მე-80 წლებშიც ქართველი ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა სრულიადაც არ ყოფილა მტკიცე, საეკლესიო და საერთო ჭელისუფლებისათვის დამაკმაყოფილებელი.

<sup>1</sup> იხ. უურ. „მწყემსი“, 1886 წ., № 28.

<sup>2</sup> იხ. „მწყემსი“, 1884 წ., № 16.

<sup>3</sup> იხ. არ. ჯორჯაძის თხზულებანი, ტ. II, გვ. 188.

საქართველოს სამღდელოება მოსთქვაში ხალხში სარწმუნოების დაცემას: „თვით საქართველოს შუაგულ მცხოვრებთა შორისაც დაცემულია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრება. ხალხი ყველგან გულგრილად ეკიდება სარწმუნოების საქმეს... ის სარწმუნოების საქმეს რაღაც ფორმალურად ეკიდება“ — წერს ურნ., „მწყემსი“<sup>1</sup>.

„ხალხი აღარ დაიარება ეკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, გაუგრილდა მას გული ეკლესიებში სიარულზედ, ვიღას ნახავთ ეკლესიებში კვირა-უქმე დღეებში“ — გოდებს იგვე „მწყემსი“.<sup>2</sup>

ჩვენ, რანაკვირველთა, ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს ქართველ ხალხში იმ პერიოდში და შემდეგშიც საეკლესიო ცრუ-მორწმუნოება აღმოფხვრილი ყოფილიყოს; შეიძლება მოსახლეობის ქვედა ფენას ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებაში ეჭვები ეპარქებოდა, მაგრამ მავნე ტრადიციები რელიგიასთან რომ იყო დაკავშირებული, მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ფართო მოსახლეობაში. სამღდელოებას ასეთი მდგომარეობა არ აქმაყოფილებდა და ის საერო ხელისუფლებასაც მიმართავდა, ხალხში შერყეული, რწმენის ადმინისტრატიული ზომით აღდგენისათვის. ამ მხრით არაის ინტერესს მოკლებული მეტად ორიგინალური ცირკულარი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა მაზრის უფროსთა სახელზე, დაგზავნილი 1885 წლის 25 აპრილის თარიღით № 1694.

„მისი ყოვლად უსამღდელოება, საქართველოს ექსარხოსი-მაცნობებს მე, რომ თბილისში მომხდარმა, 16 წარსულს იანვარს, საქართველოს ეპარქიის სამღდელოების კრებამ, განიხილა რაკითხვა ფრიად არა კმასაყოფელს რელიგიურს ზნეობრივს მდგომარეობაზედ საქართველოს ხალხისა, რომელიც თითქმის სრულებრივ არ დაიარება საღმრთო ტაძრებში და თუ დაიარება, გულგრილად ეკიდება და არ მონაწილეობს ღვთის მსახურობას, გალობას და საეკლესიო კითხვას, გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ამ მოვლენის მიზეზს, სხვათა შორის შეადგენს სასოფლო და სათემო მთავრობათა გულგრილი დამოკიდებულება ეკლესიის საქმისაღმი. ისინი არა თუ არ ცდილობენ მიიზიდონ ხალხი უქმე და სადღესასწაულო დღეებში საღმთო ტაძარში, არამედ თვითონ ატოვებინებენ მას სხვადასხვა საწუთრო ზრუნვათა საგნებისათვის, არ შეაყენებენ რა ამ დღეებ-

<sup>1</sup> იხ. „მწყემსი“, 1885 წ. № 24.

<sup>2</sup> იხ. „მწყემსი“, 1887 წ., № 18.

ში საქმეების გარჩევას სამჯავროში და არ ჰყეტავენ სასმლის და სავაჭრო დაწესებულებათა თითქმის ღვთის მსახურების დროსაც კი.

ამისა გამო, მიუწერ ბ. ბ. მაზრას უფროსთა და ქალაქის პოლიციათა მიიღონ რაც კი შეიძლება ფიცხელი ზომები, რათა კვირა-უქმე დღეებში წირვის გათავებამდის, თანახმად 16 მუხ. უწე-სოების მოსპ. დანაშ. გამოც. 1876 წ. ოკეტებიან ყველა სავაჭრო და სასმლის დაწესებულებანი განურჩევლად მოვაჭრეების სარწმუნოებათა და აგრეთვე აღუკრძალონ სასოფლო მთავრობათ საზოგადო ყრილობანი და გარჩევანი ყოველგვარ საქმეთა ღვთის მსახურების შესასრულებლად დანიშნულს დროს”<sup>1</sup>.

არას ვიტყვით ამ დოკუმენტზე; მისი შინაარსი მრავალმეტყველია; ასეთი ცირკულარი შეაშფოთებდა და შეაძრწუნებდა ყველა „მართლმორწმუნებს“, თუ ასეთი საღმე მოიძებნებოდა. მაგრამ საინტერესოა ვიკითხოო, დაინტერესდა თუ არა ავტორიტეტული კრებული და სამხედრო გუბერნატორი კითხვით: ის ხალხი მაინც, რომელიც არა აღმინისტრაციის ზეგავლენით დადიოდა ეკლესიაში, რატომ გულგრილად ეკიდებოდა და არ. მონაწილეობდა ღვთის მსახურებას, გალობასა და საეკლესიო კითხვას“<sup>2</sup>?

სამრევლო სკოლებს ერთი უპირატესობა ჰქონდა გლეხობისათვის, რუსეთსა და საქართველოში — ის იყო გაცილებით იაფი და მოკლე ვადიანი, ვიღრე სამინისტროს სკოლები. გარდა ამისა, ქართველებისათვის ის დიდი უპირატესობა ჰქონდა მას, რომ საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა. ყოველდღიურ გაკვეთილების ცხრილში პირველი საათი საღვთო სჭულს ჰქონდა დათმობილი, მეორე და მესამე — დედა ენას, მეოთხე რუსულ ენას, მეხუთე არითმეტიკასა და გალობას<sup>2</sup>.

სკოლის სიიაფე, სწავლის ხანგრძლივობის სიმცირე, მშობლიურ, გასაგებ ენაზე საგნების სწავლა და ამავე დროს რუსული ენის შესწავლაც, გლეხობის თვალში დიდ უპირატესობას აძლევდა საეკლესიო-სამრევლო სკოლას სახალხო სკოლასთან შედარებით. ამიტომ გლეხობა, სახალხო სკოლაზე გულაყრილი, სამრევლო სკოლას ჩაეჭიდა; სამინისტრო სკოლებს რომ ბოიკოტს უცხადებდა, მისი დანურვის შესახებ განჩინებას ადგენდა, ზოგ შემთხვევაში მასზე ძალადობასაც ხმარობდა, ამავე დროს სამრევლო სკოლების გახსნას მოითხოვდა და ბავშვებს იქ აგზავნიდა.

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1885 წ., № 132.

<sup>2</sup> იხ. ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, გვ. 343.

მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს თვით ქუთ. გუბ. სახალ-  
ხო სკოლების დირექტორის ლევიტსკის მიერ მზრუნველ იანვესკი-  
სადმი 1887 წლის 30 იანვარს № 148 გაგზავნილ მოხსენებიდან:

„1885 წლის ოქტომბერში განზრახული იყო საზოგადოების სკო-  
ლის გახსნა სოფ. გვიშტიბში, თანახმად ადგილობრივი საზოგადო-  
ების დადგენილებისა. საზოგადოების მიერ უქვე აგებული იყო  
სახლი, შეკვეთილი დგამები სახაზინო ხარჯით, დანიშნული მასწავ-  
ლებელი, მაგრამ სკოლა არ გაიხსნა. ერთ თვეს მასწავლებელი  
უსაქმოდ დარჩა, რაღაც გლეხებმა არ მოისურვეს შვილების გაგ-  
ზავნა და შემდეგ წავიდა. განვლო ამის შემდეგ სამმა კვირამ,  
ცეცხლი გაუჩნდა კანცელარიას, იქიდან სკოლას და გადაბუგა ის.  
მარცხის მიზეზი, რომელიც დირექციამ განიცადა ამ შემთხვევაში  
ის იყო, რომ მოსახლეობა აყვა მღვდელს, რომელიც არწმუნებდა  
მათ ნაცვლად საზოგადოების სკოლისა სამრევლო-საეკლესიო სკო-  
ლა გაეხსნათ და შეეწირათ აგებული სახლი სამრევლო სკოლისა-  
თვის. ხალხმა მღვდელარება იწყო და ითხოვდა სამრევლო-საეკლე-  
სიო სკოლის გახსნას საზოგადოების სკოლის ნაცვლად, და როდე-  
საც უმაღლესმა აღმინისტრაციამ ამისი ნება არ დართო, მათ არ  
მოისურვეს ბავშვების სკოლაში გაგზავნა.

თითქმის ამგვარივე შემთხვევა არ მოხდა სენაკის მაზრის სოფ.  
ნაერაკოში (დედანში „ნოვოისაკიევი“ — არის ნათქვამი); იქა-  
ურმა გლეხებმა განჩინება შეადგინეს საზოგადოების სკოლის და-  
ხურისა და მის ნაცვლად სამრევლო-საეკლესიო სკოლის გახსნა  
ითხოვეს და შხოლოდ მაზრის უფროსის დარწმუნებამ იხსნა საზო-  
გადოების სკოლა დალუპვისაგან.

სოფ. ხარაგოულში მე მოვიწვიე ყრილობა მოვლაპარაკებოდი  
შოსახლეობას სკოლის შეკეთების შესახებ, რისთვისაც ხაზინამ 100  
შან. დახმარება გადასდო. გაოცებული დავრჩი, ამბობს მოხსენება-  
ში სახ. სკ. დირექტორი, როდესაც ყრილობამ უარი განაცხადა სკო-  
ლის შეკეთებაზე და სუბსიდიაზედაც, ასაბუთებდა რა იმით, რომ  
მცხოვრებთ საზოგადოების სკოლის ნაცვლად სურთ გახსნან სამ-  
რევლო სკოლა<sup>1</sup>.

საზოგადოების სკოლის წინააღმდეგ ბრძოლა დაწყებულა კაც-  
ხის საზოგადოებაში შემავალ სოფლებშიც, სადაც სამრევლო სკო-  
ლები გაუხსნიათ — ვაჭევში, კაცში. სახ. სკოლების დირექტორი  
ლევიტსკი დირექციის სკოლების საწინააღმდეგო მოძრაობის ხელ-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 2034, ფ. 11—19.

მძღვანელებად მღვდლებს ასახელებს, ნამდვილად კი მას ამ სკოლების საწინააღმდეგო განწყობილების მიზეზები თვით ამ საზოგადოებათა სკოლების სისტემასა და შინაარსში უნდა ეძებნა, როგორც ამას ლევიტსკიზე გაბრაზებული იანოვსკი წერს:

„სახალხო სკოლათა დირექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მის მართველობაში მყოფი სკოლები სანიმუშო იყოს სხვებისთვის, და რომ ისინი თავისთავად, თავისი შინაგანი ღირსებით იზიდავდენ საზოგადოებას, თორემ დავა და მღვდლებისათვის საყვედურის გამოცხადების მოთხოვნა, ხელს ვერ შეუწყობს ვერც სკოლის წარმატებას, ვერც საზოგადოების სიმპატიის მისკენ მიზიდვას“<sup>1</sup>.

მღვდლებს რომ მოსახლეობაზე ასეთი დიდი გავლენა ჰქონდათ, როგორც ფიქრობს ლევიტსკი, მაშინ ისინი პირველ რიგში შეეცდებოდენ სარწმუნოებაზე გულაცრუებული გლეხობა მიეზიდათ ეკლესიაში და არ დასჭირდებოდათ ამისათვის პოლიციის დახმარება, როგორც ეს ზევით დავინახეთ.

როგორი იყო სინამდვილეში სამრევლო-საეკლესიო სკოლები, შეეძლოთ თუ არა მათ დაკმაყოფილება გლეხების მოთხოვნილებათა, მიეცათ მათი შვილებისათვის ელემენტარული ცოდნა?

საქართველოს ექსარხოსის თხოვნით ლევიტსკიმ სამრევლო სკოლების ინსპექტორთან ერთად დაათვალიერა 1886 წ. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლები. მაუხედავად იმისა, რომ ლევიტსკის ობიექტურ მიღვომაში საზოგადოდ და კერძოდ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ეჭვი არ დაგვებადოს, მაინც ვხედავთ რევიზიის შედეგად, რომ სამრევლო სკოლებში ქართულისა და სალვოთ სჯულის სწავლება კარგად ყოფილა. დაყენებული.

ვალაპარაკოთ თვით ლევიტსკი:

„აღნიშნული ნარკვევის დასასრულს მე უნდა განვაცხადო, რომ თუ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მიზანია ხალხში ქართული ენისა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ჭეშმარიტების გავრცელება, ასე თუ ისე ამ მიზანს ისინი მიაღწევენ; ხოლო თუ ამ სკოლებმა მოწაფეებს რუსული ენაც უნდა ასწავლონ იმდენად მაინც, რომ მოწაფეებმა შესძლონ რუსულად მსუბუქი ლაპარაკი, აღვილ გასაგები რუსული წიგნებისა და მარტივი-საქმიანი ქაღალდების წაკითხვა, ეს მათთვის დაუძლეველი იქნებაო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 2034, ფ. 36.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 1901, ფ. 8—10.

ლევიტსკის არ მოსწონდა რუსული ენის მდგომარეობა ამ სკოლებში, მაგრამ, განა რუსული ენა უკეთ იყო იმ სკოლებში; სადაც საგნებს რუსულად ასწავლიდნენ და მშობლიური ენა სულ განდევნილი იყო?! ცუდია ამ სკოლების ნივთიერი მდგომარეობა, მაგრამ ღიაკვნებსაც კი წარმატებით უსწავლებიათ ქართული ენა და სალვოთო სჭული. შეიძლება ითქვას გაუზვიადებლად, რომ სამრევლო სკოლები ქართველ ბავშვებს მეტ ცოდნას აძლევდა, ვიდრე ღიარექციის სკოლები და ის მშობლებს გაცილებით იაფი უჯდებოდა; — მასწავლებლები აქ თათქმის უფასოდ ასწავლიდნენ, არა, რასაკვირველია, იმიტომ რომ ხალხის უანგარიშ სამსახურით იყვნენ გატაცებულნი (შეიძლება ასეთებიც მოიპოვებოდნენ), არამედ იმიტომ, რომ ეს მასწავლებლები — ღიაკვნები, სასულიერო სასწავლებლების კურსდასრულებულნი ან სემინარიის კურსდაუსრულებულნი იყვნენ, უმთავრესად მღვდლის შვილები, რომელნიც მღვდლობისაკენ მიისწრაფოდნენ, და თანახმად გაბრიელ ეპისკოპოზის განკარგულებისა, მღვდლობას იმ შემთხვევაში მიაღწევდენ, თუ მასწავლებლობაში სახელს დაიმსახურებდნენ<sup>1</sup>.

სახალხო სკოლათა ღირექტორს ლევიტსკისა და სასულიერო უწყებას შორის დიდი დავა იყო ატენილი სამრევლო სკოლების გარშემო, და რომ ლევიტსკის უფლება ჰქონოდა, ის ერთ დღეს დასურავდა ყველა სამრევლო სკოლას. მაგრამ სამრევლო სკოლების 1884 წლის 13 ივნისის დებულების მე-18 მუხლში ნათქვამი იყო: „სამასწავლებლო ინსპექციის წევრთ შეუძლიანთ დახედონ სკოლები, მაგრამ არ შეუძლიანთ, რომ თვისით მოახდინონ რაიმე განკარგულება, ან შთაგონება მასწავლებლებისა დახედვის დროს. ყველაფერს, რასაც ნახავენ და შენიშნავენ ისინი ატყობინებენ სკოლის ხელმძღვანელ პირს და საჭიროების დროს წარუდგენენ ეპარქიის არქიერსა“.

როგორც ზემოდ აღნიშნე, ბრძოლამ უწყებათა წარმომადგენლებს შორის მკაცრი ხასიათი მიიღო: ღირექცია ბრალს დებდა სასულიერო უწყებას, რომ ის სამრევლო სკოლებს ხსნის იქ, სადაც საზოგადოებათი სკოლები არსებობს, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებათი სკოლებს. ბრძოლით გატაცებული ლევიტსკი ხშირად აჭარბებდა თავის უფლებებს და არქიელსაც კი მიმართავდა წინადადებით დაეხურა ესა თუ ის სამრევლო სკოლა და სხვა.

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 387.

მაგრამ სამრევლო სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში ლევიტსკი იანოვსკი და მთელი აღმინისტრაცია გაერთიანებული იყო, რაღაც სამრევლო სკოლებში დაინახეს მათ მიერ რუსული სკოლების საშუალებით წარმოებული გამარტინაციის მიერ შექმნილ სასკოლო სისტემასა და ამოცანებს ხიფათს რომ უმზადებდა. ეს საკითხი ქუთ. გუბერნიის სკოლების ღირექტორმა ლევიტსკიმ იშვიათი გულახდილობით განმარტა მზრუნველ იანოვსკისადმი მიმართულ პატაკში, რომელიც ამ უკანასკნელს ისე მოეწონა, რომ ბრძანება გასცა:

„Послать копии экзарху и в СПБ“<sup>1</sup>.

ამ მოხსენებიდან მნიშვნელოვანი აღგილების ამოწერით, ჩვენ საშუალება გვინდა მივცეთ მკითხველს ლევიტსკის ნააზრევიდან უშუალოდ გაიცნოს, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა სინამდვილეში სახალხო განათლების ხელმძღვანელობა.

„ვიცავ რა საზოგადოებათა სკოლებს სამრევლო-საეკლესიო სკოლების წინააღმდეგ—ამბობს ლევიტსკი თავის მოხსენებაში— მუ უნებლივ ვაწყდები შემდეგ შეპასუხებას: თუ სამრევლო სკოლა მოსახლეობას უფრო იაფი უჭდება, ვადრე საზოგადოების სკოლა, და შეუძლია იმგვარივე წარმატებით იმუშაოს, როგორც საზოგადოებისას, და ეს კი სავსებით შესაძლებელია იმ პირობებში, რომელსაც მიმართავს სამღვდელოება ამჟამად მის ასაღორძინებლად, სავსებით სამართლიანი და სასურველი იქნებოდა, რომ სამრევლო საეკლესიო სკოლები გავრცელებულიყო საზოგადოებათა სკოლების ხარჯზე.

ამ შეპასუხებას თუ შესაძლოა ჰქონდეს ძალა, რაც მხოლოდ რუსეთის შიგა გუბერნიებისათვის და არა აქ, შორეულ განაპირებზე, სადაც საზოგადოებათა სკოლა ავრცელებს ხალხში არა მარტო ცოდნასა და სარწმუნოებრივ ჰეშმარიტებას, არამედ წარმოადგენს შემაქავშირებელ რგოლს აღგილობრივ მოსახლეობასა და რუსეთს შორის, ავრცელებს რა მოსწავლეობაში რუსულ ენასა და რუსულ განათლებას და ზრდის „ტუზემცების“ ახალგაზრდობას რუსი მთავრობის ერთგულებისა და სიყვარულის განწყობილებაში“<sup>2</sup>.

ამ ამონაწერიდან ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ლევიტსკი ახალგაზრდობის აღზრდაში მთავარ მიზნად ტახ-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, № 2034, ფ. 11—19.

<sup>2</sup> იხ. ივივე საქმე.

ტის ერთგულებასა და სიყვარულს სახავდა; ეს ჩვეულებრივი ამ-ბავი იყო, რომელსაც მთავრობის მოხელეები ყველა ქვეშევრდომი-საგან მოითხოვდნენ და ურჩების სასტიკად უსწორდებოდნენ. აქ ყურადსალები ის არის, რომ ლევიტსკის აზრითაც სამრევლო-საეკ-ლექსიო სკოლაც შესაძლებელია იყოს კარგი და ამისი ნიშნებიც არის, ხოლო ეს მხოლოდ რუსეთის შიგა გუბერნიებში და არა აქ, საქართველოში, საღაც სკოლას „რუსული განათლების“ გავრცე-ლება ეკისჩება და „ტუზემცების“ რუსეთთან დაკავშირება. ჩვენ-თვის კი ნათელია, თუ როგორ ესმოდა იანოვსკი-ლევიტსკის „ტუ-ზემცებისათვის“ „რუსული განათლება“ და რუსეთთან შეკავში-რება. სკოლა მათ „ტუზემცების“ რუსობაში გათქვეფის, რუსიფი-კაციის ერთერთ მთავარ იარაღად მიაჩნდათ.

თავის ამ შეხედულებებს ლევიტსკი კიდევ უფრო ნათლად და აშკარად ანვითარებს იმავე მოხსენების მეორე ნახევარში:

„არის კიდევ სხვა დაბრკოლება სამრევლო-საეკლესიო სკოლე-ბის წარმატებას რომ ეღობება — ეს ტენდენციურობა ადგილობ-რივ-მასწავლებელთა, რომელნიც განსაკუთრებული სიყვარულით ასწავლიან ბავშვებს ქართულ ენაზე და ქართულ ენას რუსულ ენაში წარმატების საზიანოდ.

ჯერაც დაუვიწყარია მთელი ის გალიზიანება, რომელიც ადგი-ლობრივ ინტელიგენციაში გამოიწვია კავკასიის ყოფილი მეფის ნაცვლის მიერ 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული სასწავლო გეგმის სოფლის სკოლებში შემოღებამ. თითქმის მთელმა ადგილობ-რივმა ინტელიგენციამ ეს გეგმა თავისი ეროვნების მიმართ ხელ-ჭოფად ჩასთვალა და ხანგრძლივსა და ძლიერს აგიტაციას ეწეოდა მის წინააღმდეგ. დრომ, რასაკვირველია, დააწყნარა ვნებათა ღელვა-ნი. კეთილმოაზროვნე და მომწიფებულ მკვიდრთა შეხედულებებმა გაიმარჯვეს; მაგრამ შეუძლებელია თქმა გალიზიანების სრული და-ცხრომის შესახებ, რომ ტომობრივი განცალკევებისადმი მისწრა-ფება არ მეღავნდებოდეს ეხლაც ადგილობრივი ინტელიგენციისა და დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობაში, რო-მელნიც, ბუნებრივია, სრული რწმენით ითვისებენ ყველაფერს, რასაც მათ უფროსი მოძმენი ეუბნებიან.

ბავშვების სწავლაში ტენდენციურობა ემჩნევა ხანდახან დირექ-ციის სკოლების მასწავლებლებსაც, მიუხედავად დირექციის სამი წევრის მუდმივი ზედამხელველობისა და სკოლების დათვალიერე-ბისა თქვენი აღმატებულებისა და ოლქის ინსპექტორების მიერ. რაღას უნდა ველოდეთ ამ შემთხვევაში სამრევლო-საეკლესიო სკო-

ლეგისაგან, რომელთა მასწავლებლები თავისუფალნი არიან ყოველგვარი ინსპექციისაგან. და ინსპექციაც რომ დაწესდეს მათზე, თუგინდ რუსის სახით, რას გააკეთებს ის, როდესაც ეპარქიის თავი მკვიდრია, რომელიც მჭმუნვარეა იმით, რომ მშობლიური ენა შევიწროებული და შეზღუდულია რუსულის სასარგებლოდ.

ამრიგად, არ არის არავითარი მონაცემი იმის სავარაუდოთ, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლა ადგილობრივ მოსახლეობაში რუსულ ენასა და რუსულ მოქალაქეობრიობას გაავრცელებს, ამიტომ მკვიდრთა რუსებთან სახელმწიფო გაერთიანების თვალსაზრისით უმართებულო და საზიანო იქნება, თუ საზოგადოებათა სკოლა 1881 წ. და მომდევნო წლებში ადგილობრივ ინტელიგენციისთან გადატანილ ბრძოლის შემდეგ, იძულებული გახდება თავისი ადგილი სამრევლო-საეკლესიო სკოლას დაუთმოს, და დაუთმოს ეხლა, როდესაც მან ასე თუ ისე მტკიცე ნიადაგი მოისოვა“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ ლევიცკის არ მოსწონს, როდესაც მასწავლებელი მშობლიურ ენას და მშობლიურ ენაზე ასწავლის, მით უმეტეს თუ ეს განსაკუთრებული სიყვარულით ხდება, და მას ტენდენციურობას უწოდებს და რუსული ენის წარმატებისათვის საზიანოდ თვლის. ცხადია, აქ ლევიტსკი მსჯელობს არა როგორც საღად მოაზროვნე პედაგოგი, რომელსაც არ შეუძლია დაგონის მასწავლებელი განსაკუთრებული სიყვარულით რომ ასწავლის მშობლიურ ენას და მშობლიურ ენაზე, არამედ როგორც ცარიზმის უბადრუკი მოხელე, რომელიც მშობლიური ენის სწავლებაში გამარტივებელი პოლიტიკისათვის შემაფერხებელ მოვლენას ხედავს.

კიდევ მეტი. ფრთხილი მოხელე უფრო შორს იცქირება და შიში გამოსთქვამს, რომ ქართული ენის სწავლებას შეუძლია გამოიწვიოს მისწრაფება ტომობრივ (?!), განცალკევებისაკენ ადგილობრივ ინტელიგენციისა და მასწავლებლობაში. ამ ხითათისაგან, მისი აზრით, საქმეს ვერ იხსნის სამრევლო სკოლების ინსპექტორად რუსის დანიშვნაც (ლევიტსკი ალბად სინონიმებად თვლიდა რუსს და შავრაზმელს), რადგან, ამბობს ლევიტსკი, ეპარქიის ხელმძღვანელი „ტუზემეცი“ არის, რომელიც მოსთქვამს და გოდებს, რომ რუსული ენის ხარჯზე ითელება და იზღუდება მშობლიური ენა.

აქ ლევიტსკის მხედველობაში ჰყავს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც მთავრობას და ქართველი საზოგადოების ზოგიერთ ფენა-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ., საქ. № 2034.

საც გაზვადებულად და დაუმსახურებლად ქართული ენისა და ეროვნული უფლებების დამცველად ყავდა წარმოდგენილი. სინამდვილეში კი გაბრიელიც ისეთივე „უქვეშევრდომელესი“ გრძნობით იყო შეპყრობილი, როგორც სხვა მისი მოძმენი და ქართველი საზოგადოების ზედა ფენები. შაგალითად „ქატრიოტი“ ეპისკოპოსი არ თაკილობდა ქართული ენისა და ქართული კულტურის ჯალათის — იანოვსკისათვის თხოვნით მიემართა, რომ ამ უკანასკნელს მისი ძმის შვილისათვის სტიპენდია დაენიშნა და მაღლობა მოეხსენებია, როდესაც იანოვსკიმ გაბრიელის ამ თხოვნას მსვლელობა მისცა.<sup>1)</sup> მაგრამ ეს სხვათა შორის. რომ უფრო ნათელი გახდეს იმ შეხედულების უსაფუძვლობა, რომელსაც გაბრიელს მიაწერენ, ჩვენ აქ გამოვიყენებთ მასალას, რომელიც არჩ. ჯორჯაძეს ჰქონდა ხელთ: „ხელში გვიჭირავს ფართო საზოგადოებისათვის უცნობი წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისა — წერს არ. ჯორჯაძე — რომელიც გამოწვეული იყო კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის მოღვაწეობით ჩვენს ქვეყანაში (Ответ Имерет. Епископа Гавриила по донесению Попечителя Кав. учебного Округа Яновского Кирила Петровича) „ვერ დავმალავ იმ მწუხარებას, ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც განვიცადე, წავიკითხე რა ბ. მზრუნველის მოხსენება. იგი მოხსენება უკიდურესამდე შეურაცხმყოფელია არა მარტო ქართველი სამღვდელოებისათვის, არამედ მთელ ქართველ ხალხისათვის. სამღვდელოებას აბრალებენ მას, ვითომ მას არ ძალუშს პირველ დაწყებითი სახალხო საქმის გაძლოლა, აბრალებენ აგრეთვე პოლიტიკურ არა კეთილსამედობას. ამ უკანასკნელ ბრალდებას აღებენ მთელ ქართველ ხალხსაც, ახალგაზრდობაში საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი ტარდებათ. ერთი სიტყვით, ბ. მზრუნველის მოხსენება დაბეჭდების შთაბეჭდილებას ახ-რენსო“<sup>2)</sup>.

ამ ბრალდებების დარღვევას გაბრიელი შემდეგი საბუთებით ცდილობდა: საქ. ექსარხოსი პავლე იმ აზრისა იყო, რომ საქ. სამ- რევლო სკოლებში რუსულ ენას აღიილი არ უნდა ჰქონოდა. მის შეკითხვაზე მე ვუპასუხე, — ამბობს გაბრიელი: „ურუსულოდ შეუძლებელია სკოლა საქართველოში, რადგან ამგვარ სკოლაში ხალხი თავის შეილებს არ მიაბარებსი“.

<sup>1</sup> օն. Ը. ամբ. գլ. 107, ՏԵՐՆՈՅԱ Յ, ՏԱՅ. № 2034, գլ. 28—30.

<sup>2</sup> იხ. ამ. ჯორჯევი, ტ. I.I 83. 185.

მართალია, ქართველი ხალხი გრძნობდა და ახლაც გრძნობს რუსული ენის ცოდნის საჭიროებას და აუცილებლობას, მაგრამ გაბრიელი რომ „უქვეშევრდომელესი“ გრძნობით არ ყოფილიყო შეპყრობილი, ის მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, სახალხო მასწავლებლებთან ერთად იტყოდა, რომ დაწყებით სკოლაში, სანამ ბავშვს დედაენა მტკიცედ არ შეუთვისებია, რუსული ენის სწავლება შეუძლებელია.

აფხაზეთში ღვთის მსახურების ქართულად და არა სლავურად შესრულებას, რაშიც ბრალს სდებდა მზრუნველი ქართველ სამღვდელოებას, გაბრიელ ეპისკოპოსი თვლის პირველი შეხედვით უცნაურ და საეჭვო გარემოებად, მაგრამ არა იმიტომ, რომ, თუ აფხაზურზე შეუძლებელია ქრისტიანულ წირვა-ლოცვის წარმოება, ის უნდა სრულდებოდეს ქართულზე, ათასი წლის განმავლობაში ქართულ-აფხაზური კულტურის სიახლოვისა და ურთიერთობის გამო, არამედ იმიტომ, იმართლებს თავს ეპისკოპოსი, რომ რუსი მღვდლები ვერსად ვიპოვეთ, ვინც ვიშოვეთ აფხაზეთში ცუდი ჰა-კის გამო არ გაჩერდა და სლავურის მცოდნე არაფინ გვყავსო. ა. ჯორჯაძე გაბრიელის ასეთ პასუხს „უზომო, თითქმის ლირსება მოკლებულ... დამცირებას“ უწოდებს<sup>1</sup>.

ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ გაბრიელი ამ „პასუხში“ გვევლინება არა როგორც პატრიოტი, თავისი ერის კულტურისა და უფლების დამცველი, არამედ როგორც მოხელე, ჩინოვნიკი, რომელიც ცდილობს უსაფუძვლო ბრალდება თავიდან აიშოროს და ერთგული ქვეშევრდომობა დაამტკიცოს.

ლევიტსკის მიერ წარმოდგენილი პატაკის საფუძველზე სასწავლო ოჯის მზრუნველმა მოხსენება წარუდგინა განათლების მინისტრს, რომელშიც ის აქებს დირექტორის უწყებაში შემავალსკოლებს, „რომელთა მეოხებით უკანასკნელ დროს მოსახლეობაში რუსულმა ენამ იწყო გავრცელება და ამ მოსახლეობის რუსებთან დაახლოება განმტკიცდა“. სამღვდელოებისა და სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესახებ კი, აღნიშნავს:

„იმერეთის სამღვდელოება ხელს უშლის სასწავლებელთა დირექტიას მისი სკოლების განმტკიცებაში, ცდილობს ხალხის არა განათლებას, არამედ არა წესიერად მოწყობილ სკოლების საშუალებით ავრცელებს ხალხში უთანხმოებას ხელისუფლებასთან და თიშავს მას რუსი ხალხისა და ჩვენი საერთო სამშობლოსაგან“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. არ. ჯორჯაძე, ტ. II, გვ. 186—189.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 2034, ფ. 6—8.

ეს ამონაწერი, განათლების მინისტრისადმი გაგზავნილი, ია-ნოვსკის მოსსენებიდან მოვიყვანეთ ნათელსაყოფად იმისა, რომ ლევიცკის ბრძოლა საეკლესიო სკოლებისა და იმერეთის სამღვდე-ლოების წინააღმდეგ მისი პირადი შეხედულებისა და განწყობი-ლების საქმე კი არ იყო, არამედ აქ მთელი სასწავლო უწყება მოქმედებდა მზრუნველი იანოვსკის ხელმძღვანელობით.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში სა-სწავლო უწყებას მხარს უჭერდა აგრეთვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორიც, რომელიც პირდებოდა ლევიცკის პირადად პობე-დონოსცევისათვის საქმის გაცნობას.

ამრიგად საბრალო და სავალალო სამრევლო სკოლების წინა-აღმდეგ საქართველოში მთლიანი ფრონტი არსებობდა მასზე იერი-შის მისატანად. ღირდენ კი იერიშად ეს სკოლები, რომელნიც თავის გარეგნობითა და შინაარსითაც საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებდენ. სრულიად მოუწყობელი, ხშირად ეკლესიის სენაქშა შეხიზული, ან უიატაკო და უფანჯრო ოთახში, მეფისა და ტახტის ერთგულის, ღვთისმოსავი დაკვინს, მღვდლის, ან სამღვდლოდ გამზადებული მასწავლებლის ხელმძღვანელობით! ჩაღა უნდა ყო-ფილიყო დირექციის სახალხო სკოლა და რაღად ღირდა მთელი სა-სწავლო უწყების მუშაობა, თუ ასეთი დაკნინებული სკოლის წინაშეც განათლების უწყებას სჭირდებოდა სამხედრო გუბერნა-ტორის პირადი შუამდგომლობა დირექციის სკოლათა დასაცავად! როგორც ქვემოდ დავინახავთ, იგივე გუბერნატორი მეტად მდარე წარმოდგენისა იყო დირექციის სკოლების შესახებ, მაგრამ მის დაცვას საეკლესიო სკოლებისაგან, რომელიც, მისი წარმოდგენით, სახითათო იყო ცარიზმის პოლიტიკისათვის საქართველოში, საჭი-როდ სთვლიდა.

ყალბი და გაზიადებული იყო სასწავლო უწყების ხელმძღ-ვანელთა შეხედულება ქართველ სამღვდელოებაზეც, რომელსაც ის ნაციონალურ-ეროვნული მოძრაობებს ხელმძღვანელად თუ არა, თა-ნამოზიარედ მაინც სთვლიდა. სინამდვილეში ქართველი სამღვდე-ლოებაც იმგვარივე მონა-მორჩილი იყო ჩუსეთის თვითმშერობე-ლი ხელისუფლებისა, როგორც ქართველი თავადაზნაურობა. უქვე-შევრდომილეს გრძნობებსა და აზრებს ატარებდნენ როგორც მაღა-ლი ფენა ქართველი სამღვდელოებისა, ისე ქვედა ფენებიც. რომე-ლი ეროვნული პრინციპებისა და ეროვნული სკოლის (ასეთად ნათ-ლავდა იანოვსკი საეკლესიო სკოლას) დამცველად გამოდგებოდა

ქართველი სამღვდელოება, რომელიც დღეს აღამებდა და ღამეს ითენებდა მეფისა და ტახტისათვის ლოცვაში.

ჩვენ აյ არ გავიმეორებთ ზემოდაღნიშნულ იმ პირადი ხასიათის მოტივებს, რომლის გამო მძიმედ და ზანტად, მაგრამ მაინც გამოეხმაურა ქართველი სამღვდელოების ქვედა ფენები საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებას.

როგორც ჩანს, ადგილობრივ აღმინისტრაციის ასეთ პანიქურ შეხედულებას და დამოკიდებულებას საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და ქართველ სამღვდელოების მიმართ საფუძვლიანად არ იზიარებდა პეტერბურლის მართველი და გავლენიანი წრეები, რომელიც არა ნაკლებ ადგილობრივი მონელებისა დაინტერესებული იყვნენ „მთლიანი და განუყოფელი“ რუსეთის არსებობაში.

მართლაც, პეტერბურგში უფრო სწორი შეხედულება ჰქონიათ დაკინებულ ქართველი სამღვდელოების ზნეობრივსა და გონიეროვ ავლადიდებაზე, ვიდრე საქართველოში, სადაც მას მეფის მოხელეები ეროვნული იდეების მატარებლად და გამტარებლად სთვლიდნენ. არა თუ ასეთი მაღალი იდეების მატარებლად, უბრალო საგანმანათლებლო საქმის ხელმძღვანელობისათვისაც ისონი მოუმზადებელნი და გამოუსადეგარნი იყვნენ.

მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ამის დასასაბუთებლად:

„... დიდი ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა — წერს უურ. „ივერია“<sup>1</sup> — ჩვენს ერს მღვდელი არ ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთვის ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმეებისათვის ვეღარ იცლიან. ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელია. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს“.

„... უწინ, როგორც მოგეხსენებათ, წერს თელავიდან კორესპონდენტი „ივერიას“<sup>2</sup>, სკოლებს განაგებდნენ სოფლის მღვდლები, რომელნიც ჯამაგირს კი იღებდნენ, მაგრამ არაფერს კი არ ასწავლიდნენ. მღვდლები სრულიად არ დაიარებოდნენ (სკოლებში)

<sup>1</sup> იბ. „ივერია“, 1881 წ., № 12, გვ. 138.

<sup>2</sup> იბ. „ივერია“, 1887 წ., № 22.

თავის თანამდებობის აღსასრულებლად. თუნდაც ევლოთ, რას გა-  
აკეთებდენ. მეტადრე ის მღვდლები, რომელთაც არამც თუ ახალი  
მეთოდი სწავლისა, არამედ თავის თანამდებობის, მღვდლობის ზო-  
გიერთი რიგიც არ იცოდენ ხეირიანად... სოფ. ნაფარეულის მას-  
წავლებელი საქებია იმით, რომ შეოლის არსებობა დაიცვა  
მღვდლის მ. ჩიკვაიძისაგან, რომელიც სცდილობდა და ხალხს აგო-  
ნებდა, რომ შეოლის უნდა დაიკეტოს“.

ქართველი სამღვდელოების გონებრივი და ზნეობრივი დაცემის  
შესახებ გოდებს აგრეთვე ჩვენი ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგე-  
ბაშვილიც, „ჩვენის სამღვდელოების, სასულიერო წოდების დაცემა  
ისეთი აშკარა მოვლენაა — წერს გოგებაშვილი, რომ თვალში ეჩ-  
რება ყველა პირსა, საერთსაც და სასულიეროსაც. მაგრამ ძნელად  
თუ ვისმეს გამორკვეული ქონდეს ხარისხი ამ დაცემულობისა, გა-  
ზომილი ქონდეს სიღრმე ამ უბედურებისა..., დროა სამღვდელოე-  
ბამ გაიგოს მიზეზნი თავის გონებითის და ზნეობითის დაცემულო-  
ბისა და მიიღოს შესაბამი ზომები მათ აღმოსაფხვრელად<sup>1</sup>.

ხანგრძლივი შეჩერება დაგვჭირდა საკითხზე, რომელიც ყვე-  
ლასათვის ნათელია, — ქართველი. სამღვდელოების ზნეობრივსა  
და გონებრივ დაკნინებაზე; მაგრამ შევჩერდით იმსათვის, რომ  
„დაგვეცვა“ ეს სამღვდელოება იანოვსკი-ლევიტსკის ცილისწამები-  
საგან, ამ სამღვდელოებას რომ ეროვნული დროშის მატარებლად  
სთვლიდა და საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორების პროპაგან-  
დისტად. ცხადია, რომ ის წოდება, რომლის სურათი ჩვენ თანამედ-  
როვე პრესამ გადაგვიშალა, არ გამოდგებოდა ასეთი დიდი საქმი-  
სათვის და თუ ადგილობრივმა მეფის მოხელეებმა ქუთაისის სამ-  
ხედრო გუბერნატორის ხელმძღვანელობით მის წინააღმდეგ თოფ-  
ზარბაზნები მოიმარჯვეს მხოლოდ იმიტომ, რომ საეკლესიო-სამ-  
რევლო სკოლებში ბავშვებს დედა-ენას ასწავლიდნენ და საღვთო  
წერილსა და ანგარიშს ამავე დედაენაზე, რაც ამ სკოლების სიია-  
ფესთან ერთად საქმარისი იყო, რომ სამრევლო სკოლა გლეხობის  
თვალში უფრო პოპულარული გამხდარიყო, ვიდრე დირექციის სა-  
ზოგადოებათა სკოლები.

მზრუნველის მიერ მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებაზე  
გადაუჭრელი პასუხი მოვიდა და ბრძოლა ორ უწყებათა შორის —  
დირექციისა და სასულიერო მართველობას შორის — ოთხმოცდა-

<sup>1</sup> იხ. ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, გვ. 82.

ათიან წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ ეს ჩვენი თემისათვის მოხაზულ ფარგლებს სცილდება და ამის შესახებ აქ არაფერს ვიტყვით.

### ჰ. ჩართული ენა „მსახურის“ როლში.

1886 წლის 10 მაისს სასწავლო ოლქის შზრუნველი იანოვსკი მიმართავს სასწავლებელთა უფროსებს ცირკულარით, სადაც აღნიშნავს: სასწავლებლების დათვალიერებისას მის მიერ შემჩნეულია, რომ იმ სასწავლებლებში, სადაც ისწავლება აღგილობრივი ენა, მისთ რაციონალურად დაყენების პირობებში, მოწაფეები იჩენენ საზოგადო წარმატებასთ.

სწავლების გაუმჯობესების მიზნით საზოგადოდ და აღგილობრივ ენის სწავლებისაგან უფრო ნაყოფიერი შედეგების მისაღებად, შზრუნველი სთხოვდა გამგეებს მიეცათ წინადაღება აღგილობრივი ენების მასწავლებელთაოვის შეეღვინათ (რუსულად) არდაღეგებზე პროგრამები, სწავლების მეთოდების ჩვენებით: ამასთანავე უნდა მიეთითებთათ მასწავლებელთათვის, რომ პროგრამებში ნაჩვენები ყოფილიყო აღგილობრივი ენების სწავლების საშუალებანი სხვა საგნების სწავლებასთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

ცირკულარის შინაარსი და თვით საქმის სახელშოდება: „Об улучшении преподавания туземных яз.“ — ეჭვს აღძრავს, ხომ არ შეუცვლია იანოვსკის თავისი ძირითადი მიზანი სასწავლებლიდან ქართული ენის განვითნისა და აღგილობრივი მოსახლეობის გარსების შესახებათ. რასაკირველია, არა! იანოვსკი ყველა გზით ერთი მიზნისაკენ მიღიოდა.

საქმე ის არის, რომ 1873 წლის 22 თებერვლის დებულებით — „Об устройстве учебной части на Кавказе и Закавказом“, გიმნაზიების პროგრამნაზიულ კლასებში დატოვებული იქნა ქართული ენა, როგორც არასავალდებულო საგანი. ისწავლებოდა ეს ენა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებლებშიც.

თუ როგორ იყო დაყენებული ქართული ენა თითქმის ყველა ასეთ სასწავლებლებში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მოსამზადებელი კლასის მოწაფეებს იმასვე ასწავლიდნენ, რასაც მეორე კლასისას!

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1852.

აღნიშნულ ცირკულართან დაკავშირებით თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელმა პ. უმიკაშვილმა ვრცელი მოხსენება წარადგინა პედაგოგიურ საბჭოში, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქართული ენის წარმატებით სწავლებას ორი მიზეზი ამბრჯოლებს: არასავალდებულო სწავლება მისი და ამ ენისათვის განკუთვნილი სათების სიმცირე.

გარდა ამისა იყო მესამე მიზეზიც: ქართული ენის მასწავლებელებად ან ისეთი „ჩინოვნიკები“ იყვნენ, რომელნიც ტფ. საქალაქო სასწავლებლების მასწავლებლის ა. ჭაფარიძის მსგავსად გაიძახოდნენ: „ქართული ენის არსებული პროგრამა საქალაქო სასწავლებელთათვის კლასში ორი გაკვეთილის მიცემით კვირაში სავსებით საკმარისია მის შესასრულებლად“. ანდა ისეთი, რომელნიც ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის მასწავლებლის სტამიდისტარაშვილის მსგავსად, მოხუცებულობის გამო, ღილებსაც ვერ იბნევლნენ, როგორც ამას აღნიშნავდა ერთი გაზეთის კორესპონდენტი.

აღგილებზე, სასწავლებლის გამგეებისა და პედ. საბჭოების მიერ მზარენველის აღნიშნული ცირკულარი სწორედ ისე იქნა გაგებული, როგორც ეს იანოვსკის ესმოდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი — „Рыбак рыбака видит издалека“; მაგრამ ყველაზე ნათლად და გარკვევით ამ ცირკულარის შინაარსი განმარტა თბილისის პირველი გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ცნობილი რეაქციონერისა და აღგილობრივ ხალხთა მოძრულის დირექტორის მარკოვის თავმჯდომარეობით.

„აღგილობრივი ენების გრმნაზიაში სწავლების მიზანი — ვკითხულობთ ოქმში — შეიძლება იყოს მხოლოდ დახმარება უკეთესად და შეგნებულად შეთვისებისათვის ტუზემეც-მოწაფეთა მიერ რუსული ენისა, — რომელზედაც მიმღინარეობს ყველა საგნის სწავლება გიმნაზიაში. ამ მსახური მიხნისაკენ უნდა იყოს მიმართული აღგილობრივ ენათა მასწავლებლების ყველა ღონისძიება, ამითი განისაზღვრება როგორც სწავლების პროგრამა, ისე მეცადინეობის განაწილება კლასებში. ეს პროგრამები შეთანხმებული უნდა იყოს გიმნაზიის დაბალ კლასებში რუსული ენის სწავლებასთან და აღგილობრივი ენების მთელი სწავლება უნდა მიმღინარეობდეს რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. დასახ. საქმე, გვ. 364—5.

გიმნაზიის საბჭოს ოქმის ამ ამონაწერიდან წათლად ჩანს, თუ როგორ ესმოდა იანოვსკის და მის ხელქვეითებს „აღგიღლობრივი ენების სწავლების გაუმჯობესება“, რომ ამ ენებს მხოლოდ მსახურის როლი ეკისრებოდა რუსული ენისა და სხვა საგნების სწავლების გასაუმჯობესებლად. ასეთი პასუხი გასცა გიმნაზიის საბჭომ ქართ. ენის მასწავლებლის პ. უმიკაშვილის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაზე, რომელშიც ის ქართულ ენას თავის უშუალო ამოცანებს უსახავდა. აქვე აღვნიშნავ, რომ თვით პ. უმიკაშვილს, როგორც არა სავალდებულო საგნის და არა შტატის მასწავლებელს, დასწრების უფლება პედაგოგოს სხდომაზე არ ქონდა.

„ქართულ ენაზე ლიტერატურული ნიმუშების შერჩევისას უნდა შევჩერდეთ უპირატესად ისეთებზე, რომელნიც ისწავლებიან ამავე კლასში რუსულ ენაზე“<sup>1</sup> — უმარტავს პედაგოგიურ საბჭოს გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი სტრელეცი.

„ინსპექტორის მიერ თავის დროზე მიეცა ქართული ენის მასწავლებელს წინაღადება შეედგინა ამ საგნის პროგრამა რუსული ენისათვის შეფარდებით და ამასთანავე ისეთნაირად; რომ მოწაფეთა მიერ მშობლიურ ენაზე შეთვისებული ცოდნა შესაბამისი ყოფილიყო მათგან სხვა საგნებში მიღებულ ცნებებისა“<sup>2</sup>.

ვკითხულობთ ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგოს ოქმში.

ამგვარსავე აზრს გამოთქვამს ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელი აკოფოვი, რომელიც წარდგენილ პროგრამის განმარტებაში წერს: „ქართული ენის სწავლების მიზანი იმაშია, რომ ადგილობრივ მკვიდრთ შეუმსუბუქდეს სასწავლო საგნების შეთვისება, განსაკუთრებით კი რუსული ენისა..“

ამ განმარტებების შემდეგ ჩვენთვის უდაო და ნათელი უნდა იყოს, თუ რა მიზნებს ისახავდა იანოვსკი ზემოთმოყვანილი ცირკულარით. იანოვსკის არ შეეძლო ერთის დაკვრით აღნიშნული ტიპის სკოლებში ქართული ენის მოსპობა და ამიტომ მან განიზრახა დაეკარგა ამ ენის სწავლებისათვის ყოველგვარი აზრი და შინაარსი; მოესპონ ის როგორც დამოუკიდებელი დისკიპლინა და გაეხადა რუსული ენისა და სხვა საგნების ზედნადებად. ამით იანოვსკი ორ მიზანს აღწევდა: ერთი — ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც გარკვეული პროგრამისა და შინაარსის დისკიპლინის

<sup>1</sup> იხ. დასახ. საქმე. გვ. 85—86.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

სწავლების გაუქმებით (რადგან როგორც ზემოდ დავინახეთ, ქართული ენის გაკვეთილებზე იგივე მასალა უნდა განხილულიყო, რაც რუსულის გაკვეთილებზე ისწავლებოდა), ქართველ ბავშვს ძარცავდა ყველა იმ საუნგისაგან, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას მოსდევს თან: რადგან ცირკულარით გათვალისწინებული ქართული ენის პროგრამით და სწავლების შეთოდით ქართველი ბავშვი მოქლებული იქნებოდა შესაძლებლობას გაეცნო თავისი გარემო და სამშობლო ქვეყანა, მშრომელი ხალხი და მისი გმირული წარსული, ცალკე ისტორიულ გმირთა თავდალება სამშობლოს ქეთილდღეობისათვის, გაეცნო ქართველი მწერლები და მათი შემოქმედება. აცლიდა რა ყოველგვარ შინაარსს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, იანოვსკი ცდილობდა ამით მოეგლიჭა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა თავისი ეროვნული სხეულისაგან და მოესპონ მასში შესაძლებლობა ეროვნულ-ნაციონალური მიმართულების გასავითარებლად. ხოლო მეორე—ქართული ენის გაკვეთილები ხმარდებოდა რუსულ ენასა და სხვა საგნებს, რაც გაუადვილებდა ბავშვებს მათ შესწავლას.

რომ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სისწორეს მოკლებული, ამას სხვა დოკუმენტიც გვიჩვენებს: 1889 წელს სახალხო სკოლის მასწავლებელს ვლადიმერ ალნიაშვილს შუამდგომლობა აღუძრავს ბეჭვლითი საქმის მთავარ სამმართველოს წინაშე, რათა მისთვის ნება დაერთოთ საბავშვო უფრნალის „ცისიერის“ გამოცემისა. შუამდგომლობას თან ჰქონდა დართული უურნალის პროგრამაც, თუ რა და რა განყოფილებები იქნებოდა მასში მოთავსებული. სამმართველოს უფროსი კონფიდენციალურ წერილს უგზავნის იანოვსკის დასკვნისათვის. იანოვსკი პასუხად წერს (საიდუმლოდვე):

„...მე არ შემიძლია არ გამოვთქვა, რომ რუსეთის სახელმწიფო-ებრივი ინტერესებისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ კავკასიის მკვიდრ ენებზე გამოცემულ უურნალებში ისეთი განყოფილებებიც კი არ იქნება ნებადართული, როგორც ბიოგრაფიები, ნარკვევები, და მოთხოვები საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, რაღაც ასეთი განყოფილებანი სულ აღვილად, სხვადასხვა სახით. შეიძლება ნაციონალურ იარაღად გადაიქცეს: ბიოგრაფიებში ქართველი ხალხიდან პირები წარმოდგენილი იქნებიან გმირებად, ნაციონალური თვითარსებობისათვის მებრძოლებად და სხვა. პიროვნებანი რუსი ხალხიდან კი მკრთალებად; სულით ლატაკებად, შემავიწროებლად და სხვ. იგივე აღვთლად გაკეთდება მოთხოვებებში საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. ამი-

ტომ, თუ თქვენი აღმატებულება წებას დართავს მ. აღნიშვს გამოსცეს ქართულ ენაზე უურნალი აცისიერი<sup>2</sup>, ვფიქრობ, სახარებლო იქნებოდა გამოროცხვა უურნალის პროგრამიდან განყოფილებების: ბიოგრაფიები, ნარკოვები და მოთხოვები სჯართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიდან...“

ამ საიდუმლო მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ იანოვსკი ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა იმისათვის, რომ არა თუ სკოლაში, არამედ სკოლის გარედაც ქართველ ბავშვებს არ ჰქონოდათ საშუალება თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის და მისი ისტორიის გაცნობისა. სკოლაში და სკოლის გარედაც განათლების უწყება იანოვსკის ხელმძღვანელობით ერთს მიზანს ისახავდა: ყოველგვარი პირობები შეექმნა იმისათვის, რომ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას დაპარგოდა მშობლიური სახე და გადაგვარებული და დამახინჭებული ის შემდეგში თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აბარატის იარაღი გამხდარიყო, გამტარებელი იმავე მიზნების, რასაც თვითონ ემსახურებოდა.

იანოვსკის პოლიტიკის ნათელსაყოფად არ არის ინტერესს მოკლებული მისი მიმართვის მეორე ნახევარიც:

„გარდა ამისა, მე სავსებით აუცილებლად მიმაჩნია ამოირიცხოს პროგრამიდან პედაგოგიური დამატების უდიდესი ნაწილი, სახალხო განათლების შესახებ მხოლოდ მთავრობის განკარგულებათა დატოვებით.

სკოლის საქმე კავკასიის მხარეში, შეიძლება ითქვას, ეს-ეს არის მყარდება; რუსული ენის სწავლება ადგილობრივ დაწყებით სკოლებში ჯერ კიდევ მრავალ მოწინააღმდეგს ხვდება; ამიტომ მეტად საზიანო იქნებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი წყობილება გაგვეხადა ნაცხონალური თვალსაზრისით პირდაპირი თუ არა პირდაპირი განხილვის საგნად, რაც აუცილებლად დაიწყება უურნალური ამათუები საბაბით, ამათუები ფორმით, რარომ ნებაღართული იქნება წერილების მოთავსება სწავლისა და აღმზრდის შესახებ, მეთოდიკის შესახებ, საბავშვო წიგნებისა და პედაგოგიურ გამოცემთა კრიტიკა.

ამჟამად, სანამ რუსული სკოლა ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107. სერია ვ, საჭ. № 5135.

ტუშემურ მოსახლეობაში, აუცილებელია მთლიანობა სწავლა-აღზ-  
რდის მიმართულებითო“<sup>#</sup>.

შეტად საინტერესო დოკუმენტია, საიდანაც ჩვენთვის ნათელი  
ხდება, რომ იანოვსკი არა მარტო ახალგაზრდობას იცავდა „მავნე“  
ეროვნულ-ნაციონალური იდეების გავლენისაგან, ნერგავდა რა სას-  
კოლო სისტემას ადგილობრივ მკვიდრთა გადასაგვარებლად და ძირს  
უთხრიდა ნაციონალურ კულტურას, არამედ მკაცრი საცენტრო  
პირობების შექმნით ცდილობდა ჩაეკლა ჩვენში პედაგოგიური აზ-  
როვნება, მოწინავე საზოგადოება ჩამოეშორებინა სავსებით სწავ-  
ლა-აღზრდის საკითხებისაგან არა მარტო საქმით, არამედ თეორე-  
ტიულადაც, ართმევდა რა მას საშუალებას ეწერა წერილები სწავ-  
ლა-აღზრდისა და მეთოდების შესახებ და ერკვია პედაგოგიური  
საკითხები.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მზრუნველის ცირკულარს ყვე-  
ლა სასწავლებელში ისეთი ახსნა-განმარტება მისცეს და ისე იქნა  
გაგებული, როგორც ეს ოვით იანოვსკის ესმოდა მასწავლებლებში  
მხოლოდ ტფ. პირველი გიმნაზიის მასწავლებელმა, ცნობილმა მწე-  
რალმა და მოღვაწემ პ. უმიკაშვილმა და გორის საოსტატო სემინა-  
რიის მასწავლებელმა, ცნობილმა მწერალმა ნიკ. ლომოურმა წარა-  
დგინეს ქართული ენის პროგრამა და მისი უანმარტება ისეთი შინა-  
არსისა, რაც მზრუნველის ცირკულარს არ ეთანხმებოდა, და ეს  
პროგრამები დაწუნებული იქნა პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

იანოვსკის აღნიშნული ცირკულარის გამო სასწავლებლებში  
გამართულ სჯა-ბასში იმის შესახებ, თუ რა მიზნებს უნდა ემსა-  
ხურებოდეს სკოლებში ადგილობრივი ენების სწავლება, ერთგვა-  
რი ღისონანსი შეაქვს ფოთის საქალაქო სასწავლებლის პედაგო-  
გიურ საბჭოს მის მიერ შედგენილი პროგრამით და განმარტებითი  
ბარათო. აქ შეგნებით თუ შეუგნებლად საბჭოს ისეთი აზრები  
გაუტარებია, რომლითაც ის ვერ ასიამოვნებდა თავის ხელმძღვანე-  
ლებს. განმარტებით ბარათში ვკითხულობთ:

„ნათელია, რომ მკვიდრი მოწაფენი, რომელთაც რუსული ენა  
არ გაუგონიათ სასკოლო ასაკამდის და სკოლაში შესვლამდის, ვერ  
დაიწყებენ რუსული ენის შესწავლას მათი განვითარებისათვის  
ზიანის მიყენების გარეშე, თუ არა მშობლიური ენის საშუა-  
ლებით...“

<sup>#</sup> იხ. დასახ. საქმე, გვ. 5—6.

„...რუსული ენის შესწავლა ბევრით მშობლიური ენის სწავლების სწორ დაყენებისაგან არის დამოკიდებული“...

„შემჩნეულია, რომ აღვილად ეუფლებიან რუსულ ენას, და შემდეგ სხვა საგნებსაც ის მოწაფენი, რომლებმაც ჭარგად იციან თავისი მშობლიური ენაო“<sup>1</sup>.

არა მგონია, რომ ფოთის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ასეთი აზრები მოსაწონი ყოფილიყო იმათ-თვის, ვინც ბრძანებდა: ქართული ენის გაკვეთილები მოახმარეთ რუსული ენისა და სხვა საგნების მასალის შესწავლასო. ასე ესმოდა იანოვსკის აღგილობრივი ენების სწავლების „რაციონალურად“ დაყენება. ხოლო მთავრობა რომ არ იზიარებდა საბჭოს აღნიშნულ შეხედულებებს, ეს ჩანს იმ მრავალ საწინააღმდეგო შენიშვნები-დან, რომელიც ქუთ. გუბ. სახ. სკოლების ღირექტორს ლევიტსკის გაუკეთებია წარმოდგენილი პროგრამის განმარტებითი ბარათის არეზე.<sup>2</sup>

უნდა ვითქმიქროთ, რომ ფოთის საქალაქო სასწავლებლის პედა-გოგიური პერსონალი ვერ მიხვდა იანოვსკის ზრახვებს, მისი ცირკულარით რომ იყო გათვალისწინებული, თორემ აღნიშნულ სას-წავლებლის მასწავლებელნიც ისეთივე მორჩილი-მოხელენი იყვნენ, როგორც სხვანი, რომ ასე აშკარად გაებედათ იანოვსკი-ლე-ვიტსკის შეხედულებათა საწინააღმდეგო აზრების გამოთქმა.

ამასთან დაკავშირებით ზანოვსკიმ სასწრაფოდ გამოითხოვა სტატისტიკური ცნობები ფოთის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა შემადგენლობის შესახებ, რაზედაც ლევიტსკი უპასუხებს: რუსი — 30, შეგრელი — 142, იმერელი — 20, გურული — 24, ბერძენი, — 10, ხომეხი — 6, იტალიელი — 1, ქართველი — 1, ებრაელი — 5, სულ — 139; — ცნობილი ფაქტის ზედმეტი ილუსტრაციაა, სახელდობრ იმის, რომ ცარიზმის აგენტები მუ-19 საჭურვნის მიწურულშიც კი ცალკე ერებად თვლიდნ

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, საქ. № 1852, ფ. 138—139.

<sup>2</sup> იბ. დასხელებული საქმე, № 1852.

შეგრულებს, გურულებს, იმერლებს, და ქართლებს და იმერელს  
ისე ანსხვავებდენ ერთმანეთისაგან, როგორც ხომებსა და ქართ-  
ველს, ან რუსსა და იტალიელს.

### 6. ირიბი თუ კირდაპირი ხელი.

არ არის ინტერესს მოკლებული სასკოლო უწყების ხელმძღვა-  
ნელობა, კერძოდ ქუთ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტო-  
რის ლევიტსკის განხრახვა შეეცვალა ქართული დამწერლობის  
ფორმა, — ქართული ანბანის სწორი, ვერტიკალური გამოხატუ-  
ლობისათვის მიეცა წაქცეული, ირიბი სახე, რუსული წერის მსგავ-  
სად. ეს იყო ცდა ქართული ხელწერის რუსულისათვის. დამორჩი-  
ლებისა და გამოყენების ერთერთ თავის 1887 წლის მოხსენებაში  
ლევიტსკი წერს მზრუნველს იანოგსკის:

„ქართველი მოსახლეობის სოფლის სკოლების დიდ ნაწილში  
წერისათვის მიღებულია ნაბეჭდი შრიფტი, რვეულის ვერტიკალუ-  
რი მდგომარეობა და ასოების გამოხატვა გაუერთიანებელი ბეჭვა  
ხაზით, მაშინ როდესაც ქართველები ყოველდღიურ საჭიროებისა-  
თვის სხვა შრიფტს ხმარობენ—ოდნავ დაქანებულ ასოებს აკავში-  
რებენ ბეჭვა ხაზით მეტი სისწრაფისათვის წერაში. ამ გარემოებამ  
შეიძლება მე ქართული წერის შესწავლა სკოლაში დამექვემდება-  
რებია პრაქტიკულ საჭიროებისადმი, და ერთმა მასწავლებელმა,  
გაბიჩვაძემ, შეაღვინა ქართული დედანი ნაწერი შრიფტისაგან ნა-  
წილობრივ დაქანებული ასოებით და დაკავშირებული ბეჭვა ხაზე-  
ბით. ეს დედანი ჩემს მარტ ვრცელდება სოფლის სკოლებში. მისი  
შემოღება სასკოლო პრაქტიკაში გარდა ქართული წერის გაუმჯო-  
ბესებისა, შედეგად გამოიღებს ბავშვების დახელოვნებას რუსულ  
წერაში; მოისპობა რა ერთისა და მეორე წერის შესწავლის წესებში  
ამჟამად არსებული წინააღმდეგობათ“<sup>1</sup>.

გაბიჩვაძის მარტ ლევიტსკის დაკვეთით შედგენილ და გამოცე-

1. იბ. გ. ანჭ. ფონ. 107, სერია 3, საქ. 2093, გვ. 27—29.

მულ დედანს გამოეხმაურა ცნობილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელიც საფუძვლიანად ამტკიცებდა სწორი ხელის უპირატესობას და მიუთითებდა, რომ „საუკეთესო კალიგრაფები და პიგიენისტები ევროპისა და რუსეთისა ეხლა უკვე უარპყოფენ ირიბს ხელსა და უპირატესობას აძლევენ პირდაპირსა. თუ ჯერედ მათი აზრი განხორციელებული არ არის, ეს რუტინის ბრალია. დღეს თუ ხვალ ევროპის პირდაპირი ხელი გაიმარჯვებს და გაუქმებს ირიბს ხელსო“<sup>1</sup>.

პირიქით, ჩაკობ გოგებაშვილი შეეცადა ქართულ სკოლებისათვის მის მიერ დამზადებულ რუსული ენის სახელმძღვანელოში რუსული ასოები ვერტიკალურად გამოეხატა და ამით ქართველი ბავშვებსათვის ქართული წერის შესწავლის შემდეგ გაეადვილება რუსულზე გადასვლა. გოგებაშვილის მიერ წარდგენილი „რუსკოე სლოვო“ 1888 წელს მზრუნველის საბჭოს მიერ უარყოფილი იქნა. ამის შესახებ მოხსენებით ბარათში ი. გოგებაშვილი წერს:

„...ჩემი წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც რუსულ ანბანს შეიცას, არ იქნა მოწონებული მხოლოდ იმიტომ, რომ მე მასში რუსულ წერით შრიფტს მივეცი პირდაპირი მოხაზულობა. ირიბი შრიფტის ვერტიკალურით შეცვლისას მე ვხელმძღვანელობდი შემდეგი მოსაზრებით: 1. ქართველი ხალხი თავისი მწერლობის არსებობის ყველა საუკუნეში მისდევდა ასოების პირდაპირ მოხაზულობას და ვერტიკალურ ხელს თვლიდა და თვლის ის მოხერხებულად და ლამაზად, ირიბი შრიფტი კი მისგან უარყოფილი იყო ყოველთვის, როგორც არაბუნებრივი და უხერხებული. 2. რუსული წერა, ქართულის მსგავსად, ადვილად უშვებს ვერტიკალურ მოხაზულობას და ბევრი რუსი ვერტიკალური ხელით წერს. 3. პირდაპირი ხაზები თვალით უფრო ადვილი გასასინჯია, ვიდრე ირიბი და სხვა“<sup>2</sup>.

იაკობ გოგებაშვილმა რატომლაც აღნიშნულ მოხსენებით ბარათში არ გამოიყენა ყველა ის საფუძვლიანი მოსაზრებანი ვერტიკალური ხელის უპირატესობის შესახებ, რომელიც მან გაბიჩვაძესთან კამათში და სხვა წერილებში გადაშალა, ხოლო იანოვსკილევიტსკის მეტად მსუბუქ და სასაცილო არგუმენტებად მოეჩვენე-

<sup>1</sup> იხ. ი. გოგებაშვილი—„რჩეული ნაწერები“, გვ. 194.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 2218.

ბოდათ რუსული ასოებისათვის ვერტიკალური გამოხატულების შიცემა იმიტომ, რომ ქართველები ყოველთვის ირიბ ხელს არაბუნებრივად და უშნოდ თვლიდენ.

ამ ბრძოლაში, რომელიც ირიბი და პირდაპირი ხელის გარშემო ატყდა სამოსწავლო უწყებასა და ქართული საზოგადოების პედაგოგიური აზრის გამომხატველის ი. გოგებაშვილს შორის, გამარჯვება, რა თქმა უნდა, იმის მხარეზე დარჩა, ვის ხელშიც იყო ძალა-უფლება ამიტომ გოგებაშვილი იძულებული იყო განცცხადებია:

1. „შევასწორეთ ანბანი, განვაახლეთ მასში რამდენიმე სურათი და შევცვალეთ რუსული პირდაპირი შრიფტი იმ ირიბი შრიფტით, რომელიც მიღებულია ადგილობრივი სასწავლო უწყების მიერ, ადგილობრივ დაწყებით სკოლებისათვის. 2. შევასწორეთ წერილი, რუსეთის შესახებ, ამოვილეთ იქიდან სახელები დობროლიუბოვის, ბელინსკის და ნეკრასოვის“...

იმ სასტიკი ნაციონალური დევნისა და კოლონიალური ჩაგვრის პირობებში, რომელსაც ცარიზმი ამ დროს აწარმოებდა ჩვენში, საკითხი პირდაპირი და ირიბი ხელის შესახებ შეიძლება მეტად წვრიმალად და უმნიშვნელოდ გამოიყურებოდეს, მაგრამ თუ საჭიროდ დავინახეთ მასზე მოკლედ შეჩერება, ეს იმის საილუსტრაციოდ, რომ მეფის აგენტები სპაბდენ რა ყველაფერს, რასაც ეროვნული სახე ჰქონდა, ცდილობდენ რუსიფიკაციისათვის გამოეყენებიათ ის, რისი განადგურება მათ არ შეეძლოთ.

1907. წელს ერთს თავის წერილში ი. გოგებაშვილი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ თვით განათლების სამინისტრომ შეიგნოუპირატესობა პირდაპირი ხელისა და რუსეთის ბევრს სასწავლებელში უკვე უარყოფილია ირიბი ხელი და მის ადგილს პირდაპირი ხელი იქერსო<sup>1</sup>.

არ არის ინტერესს მოკლებული აგრეთვე ზოგი ჩინოვნიკი „პედაგოგის“ ცდა შეეცვალა ქართული ანბანი რუსულით. ასე მოიქცა გორის საოსტატო სემინარიასთან არსებული მოსამზადებელი ქართულა სკოლის მასწავლებელი ნათიერი 1877 წ., რომელმაც ქართული სიტყვების გამოსახატავად რუსული ასოები გამოიყენა, მაგრამ რადგან რუსულში არ ძქნებოდა ყველა იმ ბგერის აღ-

<sup>1</sup> იხ. ი. გოგებაშვილი—„რჩეული ნაწერები“, გვ. 490.

მნიშვნელი ნიშნები, რომელიც ქართულში მოიპოვება, ამიტომ ნათევმა ამ ბგერებისათვის საკუთარი, თავისებური ნიშნები შექმნა. ამის შესახებ წერდა ილია ჭავჭავაძე: „... ქართულს და რუსულს ანბანთან იჯი (ნათიავი) ასწავლის თურმე მოწაოვებს მესამე ანბანსაც. ეს ანბანი არ გახლავთ არც ფრანგული, არც ნემენცური, არც ლათინური, არც ბერძნული. ერთი სიტყვით, იმ ანბანით, რაც კაცობრიობა აჩსებობს, არც წიგნი დაბეჭდილა და არც დაწერილა.“ ილიამ ამ ანბანს „ნათიაური“ უწოდა. „ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო. არ გეყოფათ განა ამდენი ანბანი, რომ „ნათიაური“ ანბანიც თქვენდა საუბეღუროდ არ გამოჩენილიყონ?!“<sup>1</sup>.

თვითმპყრობელობის გამარტინებელი პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში ცდილობდენ არა მარტო ქართველი ხალხისა და ყველა ადგილობრივი ერების აღმოფხვრას, ქართველი ერის გაქრობას, ქართული ანბანის წარხოცას, არამედ ისინი ვერ ითმენდენ ქართულ ერთეულ ასოსაც, სხვა ხალხის ალფაბეტისათვის გამოყენებულს. ასე, მაგალითად, სასწავლო ოლქის ინსპექტორმა, შემდეგში ოლქის მზრუნველმა, მეგრული სახელმძღვანელოს რედაქტორმა მიხ. ზავალსკიმ ცნობილი უსლარის შრომების გამოცემისას ავარულ ანბანიდან ამოაგდო უსლარის მიერ ქართული ალფაბეტიდან ნახესხევი წ და ჭ და შესცვალა ის რუსული ასოებით და უ ხაზზევითი ნიშნის დამატებით.

ამის შესახებ ეკამათება ზავალსკი შრომის რეცენზეტს პროფესიალებს:

„ბ. ცაგარელი დიდხანს ჩერდება საკითხზე წ, ჭ ასოს შესახებ, და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ისინი უსლარის მიერ აღებულია მეტად სრულყოფილი ქართული ალფაბეტიდან, ამბობს: „მეზობელი კულტურული ქრისტიანული ხალხის ასეთი ალფაბეტიდან 3 — 4 ასოს სესხება კავკასიის მთიელთა ანბანისათვის სრულიად არ ეწინააღმდეგება არც საღ მოსაზრებას, არც საღ პედაგოგიას, არც მეცნიერებას, არც სახელმწიფო ინტერესებს. კავკასიის ტველ კულტურულ ქრისტიანულ ხალხსა და მწერლობისა და მოქალაქეობის ახლად დამწეულ კავკასიის მთიელთა შორის კულტურული ურთიერთობის შესუსტება კი არა. განმტკიცება და ხელშეწყობაა საჭიროო“<sup>2</sup>.

პროფ. ალ. ცაგარელი მართალი იყო იმაში, რომ ორი ქართუ-

<sup>1</sup> იბ. ი. ჭავჭავაძე — „პედაგოგიური თხზულებანი“, გვ. 141—148.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 99.

ლი ასოს შეტანა ავარულში, რუსეთის მონარქიას არ დაამსხვრევდა, როგორც ეს ზავადსკის ეჩვენებოდა. ზავადსკი თავის მხრით სწორად აღნიშნავდა, რომ ქართულიდან 3—4 ასოს სესხება კულტურულ კავშირს ვერ გააძამდა ხალხებს შორის, მაგრამ ზავადსკი მაინც უპასუხოდ ტოვებს საკითხს, თუ რატომ ამოაგდო მან უსდარის მიზრ ავართათვის შექმნილი ალფაბეტიდან ასოები წ და ჭ. ცხადია, ერთი-ქართული ანბანისადმი სიძულვილით, მეორე—რომ ავარული ანბანი უფრო ახლო ყოფილიყო რუსულთან, თუგინდ ამას ემსხვერპლა ფონეტიკური მოთხოვნილებანი.

## 7. ზოოლოგიური ჟოვინიზაციი და დევნა ჩართველობისათვის.

რ. ს. დ.-მ. პარტიის მე-7 (აპრილის) სრულიად რუსეთის კუნცერენციაზე ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში „ნაციონალური საკითხის შესახებ“ აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო ნაციონალური ჩაგვრის სხვადასხვა ფორმები არსებობს; რომ ერთ სახელმწიფო ნაციონალური ჩაგვრა უფრო მძიმე და უხეშია, ვიდრე მეორეში. ამხანაგი სტალინი ამას სხის ამ სახელმწიფოთა დემოკრატიულობის სხვადასხვა ხარისხით. „...რადგან დემოკრატიზაციად ჩვენ ვკულისხმობთ, ამბობს ამხ. სტალინი, განსაზღვრული კლასების არსებობას, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგანან, ამიტომ ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ახლოა ხელისუფლებასთან ძველი საარგილმამულო არისტოკრატია, როგორც ეს ძველ მეფის რუსეთში იყო. მით უფრო ძლიერია ჩაგვრა და მით უფრო საზიზლარია მისი ფორმები“<sup>1</sup>.

ნაციონალური ჩაგვრის ასეთი მახინჯი ფორმებით შდიდარია ცარიზმის პოლიტიკა განათლების სფეროშიც. 80-იანი წლების აძგებს რომ არ მივმართოთ, დღესაც ბევრს გვახსოვს ერთი ფაქტი, შრავლის მსგავსი, როდესაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა კუსტინვიჩმა მოწაფეების წინაშე ქართულ ენას ძალის ენა უწოდა და რომლის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს ს-დემოკრატიულმა ჯგუფმა შეკითხვაც შეიტანა სათათბიროში. ეს იყო 1913 წელს.

ნაციონალური ჩაგვრა ხშირად ზოოლოგიურ სიძულვილსა და

<sup>1</sup> იხ. სტალინი—„მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონ. საკითხი“, გვ. 65.

დუვნაში გადადიოდა დაპყრობილ ხალხების მიმართ.

ასეთ სიძულვის პედაგოგებისას მოსწავლე „ინოროლცების“ მიმართ ისეთი ფართო ხასიათი მიუღია, რომ სასწავლო უწყებას გაფრთხილების მიცემაც დაუნახავს საჭიროდ:

„რაც შეეხება ზოგ სასწავლებელში შენიშნულს მოსამსახურეთა მქერ უხეშ მოპყრობას მოწაფეებისადმი, მზრუნველის საბჭო, თვლის რა ამას მეტად სამწუხარო ფაქტად, აუცილებლად ნახულობს, რომ სასწავლებელთა უფროსებმა განსაკუთრებული ყურალება მიაქციონ მას და თვალყური აღევნონ, რათა მოსამსახურებისაგან არ იქნას დაშვებული მოწაფეთა მიმართ არავითარი შეურაცმყოფელი გამოთქმები, განსაკუთრებით თავი შეიკავონ გამოთქმებისაგან იმათი ეროვნების შესახებო“<sup>1</sup>.

მაგრამ მზრუნველის საბჭოს დადგენილება დადგენილებად რჩება, იანოვსკის აგენტები კი ადგილებზე თავის საქმეს განაგრძობენ.

ქუთაისის გაზეთ „შრომის“ რედაქციაში 1883 წ. შემდეგი შინაარსის წერილი შემოსულა: „ამ დღეებში თავი მოიწამლა გიმნაზიელმა, ახალგაზრდა, ოცი წლის ქაბუქმა. მიზეზი გამოურკვეველია, მაგრამ ყველანი გაიძახიან: განა ასატანია ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ეზიზლება თავისი მოწაფე როგორც პირადად, ისე წარმოშობისათვის და შეურაცმყონ მის ეროვნებას. ვინ ურიგებს ასეთ პირებს მოძღვრის ადგილს და რა ჯილდოს ღირსნი არიან ასეთი შესწავლებლები. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ასეთ ბატონებს ყველაზე უფრო კარგი როზგი ეკადრებაო“<sup>2</sup>. ეს წერილი მზრუნველს გადაეგზავნა საცენტურო კომიტეტის მიერ. იანოვსკი კი სრულიად არ ცდილა გაექარწყლებია საზოგადოებაში არსებული აზრი მოსწავლის თვითმკველელობის შესახებ და საცენტურო კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობა, რომ წერილის დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ის ქადაგებს მასწავლებელთან როზგით გასწორებასაც.

ასე აფასებდნენ საზოგადოებრივ აზრს სასწავლებლის შესახებ განათლების ხელმძღვანელები.

ქვემოთ მოყვანილი იქნება იმის მაგალითი, თუ როგორ ერეკებოდა განათლების უწყება სასწავლებლიდან ისეთ მასწავლებლებს,

<sup>1</sup> Сбор. распор. К. У. О. 1879 №. გვ. 427 — 41.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, № 983, გვ. 32, 34.

რომელთაც ოდნავ მაინც ეროვნული ფდების მატარებელ პირად დასახავდა. მაგრამ იანოვსკი მხოლოდ ქართველობისათვისაც სა-ქართველოს ფარგლებში არ ითმენდა ქართველ მასწავლებელს, თუგინდ ასეთი იდეებისაგან სს თავისუფალი ყოფილიყო:

„Поручить же воспитание и обучение лицам из туземцев более чем...“ წერდა იანოვსკი ერთჯრთ მოხსენებაში<sup>1</sup>, (აზრი არა დასრულებული, მაგრამ ყველასათვის გასაგებია).

საქართველოდან ქართველ შასწავლებელთა დევნისა და მათ ნაცვლად რუს მოხელეების დანიშნის სილუსტრაციონ მოვიყვან ერთ დოკუმენტს; ქუთ. სახ. სკოლების დირექტორი ლევიტსკი წერს იანოვსკის:

„...თქვენმა აღმატებულებამ სურვილი გამოსთქვა მასწავლებელ ინასარიძის ჩრდილო კავკასიაში გადაყვანის შესახებ. ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოკრძალებით მოგახსენო, რომ მკვიდრ მასწავლებელთა ამიერ-კავკასიის საქალაქო სკოლებიდან ჩრდილო კავკასიაში გადაყვანა, უეჭველად, კეთილად იმოქმედებს როგორც მასწავლებლებზე, მისცემს რა მათ საშუალებას რუსულ ენაში დახელოვნებისას. აგრეთვე მოწაფეებზეც, მოვაშორებთ რა მათ ცუდს „ტუზემეც“ მასწავლებლებს; ამასთანავე თავისთავად იგულისხმება, რომ გადაყვანილი მასწავლებლები რუს მასწავლებლებით იქნებიან შეცვლილნიო“<sup>2</sup>.

მეტად გულაბდილი და საინტერესო მიწერ-მოწერაა ცარიზმის აგენტებს შორის: მოწაფეებს „ცუდი ტუზემეც“ მასწავლებელი უნდა მოაშორო, რომლის ნაცვლად „თავისთავად იგულისხმება“ რუსი უნდა დაინიშნოს“, სულ ერთია, —კარგი იქნება ის, თუ ცუდი.

ლევიტსკის მიერ კი ფოთის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის ინასარიძის (რომელსაც რუსეთში უკრეს თავი) მოწაფეების ცოდნა დადებრთად იყო შეფასებული<sup>3</sup>.

ალსანიშნავია, რომ იანოვსკი დევნიდა და ავიწროვებდა არა მარტო ქართველ მასწავლებლებს, თუ ის არ იყო გამხდარი იანოვსკის „ხორცი ხორცათაგანი და სისხლი სისხლთაგანი“, არამედ ისეთ რუს მასწავლებლებსაც, —რომელნიც მათ მსგავსად, შავრაზმულად არ იყვნენ განწყობილნი არა რუს ერისაღმი. იანოვსკიმ შეავიწრო-

<sup>1</sup> იხ. ფ. სარქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 2368, გვ. 33.

<sup>2</sup> იხ. ფ. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 114, გვ. 36.

<sup>3</sup> იხ. იგივე საქმე, გვ. 36.

გა და შემდეგ სრულიად განდევნა თბილისის რეალური სასწავლებლიდან. განათლებული მასწავლებელი ლ. ზაგურსკი იმიტომ, რომ ის გამოვიდა გეოგრაფიულ საზოგადოებაში სმირნოვის ლექციაზე — „არა არის ეროვნება, ხალხი, თემი და ქართველები და სომხები შეადგენენ ეროვნებას თუ არა“ — და მომხსენებლის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ ქართველები მთლიან ჩაძოყალებებულ ერს წარმოადგენსო, თავისი ხელჯვეითის ასეთ შეხედულებებს ვერ მოიწონებდა, რა თქმა უნდა, იანვაკი და „ურჩ მოშელეზე“ შერი იძია მისი სკოლიდან გაძევებით<sup>1</sup>.

განათლების ხელმძღვანელთა იდგილობრივი ხალხისადმი სიძულვილისა და ზიზღის იშვიათ ნიმუშს გადმოგვცემს დამსახურებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი: „...პოლიტიკანური ერთეულობა კავკასიის სამოსწავლო მთავრობისა... ყოველი ღონით ზრუნვადა, რომ თვით სახელწოდებაც კი გაეუქმებინა ქართველებისა.. აი მისი ნამდვილი და ახალახალი საბუთი. ზემოხსენებულმა ობერ-რევიზორმა (ი. გოგებაშვილი რევიზორის გვარს არ ასახელებს. ტ. ხ.) თავისი მგზავრობა დასავლეთ საქართველოში ასეთის ღვაწმოსილებით დაამთავრა. ინახულა ბათუმის სასწავლებლები და მიმართა ერთ რვა წლის ბავშვს: „შენ ვინა ხარ? ქართველი—სთქვა პასუხად ბავშვმა. ქართველი კი არა, რუსი ხარ,—სთქვი რუსი ვართთქო. ბავშვი გაშტერდა და სღუმდა. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო, გაწყრა, გაგულისდა, წა-ავლო ხელი ბავშვს, ანჭრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თვისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წამოილულლუდა: რუ...სი... ვარ. ხმამალლა სთქვი, რომ რუსი ხარ, გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოლება. ბოლოს მოიკრიბა ძალონე და შეპყირა: რუსი ვარ და თან ქვითინი წასძღვდა. ასევე სწრაფად გაარუსა ამ ბატონშა სომხის ბავშვი, რომელიც იმ პირველთან თქლა გვერდითო“<sup>2</sup>.

#### 8. გლეხობის დამოკიდებულება სკოლებისადმი.

საქართველოში გლეხობა სახალხო სკოლის დარსებას შეგნებულად შეხვდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და ბატონყმურ არტახებისაგან ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელი, ის არ იშუ-

<sup>1</sup> იბ. „დროება“ 1885 წ. № 58, 63, 68.

<sup>2</sup> იბ. ი. გოგებაშვილის „რჩეული ნაწერები“, გვ. 510.

რებლა უკანასკნელ კაპიტას სკოლისა და განათლებისათვის. მფრიაშ სახალხო სკოლების არსებობის პირველი თარიღის განმულობაში ჩვენი გლეხობა დარწმუნდა იმაში, რომ არსებული სკოლები მისიურის უცხო და უნაყოფოა, მასზე გარებული ფული — დაკარგულია, ხოლო ბავშვები, საქმეს მოცდენილნი, უფრიად დარჩენილნი. ამისა მიზეზი იყო ის პოლიტიკა, რომელიც სკოლას მიზნად ხალხის განათლებას კი არ უსახავდა, არამედ მშობლიური ენისა და ნაციონალური კულტურის აღმოფხვრითა და ღვევნით აღვილობრივი მოსახლეობის გადაგვარებას, მის ზნეობრივ და გონიერებრივ დაწინებას, დენაციონალიზაციას და ამ საშუალებით დაპყრიბილ ქვეყნებში ცარიზმის დანერგვას.

ჩვენი გლეხობა, განსიკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სკოლის ასეთ მდგომარეობას აღრე და თავისებურად გამოჟამარტა. მან უნაყოფოდ და მავნებლად დაინახა ასეთი სახალხო სკოლების არსებობა და მას ბრძოლა გამოიუხადა. ეს ბრძოლა სხვადასხვაგვარი იყო. ზოგჯერ გლეხობა ღირექციის სკოლებს უპირისპირდება სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, პირველთა დახურვის დადგენილებები გამოკვლენდა, ხოლო მეორეთა გახსნას მოითხოვდა. ზოგჯერ კი სახალხო სკოლების წინააღმდეგ ბრძოლა მასიურ გამოსვლების ხასიათს ღებულობდა: ანგრევდნენ სკოლას, ანადგურებლნენ სასკოლო ავეჯს, ცეცხლს უკიდებენ მას.

ჩვენს მიზანს შეადგენს ამ თავში სათანადო მასალების გამოვლინებით და მათი ახსნა-განმარტებით ნათელი გავხადოთ ჩვენი სახალხო განათლების ისტორიაში ეს მეტად საინტერესო ურთიერთობა გლეხობასა და მთავრობის სკოლებს შორის.

გლეხობის მასიური გამოსვლების საბაბად სკოლების წინააღმდეგ ხშირად მამასახლისის და სკოლის მზრუნველის-ბლალოჩინის ბოროტმოქმედება, ანდა მასწავლებლის უფიციალი და სიტონქები ხდებოდა.

გლეხობის სკოლის საწინააღმდეგო მასიური გამოსვლის ორი შემთხვევა შეიძლება დავასახელოთ შორაპნის გაზრდაში, სოფ. წირვალში და ჩხატრში.

სოფ. წირვალის გლეხობა 1884 წლის სექტემბერში თავს დაუსხა სკოლას, გამოიტანა სკოლის პეტიონი ეზოში და ცეცხლი წაუკიდა. აღნიშნული სოფლის გლეხობამ ჯერ კიდევ 1881 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით გაასამკეცა მასწავლებლის ხელფასი (ნაცვლად 225 მ. — 592 მან.), თუ მასწავლებლად ღირსეული კაცი იქნებოდა მოწვეული. 1883 წლის აგვისტოში დირექციას აქ მას-

წავლებლად დაუნიშნავს გორის საოსტატო სემინარის კურსდა-  
სრულებული ნიკოლოზ წივწივაძე, რომლის შესახებ შორაპნის  
მაზრის უფროსი წერა ამ საქმის გამო გავზავნილ პატაკში ქუთაი-  
სის სამხედრო გუბერნატორს:

„ხალხის გალიზიანება გამოიწვია ამ მასწავლებელმა მოწაფეთა  
მამებთან თავისი უტაქტო საქციელით: არ აძლევდა მათ სკოლაში  
გამოცხადების ნებას შეეტყოთ, თუ როგორ სწავლობენ მათი ბავ-  
შვები; საზოგადოთ გლეხებს უხეშად ექცეოდა, — ეძახდა მათ  
ციგნებს და ემუქრებოდა ეკზეკუციით, თუ წესიერად არ გადაიხ-  
დიდენ ფულს, განაჩენით დანიშნულს“.

მამასახლისს მასწავლებლის ხელფასის გასანალდებლად ღარიბ  
გლეხობისათვის საოჯახო ნივთები წაურთმევია და გაყიდვით ემუ-  
ქრებოდა; თვით მაზრის უფროსი მამასახლისის ამ ნაბიჯს მეტად  
სასტიკად თვლის:

„მამასახლისს ასეთი მკაცრი ზომებისათვის არ უნდა მიემარ-  
თა, მით უმეტეს, ყველას შეეძლო რთველის შემდეგ მაჭრის გა-  
ყიდვა ან სხვა რაიმე სანოვაგის და თავისი ვალის გასტუმრებაო“<sup>1</sup>.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სრუ. ჩხარის გლეხობის მიერ  
სკოლის აკლება 1882 წლის მარტში. ამა წლის 14 მარტს ოთხასი  
გლეხი შეცვივდა სკოლაში, დაამსხვრიეს ავეჯი, ჩამოხსნეს ჩარჩო-  
ები და სკოლას დანგრევას უპირებდენ, ხოლო მასწ. ცერცვაძე  
ფანჯრიდან გაღმოათრიეს. ჩხარის გლეხობის გამოსვლისათვის სა-  
ბაბი მზრუნველს ბლალოჩინს ჭულელს, მასწავლებელს ნესტ. ცერ-  
ცვაძეს და მამასახლისს მიუციათ. გლეხობა აცხადებდა: სკოლის  
შესაკეთებლად 230 მანეთი გავიღეთ და ახალი მზრუნველი მლ. ჭუ-  
ლელი, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია, კიდევ გვთხოვს 255 მ. 60 კაპ.; დარაჯისათვის მასწავლებელი ცერცვაძე 50 მან. გვთხოვს,  
სკოლაში კი ცხენს აბამსო. გამოძიებით დადასტურებელია, რომ  
გლეხები პირველ მარტიდან თვითნებურად იკრიბებოდნენ და სკო-  
ლის ავკარგიანობაზე მსჯელობდენ. მამასახლისმა აბულაძემ აჩვენა,  
რომ კვირას, 14 მარტს, 400 გლეხი მოვიდა სკოლაში და აღელვე-  
ბული ლაპარაკობდნენ, რომ სკოლა უსარგებლოა, დასაკეტიაო  
და სხვ. მე გლეხების გაფანტვა მოვინდომე, მაგრამ ისინი ჩემს წი-  
წინააღმდეგ წამოვიდნენ. მაშინ ჩემს დასაცავად აზ. ლუარსაბ და  
დავით იშხნელებმა და ნარიმან შოთაძემ კანცელარიაში ჩამკეტეს,

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, საქ. 1218, სერია ჟ, ფ. 53, 54, 55.

ხოლო გლეხებმა რა მოიმოქმედეს — არ ვაკეთ. თუ ჩამდენად ყოფილა გლეხობა სკოლაზე გულაყრილი და მხედრებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გლეხობა არ მოერიდა ამ საქმისათვის ჩხარში მივლინებულ შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწეს ალავიძე. საც კი და მის თვალშინ თვითნებურად უნდოდათ სკოლის შენობის დანგრევა, ჩომლისგანაც ალავიძემ გონიერი და მოხერხებული მიმართვით შეაჩერაო — ამბობს მაზრის უფროსი მოხსენებაში.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი საქმის გამწვავებას მორიდებია და ქვემოდ დავინახავთ, თუ რა მიზანის გამო მას არა თუ რეპრესიები არ მიუღია, ნება დაურთავს გლეხებისათვის. თუ მოისურვებდენ, განაჩენით სკოლა დაეხურათ კიდევ. „თუ საზოგადოება არ მოისურვებს იქონიოს სკოლა, მას შეუძლია განაჩენით ის გააუქმოს. სასამართლოს წესით დევნას ნუ აღძრავთო“, — წერს გუბერნატორი მაზრის უფროსს.

იმავე წლის 15 მაისს სოფ. ჩხარის საზოგადოებას 660 კომლის ხელის მოწერით შემდეგი დადგენილება გამოუტანია:

„...ჩეის წელში (1874) ჩვენდა საუბედუროდ გავსხენით შეკლა განსაკუთრებულის პრივატორით, მაგრამ განმავლობს აერცხავ წელი, რაც შეკლა არსებობს ჩვენშიდ, რომლის შესაწახავად გაგვივიდა ხარჯი უმეტესი 2630 მან., ხოლო სარგებლობა აქა შეკლიდან ვერაფერი დავინახეთ, რის გამოც ესე ვითარი სასწავლებელი იქნეს გაუქმებული და მოსპობილი...“<sup>1</sup>.

სახალხო სკოლების დირექციის ცნობით აშავე დროს მუხურისა და ბაღდაღის მოსახლეობასაც შეუწყვეტია ბავშვების გზავნა სკოლაში და მოუთხოვია მათი დახურვა, ხოლო საწირის საზოგადოებას უარი უთქვამს თავის აღრინდელ დადგენილებაზე სკოლის გახსნის შესახებ.

ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ საზოგადოებათა სკოლების მიმართ გლეხობის ასეთი მტრული ნაბიჯების მიზეზები.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ჩხარისა და წირქვალის გლეხობის გამოსკლის მიზეზად, სხვათა შორის ასახელებს შორაპნის მაზრის მოსახლეობის ჩამორჩენილობას და სასკოლო განათლებისადმი მის ნაჯლებ მისწრაფებას, შედარებით ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრების მოსახლეობასთან<sup>2</sup>. შეიძლება შორაპნის მაზრის მოსახლეობა ოდნავად განვითარებისა და შეგნე-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 639, ფ. 18.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1218.

პის დაბალ საფეხურზე იდგა, ვიღრე მაგ., გურია-სამეგრელოსი, მაგრამ ეს მოსაზრება სრულიად გამოუსადეგარია ჩხარი-წირქვალის გლეხობის საზღვარ გადაცილებულ აღშფოთების ასახსნელად.

ჭუთ. გუბერნიაში ზემო იმერეთის გლეხობაზე უფრო ჩამორჩე-ზოლი კუთხებიც მოიპოვებოდა, საღაფ მოსახლეობას სახ. სკოლე-ზის დირექტორის მსჯელობით, სრულიად უნდა აეკლო სკოლები; და განა ჩვენ დირექტორის პკოლების საწინაღმდეგო ნაბიჯებს მარ-ტო შორაპნის მაზრაში ვხვდებით?!

სხვადასხვა ფორმით, როგორც ზემოდ გვქონდა ალნიშნული, შეს აღვილი ჰქონდა გუბერნიის თითქმის ყველა მაზრაში. სხვას რომ თავი დავანებოთ, ზემომოყვანილი ამონაწერიდანაც ნათ-ლად ჩანს, რომ დასწყისში ს. წირქვალის გლეხობაც დაინტერე-სებული ყოფილა სკოლის გაუმჯობესებით, მასწავლებლისათვის სამძაგი ხელფასი გაულია, სკოლაში მშობლები დადიოდენ თავიან-თი ბავშვების წარმატების გასაგებად.

1883 წელს მზრუნველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ლევიტ-ცი აღიარებს, რომ ავა წლის წინად შორაპნის მაზრაში 19 სკოლა რყო. ახლა კი 15 არისო. რატომ შემცირდა სკოლები და მოწაფე-თა რიცხვი სკოლებში? გლეხობას რომ სკოლებიდან რაიმე სარგებ-ლობა დაენახა, მასზე გლეხობას გულს ვერ ააყრევინებდა ვერც სასულიერო პირთა და ვერც ინტელიგენციის აგიტაცია სკოლების წინაღმდეგ როგორც ეს ლევიტსკის ჰგონია.

იმავე მოხსენებაში ლევიტსკი წერს:

„როდესაც სწავლის საქმე უკეთ წავა, მაშინ თანაგრძნობა სკო-ლისადმი გაძლიერდება და მასთან ერთად შესაძლებელი გახდება სოფლის საზოგადოებათაგან მეტი შემოწირულების გაღება სკოლე-ზისათვისო“<sup>1</sup>.

ლევიტსკის ავიწყდება, რომ თანაგრძნობა გლეხობას სკოლისად-მი თავიდანვე ჰქონდა, ხოლო სასწავლო უწყებამ ცუდი სკოლით გაუქარწყლა მას ეს სიყვარული და თანაგრძნობა და ასეთი სკოლის შერაც გახადა.

სკოლის საწინააღმდეგო მოძრაობის მიზეზი, როგორც ზემოდ ამონაწერიდან დავინახეთ, კიდევ უფრო ნათლად გამოხატა გლე-ხობამ თავის განჩინებაში.

„ჩვენ ვერ ვხედავთ სარგებლობას სკოლაში, რაღაც ბავშვებმა, რომელნიც იქ 3—4 წელი სწავლობენ, არ იციან წერა-კითხვაო“—

<sup>1</sup> იბ. ვ. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 1050.

ჩასწერა გლეხების ნათქვაში ინსპექტორმა ქორქიძემა, მიულინებულმა ჩხარის საქმის გამოსაშებლად:

რომ სკოლა სწორედ ასე „ემსახურებოდა“ მოსახლეობას, არა მარტო ჩხარში, არამედ მთელს დირექციაში, ამის დასტურად ჩვენ უფრო „გავლენიან და ავტორიტეტიან“ პირის მოსაზრებას შოვიყვანთ:

ჩხარისა და წირქვილის სკოლების დარბევისა და საზოგადოდ სოფლის სკოლების უმწეო მდგომარეობის შესახებ გაიმართა მიწერ-მოწერა გუბერნატორსა, მზრუნველსა და მთავარმართველს-შორის. გუბერნატორი სმეკალოვი და მზრუნველი იანოვსკი ერთი-მეორეს. სდებლენ ბრალს აღნიშნულ საქმეში. გუბერნატორი ქუთა-სახ. სკოლების დირექტორის ორლოვის და მასწავლებლების უკი-ცობასა და უვარგისობას ასახელებდა სკოლებისაღმი გლეხების მტრულ განწყობილების მიზეზად, ხოლო მზრუნველი იანოვსკი აღ-შფოთებული იყო იმით, რომ გუბერნატორმა წება დართო ჩხარის გლეხობას, თუ მოისურვებდნენ დაეკეტათ კიდეც სკოლა და რომ მან სკოლის აკლებისათვის გლეხობა დაუსჯელი დასტოვა. ეს ჩვეუ-ლებრივი ამბავია, როდესაც საქმის გაფუჭებას ერთი უწყება მეო-რეს აბრალებს.

ამ შიმოწერიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია სავსებით სწორა-ლა აშკარად გამოთქმული შენედულება გენერალ-გუბერნატორისა-მთავარმართველისაღმი მიწერლი, რომელიც სავსებით ემთხვევა გლეხების განცხადებას მათი სკოლისაღმი მტრული განწყობილე-ბის მიზეზის შესახებ:

„გლეხებს მშვენიერად ესმისთ სწავლის მნიშვნელობა და არ-უნდათ მხოლოდ ისეთი სკოლები, რომლებშიც ათი წლის გამო-ცდილებით ვერაფერს სწავლობენ. ძალით მათი შერეკვა ასეთ სკო-ლებში ბ. ორლოვის (ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორი იყო. ტ. ხ.) ჩინოვნიური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არაკეთილსინდისიერი იქნებოდა და არასავსებით უსაშიშროო“<sup>1</sup>.

ფაქტი სკოლების უვარგისობის შესახებ, ვიმეორებ, სისწორით-აქვს აღნიშნული გენერალ-გუბერნატორს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გლეხობა გუბერნატორს ყრუ და უგუნურ ბრბოდ, სასწავლო უწყების ხელმძღვანელთა მსგავსად, ან ყავს წარმოდგენილი. სულ სხვა საკითხია, თუ როგორ ჰქონდა გუბერნატორს წარმოდგენილი სკოლა, გლეხობის მოთხოვნილებას რომ დააკმაყოფილებდა.

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, საქ. № 1218, სერია 3.

ქართული პრესა, რომელიც ყოველთვის დიდ ყურადღებას აქციებდა სახალხო განათლების საქმეს, გამოეხმაურა სოფ. წირქვალის ამბებსაც. გამ. „დროება“-შ 1884 წლის 24 ოქტომბერს მოწინავე გაამზადა, რომელშიც სხვათა შორის წერდა:

„ეს მეორე შემთხვევა სკოლის დაწვისა, რაც მაგიური ასოებით ჩაიწერება ჩვენი ნორჩი სკოლის მატიანეში, შავ ლაქად დააჩნდება ჩვენს ისტორიას და სასტიკად გააწითლუბს შთამომავლობას.“

სრული კეშმარიტებაა. გასაწითლებელი და სამარცხვინო საქმეა კულტურის კერის — სკოლის აკლება, თუ რომ მარტო ფაქტს შევხედავთ და არა იმ მიზეზებს, რომელმაც ეს ფაქტი გამოიწვია. ქართველი ხალხი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოწინავე ერთა გვერდში მდგარა და მაღალი კულტურა უტარებია, — მე-19 — 20 საუკუნეების მიზნაზე სკოლებს იკლებს, ბარბაროსობას ამჟღვნებს. ამ ზომამდე მიიყვანა ჩვენი გლეხობა ცარიზმის პოლიტიკამ და მის მიერ დანერგილმა სასკოლო სისტემამ.

„მაგრამ განა მარტო წირქვალი მოიქცა ასე? — ვკითხულობთ „დროებსათვის“ გამზადებულ მოწინავეში — განა მარტო ჩხარში მოქცენ ულმერთოდ სკოლას?! არა, სრულიადაც არა! სხვა ბევრ ადგილას, როგორც იმერეთში, ისე ქართლსა და კახეთში სკოლა მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას, რომელიც მას ინახავს.. სკოლა, დღემდე არათერს აძლევს მოსახლეობას იმ მსხვერპლის საზარელოდ, რომელსაც ის სკოლისათვის იღებს, ის სულიერადაც არ ეხმარება მას, ის მოქმედებს მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებათა გარეშე, მოქმედებს მექანიკურად, უსულგულოდ...“

თუ სკოლა არ მოეწყობა მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად... ტყუილად ნუ დაადებთ ხალხს მძიმე ტვირთს მის შესანახად. ის ძალით მოიშორებს ამ ტვირთს, დასწვავს სკოლას და შეიზიდებს მასაწვლებელს“<sup>1</sup>.

მზრუნველის წინადადებით საცენზურო კომიტეტმა ეს წერილი „დაატუსაღა“ და მისი დაბეჭდვის ნება არ მისცა.. სოფ. წირქვალის ამბავს მზრუნველი კერძო შემთხვევად თვლიდა, რომლის საფუძველზე საზოგადოდ სკოლების მდგომარეობის შესახებ მსჯელობა უსაფუძლოდ მიაჩნდა<sup>2</sup>.

და არა მარტო ამ საკითხის შესახებ. სასწავლო უწყების მოხელეები, ისე როგორც სხვა უწყებისაც, ყოველგვარ ზომებს მი-

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, საქ. № 1218, ხერია 3.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 61.

მართავდენ, რომ სახალხო განათლების საქმეში არ ჩარეულიყო საზოგადოება, რომელსაც თავისი აზრის გამოთქმა პრესის საშუალებით შეეძლო. საცენტურო კომიტეტი ერთად ერთ ქართულ გაზ. „დროებას“ ავიწროებდა.

ამ მხრით საყურადღებოა კავკ. საცენტურო კომიტეტის თავ-მჯდომარის შიწერილობა მზრუნველ იანვარისადმი 1885 წლის 21 ოქტომბერის თარიღით № 369.

„რაც შეეხება საყითხს სასწავლებელთა დაცვის შესახებ ამ გამოცემის („დროების“) მავნე გავლენისაგან, ჩემს მიერ ქართული ენის ცენტორს წინადადება აქვს მიცემული არამცდარამც არ გაუშვას სასწავლო უწყების შესახებ წერილები, წინასწარ თქვენს აღმატებულებასთან შეუთანხმებლად, თუგინ, საცენტურო წესდებით წერილი არ იყო ასაკრძალი...“

სანამ „დროების“ რედაქტიის სათავეში დგას თავ. მაჩაბელი, გაზეთი არ შესცვლის არც თავის მიმართულებას და არც თავის ხერხებს, რომელსაც ეხლა იყენებს. ამისგამო კომიტეტი მივიღა დასკვნამდის თავ. მაჩაბელის მოცილების შესახებ გაზეთის რედაქტორობისაგან მისი სხვა პირის შეცვლით, რომელიც ცნობილი იქნება კომიტეტისათვის თავისი კეთილსაიმედოობით. თუ გაშომცემლის მიერ ასეთი პირი არ იქნება მითითებული — გაზეთი დაიხურება“<sup>1</sup>.

ამ ამონაწერიდან მეტად საინტერესო ფაქტი მეღავნდება: საცენტურო კომიტეტი ახშობდა საზოგადოებრივ აზრს, ცენტურის მწვავე არტახებს უჭერდა ცოტად თუ ბევრად ოპოზიციურ გაზეთებს, განსაკუთრებით „დროებას“, მაშინ ერთად ერთ ქართულ გაზეთს, რომელიც თავისი არსებობის თითქმის ოც წელს ითვლიდა. მაგრამ სკოლისა და განათლების საყითხის შესახებ საცენტურო კომიტეტის დებულებით გათვალისწინებულ ფარგლებშიც კი არავის შეეძლო თურმე საჯაროდ აზრის გამოთქმა და ყველა ასეთი წერილი მზრუნველს ეგზავნებოდა სანებართვოდ. ამრიგად, განათლების დარგის ცენტორი საცენტურო კომიტეტი კი არ ყოფილა, არამედ მზრუნველი იანვარი. სოთ. წირწვალის ამბების შესახებ „დროების“ მოწინავე, იანვარის მიერ დაკავებული, იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ, რომ ნათელგვაზო, თუ როგორი „მზრუნველობით“ იცავდა მზრუნველი თავის სკოლას „გარეშე პირთა“ ჩარევისაგან, რომ მან ვერ დაინახა შესა-

<sup>1</sup> იხ. ც. ანქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1539, ფ. 23, 24, 25.

ქლებლად ისეთი „უვნებელი“ წერილის გაშეებაც კი, როგორიც  
ზემოდ მოვიყენეთ.

გლეხობის მასიურ გამოსულებს სკოლების წინააღმდეგ, რომ-  
ლის შესახებ ზემოდ გვქონდა საუბარი, სტრიუმი ხასიათი ჰქონდა  
და ობიექტურად ის იყო მიმართული რუსული სკოლისა და ჩუ-  
სიფრიკატული პოლოტიკის წინააღმდეგ.

## 9. თვითმკარობელობის გამარტინაცია პოლიტიკა საშემოსალოში.

რუსეთის ხელისუფლება საქართველოში, ისე როგორც ჭველა  
დაპყრობილ ქვეყნებში, სხვადასხვავარ ხერხებს მიმართავდა ად-  
გილობრივი ერების გარუსებისა და მათთ დენაციონალიზაციის  
მიზნით. 80-იანი წლებითან ერთობით ასეთ საშუალებად კავკასიის  
სამწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ თავისი მოხელეები-  
თურთ სამეცნიერო და იქ აჩებული სკოლები გაიხადა.

თვითმკარობელობამ მიზნად დაისახა ქართველთა ეროვნული  
სხეულის დასუსტება და ეროვნულ-ნაციონალური შეგნების მო-  
დუნება ქართველი ხალხის დანაწილებით და მათ შორის შურისა  
და სიძულვილის დათესვით.

არკვეტს რა ამ. სტალინი ბურჯუაზიის ნაციონალისტური რეპრე-  
სების საკითხს, განმარტებს: „... ჩაგვრის „სისტემიდან“ იგი ხში-  
რად გადადის ერების წასისიანების „სისტემაზე“, ხოცვალეტის და  
პოგრომების სისტემაზე... კავკასია და სამხრეთ რუსეთი ამის ცო-  
ტა მაგალითს არ გვაძლევენ. „დაჭყაფ და იბატონე“ — ასეთია წა-  
სისიანების პოლიტიკის მიზანი“<sup>1</sup>.

ატარებდა რა ამ პოლიტიკას განათლების ხაზით იანოვსკი, რო-  
გორც გაქნილი პოლიტიკოსი გამოდიოდა სამეცნიეროს მოსარჩევედ,  
კოთომდა მასზე გაბატონებული ქართველების წინააღმდეგ. სინამ-  
დვილეში კი საქართველოს დაქუცმაცების საშუალებით მას რუ-  
სეთის იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების გაადვილება  
უნდოდა.

იანოვსკის მარჯვენა ხელი დასავლეთ საქართველოში, სახ. სკო-  
ლების დირექტორი ლევიტსკი თავის ცნობილ ცირკულარში — სე-  
ნაკისა და ზუგდიდის პირველდაწყებითი სასოფლო სკოლების მას-  
წავლებელთა მიმართ წერდა: „სწავლის საქმის ცუდ გარემოებას

<sup>1</sup> იხ. სტალინი, „მარქსიზმი და ნიკ-კოლონ. საკითხი“, გვ. 19.

სამეგრელოში მოჰყევა მეგრელების უკან. ჩამორჩენი განათლებისა და საზოგადო მდგომარეობის მხრივ ამიერკეავესის სხვა ხალხებთან შედარებით. მეგრელების რიცხვი მცირეა საქალაქო და სასულიერო სასწავლებლებში, კიდევ უფრო მცირე სამასწავლებლო სემინარიებში, ინსტიტუტებსა და გიმნაზიებში; სასოფლო სკოლები-სათვის მეგრელი მასწავლებელი არსად მოიძებნებიან; საქალაქო და ნორმალურ სასწავლებლებისათვის მეგრელ მასწავლებელთა მოპოვებაზე ხომ ლაპარაკი არ შეიძლება. მცირეს ანუ თითქმის სულაც ვერ ვხედავთ მეგრელებს საშუალო და უმაღლეს აღმიანისტრაციაში და სამხავროებში“.

ასე „გოდებენ“ იანოვსკი-ლევოტსკი მეგრელებისათვის; და თურმე ამ უბედურების მიზეზთ ის არის, რომ სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენას ასწავლიან და არა მეგრულს. რუსულის შესწავლაც ქართულის საშუალებით სწარმოებს და არა მეგრულის ამას ნათლად ადასტურებს იანოვსკის წერილი ალ. გრენისადმი, რომელიც მის მიერ იყო გაგზავნილი ზუგდიდში (1886 წ.) მეგრული ენის შესასწავლად და სახელმძღვანელოს შესაღენად; იანოვსკი უპასუხებს გრენს:

„რაც შეეხება თქვენს მიერ მეგრელებში შემჩნეულს ნაციონალური გრძნობების აღქრას, მათში ასეთ განწყობილებას მეტად დართხილად უნდა მოეპყრათ, რადგან სასწავლო უწყების მიზანია არა მეგრული ლიტერატურის გამოცემა, და მით უმეტეს არა პატრიოტული გრძნობების აღქრა მეგრელებში, არამედ მხოლოდ საშუალების მიცემა მეგრელ ახალგაზრდობისათვის მიიღოს დაწყებითი განათლება მეგრულ სკოლებში მშობლიურ ენაზე, და არა ქართულზე, რომელიც მათვის სრულიად უცხოა“<sup>1</sup>.

აქ იანოვსკი ვთომდა დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ქომაგად გამოიდის. მეგრელთათვის, მაშინ როდესაც მთელი მისი „მოღვაწეობა“ აღგილობრივი მოსახლეობის მშობლიური ენის აღმოფხვრისა და სკოლებიდან განდევნისაკენ იყო მიმართული.

როგორც ქვემოდ დავინახავთ, მეგრულ ენაზე საეკლესიო მწერლობის შექმნის ცდა 70-იან წლებში დაიწყო; მაგრამ მაშინ ამ ცდამ ხელისუფლებას უნაყოფოდ ჩაუარა.

სისტემატიური და ენერგიული ზომების მიღება სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის სავსებით განდევნის, ლოცვებისა და

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია კ, საქ: № 1746, ფ. 32.

საღვთო წერილის თარგმნის, მეგრული ანბანის შექმნისა და შეგრული ენის სახელმძღვანელოს შედგენისა დაიწყო 80-იანი წლების ნახევარში, 1884—5 წლიდან, მზრუნველი იანოვსკისა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის—ლევიტსკის უშუალო ხელშემუანებლობით და მონაწილეობით.

თვით ონისძიებათა გატარება მთავრობამ დაიწყო მოუკიბ-მოუკიბავად—1885 წლის 11 იანვრის ცირკულარით სენატისა და ზუგდიდის პირველდაწყებით სასოფლო სკოლების მასწავლებლების მიმართ, რომელთაც სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლება და გამოყვნება აღვეთილი ექნათ. 1885 წლის 11 იანვრის თარიღით ლევიტსკის მფერ სამეგრელოს მასწავლებელთათვის დაგზნილ ცირკულარში შემდეგი დებულებებია:

1. თანახმად 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული გეგმისა პირველდაწყებით სკოლებში სწავლა საშობლო ენაზე უნდა იწყებოდეს.

2. სამეგრელოს სკოლებში კი სწავლა იწყება მეგრულ ენაზე კი არა, არამედ ქართულ ენაზე, „მეგრელებისათვის სრულიად გაუგებარჩე“.

3. რუსული ენა ისწავლება ქართულის და არა მეგრულის-დახმარებით.

4. ამრთვად მეგრელ ბავშვებს ორი ახალი ენის შესწავლა უხდებათ — რუსულისა და ქართულის, ამიტომ რუსული ენის შესწავლას შეფერხება ემჩნევა.

5. „ამგვარის წესის გამო, - რასაკვირველია, ვნება უძლევა არა მარტო რუსულის ენის შესწავლას, არამედ მთელს სწავლას სკოლაში“.

6. რუსული სიტყვები ქართულის საშუალებით უაზროდ და უნაყოფოდ ისწავლება.

7. სწავლის საქმის ცუდ გარემოებას სამეგრელოში მოჰყვა შევგრელების უკან ჩამორჩენა განათლებისა და საზოგადო მდგომარეობის შეჩრივ ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით.

8. „რუსული ენის სწავლება აუცილებლად იწყებოდეს მეგრული ენის სწავლების შემდეგ თანახმად 1881 წლის პლანისა და ისწავლებოდეს მეგრული ენის საშუალებით“.

9. რაღაც მეგრულ ენაზე მწერლობა არ არსებობს, მეგრული სიტყვები გამოიხატოს რუსული ანბანით.

10. საჭირო ლოცვანი და საღმრთო ისტორია შეიძლება შეს-

წავლილ რქას ჩუსულ ენაზე, დედაწესე (მეგრულზე) თარგმნით  
და ახსნით<sup>1</sup>.

ამ მიწერილობის შემდეგ სამუკრელოს სკოლებიდან ქართული  
ენა იღევნებოდა, რომლის აღვილი თფიციალურად მეგრულს უნ-  
და დაეჭირა. მაგრამ იანოვსკი — ლევიცკიმ კარგად იცოდენ, რომ  
ანბანის, მწერლობის, ლიტერატურული ტრადიციის ასე მქონე  
ენას ურ შესცვლიდა ქართულს; ეს არც შეადგენდა მათ მიზანს;  
მეგრულ ენას თუ მიმართავდენ არა იმისათვის, რომ ის განემტკი-  
ცებით სკოლაში და მოსახლეობაში, ხრამელ იმიტომ, რომ თა-  
ვიანთი ნაბიჯებისათვის დასწყისში პრინციპული ბაზა გამოეძებ-  
ნათ დასაყრდენად და სხვების თვალის ასახვევად: გამოეყენე-  
ბიათ მეგრული ქართულის გასაძევებლად და შემდეგ სამეგრელოს  
სკოლებში უფრო აღვილად გაეტარებიათ გარუსების პოლიტიკა.  
რუსული ანბანის გამოყენება მეგრული სიტყვების ასანუსხავად  
ამის ნათელი დასტურია. 1899 წელს გამოცემული „Мингрельская  
აზნუკა“-ს რედაქტორი, ოლქის მზრუნველი ამ დროდან მ. ზავალსკი  
წიგნის წინასიტყვაობაში აშკარად ამბობს: „მეგრული ანბანი“ იბეჭ-  
დება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ მეგრელ ბავშვებს გაუადვილდეს  
რუსული წერა-კითხვის შეთვისებაო“.

რუსიფიკატორებმა მეგრული ენის გარდამავალ საფეხურად  
გამოყენება განიზრახეს — ქართულიდან რუსულზე; ამისათვის,  
როგორც ქვემოდ დავინახავთ, უფრო ფართო საშუალებასაც მი-  
შართეს! — მეგრული ანბანის გამომუშავებას და სახელმძღვანე-  
ლოს შედეგნას, მაგრამ ყოველივე ეს არა პედაგოგიური მოსაზ-  
რებით, არამედ ქართველ ხალხის დენაციონალიზაციისა და მისი  
გარუსების მიზნით.

1885 წლის 11 მარტს ოლქის მზრუნველი იანოვსკი მიმართვას  
(№ 1297) უგზავნის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების  
დირექტორს ლევიცსკის, რომელიც ინსტრუქციის წარმოადგენს  
იმისათ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სწავლა სამეგრელოს  
დაწყებითს სკოლებში.

„... კითხვის ახალ მეთოდით, — სწერს იანოვსკი, — სწავლების  
შეთოდის ძალით, სანამ ყმაწვილებს შეასწავლიან ასოების დახატ-  
ვას, იგინი უნდა შეაჩვიონ სიტყვების დაშლას ხმებად, ეს ვარჩი-  
შობანი უნდა სწარმოებდენ ზეპირად. ამის თანახმად მასწავლე-  
ბელი მეგრული სკოლისა, ერთი თვის სწავლების შემდეგ პირველ

<sup>1</sup> იხ. გაზ. „დროება“ 1885 წ., № 59.

განყოფილებაში, მოვალეა შეაჩვიოს მოსწავლენი მეგრული სიტყვების ხმებად დაშლას და ხმების შეერთებას სიტყვებად, და შემდეგ როგორ მოსწავლენი საკმაოდ გაიკვეთავენ ამ ვარჩიშობათა, მასწავლებელმა უნდა დაწყოს სწავლება ხმების გამოხატვისა, და საზოგადოდ სწავლა წერისა მეგრულს ენაზე, რის ღროს უნდა იხმოროს, როგორც წევით იყო ნათქვამი, რუსული ალფავიტი. სწავლება კითხვისა, მეგრულს ენაზე წიგნების უქონლობის გამო, თალაუნებურად უნდა დაქმაყოფილდეს პირველი ღროს მარტო იმ სიტყვების კითხვით, რომელთა წერა იციან მოსწავლეთ... შემდეგ, თანახმად ინსტრუქციისა, მასწავლებელი გადადის ჯერ მარტივის, შემდეგ რთული ფრაზების წერაზე... და დაწეროს რუსული ასოებით საკლასო დაფაზე. ასე სწარმოებს სწავლა წლის პირველ ნახევარში. ხოლო არითმეტიკის სწავლება ამ პერიოდში უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებით სამშობლო ენაზე".

წლის შემთხვევაში იწყება რუსული ენის სწავლა თანახმად 1881 წლის გეგმისა.

აგრეთვე მე-2 და მე-3 განყოფილებებში ყველაფრის სწავლა რუსულ ენაზე მიმღინარეობს, თანახმად იმავე გეგმისა. მეგრული ენის ცოდნა სავალდებულოა მასწავლებელთავის; უნდა შეისწავლონ იმდენად, რომ შეძლონ მასზე მარტივი ამბების გადაცემა.

ინსტრუქციის მოყვანილი მუხლებიდან ნათლად ვხედავთ, რომ სწავლება სამეგრელოს სკოლებში განდევნილი ქართულის ნაცვლად არც მეტ მეგრულზე სწარმოებს, რადგან სახელმძღვანელოს უქონლობის გამო, ბავშვები, ცხადია, წერა-კითხვას მეგრულისასაც ვერ ისწავლან. ისინი მხოლოდ რუსული ასოების წერას ეჩვეიან და ამ მიზნისათვის მეგრული ენაა გამოყენებული.

ამრიგად სამეგრელოს სკოლებისათვის იანვესკის 1881 წ. 13 იანვრის ცნობილი გეგმა, რომლითაც თითქოს სწავლა დაწყებით სკოლებში მშობლიურ ენაზე იწყებოდა, გაუქმებული გამრტვა და მეგრელ ბავშვებს ქართული ენის განდევნის შემდეგ პირდაპირ რუსულზე აწყებინებდენ სწავლას. ამასთანავე სამეგრელოს სკოლებიდან იღევნებოდა ყველა მასწავლებელი, რომელნიც სკოლაში სწავლებას ვერ წარმართავდნენ, ან არ წარმართავდნენ იანვესკის ინსტრუქციის მიხედვით.

"თარგმნილი სამღვთო წერილის უქონლობის გამო, განაგრძობს იანვესკი თავის ინსტრუქციაში, სწავლება ამ საგნისა მეგრულს ენაზე ძნელი იქნება, რადგან საღვთო სჯულის მასწავლებელთ არ აქვთ სახელმძღვანელოები ხალვთო წერილის ნამდვილად.

და მულმივი ტექსტისა... ამისათვის მეგრულს ენაზედ მოსწავლეობის უნდა გააცნონ. სამასწავლებლო გეგმის თანახმად მარტო ის ამბები ში ჩველი და ახალი აღმოჩნდა, რომელთაც აქვთ წმინდა მოთხოვნითი ხსნათი. ლოცვები და ღოლმატნი სარწმუნოებისა უნდა ასწავლონ ქართულს ენაზე, რომ სამღვთო სჯულის სწავლება ქართულს ენაზედ კარგდ სწარმოებდეს, სასურველია სამღვთო სჯულის მასწავლებელმა ასწავლის ბავშვებს კითხვა ამ ენაზედ, მაგრამ არა აღრე მეორე წლისა ე. ი. იმ დროსა, როდესაც ბავშვებს შცოლინებათ კითხვა მეგრულად და რუსულად.

ქართული ალფავიტის შესწავლა მოსწავლეთვის ამ დროს არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს და მოანდომებს არა უმეტეს 2—3 კვირისა. იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ კითხვა და შესწავლა ქართულად ლოცვათ. და სამღვთო წერილის ამბებთა არ შეიძლება სამშობლო ენაზედ გადაუთარგმნელად".<sup>1</sup>

როგორც ინსტრუქციის ამონაწერიდან ჩანს, იანოვსკიმ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ აუხვია გვერდი ქართულ ენას. ის დასჭირდა საღვთო სჯულის შესასწავლად სამეგრელოს სკოლებში. არას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად პედაგოგიური იქნებოდა სამეგრელოს სკოლებში ჯერ რუსულის შესწავლა და შეძლებ ქართული წერა-კითხვისა. ან რატომ შეიქმნა საჭირო საღვთო სჯულის სწავლება ქართულს ენაზე და არა რუსულზე, როდესაც ქართული მეგრელთათვის, იანოვსკი-ლევიტსკის მტკიცებით, უცხო და გაუგებარი იყო?!

70—80-იან წლებიდან მოკიდებული ხელისუფლება ცდილობს რუსეთში და საქართველოშიც გააძლიეროს კლერიკალიზმი საერო სკოლებშიც. დაუკავშიროს სკოლები ექლისის და დაუკავშიროს ახალგაზრდობა აქციიურ-ზნეობრივი გავლენის ქვეშ.

ამ მიზნით მზრუნველი სავალდებულო უხდიდა საერო სკოლის მოწაფეებსაც კი საკუთრივ სახარების შეძენის და კითხვას, უკლესიერი გალობითა თუ სხვა სახით მღვდელმსახურებაში მონაწილეობის მიღებას. მოწაფეებზე სარწმუნოების გავლენის განმტკიცებით ხელისუფლებას უნდოდა „ნიღილიზმის“ აღმოფხვრა ახალგაზრდობაში და „ტახტისა და სამშობლოსადმი“ ერთგულების განმტკიცება.

იანოვსკი ხედავდა, რომ სამეგრელოს ახალგაზრდობას ჩელიკიურ-ზნეობრივი აღზრდის გარეშე დატოვებდა, თუ ქართულ

<sup>1</sup> ი. „დროება“, 1885 წ. № 120.

ენას ორ მიმართავდა, რადგან მეგრულად ნათარგმნი საღვთო წე-  
რილი, როგორც ეხლა დავინახავთ, უვარებისი იყო, რომელსაც სა-  
წინააღმდეგო, ანტირელიგიური შედეგის მიცემა შეეძლო, ხოლო  
უცნობ, რუსულ ენაზე გაზეპირებული ლოცვები და დოლმები,  
ბავშვს ვერავითარ საჩქმუნოებრივ აღზრდას ვერ მისცემდა და  
იანოვსკის მისწრაფება — „წესიერად მოწყობალბ დაწყებითი  
სკოლა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ეკლესიასთან“ — ჰაურში გა-  
მოკიდებული დარჩებოდა.

საღვთო წერილის თარგმნა მეგრულ ენაზე 60-იან წლებში  
უცდიათ. ამის შესახებ 1885 წელს „დროების“ № 59-ში შემდეგი  
ცნობაა გაღმობეჭდილი „ნოვოე ობოზრენიედან“:

„ქართული საეკლესიო მწიგნობრიბის სპეციალურად მცოდნე  
პირმა დეისტვ. სტატიკი სოვეტნიკმა დ. პ. ფურცელაძემ შემდეგი  
ცნობები წარმოგვიდგინა შესახებ ქართულიდან მეგრულ ენაზე  
საეკლესიო წიგნების გადათარგმნის ცდისა“.

„მათის უსამღვდელოესების საქ. ექზარქოსის ისიღორეს დროს  
(დღეს—პეტ-ის მიტროპოლიტის) სამუჩაზაყანოს ეკლესიათა ბლა-  
ლობინმა დეკანოზმა მაჭავარიანმა, რომელიც შთამომავლობით  
ქართლიდან არის, ექზარქოსის წინადაღებით ქართულიდან მეგ-  
რულ ენაზე გადასთარგმნა ლიტურგია წმ. იოანე ოქროპირისა. ამ  
თარგმნის ღირსების შესამოწმებლად და იმის გასარჩევად, გასა-  
გებია იგი ხალხისათვის თუ არა, აღნიშნული ხელნაწერი გაგზავ-  
ნილ იქნა სამეგრელოში ქართულს ტექსტთან შესამოწმებლად და  
ხალხის წინაშე წასაკითხავად. ხელნაწერი ჩქარა დაბრუნებულ  
იქნა თბილისშივე; სამეგრელოს სამღვდელოება და ერის კაცნი  
ერთხმად ამბობდნენ, რომ თარგმანი უვარებისია. ამასთანავე დასტენ-  
დენ, ხალხს არ ჰქონის, რომ საეკლესიო წიგნები მეგრულ ენაზე  
გადაითარგმნოს, 1 რადგან ქართული საეკლესიო ენა მეგ-  
რელისათვის კარგად გასაგები არის და მათთვის მას იგივე საღ-  
მრთო მნიშვნელობა აქვს, როგორც საეკლესიო-სლავიანურს ენას  
რუსებისათვისო. ამგვარად დეკანზის მაჭავარიანის შრომა სამუ-  
დამოდ პორტფელში დარჩა“.

დამსახურებული -მასწავლებელი გიორგი ბოკერია თავის მო-  
გონებაში აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: „... ვიღაცეპი  
ცდილოყვნენ ეთარგმნათ საღვთო წერილი — „მერმედ და მერმედ  
მშვიდობით უფლისა მიმართ ვიღოცოთ“ — „უკული დო უკული  
შვიდებით უფალიში წკუმა ვიღოცათ“; „სიბრძნითა აღემართე-

ნით” — „კუურას გუდირთათ“ (კუურანად ადგიქტ) და სხვა ამის-  
თანა ბევრი მარგალიტები. ბოლოს თვითვე გაენებებიათ თავიო”?

როდესაც სასწავლო მთავრობამ ქართული უნის განდევნა  
განიხრახა ძველი სენაკის ქართული სააზნაურო სკოლიდან, რო-  
მელსაც ქუთაისის სააზნაურო ბანკი ინახვდა, ბანკის დამარსე-  
ბელთა საერთო კრების მიერ 1887 წლის 12 მაისს პლაზმულ იქნა:  
შუამდგრმლობა სასწავლო ოლქის წინაშე, რათა აღნიშნულ  
სკოლაში დაეტოვებიათ მანამდის არსებული გეგმა საგნების სწავ-  
ლებისა; ოქმში ვკითხულობთ:

„ოცი წლის წინად დეკ. მაჟავარიანის მიერ მეგრულ დრალექ-  
ტზე წმ. ოთანე ოქროპირის ლიტურლის გადათარგმნის ცდამ და-  
არწმუნა უწ. სინოდისაგან მის გასარჩევად და შესასწავლად და-  
ნიშნული ექსპერტები მეგრელთაგან, ჩრდ არა თუ დეკ. მაჟავა-  
რიანის მიერ ნათარჯმნი და წარმოდგენილი მიუღებელია ეკლესი-  
ებში შესასრულებლად, არამედ თვით მეგრული ფიალექტი შე-  
იცავს ისეთს წმინდა ორგანიულს უხერხელობას, რომელიც შე-  
უძლებლად ხდის ყოველგვარ აზრს მასზე საღვთო წერილის თარ-  
გმის შესახებ. ყოველგვარი ასეთი თარგმანი, ყოფილი ექსპერტის  
აზ. ანგაფარიძის აზრით, რომელიც საერთო კრებას ესწრებოდა,  
დაბადებდა ლვითისმეგმობელობას და გამოიწვევდა მწვალებლობას,  
რომლის საოცარი მაგალითები მან მოიყვანა“<sup>1</sup>.

როგორც ზემოდ აღნიშნეთ, ითოვსკი და ლევიცკი მასწავ-  
ლებლებს წინაღადებას აძლევდენ მეგრული სიტყვები რუსული  
ანბანით ეწერათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ინორმაციების“  
რუსული ალფაბეტით განათლება განათლების საშინისტროსათვის  
ახალი გამოგონება არ იყო და ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირ-  
ველ ნახევარში მიმართავდენ ასეთ ხერხს.

მაგრამ იანოვსკი—ლევიცკი მალე უნდა დარწმუნებულიყვნენ,  
რომ რუსული ასოებით მეგრული სიტყვების დაწერა და მეგრუ-  
ლი ფრაზების შედგენა შეუძლებელი იყო მეგრულში ისეთი ბევ-  
რების არსებობის გამო, რომელიც რუსულში არ მოიპოვდა.

ამის შესახებ „დროებაში“ ახალ სენაკიდან კორესპონდენტი  
წერს,—მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით არ დაიწერება  
და თუ დავწერთ, აი რა გამოვა:

1 ინ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3. ქართ. № 4720, გვ. 7—8.

ქუდი	Куди
ჭირი	Чири
წყარი	Цкари
ყორანი	Корани
ჯიმა	Джима
კირი (ქორი)	Кири

და სხვა.

Куди, Чири, Цкари, Корани, Джима, Кири да სხვა არ არიან მეგრული სიტყვები. ასე რომ, თუ მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით დაიწერა მეგრული ენა დაიკარგება და გამოცვება რაღაც ახალი ენა, რომელსაც სხვა სახელი უნდა დავარქვათ <sup>1</sup>.

ოლქის მზრუნველი იანოვსკი შეუდგა სამზადისს მეგრული ან-ბანის შესამუშავებლად.

1886 წელს 18 თებერვალს ის უგზავნის მოხსენებას სახალხო განათლების მინისტრს, რომელშიც, სხვათა შორის წერს:

აპქაურ ხალხებს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან განათლებისაკენ მისტრატებით, განსაკუთრებით რუსული განათლებისაგან, ეკუთვნონ მეგრელები, მოლაპარაკე მეგრულ ენაზე, სავსებით განსხვავებული ქართული ენისაგან და სრულიად გაუგებარი ქართველებისათვის, რაც როგორც ქართული გაუგებარია მეგრელთათვის... სწავლება შეიძლება დაწყებული იქნას მეგრული წერა-კითხვით და არა ქართულით, რაც ადგილობრივ მეგრულ სკოლებში მიღებული იყო მოწაფეთათვის რუსული ენის შეთვისების საზიანოდ... მე უუცილებელ საჭიროებად ვთვლი ამ ენისათვის შედგენილი იქნას საკუთარი ანბანი... მეგრული ანბანი ჩემი მტკიცე ჩწმენით, რუსულ ალთამეტზე უნდა იქნას დაფუძნებული იმ აუცილებელი ცულილებებით, რომელიც უამოწვეული იქნება რუსულ გამოთქმაში არ არსებული რამდენიმე ბგერით <sup>2</sup>.

„შემდეგ დანოვსკი სთხოვს მინისტრს მიმართოს აჭ საქმისათვის აუდემიას რომელმაც უნდა შეაღვინოს ინსტრუქცია მეგრული ანბანის შემდგენლისათვის და მოვლინებული იქნას ამ მიზნისათვის მზრუნვულის განკარგულებაში პეტერბურლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენებას ფაკულტეტის კანდიდატი გრენი (ალექსი ნი-

<sup>1</sup> იბ. გაზ. „ლოკუმა“, 1885 წ. № 67.

<sup>2</sup> იბ. ც. აზ. 107, სერია 3, საჭ. № 1746. ფ. 12.

კოლონის ქე), რომელიც უნივერსიტეტში და მანამდებისაც ხწავ-  
ლობდა ქართველურ ენას და ეხლა ეწევა მუცნერულ მუშაობას  
აკადემიკოს რადლოვის ხელშძლვანელობით.

აკადემიკოს რადლოვის მიერ დაუყოფნებლივ შედგუნდლი ინს-  
ტრუქციით, რომელიც აკადემიკის ისტორიულ-ფილოლოგიური გან-  
ყოფილების მიერ მოწონებული იქნა 1886 წლის 29 აპრილის  
საქომის საქართველოში გამოვზენეს.

ჩვენს ამოცანას არ შეაღენს (არც კომპეტენციას) იმის გა-  
შორივევა, თუ რამდენად იყმიყობლებს მეცნიერების მოთხოვნას  
აღნიშნული ინსტრუქცია, ხოლო რომ ის „უტილიტარულ“ მიზ-  
ნებს მოკლებული არ არის, ამაზე ინსტრუქციის მეოთხე მუხლი  
შიგვითითებს, სადაც ნათქვაშია:

„გარდა ტექსტების შექრებისა ბ. გრენმა მეგრელების დახმა-  
რებით უნდა შეადგინოს ბავშვთა საკითხავად პატარ-პატარა წერი-  
ლები რუსულიდან ნათარგმნი. განსაკუთრებით უშინსკის „როდნო-  
სლოვო“-დან და „აღმოსავლეთის თათხებისათვის შედგენილი პატ-  
უელი საკითხავი წიგნიდან“, აგრეთვე სახარებისა და სხვა სალვო  
წიგნებიდან ნათარგმნი ზოგი თავი“. <sup>1</sup>

ჩვენ ვერ ვიკისრებთ ვერც იმის განხილვას, თუ რამდენად აქ-  
მაყოფილებს მოვლინებულ გრენის მიერ შედგენილ ანბანი ენათ-  
მეცნიერების მოთხოვნილებებს, ეს არც შეაღენს ამ ნარკვევის  
მიზანს. ხოლო უნდა აღინიშნოს ის სიჩარუ, რომელსაც იჩენს  
„მეცნიერი“ თავის მუშაობაში: 1886 წლის 25 აგვისტოს, ქ. ი.  
მუშაობის 5 — 6 კვირის მანძილზე გრენს ანბანი თავის წინასიტ-  
ყვაობით უკვე მზადა აქვს, რომლის შესახებ 31 აგვისტოს მოხსე-  
ნებაში წერს მზრუნველს „ალფაბეტი ჩემს მიერ თითქმის უკვე  
შედგენილია სამუღამოდ“. ინსტრუქციით ანბანი გამოქვეყნებამდრის  
აკადემიას უნდა დაემტკიცებია გრენი კი მოახსენებს მზრუნველს:  
„აკადემიის ინსტრუქციას ნებით თუ უნებლივთ შეცვლა დასჭირ-  
დება ოდნავად, ქ. ი. სასწრაფოდ გამოვაქვეყნოთ ჯერ მხოლოდ  
პრაქტიკული ალფაბეტი. და, მე ვფიქრობ, სწრაფად მოვბრუნდეთ  
ნაციონალური ლიტერატურისაკუნო“ <sup>2</sup>.

თუ რამდენად სწორად ჰქონდა გრენს ათვისებული მეგრული  
ენის ბგერები ეს იქიდან სჩანს, რომ თავის მოხსენებაში უკულგან  
ხმარობს „მიონარგია“, „ცეიში“ (ნაცვლად—მეუნარგია, ცაიში). გრე-

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 1746, ფ. 8—10.

<sup>2</sup> იბ. იგივე საქმე, ფ. 20—21.

ნის ანბანის ღირსების შესახებ კი უკეთესია თვით ლევიტსკის მოხ-  
სენებოდან მოვიყანოთ ამონაწერი:

„თვით გრუნ მის მოქალაქე შედგენილი ანბანის წინასიტუკობაში  
ამბობს: ნიშნები სხვა ასოუბზე რაც შეიძლება ნაკლები უნდა იქ-  
ნება.. ამავე ღროს გრენის ანბანში ცხრამეტ ასოს ხაზზევითა და ხაზ-  
ქვევითა ნიშანი აქვს. როდესაც ბ. პერევოზნიკოვმა (ქუთ. სახ. სკო-  
ლების ინსპექტორი იყო. ტ. ხ.) მიუთითა გრენს მისი ანბანის აქ-  
ნაკლებ, უკანასკნელი მას დაეთანხმა ამაში და დაპირდა მოეხდინა  
გარეგნული ცვლილებები, ე. რ. დაეახლოების ის აშორდიას ანბა-  
ნისათვის, რომელსაც ორი ხაზქვეითი ნიშანი აქვს“<sup>1</sup>.

— ამ ამონაწერიდან ნათლად ვხედავთ, თუ როგორ აფასებდა და  
როგორი „პატივისცემით“ ეპყრობოდა „მკვლევარი“ თავის ნაშ-  
რომს.

გრენის აჩქარებული ტემპები ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ  
გავითვალისწინებთ გრენის მზრუნველისათვის გაგზავნილი მოხსე-  
ნებიდან, რომ ის მასზე დავალებულ საჭითს უდგება არა მეცნი-  
ერისა და მკვლევარის დაკვირვებითა და სიღინჯით, არამედ, რო-  
გორც უბაღრუკი პოლიტიკანი, ხელისუფლების უილაგო აგენტი,  
რომელსაც მარცხი მოელოდა საკუთარი უფიციონისა და თითქმის  
ერთსულოვანი წინააღმდეგობის გამო, რომელსაც ის სამეგრელო-  
ში წააწყდა.

გრენის მოვლინებას უარყოფითად შეხვდა არა მარტო სამეგ-  
რელოს ფართო საზოგადოება, რომელიც წინააღმდეგი იყო სამეგ-  
რელოს ქართველთაგან ეროვნულ-კულტურული გამოთიშვისა,  
არამედ ის მცირე ჯგუფიც მასწავლებელ თაღა აშორდიას ხელ-  
მძღვანელობით, რომელსაც უნდოდა მეგრული ანბანისა და მწერ-  
ლობის შექმნა.

დასაწყისში გრენი სამეგრელოში ორი მიმართულების არსებო-  
ბას აღნიშნავს: ქართულის, რომელიც მტრულად ეკიდება მეგრუ-  
ლი ანბანის შექმნას და, ჯგუფი, რომელიც თანაუგრძნობს გრენის  
მუშაობას. ქართული ჯგუფის სამოქმედო ბაზა სენაკის სააზნაურო  
სკოლაშია, საღაც, ამბობს გრენი —

„სხდომებს მართავს ნამდვილი რევოლუციური კომიტეტი —  
ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი“. მის  
წევრთაგან თავ- აკ. წერეთელი მუდამ სამეგრელოში დაეხეტება  
საპროპაგანდოთ; აკ. კი ქართული გავლენის გამტარებლებია მაზ-

<sup>1</sup> ის. ც. არქ. ფ. 107, საქ. № 1723.

რის უფროსი ჯაყელი, სასწავლებლის ზედამხედველი ბაქრაძე, რომელიც ნევათა შორის, თვალყურს მაღვენებს იმდენად, რომ მისი მსახურიც კი დამდევს კვალდაკუალ, დამოლოს ყველა მოსამსახურ უკართველი, რომელთა ჩრდევი აქ მრავალია.

ჩვენს აღზნებულ აღეპტად აქ ჯერჯერობით შემიძლია დავასახელო ზუგდიდის რჩევლასინი სასწავლებლის მასწავლებელი ჭ. გაბისონია, რომელიც უკვე წარმატებით ცდილობს ჩემი ანბანის შეგრელთა შორის გავრცელებას. რაც შეეხება ბ. აშორიძის, ისიც აღზნებული აღეპტა, მაგრამ იმდენად თავშოყვარუ, რომ მასთან ვერაფერს გააწყობ. თვით მეგრელები, ვფიქრობ, ალფაბეტის საქმეს თანაგრძნობით ეკიდებიან“<sup>1</sup>.

თადა აშორიძიამ ხონის საოსტატო სემინარით დაასრულა 1884

წლის

მეგრული ნაციონალიზმით ის სემინარიაშივე ყოფილა შეპყრობილი. დამსახურებული მასწავლებელი გიორგი ბოკერია გვწერს, რომ აშორიძია 25 წლის კაბუკი იყო, როდესაც სემინარიას ათავებდა. ზმირად უპირისპირებდა ერთმანეთს მეგრელებსა და ქართველებს და ყველაფერში უპირატესობას მეგრელებს აძლევდა. მე ამითვალისწუნა, რაღაც არ დავეთანხმე ჩემს მეგრელობაში. მეგრელების რაოდენობას ის რამდენიმე მილიონით საზღვრავდა. შავი ზღვაც მეგრელებს ეკუთვნითო, ისინა განთქმული მხედრები და ნაოსნები არიანო.

საინტერესოა, რომ გ. ბოკერიას ცნობით, აშორიძიას სემინარია-შივე პქონია სქელი რვეული, რომელშიც მოთავსებული პქონდა საკუთარი ანბანი და მეგრული მოთხრობები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები. რვეულს წარწერა პქონია: „დუდა ნინა“, რომელ შიაც მასალა ქართული „დედაენის“ მსგავსად ყოფილა დალაგებული. აშორიძიას მფარველიც პყოლია — „კეშმარიტი“. ჩუსი მას-წავლებელი — პეტროვი, რომელსაც ის წარმოდგენილი პყავდა იანოვსკისა (და ზავალიკის) წინაშე, როგორც მეგრული ანბანის გაშომგონი და მეგრული რვეულის შემდგენი.

აა, ამ აშორიძიას თვლიდა გრენი „თავისი საქმის აღეპტად“, ეს აშორიძია გამოიყენა მთავრობამ თავისი ზრახვების — ქართველი ხალხის დენაციონალიზაციისა, დაქუცმაცებისა და მასში აღვილად გამარტისებელი პოლიტიკის გატარების საშუალებად. ქვემოდ დავნახვთ, რომ აშორიძია და მისი ჯგუფი ერთგვარ მეტოქედ გაუჩნდა გრენს.

<sup>1</sup> იხ. ც. ოქ. ფ. 107, საქ. 1746.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გრენი მეგრულ ანბანს სწრაფად აღეცნდა და მის გამოშვებას აჩქარებდა. აჩქარებდა გრენი თავის ანბანის დაბჭედვას მიტომ, რომ ფიქრობდა (ამასაც ნაჩქარევად), რა მეგრელებს მეგრულ ანბანს მისცემდა ხელში, სამეგრელოს საქართველოდან ჩამოშორება ფაქტი გახდებოდა; და რომ ეს ზრავები ამოქმედებდა მას და იმასაც, ვინც ის გამოვზავნა, ამას არ მალავს შზრუნველთან მიმოწერაში გრენი. მაგ., ის ალფროვანებით წერს მზრუნველს: „აშორთია, თქვენო აღმატებულებავ, განვითარებულ კლასთაგან სამეგრელოს გამოყოფის იდეის ერთადერთ თავდადებული თაყვანისმცემელია; არათერს ვამბობ აქ უბრალო ხალხზეო“<sup>1</sup>.

შეორე ადგილას, ანბანის წინასიტყვაობაში, გრენი კიდევ უფრო გადაჭრით ამჟღავნებს ამ აზრს:

„ამ ანბანის გამოცემისას, მე აშასთანავე მხედველობაში მქონდა, თუმცა არა პირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითელებიან. და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი, და ბოლოს, უალფაბეტოკ შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის რაიმე ნაპერწკალიც კი“<sup>2</sup>.

ამონაწერი ციტატიდან ნათლად ჩანს, თუ რა პოლიტიკური სარჩული ედვა საფუძვლად მეგრული ანბანის შედგენას, სარჩული, გამომუღავნებული მეფის აგენტების საიდუმლო მიწერ-მოწერიდან.

გრენის თავი ბრძოლის ველზე წარმოუდგენია, საღაც ოდნავ დაგვიახება „სიკვდილის თანაზიარია“. „ალფაბეტის უქონლობა— წერს ის ერთ-ერთი წერილში იანოვსკის-ერთადერთი უბედურებაა, როგორც მოგეხსენებათ, მეგრელებისა.“ მრავალი პირი ნეიტრალურ მდგომარეობაშია, და ხედავს—რა, რომ მთავრობას სძინავს. ქართველები კი მათ აშკარად თავის ალფაბეტს სთავაზობენ, როგორც გამოვარკვიე, მეგრულისათვის ყოვლად უვარგისს, ერთი ორიოდე თვის შემდეგ გადავლენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში; ამ პირთა შორის კი მრავალი საკმაოდ გავლენიანია სამეგრელოში. ამას ის უნდა დავურთოთ, რომ ღვთისმსახურება ქართულად სწარმოებს და ბევრი მეგრელი უკვე შეეჩინა ამ ასოებით წერას“.

<sup>1</sup> იხ. საქმე 1746, ფ. 44, 48.

<sup>2</sup> იხ. საქმე № 1746, ფ. 24, 25.

გრენმა მალე დაინახა, რომ ისინი, ვინც მას „ნეიტრალურ“ მდგომარეობაში მიაჩნდა, მის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა, რაღან ამ პირზეს არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ, თუ რა ღვარძლო-სა და შურის თესლს სთესდა ეს „მეცნიერი“ სამეცნიეროში ქარ-თველთა შორის. ამის შემდეგ გრენი ლანძლვა-გინებით ავსებს მეგ-რელებს და სხვადასხვა ეპიტეტებით ამკობს მათ.

„ერთია ცუდი; რომ მეგრელები ისეთი ხალხია, რომელსაც მეტად მცირე წარმოდგენა აქვს პატიოსნებაზე“<sup>1</sup>.

„... მე გადავწყვიტე მეჩვენებია მეგრელი შეუფერავად, რო- გორიც ის არის, ბინძური და ველური, კეთილდ და ეშმაკი...“

„... მეგრელის თვისებაა არ დაიძრეს აღგილიდან, სანამ ძალით არ აძულებენ... მეგრელი ხალხი საჭიროებს ძალის დატანებას, დაუძალებლად კი ის ისეთივე მძინარა რჩება, როგორც ეხლა“<sup>2</sup>.

გრენს მალე შემოცალნენ და თანამშრომელნი. ასეთ წამემარედ ის სთვლიდა მასწავლებელს გაბისონიას, რომ- ლის. შესახებ გრენი 1886 წ. 30- აგვისტოს მოხსენებაში სწერდა- მზრუნველს, რომ ის ჩვენი თანამგრძნობიაო, რისთვისაც მას- იანოვსკი აქებდა და სათანადო ჯილდოს პირდებოდა. ხოლო იმავე წლის 11 ნოემბრის მოხსენებაში გრენი ატყობინებს მზრუნველს: „ჩემმა თარჯიმანმა ბ. გაბისონიამ დღიდან თქვენი ქალალდის მისკ- ლისა უფრო იშვიათად იწყო სიარული და ბოლოს სულ შეწყ- ვიტა; მეორე თარჯიმანმა ბ. დავითიამაც გააიშვიათა ჩემთან მო- სვლა“. ამ უბედურების მიხესალ გრენი იონა მეუნარვიას შახე- ლებს:

„ჩემს პირველ მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რომ აქ ცხოვ- რობს ქართველი პარტიის ეჭთი ქართველი ლიტერატორი ბ. მი- ონარვია; დასახლდა ის ერთი თვის წინად თავის მამულში ცე- იშში; იქ, საღაც აშორთიაა. რომ ის აქ მიზნით არის ჩამოსული-- ნათელია იმით, რომ ადრე ის ტფილისში იყო ატუზული; ახლა კი უეცრად სამეცნიეროში გაჩნდა და ტფილისშიც კი რმგზავრა თა- ვად ჭავჭავაძესთან რაღაც განსაკუთრებული მიზნით“. ამის შედე- გად თვლის გრენი თავის თანამშრომლების ჩამოშორებას.

გარდა ანბანის შემუშავებისა და მეგრული ენის სახელმძღვა- ნელოს შედგენისა, გრენი ფოლკლორულ მასალას აგროვებდა.

გრენი ლოცვებისა და საღვთო წერილის თარგმნასაც შეუდგა- მეგრულს ენაზე, რომ ამით სამეცნიეროს არა მარტო სკოლები-

<sup>1</sup> იხ. ივივე საქე (1746) ფ. ფ. 44, 48.

<sup>2</sup> იხ. საქ. № 1746. ფ. ფ. 36, 38. 55.

დან, არამედ უკლესი დანაც განედევნა ქართული ენა. გრენი შორს იცქირებოდა: სახარების თარგმნისათვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას ფიქრობდა: „იქიდან (სახარებიდან) — წერს ის მზრუნველს ერთ-ერთ მოხსენებაში — სამი პირველი თავი მათესაგან უკვე თარგმნილია ჩემს მიერ და დავურთავ ნოემბრის ანგარიშს; თუ ინებებით პროფ. ხვოლსონის საშუალებით ვაცნობებ ლონდონის ევანგელიურ საზოგადოებას“. მაგრამ მალე გრენი იძულებული შეიქნა ეცნობებია მზრუნველისათვის: „რაც შეეხება ლოცვებს, მეგრელები მას უხალისოთ თარგმნიანო“<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ გრენს თავისი ანბანის დაბეჭდა დაეჩქარებინა, ის არ მოერიდა იშვილბაზობასაც; ერთ-ერთ მოხსენებაში ის წერს იანოვსკის:

„... ამას წინად ხალხში ასეთი გაღმოცემა ან ამბავი გავრცელდა; ერთ მემამულეს თაბაკოლისა თუ თაბაკონის მთის მახლობლად ასწლიანი მოხუცი აღმსრდელი ჰყავდა. ივლისში, სწორედ მაშინ, როდესაც მე თქვენთან ბორჯომში ვიყავი, გამოცხადდა ის მასთან და ეუბნება, რომ ბავშვობისას მას მოუსმენია, რომ ეკლესიაში ერთმა ეშმაკეულმა (бесноватый) იშინასწარმეტყველა 1886 წელს მეგრული ანბანის გაჩენა და ის, ვანც მსმენელთაგან ამ დრომდის იცოცხლებს, სამი თვის შემდეგ მოკვდებაო და მართლაც, ცოტახნის წინად მოხუცი გარდაიცვალა: ეს ამბავი შეიძლება მშევნიერად იქნას გამოყენებული ხალხის ცრუმორწმუნების გამო, რომ ალფაბეტი საბოლოოდ იყოს ნებადართული“<sup>2</sup>.

ჩენ, რასაკვირველია, არ მიუაქცევდით ყურადღებას გრენის ამ გაიძვერობას (გრენს შეეძლო ყოფილიყო იშვილბაზიც, ოინბაზიც, გაიძვერა და მლიქვნებიც), რომ ის არ ყოფილიყო აღჭურვილი მეცნიერული მანდატით ისეთი დაწესებულებისა, როგორიც იყო მეცნიერებათ აკადემია, და მოვლინებული ისეთი პასუხისმგებელი პირისაგან, როგორიც იყო იმიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. ვიმეორებ, გრენმა მალე იგრძნო სამეგრელოში თავი გარიყულად; ის ამას არ მალავს: „აქლა აქ ორი პარტია: პარტია ქართველების და პარტია აშორთიელების“. „აშორთიას პარტია — აღნიშნავს გრენი, უფრო მტრულადაა განწყობილი ჩემდამი, ვიდრე ქართველებისათ“.

„როგორც გავიგე, მეგრელებს შორის აზრი დაიბადა ნუ შეიძრცვენენ უცხოელისაგან თავს, როგორც ეს მათ ეჩვენებათ“.

<sup>1</sup> საქ. № 1746, ფ. 44, 48.

<sup>2</sup> ის. იგივე საქმე.

გრენსა და აშორლიას შორის ასეთი მტრული განწყობილების მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ, რასაკვირველია, არა საზოგადოებრივ, არამედ პირად ინტერესებში. როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, მეგრული ანბანის ავტორად, სამეგრელოს „ეროვნულ“ მოსარჩევე აშორლია დიღი ხანია ოვლიდა თავს. მას მეგრული ლიტერატურული საზოგადოების დარსებაც კი განუზრახავს და დახმარებისა და მფარველობისათვის პრინცესა მიურატისათვის მიუმართავს, რომელიც დაუყოვნებლივ ტფილისში ჩამოსულა და დაბრუნებულს აშორლიასათვის უარი განუცხადებია.

აშორლიას მეგრული ანბანი, გრენის ანბანის მსგავსად, რუსული იყო არსებითად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ჰქონდა მფარველებს იანოვსკი-ლევიტსკის სახით და არც მათ აგენტად გამოდგებოდა.

გრენი და აშორლია ედავებოდენ ერთმანეთს მეგრულში ამათუიმ ბგერების არსებობისა და, მაშასადამე, მათი აღმნიშვნელი ნიშნების საჭიროების შესახებ. არსებითად კი ამ დავას, როგორც ზემოდ აღვნიშნე, პირადი მოსაზრებანი ედვა საფუძვლად. ორივე ცდილობდა თავიანთი ანბანის გავრცელებას. იანოვსკი-ლევიტსკი კარგად სედავდენ, რომ აშორლია—გრენის უთანხმოება ზიანს მოუტანდა მათ საქმეს. და ამიტომ მათ შეთანხმებას ცდილობდენ. „შეთანხმება შეხელულებებში და ერთობა მუშაობაში მათ შორის უაღრესად სასურველია“ — წერდა ლევიტსკი იანოვსკის. ლევიტსკი ამ ორ ანბანში უპირატესობას აშორლიას აძლევდა, მაგრამ ცდილობდა ორივენი დათმობაზე წაეყვანა და შეთანხმებინა.

როგორც სათანადო მიწერ-მოწერილან ჩანს, მეცნიერებათა აკადემიას გრენის მიერ შეგროვილი მასალები გადაუცია განსაზღიულებად აკადემიკოს რაღლოვისა და აღიუნკტ ზალემანისათვის, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი „Допесение по вопросу о составлении практическим азбукам и магр. из.“ აკადემიის ისტორ.—ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე.<sup>1</sup>

1887 წლის 17 მაისის თარიღით მზრუნველი იანოვსკი წერს ქუთაის. სას. სკოლების დირექტორს ლევიტსკის, რომ მის მიერ აკადემიიდან მიღებულია აკადემიკოსების რაღლოვისა და ზალემანის მიერ შედგენილი და ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების მიერ განხილული მეგრული ანბანი. ამჟამად აკადემია ამ-

<sup>1</sup> იხ. საქ. № 1746, ფ. 79.

დან, არამედ ეკლესიიდანაც განედევნა ქართული ენა. გრენი შორს იცქირებოდა: სახარების თარგმნისათვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას ფიქრობდა: „იქიდან (სახარებიდან) — წერს ის მზრუნველს ერთ-ერთ მოხსენებაში — სამი პირველი თავი მათესაგან უკვე თარგმნილია ჩემს მიერ და დავურთავ ნოემბრის ანგარიშს; თუ ინებებით პროფ. ხვოლსონის საშუალებით ვაცნობებ ლონდონის ევანგელიურ საზოგადოებას“. მაგრამ მალე გრენი იძულებული შეიქნა ეცნობებია მზრუნველისათვის: „რაც შეეხება ლოცვებს, მეგრელები მას უხალისოთ თარგმნიანო“<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ გრენს თავისი ანბანის დაბეჭდა დაეჩქარებინა, ის არ მოერიდა იშკილბაზობასაც; ერთ-ერთ მოხსენებაში ის წერს იანოვსკის:

„... ამას წინად ხალხში ასეთი გაღმოცემა: ან ამბავი გავრცელდა; ერთ მემამულეს თაბაკოლისა თუ თაბაკონის მთის მახლობლად ასწლიანი მოხუცი აღმზრდელი ჰყავდა. ივლისში, სწორედ მაშინ, როდესაც მე თქვენთან ბორჯომში ვიყავი, გამოცხადდა ის მასთან და ეუბნება, რომ ბავშვობისას მას მოუსმენია, რომ ეკლესიაში ერთმა ეშმაკეულმა (бесноватый). იშინასწარმეტყველა 1886 წელს მეგრული ანბანის გაჩენა და ის, ვინც მსმენელთაგან ამ დრომდის იცოცხლებს, სამი თვის შემდეგ მოკვდებაო და მართლაც, ცოტახნის წინად მოხუცი გარდაიცვალა: ეს ამბავი შეიძლება მშევნეორად იქნას გამოყენებული ხალხის ცრუმორწმუნოების გამო, რომ ალფაბეტი საბოლოოდ იყოს ნებადართული“<sup>2</sup>.

ჩვენ, რასაკვირველია, არ მივაქცევდით ყურადღებას გრენის ამ გაიძვერობას (გრენს შეეძლო ყოფილიყო იშკილბაზიც, ოინბაზიც, გაიძვერა და მლიქვნელიც), რომ ის არ ყოფილიყო აღჭურვალი მეცნიერული მანდატით ისეთი დაწესებულებისა, როგორიც იყო მეცნიერებათა აკადემია, და მოვლინებული ისეთი პასუხისმგებელი პირისაგან, როგორიც იყო ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. ვიმეორებ, გრენმა მალე იგრძნო სამეგრელოში თავი გარიყულად; ის ამას არ მაღავს: „ახლა აქ ორი პარტია: პარტია ქართველების და პარტია აშორთიელების“. „აშორთიას პარტია — აღნიშნავს გრენი, უფრო მტრულადა განწყობილი ჩემდამი, ვიდრე ქართველებისაო.“

„როგორც გავიგე, მეგრელებს შორის აზრი დაიბადა ნუ შეირცხვენენ უცხოელისაგან თავს, როგორც ეს მათ ეჩვენებათ“.

<sup>1</sup> საქ. № 1746, ფ. 44, 48.

<sup>2</sup> იხ. იგივე საქმე.

გრენსა და აშორდიას შორის ასეთი მტრული განწყობილებიც შიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ, რასაკვირველია, არა საზოგადოებრივ, არამედ პირად ინტერესებში. როგორც ზემოდ ავლიშნეთ, მეგრული ანბანის ავტორად, სამეგრელოს „ეროვნულ“ მოსარჩევდ აშორდია დიდი ხანია თვლიდა თავს. მას მეგრული ლიტერატურული საზოგადოების დაარსებაც კი განუზრახავს და დახმარებისა და მფარველობისათვის პრინცესა მიურატისათვის მიუმართავს, რომელიც დაუყოვნებლივ ტფილისში ჩამოსულა და დაბრუნებულს აშორდიასათვის უარი განუცხადებია.

აშორდიას მეგრული ანბანი, გრენის ანბანის მსგავსად, რუსული იყო არსებითად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ჰპოებდა მფარველებს იანოვსკი-ლევიტსკის სახით და არც მათ აგენტად გამოდგებოდა.

გრენი და აშორდია ედავებოდენ ერთმანეთს მეგრულში ამათუიშ ბგერების არსებობისა და, მაშასადამე, მათი აღმნიშვნელი ნიშნების საჭიროების შესახებ. არსებითად კი ამ დავას, როგორც ზემოდ აღვნიშნე, პირადი მოსაზრებანი ედვა საფუძვლად. ორივე ცდილობდა თავიანთი ანბანის გავრცელებას. იანოვსკი-ლევიტსკი კარგად ხედავდენ, რომ აშორდია—გრენის უთანხმოება ზიანს მოუტანდა მათ საქმეს და ამიტომ მათ შეთანხმებას ცდილობდენ. „შეთანხმება შეხედულებებში და ერთობა მუშაობაში მათ შორის უაღრესად სასურველია“ — წერდა ლევიტსკი იანოვსკის. ლევიტსკი ამ ორ ანბანში უპირატესობას აშორდიას აძლევდა, მაგრამ ცდილობდა ორივენი დათმობაზე წაეყვანა და შეეთანხმებინა.

როგორც სათანადო მიწერ-მოწერილან ჩანს, მეცნიერებათა აკადემიას გრენის მიერ შეგროვილი მასალები გადაუცია განსაზილველად აკადემიკოს რადლოვისა და აღიუნკტ ზალემანისათვის, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი „Допесение по вопросу о составлении практической азбуки мингр. яз.“ აკადემიის ისტორ.—ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე.<sup>1</sup>

1887 წლის 17 მაისის თარიღით მზრუნველი იანოვსკი წერს ქუთაის. სახ. სკოლების დირექტორს ლევიტსკის, რომ მის მიერ აკადემიიდან მიღებულია აკადემიკოსების რადლოვისა და ზალემანის მიერ შედგენილი და ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების მიერ განხილული მეგრული ანბანი. ამჟამად აკადემია ამ-

<sup>1</sup> იხ. საქ. № 1746, ფ. 79.

ზაღებს შრიფტს მეგრული ანბანის დასაბეჭდად; მანამდის კი გააცანით მასწავლებლებს ამასთანავე თანდართული ანბანის ხელთნაწერი ნიმუშით.<sup>1</sup>

ამრიგად საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში დაამზადა მეგრული ანბანი.

ჩემს ამოცანას ამჟამად არ შეადგენს საკითხის გამორკვევა, თუ როგორ წარიმართა მეგრული სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე 90-ან წლებში. ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში სახელმძღვანელო მეგრულს ენაზე არ დაბეჭდილა; 1889 წლს ლევიცკი სწერს თავის მოხსენებაში: მშობლიური ენის შესწავლა სამეგრელოს სკოლებში სწარმოებს ფრაზებითა და პატარა მოთხრობებით, რომელსაც მასწავლებლები ადგენენ და კლასის დაფაზე სწერენო.<sup>2</sup>

ქუთაისის დირექცია კმაყოფილებით აღიარებდა სასწავლო საქმის გაუმჯობესებას სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის განლევნის შემდეგ. 1887 წლის მარტში სკოლების ინსპექტორმა პერევოზნიკოვმა შემოიარა ზუგდიდის გაზრის სკოლები და მოხსენებაში აღნიშნა:

„სწავლის საქმე ამჟამად ჩემს მიერ დათვალიერებულ ზუგდიდის გაზრის სოფლის სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; სასწავლო საგნებს ბავშვები შეგნებულად, ითვისებენ იმიტომ, რომ მისი აღმატებულების ბ. კავკ. ოლქის მზრუნველის ცირკულარული მოწერილობის შემდეგ სამეგრელოს სკოლებში სწავლების ენის შესახებ საკლასო ახსნა მიმდინარეობს მეგრულზე და უფროს კლასებში რუსულ ენაზე, და არა ქართულზე. გარდა ამისა ბავშვები წარმატებით სწავლობენ რუსულ ენას იმიტომ, რომ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ მეტი დრო მოანდომონ ამ საგნის სწავლებას მას შემდეგ, რა რომ ქუთაისის გუბერნიის სახელხო სკოლათა ღირექტორის განკარგულებით ქართული ენის სწავლებისათვის კვირაში 2—3 საათის განკუთვნილი და ამ საგნის სწავლება მეორე წლიდან იწყებათ“<sup>3</sup>.

ლევიტსკი წერდა იანოვსკის 1890 წ. ფოთის საქალაქო სკოლის რევიზიის შედეგად: „ოლქიდან გამოგზავნილი ზღაპართა კრებული, ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეთა მიერ ჩაწერილი და

<sup>1</sup> იბ. საქ. № 1723, ფ. -23.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ., სერია ვ, საქ. № 5404, ფ. 40.

<sup>3</sup> იბ. ც. არქ., სერია ვ, საქ. № 2093.

მასწავლებლის პეტროვის მიერ ვასინჯული, არა სავსებით გამო-  
სადეგია „ჟკოლებშით“. <sup>1</sup> ეს სახელმძღვანელოდ არ ჩაითვლება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სამეგრელოს სკოლებში ქართუ-  
ლი ენა დასტოვა მზრუნველმა როგორც დამსმარე სალვოო სჭუ-  
ლისა და ლოცვების შესასწავლად. ამრიგად, ქართული ენა გან-  
დევნა მთავრობამ სამეგრელოს სკოლებიდან, მაგრამ სახელმძღვა-  
ნელოების უქონლობის გამო მეგრულიც არ გამხდარა სწავლებ. ს  
ენად. მეგრულად წოდებული რუსული ასოების შესწავლისა და  
შასზე ორიოდე მეგრული ფრაზის შედგენის შემდეგ, ბავშვებში  
პირდაპირ რუსული ენის შესწავლას აწყებინებდენ.

ახლა უნდა შევეხოთ საკითხს, როგორ გამოეხმაურა 80-იან  
წლებში სამეგრელოში და მის გარეშე ქართველი ხალხის სხვადა-  
სხვა ფენები ქართული ენის განდევნასა და „მეგრული ანბანის“  
შემოლებას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განდევნას  
სამეგრელოს სკოლებიდან აშკარა და ფარული წინააღმდეგო-  
ბა გაუწია თვით სამეგრელოს მასწავლებლობამ, რომელთა წინა  
აღმდეგ იანოვსკი—ლევიტსკი სასტიკ ზომებს მიმართავდენ. დამ-  
სახურებული მასწავლებელი ერმილე შარაშიძე, რომელიც იმ  
დროს ზუგდიდის მაზრაში მასწავლებლობდა, წერს, ჩემს შეკითხ-  
ვანე: „იანოვსკის მიერ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის  
აკრძალვის მიუნედავად, თანახმად ხალხის სურვილისა, ყველა  
ვარგისი მასწავლებელი განაგრძობდა ქართულის სწავლებას, მხო-  
ლოდ არა პრეარად“.

„ვლადიმერ გაგუას და ერმილე შარაშიძის გამბედაობით და  
მეოხებით მათ სკოლებში სამეგრელოში ყველგან ისწავლებოდა  
ქართული ენა, ყველა ნახავდით მოსწავლეთა ბოსტებში „დედა-  
ენას“ და „ბუნების კარსა“. <sup>2</sup>

ინსპექტორმა ეს იცოდენ და მოწაფეებს საწიგნეს უსინჯავ-  
დენ სკოლების შემოწმების დროს.

— სამეგრელოს ზოგი მასწავლებელი რომ ფარულად ასწავლიდა  
ქსრათულ ენას, ამას ჩვენ ოფიციალური მიწერ-მოწერიდანაც ვხე-  
დავთ. ლევიტსკი ატყობინებს მზრუნველს:

— „ინსპექტორმა პეტევოზნიკოვმა მაცნობა, რომ ტყემალაძე ფა-  
რულად ასწავლის ქართულ ენასო“.

<sup>1</sup> იბ. საქ. № 114, სერია ბ.

<sup>2</sup> იბ. უფრნალი „განათლების მუშავი“, 1928 წ., № 12.

ქვათანიც სკოლის მასწავლებელმა ტყემაღლაძემ — ჭერს ამავე შოთა. ლევიტსკი, — მთხოვა ნება მიმეტა მისთვის ესწავლებინა სკოლაში ქართული ენა. მაგრამ მე უარი განუცხადე ამ თხოვნაზე, რადგან ბავშვებს უკვე შეუძლიათ ლოცვების ქართულად თაწიგმა, და, მაშასადამე, აჩ არის საჭირო დაიკარგოს ღრო ქართული ჭერა-კითხვის „შესწავლაზეო“<sup>1</sup>.

ურა მასწავლებლების წინააღმდეგ დირექცია რეპრესიებს მიჲ შართავდა: მასწავლებელი ჯულელი ერთი წლის განმავლობაში სრულიად უადგილოდ იყო დატოვებული და თვით ლევიტსკის აზრით საკმაოდ იყო დასჭილი ურჩობისათვის.

ინსპექტორმა პერევოზნიკოვმა სახალხო სკოლების დირექტორს ლევიტსკის დასათხოვად წარუდგინა მარინის სკოლის მასწავლებელი კაპანაქე და ილორის სკოლის მასწავლებელი ჯაში „Загрузинский филиал“ პერევოზნიკოვი ახუთის სკოლის მოწაფეთა ჩემორჩენილობას წარმატებაში იმით ხსნის, რომ მასწავლებელა დამიტრი ბერულავა არ ასრულებდა მზრუნველისა და დირექტორის. ცირკულარებს სწავლების ენის შესახებ, ქართული ენის სწავლებას პირველ განყოფილებიდან იწყებდა და თითო განყოფილებაში ექვს-ექვს კვირეულ გაკვეთილს ნიშნავდათ: ბერულავას საყვედური გამოეცხადა და დათხოვნით დაემუქრნენ, თუ შემდეგაც ამაში შენიშნული იქნებოდა<sup>2</sup>.

მოყვანილი მასალა საქმაო სურათს იძლევა იმის დასანახავად, რომ მიუხედავად მუქარისა და რეპრესიებისა, მიუხედავად საარსებო წყაროს დაკარგის შესაძლებლობისა, სამეგრელოს სახალხო მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილი, მეგრელები და არა მეგრელები თავდადებით ებრძოდენ ყოვლად შემძლე იანოვსკი-ლევიცკის, რადგან ხედავდენ, რომ მათი შენიღბული პოლიტიკა მიმართული იყო არა მეგრელთა კეთილდღეობისაკენ, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული განადგურებისა და კულტურის აღმოფხვრისაკენ.

მაგრამ ჩვენ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ყველა მასწავლებელი ასეთი თავგამოდებული მებრძოლი იყო ქართული ენისა და კულტურის დასაცავად. ბევრნი იყვნენ მოხელეებიც, ცარიზმის ყურმოჭრილი მონები, იანოვსკისა და ლევიცკის ცირკულარების ბრძად თუ ხილულად გამტარებელნი.

<sup>1</sup> იქვე, ფ. 102.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სტრი. გ, საჭ. № 2093, ფ. 10.

„თქვენს სკოლაში ქართულის სწავლება გაქვთ... შევეყიდოთ  
ტალორის სკოლის გამგეს — იწერება მასწავლებელი გიორგი ბო-  
კერია „— **Ни единого слова по грузинский**“ — მომიგო მან ამა-  
ყად და მეღდიდურიად”.

მეგრული და აფხაზური სკოლების გარუსების საქმეში დიდ-  
დაწმორებას უწევდა კავკასიის სასწავლო ოლქს სოხუმის მთი-  
ელთა სკოლის გამგე კონსტ. მაჭავარიანი, შვილი იმ დეკანოზ ზა-  
ვიდარიანისა, რომელმაც, როგორც ზემოდ გვერდა მოხსენებუ-  
ლი, სთარგმნა სახარება მეგრულ ენაზე. შვილიც მამის წამოწყე-  
ბული გზით განაგრძობდა სკოლას. ერთხანს ორ სკამზე იჯდა —  
ქართულ უურნალ განეთებში წერილებს ათავსებდა ქართველი  
შოლვაწის სახელის დასამსახურებლად, სინამდვილეში კი იანვე-  
კის აფხაზეთ-სამურჩაყანოში ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელ  
პროექტებს უგზავნიდა. ჯერ კიდევ 1884 წლის დასაწყისში ის  
მოასენებდა მზრუნველს: „მე ვფიქრობ, რომ აფხაზები და სა-  
მურჩაყანოლები მხოლოდ მაშინ გამოვლენ ქრისტიანული ცივილი-  
ზაციის გზაზე, როდესაც უველა ეკლესიაში ღვთის მსახურება მათ  
უშობლიურ ენაზე იწარმოებს, სკოლაში კი უპირატესობა რუსულ-  
სა და მშობლიურის მიეცემა“. ამას მზრუნველი არეზე წარწერით  
უდასტურებს: „**Справедливо**“.

„უნდა ითქვას — განაგრძობს მაჭავარიანი — რომ სამურჩაყანოე-  
ლების (36.000 მეტია ორივე სქესისა) უპირატესი ენა მეგრულია და  
ნაწილობრივ ქართული და აფხაზური. აფხაზები კი (20.000 მეტია  
ორივე სქესისა) წმინდა აფხაზური კილოთი ლაპარაკობენ, მაშასა-  
დაშე, სამურჩაყანოს სკოლებში სწავლება მეგრულსა და რუსულ  
ენებზე უნდა მიმღინახეობდეს, აფხაზურში კი — აფხაზურსა და  
აგრეთვე რუსულ ენებზე. ამათუმ მშობლიური ენის შესასწავ-  
ლად საჭარო იქნება სახელმძღვანელოების შედგენა, მაგრამ ეს  
დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამგვარადვე შეიძლება რუსული  
ენიდან ადგილობრივ ენებზე უველა ლოცვები გადაითარგმნოს“<sup>1</sup>.

კონსტანტინე მაჭავარიანის მოხსენებიდან ჩვენ არ დავინახავ-  
დით საჭირო ამონაწერის მოყვანას, რომ ერთ გარემოებას არ  
მიეპყრო ჩვენი უურადლება, სახელდობრი: გაქნილმა და ორპირმა  
მეფის მოწელემ წინასწარ განსჭვრიტა ამ საკითხის წამოყენება,  
რომელიც უსათუოდ მანამდისაც აფიქრებდა იანვეკი-ლევიც-

<sup>1</sup> იბ. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1238, ფ. 10—11.

კის, მაგრამ ამ მიზნის განხორციელების დაწყებას ისინი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ პირობდენ.

სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განვითარებას და რუსული ტარული პოლიტიკის თვალმაჯურად გატარებას ქართველი ხალხის ყველა ფენა გამოეხმაურა ასე თუ ისე, როგორც სამეგრელოში, ისე მთელს საქართველოში. როგორც ქვემოდ დავინახავთ, სასწავლო უწყება ცდილობდა (და თვით გრენიც) სამეგრელოში ქართული ენის დამცველად მხოლოდ თავადაზნაურობა წარმოედგინა, თუმცა იმავე პირთა ოფიციალურ მიწერ-მოწერილან ვხედავთ, რომ თავადაზნაურთა შორისაც ყოფილან გულშრელად თუ ფარისევლურად აშორდია—გრენის მომხრენი. მაგალათად, ლევიცი მოახსენებს მზრუნველს იანოვსკის:

„ბ. პერევოზნიკოვის ზუგდიდში ყოფილისას შეიკრიბა ოთხმოცამდე აზნაური, რომელთაც უნდოდათ შეეღგინათ განჩინება და ეთხოვათ უმაღლესი მთავრობისათვის აშორდიას შეღგენილი მეგრული ალფაბეტის. სკოლებში შემოღება და მოსახლეობაში გავრცელება, მაგრამ ბ. პერევოზნიკოვმა შეაჩერებია მათ ასეთი განჩინების შედგენაო“<sup>1</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ის ნაწილი იყო თავადაზნაურობისა, რომელიც თვალებში შესცემოდა ხელისუფლებას და მის უმცირეს მოხელეებსაც კი იმის მისახვერდად და დროზე შესასრულებლად, რაც მათ (მოხელეებს) ესიამოვნებოდათ.

ასე იქცეოდა ამ საკითხში სამეგრელოს სამღვდელოებაც, განსაკუთრებით მისი ზედა ფენა. ამის ნათელ საბუთს გვაძლევს ხონის სემინარიის მასწავლებლის პეტროვის პატაკი იშავე სემინარიის დირექტორის სახელში 1888 წლის მარტში, საიდანაც სჩანს, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი და მის გარშემი ლარაზმული სამეგრელოს სამღვდელოების ზედაფენა არა თუ თანაუგრძნობდა ლვთის მსახურების მეტრულ ენაზე შესრულებას, არა მედ მონაწილეობას იღებდა ხალვთო წერილის თარგმაშიც.<sup>2</sup>

ამ საკითხის შესახებ მზრუნველი აცნობებს ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორს, რომ უქზარხოსი სავსებით თანაუგრძნობის, იწონებს და ლოცავს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის წამოწყებას, მიმართულ მეგრელთა სულიერ განათლებისაკენო.

აღნავ ამ „წმინდა მამების“ მოღვაწეობის შედეგი იყო გაწ.

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ზ. 107, საქ. № 1723.

<sup>2</sup> იბ. ც. არქ. ზ. 107, სერია გ. საქ. № 2296; ფურ. 23..

„ივერიის“ 1889 წლის № 4-ში მოწინავე ცნობილი უურნალისტის ა. ნა-ლის: „ეხლა სამეგრელოს აღმოჩენია „წმინდა“ მამებიც, ამა ბობს ავტორი, რომლებსაც სრული იმედია. წმინდანებად არ შე-რაცხვენ. ამათ უკისრნიათ საღვთო წერილის თარგმნა მეგრულს ენაზედ... ამ მამათ ოონდ თავიანთ ფარული აზრი საქმედ აქციონ და იმას კი არ დაეძებენ, რომ ერის ჩელიგიურ გრძნობას შელა-ზავენ და შებლალავენ... ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდეც გადაიღო მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდე-ხაც ეკლესიაში გაისმა „პევიანურო-გეწიმოღირთიო“ ხალხმა იგ-რიალა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიდან“. ავტორი ერთი მეგრელის წერილის საფუძველზე დასკვნის, რომ ეს თარ-გმანიც ყოვლად უვარგისია, ადამიანის სარწმუნოებრივი გრძნო-ბების შემლახავი („წმინდაო“ ნეთარგმნია—„ტატალი“, რაც ნიშ-ნავს „ზიზია“, „ცაცა“).

ზემომოყვანილი ცნობები სავსებით აბათილებს იმ მოსაზრე-ბას, თითქოს ქართული ენის დამცველად სამეგრელოში საზოგა-დოების მხოლოდ ზედათენები—თავადაზნაურობა და სამღვდე-ლოება გამოღიოდა. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ ქართული ენის მოსარჩევედ გამოვიდენ როგორც მეგრელი გლეხები, ისე სა-მეგრელოს ახლად ფეხაღმული სავარრო ბურჯუაზია<sup>7</sup>.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მწვავე ხასიათი მიუღია სამეგ-რელოში ბრძოლას აღნიშნული საკოთხის გარშემო, არ იქნება ზედმეტი თვით თაღა აშორდიას მიერ მზრუნველისაღმი კონ-ფიდენციალურად გაგზავნილ პატაკს მივმართოთ, პატაკს, რომე-ლიც იმდენად საინტერესოა, რომ ღირს მისი მოყვანა. სრულად.

#### საიდ. № 41. კონფიდ.

მის აღმატებულებას ბ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.

სოფ. ცაიშის სკოლის მასწავლებლის თადეოზ აშორდიას  
პატაკი.

ერთხელ სენაკის სააზნაურო სასწავლებლის ერთმა მასწავლე-ბი შედგნა. მომმართა კითხვით, რომლის შესახებ მე უნდა მეპასუნა, რამ ეს მისი საქმე არ არის და დე, გაჩუმდეს.

უკმაყოფილო ასეთი პასუხით, რამდენიმე პირის თანადასწრე-

<sup>7</sup> 1889 წ. 18 აპრილს დაბა ახალსენაკში სამეგრელოს სამღვდელოებას უარ- უდვია ახლად თარგმნილი მეგრულ ენაზე საღვთო წერილი და განაჩენიც შე- უდგენია, რომ მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემთხვება მწვალებლობას გამო- იწვევს ხალხში. (იხ. „ივერია“. 1889 წ., № 89).

ბით შითხრა, რომ ამ საქმის შესახებ მან მეტი იცის ვიდრე შე ვიცი, და რომ მე ამისათვის მწარედ მომწვდება. როდესაც მე ვკითხე, თუ რა იცის მან, რამდენიმე მოწმესთან აშკარად გრძასუსა, რომ მათთან, ე. ი. სენაკის საზნაურო სკოლაში თითქმის ყოველდღიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, რლია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, და სხვანი და სწყვეტენ საკითხს, თუ როგორ აჯანყონ ხალხი 1884 წლის (უნდა იყოს 1885 წ. ტ. ხ.) 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგ სამეგრელოს სასოფლო სკოლების შესახებ. ჩვენი თავადების აზნაურების და სამეგრელოში სხვა მოსამსახურე ქართველების მოძრაობაზე დაკვირვებაშ (დამანახვა ტ. ხ.) რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, და ამასთანავე ძნელია მათი საიდუმლოების გავება, თუ სად და როგორ მოქმედებენ. პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას მხოლოდ ის შეხლა-შემოხლა, რომელიც მე უნებლიერ მათგან განვიცადე 1884 წლიდან ამ პრილის თვის 25-მდის, როდესაც ლამის იყო არ გადაწყდა სადაო საკითხი. შარშან მე და ხეთის სოფლის (სკოლის ტ. ხ.) მასწავლებელი პეტრე კამკია ქუთაისის გუბერნიის (სახალხო სკოლების ტ. ხ.) დირექტორის ბრძანებით უნდა გამოვცხადებულიყავით ქალ. ქუთაისში. გზაზე მხვდება მანამდის უცნობი (ჩემთვის ტ. ხ.) პირი თავ. კოწია დალიანი, აჩერებს დელეუანსს და შეურაცყოფას მაყენებს გინებით, აგრეთვე მუქარით, მაგრამ ხედავს, რომ ამხანაგი მიცავს მე, თავს მანებებს, მიწინასწარმეტყველებს მეტად სამწუხარო დასასრულს. იმავ საღამოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებმა შოტყუებით წამიყვანეს ლოგინიდან ახალსენაკის სადგურზე, საღაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ერთმა მათგანშა, ბ. მამფორიამ მე დუელში გამომიწვია. აკაცი წერეთელი მეუბნებოდა დეკანზისა და მისი შვილის იონა მეუნარების თანადასწრებით, რომ სასამართლოს შიში არ ჰქონდეს, მომკლავდა მე და სხვა. ყველა ამას ახლა თავი დავანებოთ და ვნახოთ, თუ როგორ მოქმედებენ ისინი გაზ. „ივერიის“ საშუალებით. ამ წლის იანვრიდან ბრძოლის ველზე პარველი გამოდის სენაკის საზნაურო სკოლის ინსპექტორი ყიფიანი, რომელიც დასკინის მეგრულ ენასა და ხალხს იმისათვის, რომ ის ასე ბრძად დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას ენის შესახებ; თქვენი აღმატებულება როკაპად გამოჰყავს, რომელსაც თავისი გასული წლის ბოროტმოქმედების შესახებ ანგარიშს. უდგენენ ავი სულები, ე. ი. ქუთაისის გუბერნიის (სკოლათა) დირექტორი და ინსპექტორი; გრუნს არ

წყალი, არც ღვინო უწოდა, მე კი ერთი როლი მომცა და საჯაროდ  
სამწუხარო დრამა გაიმართა. ამ წერილს მოჰყვა წერილი თავ. ნი-  
კოლოზ ტარიელისძის დაღიანისა, რომელმაც მისცა ქართველებს  
დიდი ... (გაურკვეველია. ტ. ხ.) მმარხავს მე ცოცხლად. მან, დადი-  
ანია, მეგრელი ხალხის სახელით ჩემს შესახებ შეადგინა ისეთი  
სატარული ლექსი, რომ ბუტიანელია. როდესაც ეს წერილი  
გავრცელდა ხალხში და დიდი ყურადღება მიიპყრო, გამოვიდა  
მეორე წერილი, რომელიც საბოლოოდ აგვირგვინებს პირველს და  
ეუბნება მკითხველს: „აი, ნახეთ ესადას ნომერი, თუ როგორ  
შეაფანა მეგრელმა ხალხმა აშორთია და როგორ უგალობა მას  
სულთათანა, დე ცოლეს მან, რომ ხალხი ცხვრის ფარა არ არის,  
კლდეზე გადაჩეხილს ერთს გათვანს სხვებიც რომ მიჰყვეს და სხვ.

ყველაფერს ამას მე ყურადღებას არ ვაქცევდი, და გულგრი-  
ლად გადამქონდა, მაგრამ ამა აპრილის თვის 25-ს მე მოთმინები-  
დან გამომიყვანა მანამდის ჩემთვის უცნობმა ოზურგეთის მაზრის  
იავდაზნაურთა წინამდლოლმა თავ. ვარლამ ერისთავმა, რომელ-  
საც თავისი მამისა და ცოლის მკვლელად სთვლიან.

ერისთავმა ჩემი სკოლის წინაშე სულელური საქციელი ჩაიდი-  
ნა და ჯერ მაშინ უნდოდა გამოვეყვანე მოთმინებიდან, მაგრამ ვერ  
მოახერხა. აბლა, 25 აპრილს, ზუგდიდის მაზრის უფროსთან ერ-  
თად, რომელთანაც ის სტუმრად იყო ამ დღეს, ჩემს სკოლასთან  
გავლისას შეურაცყოფა მომაყენა ჩემი საზოგადოების ხალხის თა-  
ნადასწრებით. ასე რომ მე იძულებული შევიქენი რევოლუციო-  
ნაშე მივწეულიყავი, რომ ხალხს არ დავეკავებინე.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ასეთუსე ისინი მე ამ-  
საქმის მსხვერპლად გამხდიან, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ-  
თქვენს ალმატებულებას დააჩქაროთ ანბანის ბეჭდვა. მე ამას  
გთხოვთ არა მარტო იმიტომ, რომ მინდა განხორციელებული ვი-  
ხილო იდეა, რომლისთვისაც მე უნდა ვეწამო, არამედ ხალხი  
შეგულიანებული ქართველების მიერ, მოუტმენლად ელის დანახ-  
ვას, მართალია თუ არა რასაც უბნებოდნენ მას, — ქართული  
ანბანი მოსპეს, მეგრული ანბანი არც ყოფილა და არც იქნება,  
არამედ მათი გარუსება უნდათ, — თუ თავის მწერლობას დაინა-  
ხავს, საქმეს სხვა მიმართულებას მისცემს, თორებ ისეთ პირობებ-  
ში როგორც ეხლა, არა მარტო მე, სხვა მრავალნიც დაზარალდე-  
ბიან. ბევრს მასწავლებელს უკვე განუცხადეს, რომ მოერიდონ  
ისინი თავიანთ თავზე ცდების მოწყობას.

1887 წლის 28 აპრილი.

ცაიშის სოფლის სკოლის მასწავლებელი თადეოზ აშორათია.<sup>1)</sup>  
ამ პატაკიდან ბევრი რამ მუღავნდება:

1. რომ ქართველ საზოგადოებას სწორად გაუგია ხელისუფ-  
ლების მიერ სამეგრელოში დაწყებული ავანტურის ჭეშმარიტი  
შიზანი — მეგრელების გარუსება — რაც ვერ გაუგია, ან არ უნ-  
და გაიგოს აშორდიამ.

2. რომ ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს სამეგ-  
რელოს საქმეები ეროვნულ საფრთხედ მიუჩნევია. და სამეგრე-  
ლოს დასაცავად ამოქმედებულან დიმ. ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე,  
აკაკი წერეთელი, ონა მეუნარგია, ნიკო დადიანი და სხვანი.

3. რომ ქართველ საზოგადოებას სამოქმედო ბაზალ გაუხდია  
შენაკის სააზნაურო სკოლა (ამას გრენიც აღნიშნავს) და

4. რომ ბრძოლა ისე გამწვავებულა, რომ ის გასცილებით  
მშვიდობიან და ორგანიზაციულ ფორმებს და ფიზიკურ ძალდატა-  
ნების სფეროშიც შექრილი (აკაკის მუქარა, აშორდიას გალაზვის  
ცდები, სიკვდილით დამუქრება და სხვა).

სამეგრელოში შექმნილი მღვიმარეობის შესახებ უნდა ამოქ-  
რავებულიყო ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. აღსა-  
ნიშნავია, რომ ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველი ხედავდა  
(როგორც ეს გაზ. „დროებას“ ფურცლებიდან ჩანს) იმ ეროვნულ  
საფრთხეს, რომელსაც ცარიზმის წარმომადგენლები უმშადებდენ  
ქართველ ხალხს სამეგრელოს საქართველოდან მოწყვეტით. უნდა  
ითქვას, რომ ცარიზმის აგენტებმა იერიში მიიტანეს მთლიან  
ეროვნულ სხეულად შექმნის გზაზე მდგომ ქართველი ხალხის ყვე-  
ლაზე სუსტ რგოლზე, რადგან ქართველი ტომების ერთ ერად  
შექმნა დაგვიანდა ჩვენში კაპიტალიზმის გვიანი განვითარების  
გამო; ქართველ ტომებში კი ისტორიული მიზეზების გამო ტო-  
მობრივი თავისებურებანი ყველაზე ხანგრძლივად და განსხვავე-  
ბულად მეგრელებმა და სვანებმა შეინარჩუნეს.

არკვევს რა ამხ. სტალინი—ამიერკავკასიისა და საქართველოს  
ჩამორჩენილი ერებისა და ხალხების მდგომარეობას, აღნიშნავს:

„მაგრამ კავკასიაში არის მთელი რიგი ხალხები პრიმიტიული  
კულტურით, განსაკუთრებული ენით, მაგრამ მშობლიურ ლიტერა-  
ტურას მოკლებულნი, ხალხები, რომელიც ამას გარდა გარდამა-  
ვალი არიან, ნაწილობრივ ასიმილირდებიან, ნაწილობრივ ვითარ-  
დებიან“.

<sup>1)</sup> იხ. ც. არქ. ფონ. 107, სერია ვ. საქ. № 1723, ფურ. 15—16.

„ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ზალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაჭიოთ.“

კავკასიის საოლქო ავტონომია სურაედ იმიტომა მისალები, რომ იგი დაგვიანებულ ერებს აბამს საერთო კულტურულ განვითარებაში, იგი ეხმარება მათ --- გამოიჩეულ წვრილ-ნაციონალური კარხაკეტილობის ნაკუჭილან, იგი მიაქანებს მათ წინ და უაღვილებს მათ უმაღლესი კულტურის სიკეთეთა მიწვდენას“<sup>1</sup>.

ჩვენთვის აქ საინტერესოა ამეამად ის, რომ ამს. სტალინი საქართველოში აღნიშნავს დაგვიანებული, ჩამორჩენილი, ასიმილაციის გზაზე მდგომი ხალხების არსებობას, როგორიც არიან მეგრელები, აჭარლები, სვანები, ინგილოები და სხვანი, რომელთაც გზა უნდა გაეხსნას მაღალი კულტურის საერთო კალაპოტისაკენ. ამ მაღალს კულტურას სტალინმა შემდეგში ნათელი და გამოკვეთილი ფორმულირება მისცა: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“.

„მაღალი კულტურის საერთო კალაპოტი“ საბჭოთა საქართველოში ფორმით ქართული ეროვნული კულტურაა, რომელშიც უკელა ქართველ ტომს შეაქვს თავისი ეთნიური თავისებურებანი, ჰოლო შინაარსით ის სოციალისტურია.

ზემოდე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამეცნიეროს ამბებს ასე თუ ისე საქართველოს უკელა ცოცხალი ძალები გამოეხმაურა.. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ძალები ნაკლებად იყო გაერთიანებული რაიმე შძლავრ ორგანიზაციებში. ეს იყო 80-იანი წლები, წლები რუსეთსა და მის კოლონიებში საშინელი რეაქტივისა, როდესაც რუსეთს განაგებდა და მაჯლაჭუნასავით აწვა მას თავზე, ტრაუმვირატი — პობედონოსცევის, ტოლსტოისა და კატკოვის სახით. მუშათა კლასი მაშინ მხოლოდ ფეხს იკიდებდა რუსეთში და მასში კლასობრივი თვითშეგნება ეს-ეს იყო იღვიძებდა. დანარჩენი ფენები საზოგადოებისა ან სიბრძნილით იყვნენ მოცულნი (გლეხობა), ან განართხულნი და ხელფეხ შეკრულნი რეაქციისაგან—წვრილი ბურუუაზია, ლიბერალური ინტელიგენცია.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი საგანმანათლებლო მუშაობას მაშინ ახლადდაარსებული ქ. შ. წ.-კით. გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებით ეწეოდა, რომელსაც ფრთები შეკვე-

<sup>1</sup> სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 51..

ცილი ქონდა უსახსრობისა და უფლებობის გამო. ივივე ინტელიგენცია თავის შეხედულობას საზოგადოებრივ საკითხებზე პერიოდული გამოცემებით გამოხატავდა შეკვეცით, მოკიბულ-მიკიბულად, რადგან 1882 წლის საცენზურო დებულებით მეტად შევიწროვებული იყო პრესა; მაგალითად, ყველა წერილი, რომელიც განათლების საქმეს ეხებოდა, ჯერ საცენზურო კომიტეტის მიერ მზრუნველს ეგზავნებოდა და მისი ვიზის შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა დაბეჭდვა.

სამეგრელოს ამბებს მაშინ არსებული პირობების მიხედვით მხურვალედ გამოეხმაურა ჯერ გაზ. „დროება“ და მისი დახურვის შემდეგ (1885 წ.) გაზ. „ივერია“.

წ. კ. გ. საზოგადოებამ კი ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა — ძველს სენაკში 1884 წელს ქართული სააზნაურო სკოლა გახსნა ოთხგანყოფილებიანი — როგორც ქუთაისის სააზნაურო სკოლის განყოფილება და ის გამოაცხადა მთელი გუბერნიის თავადაზნაურობის კუთვნილებად. ინახავდა მას, ისე როგორც ქუთაისის სააზ. სკოლას, ქუთაისის სააზნაურო საადგილმამულო ბანკი.

ამ სკოლის დაარსების შესახებ მისი პირველი გამგე სამსონ ყიფიანი წერს თავის ბიოგრაფიაში:

„ქუთაისის თავადაზნაურობამ დაადგინა ძველ სენაკში ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის განყოფილების გახსნა იმ მიზნით, რომ სკოლას ბრძოლა გაეწია სამეგრელოში გაჩაღებული ანტი-ქართული მოძრაობისათვის. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, სკოლათა დირექტორი ფ. ჰ. ლევიცკი და „ცნობილი“ აშორდია, მასწავლებელი, საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების პოლიტიკას აწარმოებდენ; სენაკისა და ზუგდიდის სკოლებში ქართულ ენას აღარ ასწავლიდენ; ქუთაისის თავადაზნაურობა საბაკო კრებამ ვერ იშოვა სკოლის გამგე. მაშინ აკაკი წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვანი შეიქრიბენ რედაქტირაში და მთხოვეს მიმელო ამ განყოფილების გამგეობა. დავთანხმდი, რადგან ჩემი გულიც აქეთ მიიწევდა... სკოლის გახსნისას მოვიწვიეთ აზნაურთა მარშალი დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, რ. ერისთავი და სხვა მოღვაწეები. წვეულება ლიდი ზეიმით დასრულდა.“

სხვა რომ არ ყოფილიყო რა, ასეთი აღამიანების სამეგრელოში ჩასვლას და საზეიმო გახსნაზე მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს დიდი გარდატეხა უნდა მოეხდინა აღგილობრივი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში. როგორც ვიცით არა თუ 80-იან წლებ-

ში, არამედ 1905 წლის რევოლუციის შემდეგაც ჩვენს თავაღაზნაურობაში ბევრი იყო გაღავარების მოსურვე, ზავშებს ქართულს რომ არ ასწავლიდნენ და ყოველგვარ ეროვნულს ზიზლითა და სიძულუილით უცქეროდნენ. სამეგრელოში ასეთი პირები, როგორც ამბობს ს. ყიფიანი, გაიძახოდენ: „ჩა დაგიუინიათ ე ქართული სკოლა“, და ამით ისინი იანოვსკი-ლევიცკის წისქვილზე ასხავდნენ წყალს.

სამეგრელოში, საიდანაც ქართული ენა განდევნილი იყო, ქართული სკოლის დაარსება და მის გარშემო ზრუნვა — ფაციფული პატარა მაშტაბის ეროვნულ საქმედ გახდა, რომელმიც ჩაბმულნი იყვნენ აზნაურები, ვაჭრები და ვლეხობის ფენაც, რაღაც სკოლაში განსაზღვრული % -ით გლეხებსაც ღებულობდენ.

სამეგრელოში ქართული სკოლის დაარსებას და მის გარშემო ვამართულ მუშაობას, ცხადია, მეგობრულად ვერ შეხედავდა სახსკოლების დირექტორი ლევიტსკი, რომელსაც ჯერ კიდევ 1354 წლის დეკემბერში გამოთხოული ქონდა მზრუნველისაგან: სამეგრელოს სკოლების უშუალო ჯამგებლობა და ხელმძღვანელობა თავის-თვის, ხოლო ინსპექტორი ქორქივს მიუჩინა იმერეოისა და გურიის სკოლების ზედამხედველობა.

1886 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა სინოდის პროკურორი, სინამდვილეში შეუზღუდველი დიქტატორი რუსეთისა პობედონოსცევი, რომელსაც თან ახლდა სინოდის მმართველი საბლერი. მათ დაათვალიერეს სკოლები თბილისში, ქუთაისში, ბათომში, საღაც პობედონოსცევი ადგილობრივ სკოლას დაპირდა: „საღვთო სჯულის სწავლების გამაუმჯობესებლად მე შევიდები დაგინიშნოთ ინტელიგენტი და (ამასთანავე) რუსი დიაკონიო“<sup>1</sup>.

ეწვიენ ხონს, გარტვილს, აქედან საბლერი მხლებლებით ძვ. სენაკის სკოლას ეწვია, საღაც ის მოწაფეებს ეკითხებოდა მათი ეროვნული ვინაობის შესახებ. ს. ყიფიანი — სკოლის მმართველი გადმოგვცემს, როდესაც საბლერმა შემოსვლისას სკოლის აბრისა მუსული წარწერა წაიკითხა, მომიბრუნდა და მითხრა: „მე მეუბნებოდენ — ეს ქართული პატრიოტული შემოსვლაა, და აქ ფირმა რუსულიაო“. საუბარში ეტყობოდა, რომ მას სკოლის დაარსების მიზანი აინტერესებდათ. ლევიტსკის ის აწუხებდა, განაგრძობს სკოლის

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1774, ფ. 29.

უამგე, რომ ხალხმა მათ მეგრულ სკოლაზე გული აიყარა და ჩვენს-  
შენ ქმნა პირძო“.

ცხადია, იანოვსკი-ლევიცკი ვერ შეურიგდებოდენ სამეგრელო-  
ში ქართული სკოლის არსებობას, სკოლის, რომლის შესახებ გრენი  
მოახსენებდა მზრუნველს, რომ ის „რევოლუციურ შტაბს წარმო-  
ადგენსო“.

ამიტომ სასწავლო უწყებამ 1886 — 7 წლებში განიზრახა აშ  
სკოლიდან, სხვა სკოლების მსგავსად, ქართული ენის განდევნა და  
მეგრულის შემოღება, სინამდვილეში კი სკოლის რუსულ ენაზე გა-  
დაყვანა.

სამეგრელოს თავადაზნაურობის პროგრესიული ნაწილი ამო-  
რავდა და შუამდგომლობა აღძრა მზრუნველის წინაშე სკოლაში  
ქართული ენის დატოვების შესახებ. დასაბუთებული მოხსენება  
წარუდგინა მთავრობას აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნა-  
ურთა საადგილმამულო ბანკის დამარსებელთა საერთო კრებამ და  
ითხოვა დაეტოვებინა სენაკის სკოლაში იგივე სისტემა განათლები-  
სა და სასწავლო ენა, როგორიც იყო ქუთაისის სააზნაურო სკოლის  
მოსამზადებელ ჯგუფებში. დამტკიცებული უმაღლესი მთავრობისა-  
ფან<sup>1</sup>. იანოვსკი-ლევიცკი იძულებული გახდენ დროებით მარჩ  
დათმობაზე წასულიყვენ. არ არის ინტერესს მოკლებული აღნიშ-  
ული საკითხის შესახებ სახალხო სკოლების დირექტორის ლეგიტი-  
კის მოხსენება, მზრუნველისადმი გაგზავნილი:

„...არის მრავალი მევრელი აზნაური, რომელიც თავს ქართვე-  
ლად სთვლის და ცურას, რომ მისი ბავშვები სკოლაში ქართულ  
ენაზე სწავლობდნენ. ნაცნობ მეგრელებისა და ძველი-სენაკის სკო-  
ლის ბავშვთა გამოკითხვიდან მე მივედი დასკვნამდის. რომ სამეგ-  
რელოს თითქმის ყველა აზნაური კითხულობს და სწერს ქართუ-  
ლად, და ბევრი დედა ასწავლის თავის ბავშვს ქართულ ენას სახლ-  
ში, სკოლაში შესვლამდის.

ამ ფაქტების გამო-და აგრეთვე ყურადსალებად იმისა, რომ სა-  
შეეგრელოს თავადაზნაურთა, რომელიც ინახავენ აშ სკოლას, წარ-  
მომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ქართულ ენას სთვლიან თვის  
მშობლიურ ენად და დაადგინეს შუამდგომლობის აღძრა სამოს-  
წავლო უწყების უფროსის წინაშე, რომ ძველი-სენაკის სააზნაურო  
სკოლაში სწავლება წინანდელიდვე ქართულ ენაზე მიმდინარეობ-  
დეს, მე შესაძლებლად და სათანადოთ ვთვლი დატოვებული იქნას

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 4720, ფ. 8.

ამ სკოლაში სწავლების ენად ქართული ენა, სანამ სამეგრელო! თავადაზნაურობა უკეთესად გაიცნობდეს სამეგრელოში დირექტორის-სასოფლო სკოლებში ახლად შემოღებულ მეგრულ წერა-კითხვას და შედარებით ქართულთან მისგან გამომდინარე უპირატესობას, როგორც სამეგრელოში ურთიერთ მიმოწერის, ისე სკოლაში სწავლების დროს.

„მაგრამ, განაგრძობს ლევიტსკი, რაღაც ზოგმა მეგრელმა ბავშვმა, ძვ. სენაკის სკოლაში მოსწავლემ, არ იცის ქართული ენა, მათ-თვის რუსული ენის წარმატებით სწავლებისათვის უნდა შემოღებული იქნას მეგრული ენა, რაც უკვე ვაცნობე სკოლის გამგეს. 1886 წლის 29 სექტემბერს“<sup>1</sup>.

ამ მონსენების საპასუხოდ დირექტორს ოლქიდან შემდეგი განკურგულება მოუვიდა:

„...სასწავლო ოლქის უფროსი ნებას იძლევა ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებრეს კავკასიის ყოფ. უფროსის მიერ 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული სასწავლო გეგმის ზუსტი ხელმძღვანელობით, მაგრამ იმ მეგრელ მოწაფეთათვის, რომლებმაც ქართული ერა ცუდად იციან, სწავლება მეგრულ ენაზე მიმდინარეობდესო“<sup>2</sup>.

ამ მიწერმოწერიდან ჩვენ შემდეგი უნდა დავასკვნათ:

1. რომ იანოვსკი-ლევიცკი, გამარჯუსებელი პოლიტიკის გამტარებელნი სამეგრელოში, იძულებულნი გამხდარან ელიარებიათ, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობა თავს თვლის ქართველად და ქართულ ენას — მშობლიურ ენად.

2. რომ ისინი არა საბოლოოდ, არამედ ღროებით თვლიან შესაძლებლად ქართული ენის დატოვებას ძველი სენაკის სკოლაში, სენამ სამეგრელოს თავადაზნაურობა პრაქტიკულად დაინახავდეს მეგრული ენის უპირატესობას დირექტიის სკოლებიდან და

3. რომ ქართული ენის განლევნის ცდას სენაკის სკოლაზე, სამეგრელოს თავადაზნაურობაში მთავრობისაღმი საგრძნობი პროცესტი გამოუწვევია, რომ ლევიტსკი თვლის ქართული ენის დატოვებას „ВОЗМОЖНЫМ и УМЕСТНЫМ“, თორემ მეგრედი აზნაურობი მცერ ქართულის აღიარება მშობლიურად, საბუთად არ გამოაღებოდა იანოვსკი-ლევიტსკის, რაღაც ეს ქართული და მშობლიური

<sup>1</sup> ი. ც. არქ. ფ. 107, სერია ც, საქ. № 4720, ფ. 5, 6; 7

<sup>2</sup> იქვე, ფ. 10.

იდევნებოდა მათგან შთელს საქართველოში. ზემომოყვანილი დოკუმენტები, ვფიქრობ, საკმაო უნდა იყოს იმის დასაღასტურებლად, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილი უარყოფითად უყურებდა სამეგრელოდან ქართული ენის განდევნას და შეძლებისდაგვარად ებრძოდა ის ამ პოლიტიკის გამტარებელთ.

რაღაც ქველი სენაკის სააზნაურო სკოლის გარშემო ატეხილმა ამბებმა ჩვენ საშუალება მოგვცა გამოგვერკვია, თუ როგორი იყო დამოკიდებულება სამეგრელოს თავადაზნაურობისა, მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი წოდებისა, ქართულ-მეგრული ურთიერთობისადმი, აქვე აღვნიშნავ სამეგრელოს, მცხოვრებთა სხვა ფენების შეხედულებასა და დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

სამეგრელო მაშინ საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე უფრო ძლიერად იყო ჩაბმული სავაჭრო ურთიერთობაში. საქართველოში ყველაზე აღრე სავაჭრო კაპიტალი დასავლეთ საქართველოში განჭირთარდა და ყველაზე ძლიერად სამეგრელოში. ამას ხელს უწყობდა სამეგრელოს ეკონომიკური და გეოგრაფიული მდებარეობა. შავისლვის სანაპიროები, მისი ჩავთსადგურები — ფოთი, ყულევი, ანაკლია, ოჩამჩირე, სოხუმი, ადრიანად იზიდავდა სამეგრელოს უმიწოდებარჩენილ გლეხობას. პირველი რკინიგზის მშენებლობა საქართველოში სამეგრელოს ტერიტორიაზე დაწყო — ფოთიდან თბილისისაკენ, რომელიც 1871 წელს მზად იყო.

1883 წლამდის, სანამ სამტრედია — ბათომი და ბაქო ვაერთიანდებოდა რკინიგზით, ფოთი ერთადერთ ნავთსადგურს წარმოადგენდა, რომლითაც საქართველო უცხო ბაზრებს უკავშირდებოდა. აქ სავაჭრო ასპარეზი მეგრელებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. ქუთაისის სავაჭრო და სამრეწველო საქმე (პატარა მასშტაბით, მაგრამ მაინც) მეგრელების ხელში იყო. ახლაც ბევრს გვახსოვს, რომ ქუთაისის ცნობილი ვაჭრები — გაბუნიები, ნარსია, აღანაია, გვახარია, ხაინდრავა, კემულარია და სხვანი სამეგრელოდან იყვნენ.

სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელნი სამეგრელოში ისე იყვნენ დაკავშირებულნი დანარჩენ საქართველოსთან, რომ ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდენ რუსითიყისტულ მისწრაფებათა გამტარებლად და სამეგრელოს დანარჩენ საქართველოდან ეკონომიკულ-კულტურული გამოთიშვის მომხრეთ. პირიქით, სავაჭრო კაპიტალი ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომელიც დანაწილებულ საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებდა. მოვიგონოთ ამხ. სტალინის სიტყვები:

„...გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწე-  
სა შრომის დანაწილება საქანთველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ  
შეარყეა სამთავროების სამეურნეო კარხაკეტილობა და შეაკავში-  
რა ისინი ერთ მთელად... ბაზარი პირველი შეოლაა, საღაც ბურჯუ-  
აზია ნაციონალიზმს სწავლობს“<sup>1</sup>.

და რადგან „სამეგრელოს ბურჯუაზის“ ბაზარი სრულიადაც არ  
შემოიფარგლებოდა სამეგრელოთი, არამედ ის შეიცავდა მთელს სა-  
ქართველოს, ამიტომ მისი ეროვნული თვითშეგნებაც არა მეგრუ-  
ლი, არამედ ქართული მასშტაბისა იყო.

მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი:

გამ. — „დროება“ს 1885 წლის 31 მარტის ნომერში მოთავსე-  
ბულია „წერილი რედაქციისადმი“, რომლის ავტორი სხვათა შო-  
რის წერს: „...მეგრელები კიდეც ჩომ ქართველები არ იყვნენ, რო-  
გორც გონიათ ზოგიერთთ, მაშინაც დიდი უსამართლობა, შეკომა  
იქნებოდა, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა არ ესწავლები-  
ნათ. აიღეთ თუნდა მარტო ეკონომიური მხარე, შეხედეთ მათ გო-  
ნების თვალით და მიხვალთ იმ დასკვნამდის, რომ ქართული ენა,  
ვიმეორებ, ჩვენი სამშობლო ენაც რომ არ იყოს, ჩვენთვის, მეგრუ-  
ლებისათვის, შეადგენს სულიერს და ხორციელს საზრდოს, მართ-  
ლა, თუ არა ქართულის ენის, სხვა რომელ ენის საშუალებით ვი-  
ქონიოთ მეგრელებმა აღებ-მიცემა იმერეთში, გურიაში, რაჭაში  
ქართლ-კახეთში და ლეჩებუმში. (ხაზი ჩემია. ტ. ხ.).

ამ წერილს შემდეგი ხელის მოწერა აქვს: „ვწერ ერთი მეგ-  
რელთაგანი ქ. ნ. ჩინჩალია (იგივე ჩინჩალაძე), დაბასა შინა ახალ-  
სენაკსა, საკუთარს სახლში, მარტისა 20-სა დღესა, 1885 წელსა.  
ავტორის მოსაზრებათა დასაბუთებიდან ნათელია, რომ ის ან ვაჭა-  
რია, ან სავაჭრო კაპიტალის იდეოლოგი.

სამეგრელოსათვის ქართული ენის აუცილებელი საჭიროების  
ამგვარი ეკონომიური კატეგორიებით დასაბუთებას ჩვენ ვპივებთ  
ქუთაისის საადვილმამულო ბანკის დამარსებელ წევრთა მოხსენე-  
ბაში, მზრუნველს რომ მიართვეს ძველი სენაკის სკოლაში ქართუ-  
ლი ენის დასატოვებლად.

„...სამეგრელოს, ყოველი მხრიდან ქართული ენით გარემო-  
ცულს, — იმერეთით, გურიით, ლეჩებუმშით, მეტად მნიშვნელოვა-  
ნი სავაჭრო ურთიერთობის მქონეს ქუთაისთან, თბილისთან, ფოთ-

<sup>1</sup> სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 9.

თან, მეტად მნიშვნელოვანი, იმპერიული საარსებო საჭიროებანი უკარნახებენ თავისი ტრადიციული, საუკუნეებით ნაანდერძევ ენის შენახვას, და არა სიძნელეების შექმნას ჩალაც მეგრული დამწერლობის შემოღებით, რომელზედაც ის ვერავისთან გამართავს მიმოწერას”<sup>1</sup>.

ამს. სტალინის განმარტებიდან და მოყვანილი ამონაწერიდან ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ უყურებდენ მეგრელი შოვაჭრე ბურუჟაზია და მათი იღეოლოგი სამეგრელოს. საქართველოდან ჩამოშორების საჭმეს.

ჩვენ, სამწუხაროდ, მეტად მცირე ცნობები მოგვეპოება იმის შესახებ, თუ როგორი გამოხმაურება პოვა იანვესკი-ლევიცკი-აშორდიას ზრახვებმა სამეგრელოს გლეხობაში. მაშინ გლეხობას სამეგრელოში, ისე, როგორ საქართველოს დანარჩენ ნაწილებში, შედარებით ახლად დაღწეული ქონდა თავი ბატონი მობისაგან იურიდიულად, თუმცა ფაქტიურად ისევ მებატონის უფლებრივ და კონომიურ არტახებში იმყოფებოდა; ცვოლების რიცხვი მეტად მცირე იყო, წერა-კითხვის მცოდნე უმნიშვნელო, მაგრამ მკვირცხლი, ცოცხალი გონებისა და აზროვნების მეგრელ გლეხს შეუძლებელია მეგრული და ქართული ენების გარშემო ამტყდარი ამბები, სკოლიდან ქართულის გაძევება, რუსულის შესასწავლად მეგრულის შემოღება, მითქმა-მოთქმა ამ საკითხების გარშემო, ყველაფერი ეს გამოპაროდეს და თუ საგაროდ არ გამოეთქვას, გამოთქმის საშუალებათა უქონლობის გამო, არა ჰქონდეს მაინც ასე თუ ისე შემუშავებული თავისი შეხედულება ამ საკითხის შესახებ.

რომ გლეხობა სენაკის მაზრისა არ ყოფილა ყრუდ განწყობილი სასწავლო ენის საკითხისაღმი, ეს ჩანს ერთი თვიციალური საბუთიდან: 1886 წლის 22 სექტემბერს სენაკის მაზრის მარანის საზოგადოების გლეხთა რწმუნებულებს ანტონ ჩიგოვიძეს და ყარაბან სურგულაძეს შუამდგომლობა აღუძრავთ სასწავლო უწყების წინშე მარნის სასოფლო სკოლაში ქართული ენის განდევნისა და ნაცვლიდ მეგრული კილოკავის (наречие) შემოღების განკარგულების გაუქმების შესახებ<sup>2</sup>.

ჩვენთვის უთრო საინტერესო იქნებოდა შიგნითა სამეგრელოს გლეხების აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ, რომ ასეთი მოგ-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 4720:

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 3827, ფ. 8..

ვეპოებოდეს, რაღან მარნის საზოგადოება, მართალია სენაკის მაზრაში შედიოდა ადმინისტრატიულად, მაგრამ იმერეთის მოსაზღვრე კუთხეა და თვით გვარები გლეხობისა — ჩოგვიძე, სურგულაძე — არა მათ მეგრულ წარმოშობაზე მიგვითითებს, თუმცა მარნის მცხოვრებნი ყველანი მეგრულად ლაპარაკობდნენ. მაგრამ ფაქტი მაინც მნიშვნელოვანი და საინტერესოა, — გლეხები ქართული ენის — დამცველად გამოდიან.

ჩვენ სხვა გზებით უნდა შევეცადოთ იმის გამორკვევას, თუ როგორ აფასებდა მეგრელი გლეხი სამეგრელოდან ქართული ენის განდევნას. გრენი რამოდენიმე წერილში, იანოვსკისადმი მიწერილში, ჩივის, რომ „მეგრელები ინდიფერენტულად არიან განწყობილნი ჩვენი საქმისადმიო“. ჩივის, რომ ის ვერ პოულობს მთხობელებს (ფოლკლორის ჩასწერად), რაღან თვით მეგრელები აშლევინებენ მათო<sup>1</sup>. მთხობელები გლეხები იყვნენ და რომ ისინი მოტრთუალენი ყოფილიყვნენ მეგრული ანბანისა, ვერავინ დაშლევინებდა ამისათვის ხელის შეწყობას.

მეგრელი გლეხობის აღმრული საკითხისადმი დამოკიდებულების გამოსარტვევად, ოდნავ მაინც შეიძლება დახშარება გაგვიწიოს შემდეგმა გარემოებამ. 1887 წელს დეკრიტი № 39-ში მოთავსებულია ცნობილი მწიგნობრისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ დადიანის წერილი ქართული ენის დასაცავად ნ. ღ. ფსევდონიმით, წერილის დასასრულში ავტორი ამბობს „... სალაშობოდ და სატრაველად მოშაირობენ, აშორდიას საქმეზე და სახელზე ახალმოდის სიმღერებს ღილინებენ, აი, რა ჰანგზე“:

ქათამი არა—ქოთომი, ვახ-ვა!  
ლუმი ვთქვათ და არა ღომი, ვახ-ვა!  
ასე ბრძანე, აშორდია! ვახ-ვა.  
საღ გაიზარდე, „სორდია-“?  
შორს ყოფილა, შორს წასულა,  
ცხენის წყლის გაღმა გასულა...  
გაუფონავს ამ წყლის ფონი!  
დაუვლია დიდი ხონი!  
ჩაუყლაპავს სემინარია,  
უსწავლია ვით „წყარია“.  
ბრძენია და დიდი „ჭკვერი“.

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. სერია ვ, საქ. № 1746.

სულ მკითხველი ერთობ მწერა!  
 ასე არის თურმე სრული,  
 მეგრულად იცის მეგრული!  
 ქართულის დამწუნია,  
 იშ დარღი ვა მიღუნია!  
 მარგალური შხვა არიო  
 ქორთული აწი ჟარიო.  
 მარგალური ჭარუაო, ვად-ვა  
 ქი დიდებული ჭარუაო!  
 კაცი სხვაა, კოჩი სხვაო  
 ზღვა? რა ვუყოთ, ისევ ზღვაო; ვად-ვა.  
 ცას რა ჰქვია? ისევ ცაო  
 თხა როგორ ვთქვათ, ისევ თხაო  
 ქვეყანა? ჰო, ქიბეჭაო,  
 დღე-დღეა, ყანაც კი ჰყუნაო,  
 ცხენი — ცხენი, კვიცი — კვიცი,  
 კვერცხი — კვერცხი, სხვა არ იცი?  
 კატა — კატუ, ლომი — ლომი, ვად-ვა.  
 დედა — დიდა, მამა — მუმა  
 ძმა — ჯიმა, სუ! და — და — ჩუმა,  
 წახდა პარასკევის წველა.  
 ჯორმა ვერც შვა, ვერც იწველა  
 აბა მუჭო, აშორდია?  
 ქართულმა რომ სულ თან გზდია!  
 მირბი და ვერ აშორდია!  
 ვიშო-რექო, აშორდია,  
 აშორდია წყარი კაკი...  
 ჩიქორთული ვიშო მაქი!  
 ვარია, მარა ქოთია!  
 ვიშოთია, აშოთია!...

ვინ არის ავტორი ამ ლექსის? თვით ნ. დადიანი, როგორც ამას  
 აღნიშნავს აშორდია მზრუნველისაღმი გაგზავნილ თავის საიდუმ-  
 ლო მოხსენებაში, თუ ხალხი — როგორც ამას წერილის ავტორი  
 ამბობს. ჩვენთვის ამის გამორკვევა არც არის მაინცდამაინც საჭი-  
 რო, რადგან ხალხურ ნაწარმოების შემქმნელიც დასაწყისში ხომ  
 ესა თუ — ის პიროვნებაა, რომლის. ნათქვამი შემდეგ ხალხში

ვრცელდება და ხალხურდება. ეს ლექსიც გახალხურებულია; ამას არ უარყოფს აშორდიაც — „распространялась в народе и заслужила большое внимание“ — წერს ის თავის ზემო მოყვანილ მოხსენებაში.

ხალხში კი, როგორც ვიცით, ისეთი თქმულება იყიდებს ფეხს და ვრცელდება, რომელიც მისი სულისა და გულის ნადების გამოშატველია.

ეს ლექსი რომ გავრცელებული ყოფილა ხალხში, ამას ისიც შორიშობს; რომ მისი სხვადასხვა ვარიანტი მოგვაწოდეს მაშინ სამეგრელოში მომუშავე მასწავლებელმა გ. ბოკერიამ და ერმინე შარაშიძემ.

ამრიგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეგრელოს თითქმის ყველა ფენა და წოდება წინააღმდეგი იყო იქ ცარიზმის მოხელეების მიერ ცუდად შენიღბულ გამარტინებელ პოლიტიკის გატარებისა და შეძლებისადავგარად მას ებრძოდენ.

სამეგრელოდან ქართული ენის განლევნას და სამეგრელოს დანარჩენ საქართველოდან ჩამოშორების ცდებს ებრძოდა ქართველი საზოგადოება პრესის საშუალებითაც. რამდენადაც მაშინდელი მძიმე საცენტურო პირობები ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ცარიზმის გამარტინებელი პოლიტიკის აქტიურად დაწყებას სამეგრელოში და აქედან ქართული ენის დევნას დაემთხვა პროფ. ალ. ცაგარლის მეგრული ენის შესახებ წარმოებული გამოკვლევების გამოქვეყნება „Мингрельские этюды“-ს სახელწოდებით. პროფ. ცაგარელი მეგრული ენის (აგრეთვე სვანურის) ფორმების შესწავლასა და გამოკვლევას ქართული ენის შესწავლის აუცილებელ პირობად თვლიდა.

„მთავარი მკვლევარისათვის — ამბობს პროფ. ცაგარელი — ენის ტიპის აღდგენის ცდა (ქართულის, აგრეთვე საერთო ივერიულის), რაც შეიძლება მთლიანი და სრული სახით... მაგრამ ამით სათვის, ჩასაკვირველია, მარტო ქართული ენით დაკმაყოფილებულიარისი არ არის, არამედ საჭიროა კვლევის არეს გაფართოება; ყურადღების მიქვევა სხვა. დიალექტებისათვის (მეგრული, ლაზური, სვანური), და კილოებისათვის (მაგ. გურული) და ქართველ მთიელთა: ფშავთა და ხევსურთა), ძირითად იბერიულ ენისა, რომელშიც ხშირად გვხვდებიან ენის უძველესი ფორმები და თავისებურებანი, ქართულში უკვე დაკარგულნი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ალ. ცაგარელი — „Мингрельские этюды“, მეორე ნაწილი, გვ. 111.

შემდეგ ალ. ცაგარელი აღნიშნავს, რომ ამ მონათესავე ენების ხასიათისა და იმ ენის ხასიათის ნათელსაყოფად, რომელიც მათ უძევს საფუძვლად; საჭიროა ამ ენების შედარებითი ლექსიკონისა და შედარებითი გრამატიკის შედგენა, რასაც წინ უნდა უსწრებდეს, ამ ენების შესწავლა ცალ-ცალკეო.

მეცნიერის თვალსაზრისით აქ, რასაკვირველია, არაფერია გასაკუცხი, მაგრამ ის გარემოება, რომ მკვლევარი მეგრულს, ლაზურს, სვანურს ენას უწოდებს (ხან დიალექტს), ხოლო გურულს, ფშაურს, ხევსურულს — კილოს, და საჭიროდ აღიარებს ამ ენების ფორმების შესწავლას დამოუკიდებლად — ერთგვარ დასაჭრდენს ადლევდა ხელში იანოვსკი-ლევიცის მათი მზაკვრული პოლიტიკის გასატარებლად. ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა დაემტკიცებია ქართულ-მეგრულის იგივეობა, შეძლებისდაგვარად სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა ცარიზმის პოლიტიკას და ამიტომ ის ცაგარლის ნარკვევს, რომელსაც ქართველი ხალხის მტრები თავის მიზნებისთვის იყენებდენ, მტრულად შეხვდა. გაზ. „ლროების“ ფურცელზე „სამეგრელოს ეტიუდების“ ავტორის — პროფ. ალ. ცაგარლის მიმართ მეტად თავდაუჭერელი მოწინავეებია შოთავსებული, რაც მოწმობს იმას, თუ როგორ მტკიცნეულად ესმაურებოდა ქართველი ინტელიგენცია სამეგრელოს საკითხს. „გასაკვირველი ის უფროა, წერს „დროების“. მოწინავე, როცა ჩვენივე ქვეყნის შვილი მოგვითხრობს მეცნიერულ კილოთი უხამსს უთომ ჰეშმარიტებას და თავის უმეცრებით ღოქტორობის დიპლომს სწირავს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას. მეცნიერულ ბორბიქს ზოგიერთ ვითომ — მეცნიერებისას რომ ზარალი არ მოჰქონდეს-რა, იქნება ყური მოგვეყრუებინა და ხმა არ ამოგველო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ შეიძლება ვინმე პაიკის — გონების პატრონმა არსებამ, ეს ბორბიქი თავისთვის გამოიყენოს და ცრუ მეცნიერულ გამორკვევას უტყუარობის ბეჭედი დასვას“.

„დროება“ სამეგრელოს საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდა. 1885 წლის ნომრებში მრავალი წერილია მოთავსებული მეგრულ-ქართველთა იგივეობის შესახებ. „დროების“ დახურვის შემდეგ ამ საკითხს აშუქებდა „ივერია“. მაგრამ ეს წერილები მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას და მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებენ. ეს წერილები უფრო პატრიოტული გრძნობისა და მოსალოდნელი ეროვნული საფრთხით გამოწვეული შიშის ანარეკლია:

მაგალითად „დროების“ ფურცლებზე ჩვენ ვნახულობთ ასეთს

არგუმენტებს: „ქართული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგინს მეგრელებისათვის სანატრელ შესათვისებელ საგანს და ყოველ მეგრელს თავი მოაქვს, როცა ქართული კარგად ესმის; ეს უკანასკნელი მეგრულებისათვის სადარბაზო ენაა. იგი იხმარებოდა და იხმარება სამეგრელოში ერთმანეთ შორის მიწერ-მოწერის დროს და მთელი საქმის წარმოება ამ ქვეყანაში, როდესაც მას ავტონომიური უფლება ჰქონდა, ქართულ ენაზე იყოო“<sup>1</sup>.

„მეგრელები და ჭანელები ღვიძლნი, ნამდვილი შვილნი არიან ქართველ ერისა. მაშასადამე შვიძლება, რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს... რომელ ფილოსოფოსს მღვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთთან დაშორება. ჩვენ, მეგრელები, შვილნი ვართ ქართველის ერისა და ჩვენი დედა ენა ქართულია... ვად საბრალო ის მეცნიერება, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მეგრულებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი ენა არ არისო. მებრალება ჭეშმარიტად; მეგრელებს ასე ადვილად ვერ გაგვაბრიყვებენო“<sup>2</sup>. ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ მეგრულ-ქართულის იგივეობა სიტყვებისა და ფრაზების შედარებით.

უფრო საფუძვლიანია ავტორების სხვა არგუმეტები და ანალოგიები: ნემეცურ ენას თორმეტი და ცამეტი სხვადასხსა განყოფილება აქვთ: შეაბიული და პრუსიელი ნემენცები რომ ერთმანეთს შეხვდებიან ხოლმე, თუ თავიანთ ადგილობრივ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთისას ვერაფერს გაიგებენ. გერმანიის ერთ მხარეზე ლაპარაკობენ ერთნაირის ნემენცურის ენით, რომელსაც ჰქვია პლატ-დოიჩ, მეორე მხარეზე ხმარობენ იმავე ნემენცურ ენას, რომელსაც პოხ-დოიჩს უწოდებენ. იმათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილს ქართულსა და მეგრულს შორის. მაგრამ ვინ იტყვის, რომ შვაბელები ნემენცები არ არიანო... ნაკლები განსხვავება არ არის ტრანცუზულ ენაშიც: პროვანსალური ლაპარაკი შამპანიის მცხოვრებს თითქმის არ ესმის; მაგრამ არავის აზრად არ მოუვა პროვანსალური ენა ისეთ ენათ აღიაროს, რომლისთვისაც ნამდვილი ფრანცუზული უცხო, გარეშე იყოს<sup>3</sup>.

შეიძლება მაშინ ქართველთაგან არავინ ყოფილიყო ისეთი, რომელსაც მეცნიერული მეთოდები კვლევა-ძიებისა მოემარჯვა ქართულ-მეგრულის ურთიერთობის გასაშუქებლად იმ მიმართე-

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1885 წ., № 49.

<sup>2</sup> იხ. „დროება“, 1885 წ., № 53.

<sup>3</sup> იქვე.

ბით, როგორსაც ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია საჭიროებდა. მაგრამ ეს მაინც დამაინც არ იყო საჭირო „დროება“ — „ივერიისათვის“, რომელიც ყოველდღიურ გაზეთებს წარმოადგენენ, განკუთვნილს შედარებით ფართო მკითხველ საზოგადოებისათვის, რომლისათვის თავისი იდეების პოპულიარიზაციის მიზნით უნდა მიეწოდებია არა მეცნიერებითა და კვლევით დამძიმებული ნარკვევები, არამედ მარტივი, მსუბუქი, ეროვნული გრძნობების აღმძრელი წერილები. ასეთი წერილები კი ბლობად იბეჭდებოდა ქართულს უურნალს — გაზეთებში, მიმართული რუსეთის ბიუროების ბიუროების გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ქართულ პრესას გამოეხმაურა გრენიც, რომელიც 1887 წლის ივლისში სწერდა პეტერბურგიდან მზრუნველ იანოვსკის:

„ვიმედოვნებ, რომ ძველებურადვე შევძლებ მუშაობას ჩემი წმინდა იდეისათვის — კავკასიის ხალხის შესასწავლად და გასანათლებლად, რისთვისაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვემზადებოდი და რასაც არასოდეს არ დავტოვებ. ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ არა-სოდეს არ დავუტმობ დაუნდობელ კრიტიკას, როგორც უხეშ რეაქციას ჩვენზე მომართულს, და ვფიქრობ, რომ დადგება დრო, როდესაც გამარჯვება ჩვენი იქნება და როდესაც შერცხვენილი და დაუძლურებული უკუიქცევიან ჩვენგან ჩვენი რუტინი-კრიტიკოსები; რუსული მეცნიერება კიდევ შესძლებს იმის დანახებას, თუ რაც წარმოადგენს მასთან შედარებით ქართული ბაქიაობა“<sup>1</sup>. ეს „თავდადებული განმანათლებელი“ კავკასიის ხალხებისა და „მეცნიერი“ თანახმა გახდა თბილისის გუბერნიის სკოლათა ინსპექტორის თანამდებობა მიეღო.

ჩვენს მიზანს შეადგენდა ამ თავში გამორკვევა იმისა, თუ როგორ დაიწყო რუსეთის ბიუროებიამ თავისი გამარუსებელი პოლიტიკის გატარება საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში — სამეგრელოში. ეს ამბები ხდებოდა მე-80 წლებში, სასტიკი რეაქციის ხანაში, როდესაც ცარიზმის აგენტებმა მთლიანი იერიში მიიტანეს ქართველ ხალხზე საერთოდ და სკოლებზე, როგორც გარუსების საუკეთესო იარაღზე, კერძოდ..

ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა საკითხი, თუ როგორ მეთოდებს მიმართავდა ცარიზმი იანოვსკი — ლევიტსკის სახით სამეგრელოში ქართული ენის და კულტურის აღმოსაფხვრელად და

<sup>1</sup> იქ. ც. არქ. ფ. 107, სერია 8, საქ. № 1746, ფ. 83.

როგორ გამოხმაურებას პპოვებდა ეს პოლიტიკა . სამეცნიელოს სხვადასხვა ფენებში და ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილში.

ამ თავში განხილული საკითხი მხოლოდ დასაწყისი იყო ბრძოლისა, პირველი საფეხური; 90-იან წლებში თვითმპყრობელობის აგრძელება საქართველოში და კერძოდ სამეცნიელოში კიდევ უფრო გაძლიერდა; მთავრობამ ამ მიმართულებით შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები გადაღდა (სახელმძღვანელოების გამოცემა მეგრულ ენაზე და სხვა), მაგრამ ეს საკითხი ჩემი ნარკვევის პირველი ნაწილისათვის მოხაზულ ქრონოლოგიურ ფარგლებს სცილდება და ამიტომ მასზე აქ არაფერს ვიტყვით.

## 10. რეაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა სასწავლებლებში.

ცარიზმის მიერ საქართველოში გაბატონებულ რეუიმს, გამარტინულ პოლიტიკას და ეროვნული კულტურის დევნასა და შევიწროვებას არ შეეძლო ქართველ ახალგაზრდობაში არსებული წყობილების მიმართ ზიზღი არ აღეძრა და ეროვნებისა და ეროვნული კულტურის დასაცავად ამა თუ იმ სახით მოძრაობა არ გამოეწვია, სახელდობრ ახალგაზრდობაში, რადგან, ამბობს ამხ. სტალინი, მოსწავლე ახალგაზრდობა ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილია საზოგადოებისათ<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, რეაქციის ამ შავბნელ პერიოდში, როდესაც მთელი რუსეთის პროგრესიული და რევოლუციური საზოგადოება გასრესილი იყო, ნაროდინიული მოძრაობა განადგურებული, მუშათა კლასობრივი თვითშეგნება ეს ეს იყო ჟექს იდგამდა, ჩვენში შეუძლებელია ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობას ფართო ხასიათი ჰქონოდა ვერ ექნებოდა მას ფართო ხასიათი აღიალობრივი შესაფერი პირობების უქონლობის გამო: ქართველი ბურჟუაზია მხოლოდ ახლა ისახებოდა და სუსტი იყო იმისათვის, რომ ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეური გამხდარიყო, თავადზნაურობა „უქვეშევრდომელესი“ გრძნობებით იყო გამსჭვალული, მუშათა კლასი თითქმის არ არსებობდა, ხოლო გლეხობა 1864 წლის რეფორმის შედეგების არტახებში იყო მოქცეული.

„ნაციონალური მოძრაობის სიძლიერე განისაზღვრება მასში.

<sup>1</sup> Ленин и Сталин о Ленских событиях. 28. 10.

ერის ფართო ფენების — პროლეტარიატისა და გლეხობის მონაწილეობის ხარისხით“<sup>1</sup>. — ამბობს ამხ. სტალინი.

ნაციონალურ ჩავრას თითქმის მთელი ერი გრძნობდა, მოწინააღმდეგე ძალად კი მხოლოდ მოწინავე თავადაზნაურული და „რაზნობინური“ ინტელიგენცია გამოდიოდა. ამ ინტელიგენციის გავლენაში მოქცეული იყო აგრძეთვე ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილიც, რომელიც უკელაზე მძაფრად განიცდიდა რეაქციისა და რუსიფიკაციის სუსსეს...

„იმ დროს, როცა უფროს კლასში ვიყავ, ქუთაისისა და ქუთაისის ინტელიგენციის ცხოვრებაში ახალმა სიომ დაპბერა — წერს გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში — ქართველ ქალთა უურნალ „ქრებული“-ს შემდეგ ქუთაისში პირველად გაჩნდა გაზეთი „შრომა“. თბილისის მუდმივ დრამატიულმა დასმა პირველად გააჩალა ნისტემატური გასტროლები ქუთაისში და დ. ერისთავის „სამშობლო“ თავბრუს გვახვევდა; აქაიქ გაჩნდა წრეები ქართულ ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლად. ეს სიონ ჩვენ მოგვხვდა გიმნაზიაში და აგვალელვა. დავიწყეთ ხელნაწერ უურნალების გარემო, ქართულ გაზეთებისა და წიგნების კითხვა. პატრიოტულ ლექსები აკაკისა, ილიასი, რ. ერისთავისა და სხვათა ზეპირად ვიცოდით და აღტაცებით ვმლეროდით, ხშირად ჩვენ მიერ მოგონილ მოტივებზე... ჩვენ უურნალებიდან დავასახელებ ჩემ მიერ დაარსებულ „სტვირს“. მე თვითონ ვპუბლიცისტობდი: ტყავს ვაძრობდი დ. ტოლსტოის (მაშინდელ ძლევამოსილ მინისტრს), კატკოვსა და ბისმარქს... ქალა ცნობილმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა, მაშინ მეშვიდე ქლასის შეგირდმა მოათვასა „სტვირში“ რამდენიმე ლექსი. სხვათა შორის მან სთარგმნა რუსული ლექსი: „ჩელიდიმის ხაშე მორე..“ და ამ ხნიდან სულ მარის თარგმანს კიმღეროდით...

რასაკვირველია, „ედემი, წყნარი, ლურჯი, ცა მარად“ ჩვენთვის მომავალი, აყვავებული სამშობლო იყო, „იქ მისვლისათვის“ რწმენა იყო საჭირო და ზვირთებთან ბრძოლა... ერთი სიტყვით, პატრიოტული გატაცება და აღფრთვანება ჩვენს შორის დიდი იყო“<sup>2</sup>.

ნაციონალურ განწყობილებას ბადებდა და ერთა შორის შხამის ნთხევას იწვევდა არა მხოლოდ ცარიზმის მთელი პოლიტიკა წარმოებულ სკოლასა და სკოლის გარეშე, არამედ მეფის მოხელეთა

<sup>1</sup> სტალინი „მარქსიზმი და ნაც.-კოლონ. საკითხი“, გვ. 12, რუს. გამოც.

<sup>2</sup> იხ. გ. ლასხიშვილი — „შემუარები“, გვ. 3—4.

თითოეული ნაბიჯი, თითოეული სიტყვა მათგან თქმული აქეთკენ იყო მიმართული.

გ. ლასხიშვილი დამახასიათებელ ფაქტს იგონებს: „ქუთაისში დონდუკოვ-კარსაკოვი 1884 წელს გვესტუმრა, ჩოცა მე მერვე კლასში ვიყავი... ყველაზე წინ მდგომა გენერალმა დონდუკოვ-კარსაკოვმა თავი დაგვიკრა. შემდეგ მიუბრუნდა ლირეტორს და ჰქითხად „რუსი რამდენია მერვე კლასი“... 30 შეგირდში აღმოჩნდა სულ 5-6 რესი „მალი. იხენ მალი“ უქმაყოფილოდ თქვა ლონ დუკოვ-კორსაკოვმა და კლასილან გავიდა... გიმნაზიაში ხმა გავარდა: ნახევარი პანსიონი, სადაც იმ დრომდე იზრდებოდა იმერეთის ლარიბ-ლატაკის თავადაზნაურობის მრავალი შვილი, რუს ძოხელეთა, ოფიცერებისა და სალდათების შვილებს უნდა დაუთმონო. იმ დროიდან ჩვენსა და რუსებს შორის თითქო რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა, რაც წინად არასოდეს არ გვიგრძნია“<sup>1</sup>.

აღნიშნულ „მემუარების“ ავტორი ცნობილი უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გ. ლასხიშვილი სრულიად უმართებულოდ ფიქრობს, რომ თითქოს რეაქცია ჩვენში დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის გაწვევისა და დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნით დაიწყო. ამ შეხედულებას ქართველი თავადაზნაურობა და თავადაზნაურული ინტელიგენცია ანვითარებდა და ასაზროებდა, რომელსაც მეფის მოადგილე მიხეილ ნიკოლოზის ძე საქართველოს მფარველად და დამცველად ყავდა წარმოდგენილი, ხოლო დონდუკოვი მის მტრად; სინამდვილეში კი ეს ორი მოხელე ერთგვარად ემსახურებოდენ ტახტს და ორივენი საქართველოს და ყველა განაპირო კუთხეს იმპერიისას მხოლოდ ტახტის ინტერესების მიხედვით შესცემულდენ. ჩვენთვის არ არის გასაკვირი, როდესაც ამ შეხედულობას იზიარებდა ცნობილი დ. ყიფიანი და ყოფილ მეფის მოადგილეს საჩივრებით მიმართავდა დონდუკოვ-კორსაკოვზე, რომელიც თითქოს თვითნებურად ატარებდა საქართველოში რუსითიკატულ პოლიტიკას. ცნობილია, რომ დ. ყიფიანის შეხედულობებით სამშობლოსა და ტახტს შორის არ არსებობდა არავითარი წინააღმდეგობა და უქმაყოფილებას და გაუგებრობას იწვევდა მხოლოდ ადგილობრივ მოხელეთა თვითნებური განკარგულებანი<sup>2</sup>. ხოლო როდესაც რადიკალური ინტელიგენციის წარმომადგენელი გ. ლასხიშვილი სწერს: „მეფის ნაცვლის დიდი

<sup>1</sup> იხ. „მემუარები“, გვ. 6.

<sup>2</sup> იხ. ს. ხუნდაძის-მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, გვ. 203—264.

მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გადაყვანა და დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნა მთავარმართებლად დასაწყისი იყო რუსეთის ბიუროკრატიის ახალი პოლიტიკისა, გამარტინის პოლიტიკის გაძლიერებისა ჩვენში", — უნდა აღვნიშნოთ, რომ დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნით ახალი პოლიტიკა არ დაწყებულა ჩვენში, მით უმეტეს რუსთვიკაციის დარგში, რადგან, როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ, ცნობილი 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც ქართული სახალხო სკოლების გარუსების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ხელმოწერილი და დამტკიცებული იქნა სწორედ დროი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ 1881 წლის 13 იანვარს.

დიდი მთავრის ნიკოლოზის „ქართველების მფარველის“ აზრის გასაქარწყლებლად იმის დასახელებაც საკმარისია, რომ სწორედ მისი ნებასურვილით შემცირდა გიმნაზიაში ქართული ენა და ის არა საგალდებულო საგნად იქნა გამოცხადებული 1873 წლიდან.

მიხეილ რომანოვს არა ნაკლებ დონდუკოვ-კორსაკოვისა აწუხებდა ადგილობრივ სკოლებში რუს მოწაფეთა სიმცირე და დროულად ზრუნავდა ამ სკოლების რუს მოხელეთა შვილებით შევსებას; ამიერკავკასიის მხარის მკვიდრ აზნაურთა და სხვა წარჩინებულ წლებათა შვილების აღსარდელად ადგილობრივი შემოსავლიდან, თელავის მაზრაში, საცხენისში, დაარსებულ იქნა 1876 წლიდან ორჯლასიანი სასწავლებელი. 1880 წლის 10 აგვისტოს მეფის მოადგილეს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაუგზავნია მოხსენება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ, რადგან ადგილობრივი თავადა აზნაურობა შესდგება ქართველ, სომებ და მაკმაღარ ეროვნებისაგან, ამიტომ საცხენისის სკოლაში რუსი მოსწავლენი არ მოიპოვებიან; „ინორმდცთა“ სკოლებში კი „ტუზემცებისა“ და რუს ბავშვთა ერთად სწავლება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამიტომ მიხეილ რომანოვი ნებართვას ითხოვდა საცხენისის სკოლაში მოწაფეთა 10% ყოფილიყო მიღებული კავკასიაში მსახურა რუს მოხელეთა შვილები<sup>1</sup>.

სახელმწიფო საბჭომ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა ეს თხოვნება და ნებართვის მიღებამდისაც კი საცხენისის სკოლაში უკვე 10 რუსის ბავშვი მიიღეს. რა თქმა უნდა, არავითარი პედაგოგიური პრინციპები არ მოითხოვდა საცხენისის სკოლის 10 რუს ბავშვით

<sup>1</sup> ახ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 48, ფ. 22—23.

უწირუნველყოფას. ჩვენ მასზე შეეჩერდით იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ „ქართველთა მოამაგის“ დიდი მთავრისათვისაც წარმოუდგენელი იყო, თუგინდ სადღაც თელავის მაზრაში, მიყრუებულ ადგილას სკოლის არსებობა სახაზინო ხარჯზე — და რუს ბავშვთა გარეშე. ეს ათი ბავშვი, მეფის ნაცვლის აზრით, უნდა გამხდარიყო „რუსული კულტურის“ გამტარებლად საცხენისის სკოლაში. „ინოროდცული“ სკოლის არსებობა დიდი მთავრისათვის წარმოუდგენელი იყო.

დონდუკოვ-კორსაკოვი მისი წინამოადგილის გზით განაგრძობდა სვლას. ცარიზმი მოითხოვდა ყოველ უწყებაში მპყრობელი ერის გაბატონებული კლასების გაძლიერებას ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე.

ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ-განმათვისუფლებელი სულისკვეთება უმთავრესად იმ პოლიტიკით იკვებებოდა, რომელსაც საქართველოში ცარიზმი ჰქონიდა.

მას ასაზრდოებდა აგრეთვე რაღიყალურად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია, რომელიც მწერლობით, ოქატრით, პრესით და სხვა კულტურული საშუალებით ანთებდა მოსწავლე ახალგაზრდობაში სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლს და „უცმობდა ფრიდონსა და ავთანდილს ზესტან-დარეჭანის ქაფეთისაგან გასანთავისუფლებლად“.

მესამე წყარო, რომელიც ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას აწვდიდა რაღიყალურ და რევოლუციურ-განმათავისუფლებელ იდეებს ხალხოსნობა იყო და რუსეთის სტუდენტობის მოძრაობანი. მიუხედავად შავი რეაქციისა სტუდენტობა მაინც ახერხებდა. დიდი დემონსტრაციების მოწყობას (განსაკუთრებით 1880—1887 წლებში). ნაროდოვოლცების დარჩენილი ტერორისტული ჯგუფებიც დროგამოშევებით მიმართავდნენ ტერორს, მაგ. მეორე პირველმარტელთა ცდა ალექსანდრე ულიანოვის მონაწილეობით—1882 წელს ქართველ ხალხოსნების ჩაგარღნა, დაპატიმრება და გადასახლება შორეულ ქვეყნებში, რუსეთის უნივერსიტეტებიდან მღელვარებაში მონაწილეობისათვის გამორიცხულ მოწინავე სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლა, ყველაფერი ეს ცნობისმოყვარე და მერქნობიარე ახალგაზრდობის გარეშე ვერ დარჩებოდა და მათ აზროვნებასა და იდეების შემუშავებაზე გავლენას ახდენდა.

„სადღაც ვშოულობდით „ნაროდნაია ვოლიასაც“, არალეგალურ ბროშურებსაც, — წერს გ. ლასხიშვილი, — პოლიტიკური პატარა წრეც კი არსებობდა, რომელიც გულმოდგინეთ კითხულობდა

შაშინდელ სარევოლუციო ლიტერატურას და მხურვალედ კამა-  
თობდა შესაფერ თემებზე...“<sup>1</sup>.

1883 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისის საშუალო სასწავ-  
ლებლის მოწაფეებსა და მასწავლებლებსაც ფოსტით მოღილათ—  
ჰექტოგრაფით აღგილობრივი დაბეჭდილი პროექტამაციები, რო-  
მელშიც გაკიცხული იყო რუსეთის თვითმპყრობელობა და პოლი-  
ტიკური წყობილება. ამ პროექტამაციებს ავტორად, იანოვსკი—მი-  
ნისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, „ტუზემცებს“ ასახელებდა:

„ფურცლის ტონის, აზრის არა სწორად დალაგებისა და ზოგი  
თბილისში თითქმის უცნობი, შერჩეული სიტყვებისა და წინადა-  
დებების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ავტორი ტუზემე-  
ცი არის, მაგრამ ისეთი, რომელმაც პეტერბურლისა და მოსკოვის  
ნილილსტებს შორის რამდენიმე წლის ცხოვრების შედეგად შეი-  
თვისა მათი ცინიკური გამოთქმების ხერხები“<sup>2</sup>.

ამ საქმის გამო დატუსაღებულ თბილისის სამასწავლებლო  
ინსტიტუტის მოსწავლეს ბუსლაევს დიდალი ნარიდნიკული ლი-  
ტერატურა უპოვეს. ეს ოფიციალური დოკუმენტი ჩვენთვის ყურ-  
ადსაღებია არა, რასაკვირველია, იმით, რომ იანოვსკი პროექტამა-  
ციის ავტორად „ტუზემეცსა“ სთვლიდა, თითქოს რუსეთის ახალ-  
გაზრდობას არ ჰქონდეს უკვე ჩაწერილი სახელოვანი ფურცლე-  
ბი რევოლუციური ბრძოლისა, არამედ იმით, რომ 80-იან წლებ-  
შიც, რეაქციის მიერ ხალხოსნური ორგანიზაციების განადგურე-  
ბის შემდეგაც, მოსწავლე ახალგაზრდობა და მათ შორის საქარ-  
თველოს საშუალო სკოლის მოწაფეებიც განაგრძობდნენ, 70-იანი  
წლების მსგავსად არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას თვით-  
მპყრობელობის წინააღმდეგ.

არა მარტო ცარიზმის საერთო პოლიტიკა დაპყრობილ ერები-  
საღმი, არამედ, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ყოველდღიური  
სინამდვილე, ყოველი შეხვედრა სკოლაში მოწაფე ახალგაზრდო-  
ბისა და მოხელე მასწავლებლებს შორის აგროვებდა ბავშვების  
ნორჩ გულში ზიზლსა და სიძულვილს იმ წყობილებისადმი, რომე-  
ლიც ჰქმნიდა ასეთ სკოლას, იმ ხელისუფლებისადმი, რო-  
მელიც გზავნიდა ასეთ კაციჭამია მასწავლებლებს. რუსული  
სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, ამ სკოლაში რუს მოხელეე-

<sup>1</sup> იხ. „მემუარები“, გვ. 5.

<sup>2</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1115, გვ. 6.

ბისაგან ქართველ ბავშვთა ნაციონალური გრძნობისა და სიამაყის შეურაცყოფის სურათის ნათელსაყოფად მოვიყვან ცნობას „მო-გონებიდან“, დაწერილს ჩემი თხოვნით დამსახურებული მასწავ-ლებლის ერემია გულისაშვილის მიერ, რომელიც 80-იან წლების პირველ ნახევარში ხონის საოსტატო სემინარის მოსწავლე იყო:

„სემინარის დირექტორი სტრელეცკი, რუსის მოხელე, მეფის ტახტის ერთგული, კვაზიპატრიოტი და უაღრესი რუსიფიკატორი იყო. რომ შესძლებოდა საქართველოს გარუსება ერთ დღეს, თვალს არ დაახამხაძებდა, არ შედრებოდა. ვიწრო შოვინისტი იყო და მოძულე ყველა არა რუსისა. ყოველ ნაბიჯზე დაგვცინო-და, გვამცირებდა, როგორც პატარა ერის წარმომაღენლებს. ერთხელ, მახსოვს, როდესაც ვარჩევდით გოგოლის „ნაწარმოებს“ „სტაროსვეტსკიე პომეშჩიკი“ — მე ვთქვი, რომ ჩვენს ილიასაც აქვს ამგვარი ნაწარმოები „კაცია-აღამიანი“-მეთქი. როგორ თუ შენ ვიღიაც ილია, ერთი მუჭა ხალხის ვითომცდა ლიტერატორი დაუპირდაპირე დიდი რუსეთის დიდ ლიტერატორს გოგოლს, მომ-დგა და ალარც არაფერი მე შემარჩინა და ალარც ჩვენ სათაყვა-ნებელ ილია... კრილოვს ხსენებაზე ვახსენე ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი, სულ გადირია სტრელეცკი. მაგრამ ძელი წარმო-საღენია, თუ რა დაემართა მას, როდესაც „სლოვო ო პოლყუ-იგორევე“-ს ხსენებაზე მე დიდის რიხით ვახსენე ჩვენი „ვეფხისტყა-ოსანი“. მე ვთქვი, აქ კი ჩვენი სტრელეცკი თითს მოიკავავს-მეთქი, მაგრამ... სიბრაზისაგან სულ დაებრიცა სახე, გაყვითლდა, გამწვანდა, დაიწყო გველივით სისინი, კბილების ხრჭენა და მო-მაყარა რაც მოადგა. პირზე.

— სტრელეცკი ცდილობდა რაც შეიძლება ვიწრო კალაპოტში ჩავეყენებინეთ; ნაკლები გვეკითხა, ნაკლებად განვითარებულვი-ყავით. იმისი აზრით თართულ განვითარებული კაცი სახალხო მას-წავლებლად. არ გამოდგებოდა, რაღაც მთავრობას წყალს არ და-უწმენდს, ხალხში რევოლუციური იდეების გავრცელებას არ და-იშლის. მეფის ტახტის საზიანოდ მუშაობის სურვილს აღძრავს, სეპარატიზმზე იოცნებებს: „რუსეთი კი გზრდით, გასწავლით, იგი დიდ ფულს ხარჯავს საქართველოზე და თქვენ ქართველები კი, უმაღლერად მგლებივით სულ განზე იყურებით, დაუნახავი, უსი-კეთო ხალხი ხართ, უსიკეთო — დაამთავრებდა ხოლმე გულისწყრო-მით სტრელეცკი“.

— ჩვენ ამ ამონაწერს თანამედროვეს მოგონებიდან არ მოვიყ-ვანდით, რომ ასეთი სურათი სკოლებში გამონაკლისი და ერთეუ-

ლი ყოფილიყო. არა, ასეთი ურთიერთობა და დამოკიდებულება „განმანათლებლებსა და გასანათლებლებს“ შორის მასიური იყო, თითქმის კანონად ქცეული.

ქართველ მოწაფეთა ეროვნული ვრძნობების შემლახველი სხვა მრავალი და მნიშვნელოვანი ფაქტებიც რომ არ იქნეს მხედველობაში მიღებული, ვფიქრობ, მოყვანილიც, სისტემად ქცეული, საქმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მას ახალგაზრდების შეგნებასა და გრძნობებში რეაქცია გამოეწვია, ზიზღისა და შურისძიების გრძნობა დაუბადა მოწაფეებში მათ წინააღმდეგ, ვინც ამ პოლიტიკას ჰქონიდა და ატარებდა და მათი აზროვნება რევოლუციურ-განმანთავისუფლებელი გზით წარემართა.

„გადაჭარბებული არ იქნება ვსოფვათ, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდაში ღვიოლა შურიაძიების ნალვერდალი; ყოველი ჩვენგანი იღგა უაღრესად საწინააღმდეგო შეურიგებელ პოზიციაზე და მზად იყო თავგანწირულ ბრძოლისათვის“ — წერს ერემია გულისაშვილი.

ხონის საოსტატო სემინარიის შავბნელ ცხოვრებაში 80-ან წლების პირველ ნახევარში ნათელ სხივს წარმოადგენდა მასწავლებელი არასტო ქუთათელაძე, რომელიც თავის ყოველდღიურ მუშაობით სთესდა ნორჩ ახალგაზრდობის გულში კეთილშობილ გრძნობებს და უხეში რუსიფიკაციის პირობებში აღვივებდა მოწაფეთა გულში სიყვარულს სამშობლოსადმი, საქართველოს წარსულისადმი და ქართული ლიტერატურისადმი.

„სიხარულით მოველოდით არისტო ქუთათელაძის მორიგეობას ჰანსიონში — იგონებს ერემია გულისაშვილი — საღილზე, ჩაიზე, თავისუფალ დროს, არისტოს, როგორც თაფლს ბუზი ისე ეხვეოდა მოწაფეობა; არც ვაჩერდებოდა მისი ენა. შესანიშნავი მეხსიერების პატრონს, დიდი მარაგი ქონდა უამრავი ამბებისა. არ დარჩენილა არც ერთი კუნჭული საქართველოს ძველი ან თანამედროვე ცხოვრებიდან, რომ იგი არ შეხებოდა ჩვენთან ბაასში... გადაგვიშლიდა ლამაზად ძველი და ახალი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებას, მათ შემოქმედებას, მათ ნათქვამნაუბარს“.

ხონის მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენი ცხოვრების ავკარგსაც აღევნებდა თვალყურს პრესის საშუალებით. გაზეთი „დროება“ გამოწერილი ქონდათ მოწაფეებს, როგორც ამას ერ. გულისაშვილი აღნიშნავს. მთავრობა ფხიზლად აღევნებდა თვალყურს მოწალეებში „დროების“ გავრცელებას და ცდილობდა მისი მიწოდე-

ბის დაბრუოლებას. მზრუნველი აცნობებს საცენზურო კომიტეტს: „...ამასთანავე პატივი მაქვს გაახლოთ გაზეთ „დროების“. რედაქტორის დაბეჭდილი ბანდერალი, რომლითაც ეს გაზეთი უფასოდ ეგზავნება ხონის საოსტატო სემინარიის „ქართველ მოწაფეებს“, — რაზედაც საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე საპასუხო მიმართვაში მზრუნველისადმი სხვათა შორის აღნიშნავს: „თქვენი აღმატებულებისმიერ მოწოდებული ცნობა ამ გაზეთის ხონის მოწაფეებისათვის გაგზავნის შესახებ ნათელყოფს აღნიშნული რედაქტორის მისწრაფებას გაავრცელოს გაზეთი უკანონო გზით მოწაფეთა შორის“<sup>1</sup>.

— მკითხველის ყურადღება შევაჩერეთ ჩვენ ხონის საოსტატო სემინარიის მდგომარეობაზე არა იმიტომ, რომ აქ გაბატონებული რეუიმი ერთადერთი და გამონაკლისი იყო, არა, ეს იყო ტიპიური ჟველა სასწავლებელთათვის; შევჩერდით ხონის სემინარიაზე იმიტომ, რომ აქ 1884 წელს ადგილი ქონდა მოწაფეთა გამოსვლას, მართალია, ძლიერ უხეშსა და ტლანქს, მაგრამ გამოწვეულს რუსიფიკატული და კაციჭამია შოვინისტური პოლიტიკით, რომელსაც აქ სემინარიის დირექტორი და მისი დამქაშები ატარებდნენ.

1884 წლის დასაწყისში სტრელეცკი გადაყვანილი იქნა გორის სემინარიის დირექტორად და მის ნაცვლად დანიშნული იქნა აქ პ. სოკოლოვი, რომელმაც პირველ დღიდანვე სემინარიაში გაამეფუა ბარბაროსული რეუიმი. „მან (სოკოლოვმა) აკრძალა ქართულად ლაპარაკი და ქართული წიგნის კითხვა, ქართული სიმღერები; შეამცირა ქართული ენის გაკვეთილები და მოითხოვდა, რომ ქართული ენა რუსულად ესწავლებიათ“, აღნიშნავს ჩემის თხოვნით დაწერილ მოგონებაში დამსახურებული მასწავლებელი გიორგი ბოკერია, რომელიც მაშინ სემინარიის მოწაფე იყო, „სახალხო მასწავლებელი იგივე უერთგულესი სალდათი უნდა იყოს მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისა; მაშასადამე, ყოველი თქვენგანი უნდა აღიზარდოს სალდათურად, რომ მან ასეთივე სული ხალხში გადანერგოს — გვიქადაგებდა დირექტორი“ — ვკითხულობთ ამავე მოგონებაში.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეთათვის არ იყო უცხო არალეგალური ლიტერატურაც; მაგალითად, გ. ბოკერია თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ სემი-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. საქ. № 1539, სერია 3.

ნარის მოწაფეს ლ. ბოცვაშეს (შემდეგში ცნობილ პედაგოგს) ეკლესიაში დაუჭირეს არალეგალური ბროშურაო.

ამრიგად ხონის სემინარიის მოწაფეთა გამოსვლისათვის ნიადაგი შემზაღებული იყო სემინარიაში გაბატონებული სასტიკი რეკომისა და იქ წარმოებული გამარტინებელი პოლიტიკით, ოპოზიციონური პრესისა და არალეგალური ლიტერატურის კითხვით და ეროვნულ-ნაციონალური იდეების თესვით, რომელსაც უმთავრესად მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე ეწეოდა. სოკოლოვის მიერ სემინარიაში გაბატონებული რეკომი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა უფროსი კლასის მოწაფეებში; ხშირად მოწაფეები სოკოლოვის განკარგულებას ას ასრულებდნ. უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. მოწაფეთა მოძრაობას ხელმძღვანელობდნ მესამე კლასის მოწაფენი: მდინარაძე, კალაძე და ჩხერიძე, რომლებიც მასწავლებლებთან ქუთათელაძესთან და აბდუშელიშვილთან იყვნენ დაკავშირებულნ. მოწაფეთა ქეტიური გამოსვლის საბაზი გახდა აღნიშნული სამი მოწაფის მდინარაძის, კალაძისა და ჩხერიძის სასწავლებლიდან. გარიცხვა სოკოლოვის შიერ. 1884 წლის 9 ნოემბერს დილით ყველა შეკრებილ მოწაფეთა წინაშე გამოცხადებულ იქნა ეს დადგენილება — აღნიშნული სამი მოწაფის გარიცხვა და მესამე კლასის დანარჩენ მოწაფეების გაკიცხვა ყოფაქცევაში ნიშნის 3 — 4 წარდგენით. მდინარაძემ სიტყვა მოითხოვა, მაგრამ მას დირექტორმა ნება ირ მისცა და გამოიჩიცხულებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეტოვებიათ სასწავლებელი. მაშინ აღნიშნული სამი მოწაფე ეცა სოკოლოვს და მესამე და მეორე კლასის მოწაფეთა დახმარებით დაუწყეს მას ცემა სახეში:... ასე ცემა ტყეპით და ცხვირში სისწლის დენით მიჰყავდათ იგი ზემოსართულში ასასვლელ კიბისაკენ. მათ წინ მიუძღვა: და მორიგი მასწავლებელი ა. ქუთათელაძე, უკან მისდევდა დ. აბდუშელიშვილი და გ. უოურგაული. დანარჩენი რუსი მასწავლებლები დაფრთხენ და ფანჯრებიდან გადაცვივლნენ... კიბესთან მიყვანისას ქუთათელაძემ გამოგლიჭა მოწაფეებს ცემული და გვემული, გასისხლიანებული სოკოლოვი და აისროლა კიბეზე; იმანაც მოჰკურცხლა თავის ბინაში (გ. ბოკერიას „მოგონებიდან“).

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სმეკალოვი 9 ნოემბერს დეკემბრით აცნობებს მზრუნველს:

„ხონის საოსტატო სემინარიაში დაწყებული არეულობის შესაწყვეტად ჩემს მიერ მივლინებულია ქუთაისის მაზრის უფროსი: გთხოვ, თქვენო აღმატებულებავ, დაუყოვნებლივ მიანდო ქუთაი-

სის სასწავლო . უწყების რომელიმე წარმომადგენელს დღესვე გაემგზავროს „ხონს“.

13 ნოემბერს (1884 წ.) გუბერნატორი შემდეგს ატყობინებს მზრუნველს. „პედაგოგიური საბჭოს მიერ სასწავლებელთა დი- რექტორის, მაზრის უფროსისა და განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის თანადასწრებით მესამე კლასის ცხრაშეტი მოწაფე გა- მორიცხულია. მოწაფეები გაძევებული არიან სემინარიიდან და ჩემი განკარგულებით ყარულების ზედამხედველობის ქვეშ თავ- თავიანთ სახლებში იგზავნებიან ხონში ჩამოსვლის აკრძალვით. გარდა ამისა, სამი მათგანი დაპატიმრებულია და გამომძიებლის განკარგულებაში გადაცემული. მოხსენებისათვის ვავლინებ გან- საკუთრებულ დავალებათა მოხელეს“<sup>1</sup>.

ჩეპრესიები მასწავლებლებზედაც გავრცელდა: მისი მსხვერპ- ლი გახდა ა.რ. ქუთათელაძე, რომელიც მზრუნველის ბრძანებით გაძევებული იქნა ხონის სემინარიიდან და დ. აბდუშელიშვილი, რომელიც გადაყენებულ იქნა აღმზრდელის მოვალეობიდან.

იმ მოხსენებიდან, რომელიც ამ ხაკითხის შესახებ სოკოლოვმა წარუდგინა მზრუნველს ნათლად სჩანს, რომ ხელისუფლება მო- წაფეთა გამოსვლის ერთ-ერთ მიზეზად სთვლიდა ქუთათელაძეს, რომელიც „ქართველი ხალხის თვითარსებობას და დამოუკიდებ- ლობას ქადაგებდა“.

მზრუნველის განკარგულებით ა. ქუთათელაძეს წინადადება მიეცა შემოეტანა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესა- ხებ. სოკოლოვი აცნობებს მზრუნველს, რომ მოწაფეთა შორის ქუთათელაძის გადაყენებამ ცრემლები გამოიწვია და შეხვედრი- სას არცერთი მათგანი ჩვეულებრივ არ მომესალმაო.

დირექტორს ქართული ენის სწავლება დაუკისრებია მღვდლის ლომთაძისათვის, რომელიც — სოკოლოვის თქმით — აღძრავდა მოწაფეებში სიყვარულს მეფისადმი და ერთგულებას ტახტისად- მი. მაგრამ ლომთაძეს, დილას ამ საგანზე დათანხმებულს, საღამოს უარი განუცხადებია მოწაფეთა მღვდლვარე განწყობილების გამო, რომელიც გაიძახოდნენ, რომ ქუთათელაძის მსგავსი მასწავლებელი მათ არ გაუგონიათ და არც შეიძლება იყოსო. დირექტორი თხოვს მზრუნველს ქუთათელაძის ნაცვლად კეთილსაიმედო მასწავლებ- ლის დანიშვნას, რომელსაც აუცილებელ პირობად უნდა დაედვას:

1. ქართული ენის სწავლება აწარმოოს რუსულ ენაზე. 2. მთავრობის

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 3447.

მიზნების შესაფერისად, 3. ასწავლოს ქართული ენის გრამატიკა და მეთოდიკა და არა უკითხოს მოწაფეებს ყველაფერი ის, რაც ქართულ ენაზეა დაბეჭდილი.

ამასთანავე სოკოლოვი ატყობინებს მზრუნველს, საღამოს მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ შეკრებილნი, მაგრამ საგანი მათი თათბირისა ვერ გავიგეო. ვფიქრობ, რომ ქუთათელაძის საზე-იმო გაცილებისათვის ემზადებიანო <sup>1</sup>.

ამ ცნობებიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორი იყო დამოკიდებულება განათლების ხელმძღვანელთა ჩვენში ქართული ენისაღმი იმ სასწავლებლებში, საიდანაც ამ ენის განდევნა ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებიათ და იმ შასწავლებლებისაღმი, რომელნიც ამ ენას სიყვარულით ასწავლიდენ.

როგორ უნდა შევაფასოთ ჩვენ ხონის სემინარიის მოწაფეთა გამოსვლა 1884 წლის ნოემბერში... იყო თუ არა ის რევოლუციური ნაბიჯი?! ატარებდა თუ არა ის ეროვნულ-ნაციონალურ შინაარსს?! ვფიქრობ, რომ პირველსა და მეორე კითხვაზეც დადგებითად უნდა ვუპასუხოთ.

პუბლიცისტები მენშევიკური ბანაკიდან ყურს უჭედავდენ საზოგადოებას იმის შესახებ, რომ 1885 წ., შემდეგში მათმა ლიდერმა სილ. ჯიბლაძემ რექტორ ჩულეცის სცემა და ეს დიდ რევოლუციური და თავგანწირვის საქმედ ქონდათ წარმოდგენილი. ხონის სემინარიაში კი თითქმის მთელი მოწაფეობა გამოვიდა იმ სულისშემხუთავ და საზარელ რეჟიმის გამტარებლების წინააღმდეგ, რომელიც სკოლაში იყო გაბატონებული. მაგრამ ს. ჯიბლაძეს შემდეგში ისტორიკოსი გამოუჩნდა და მისი ნაბიჯი აღრიან რევოლუციურ გმირობად დასახა, ხოლო მდინარაძე—კალაძე—ჩხერიკელისა და ხონის სემინარიის სხვა მოწაფეთა რევოლუციური შებრძოლება ცარიზმის აგენტების წინააღმდეგ დავიწყებას მიეცა და მათი საქმე არქივის მტვერშა დაჰფარა.

ნაციონალურ მოძრაობად შეგვიძლია დავსახოთ ჩვენ ეს გამოსვლა, რამდენადც ის გამოწვეული იყო რუსიფიკატული პოლიტიკითა და იმ ზიზლითა და სიძულვილით, რომელსაც დირექტორი სოკოლოვი და მისი ხელქვეითები ანთხევდნენ სკოლაში, ქართველ მოწაფეთა და ქართული კულტურის მიმართ.

ზემოდ ჩვენ ოფიციალური ცნობა მოვიყვანეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა მოწაფეობა არ. ქუთათელაძის გაძევებას, მას-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ჟ, № 3155.

წავლებლის, რომელიც შშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს სთესდა მოწაფეობაში, რომელიც ადამიანურად ეპყრობოდა მათ, კეთილშობილ გრძნობებს ზრდიდა მათ გულში და ხალხის ერთგულ მუშაკად ამზადებდა მათ. მასწავლებელ გ. ბოკერიას მოგონება ემთხვევა ოფიციალურ ცნობას: „მასწავლებელი არ ქუთათელაძის გაძევებას მოწაფეები მდუღარე ცრემლებით შეხვდენ და ტირილით გამოეთხოვენ მას; სახსოვრად კი მიუძღვნეს: ოქროს შანდალი, საწერელი და კალამი და ოქროს ვაჩაყიანი „ვეფხისტყაოსანი“.

1884 წლის ნოემბერში ხონის სემინარიაში მომხდარი ინციდენტი პატარა მასშტაბის მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და მასში, როგორც ერთ წვეთ ცვარში, მოსჩანს ორი მოწინააღმდეგე ძალის დაძაბულობა: ერთის მხრით გაბატონებული ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელი მოხელეები მაჯლაჯუნასავით რომ აწვენ თავს ქართველ ხალხს — მზრუნველი იანვესკი, ღირექტორი ლევიცი, გუბერნატორი სტრეკალოვი, მაზრის უფროსი ჰიუავაძე, თარჯიმანი იაშვილი, ღირექტორი სოკოლოვი, შღვდელი ლომთაძე — „ერთი საცოდავი, უბადრუკი კაცუნა, პიროვნებას მოკლებული, ღირექტორის ლაქია, რომელიც შველას თვალში შესცემოდა ამოსაკითხავად: ხომ არავინაა ჩემგან ნაწყენი“— ასე ახასიათებს მას ერ. გულისაშვილი. მეორე მხრით ხონის სემინარიის მესამე კლასის მოწაფეობა, სახალხო მასწავლებლის ასპარეზზე გამოსასვლელად გამზადებული და მათთან მეტად მცირე რაოდენობით ერთი მუჭა ჭ. ხონის ინტელიგენცია. მათი შეტაკება, რასაკვირველია, მეორეთა დამარცხებით დასრულდა. ამ ბრძოლაში არ. ქუთათელაძის როლი ისე გაზვიადებულად ქონდა სახალხო განათლების მინისტრს დელიანოვს წარმოდგენილი, რომ წინადაღებას აძლევდა იანვესკის, — ხომ არ დაინახავდა ეს უკანასკნელი შესაძლებლად სავსებით აღექრძალა პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა არ. ქუთათელაძისათვის.

სემინარიის ღირექტორის სოკოლოვი თავის ადგილზე დარჩა დაგანმტკიცდა. თუ როგორ განავითარა მან რუსიფიკატული პოლიტიკა, ამას შემდეგი პატარა და მჭერმეტყველური ფაქტი გვიმტკიცებს გახ. „დროუბაში“ მოთავსებული:

„ამას წინად ჩვენს ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილი იყო განცხადება ხონის სამასწავლებლო სემინარიის ღირექტორის სოკოლოვისა, რომ სემინარიაში არ მიიღებიან ბავშვები, რომელნიც კარგად ვერ გამოსთქვამენ შემდეგ ასოებს: დ, თ, ლ, ც, კ, ი, ე.

ეხლა იგივე დირექტორი ამ საგანზე აცხადებს შემდეგს: „კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველმა მაცნიბა შემდეგი: თუმცა სასურველია, რომ სემინარიაში შემოსვლის მსურველთ წინდაწინვე ვავარჯიშებული ქონდეთ გამოთქმა როგორც ამ ასოებისა, ისე საზოგადოდ რუსული ენის სიტყვებისა, მაგრამ ეს პირობა აუცილებლად სავალდებულოდ არ უნდა ჩაითვალოს“. <sup>1</sup>

სოკოლოვის თარეში ხონის სემინარიაში გაგრძელდა 1893 წლამდის, როდესაც მოთმინებიდან გამოსულმა მოწაფეებმა გაგლოჭეს სემინარიის ალაყაფის კარები და დემონსტრატიულად გაიხიზნენ ცხენისწყლის სანაპიროზე და მანამდის არ დაბრუნებულან სემინარიაში, სანამ მზრუნველმა არ გააძევა მისი დამქაში სოკოლოვი სემინარიიდან. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ხონის სემინარიის მოწაფე-ახალგაზრდობის ბრძოლის ისტორიიდან კაციჭამია რუსიფიკატორ აღმინისტრაციის წინააღმდეგ, მაგრამ ამაზე ვერ შევჩერდებით, რადგან ის სცილდება ჩემს მიერ ქრონოლოგიურად აღებულ საზღვრებს.

სემინარიის მოწაფეთა ამ გამოსვლის შესახებ გ. ბოკერია იგონებს: „დემონსტრატებს ოვაცია გაუმართა მთელმა საზოგადოებამ; და მისმა ერთერთმა წევრმა, ლირსულმა მოქალაქემ გრგორიულუკიძემ (საშა წულუკიძის შამა) ყველა დემონსტრანტი მოწაფე წაიყვანა და სამი დღის განმავლობაში არ შოუკლია მათვის გულუხვი მასპინძლობა, ოლონდ გამაგრებულიყვნენ და უკან აჯღაბრუნებულიყვნენ, სანაშვერა სოკოლვს არ გააძევებდენ სემინარიიდან“. მეტად საინტერესო ფაქტია, რომელიც არ უნდა დარჩეს ცნობილი რევოლუციონერის საშა წულუკიძის ბიოგრაფია და მკვლევარის ყურადღების გარეშე, — ხომ არ ყოფილა ახალგაზრდა საშა წულუკიძე იღეურად თუ პრაქტიკულად ხელმძღვანელი და მონაწილე სემინარიის მოწაფეთა ამ მეტად გაბედული და მნიშვნელოვანი რევოლუციური გამოსვლისა.

ნაციონალურ-რევოლუციური კვალიფიკაციის მიცემა შეიძლება იმ მოძრაობისათვისაც, რომელმაც თავი იჩინა, თუმცა არა ისე აშკარად როგორც ხონის სემინარიაში, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში 1885 წელს. ამ წლის 21 აპრილს აღნიშნული სასწავლებლის ინსპექტორი პერევოზნიკოვი გაფრთხილებული იქნა, მაზრის უფროსის შეირ, რომ მესამე უმცროსი კლასის მოწაფეთ განზრახვა აქვთ 22 აპრილს უწესოება მთაზღდინონ საღვთო სჯუ-

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1885 წ. № 78.

ღის მასწავლებლის მღ. ტროიცეს გაკვეთილზე, სახელდობრ: ტროიცეს კლასში შესვლისას მოწაფეებს განზრახული აქვთ ერთბაშად გამოვიდნენ კლასიდან და ამ ტალღას თან გამოაყოლონ მასწავლებელიც. მაზრის უფროსმა ამავე ღროს აცნობა ინსპექტორს, რომ სასწავლებლის მასწავლებელს გრ. ქიქოძეს მიუმართავს მოწაფეებისათვის სიტყვით 20 აპრილს: რომ უფროსებს ის გადაყავთ, რომ ის სთხოვს მოწაფეებს ნუ შეარცხვენენ მას ახალი მასწავლებლის წინაშე, რომელიც, რასაკვირველია, დანიშნული იქნება რუსთავან, რადგან ქართველებს ავიწროვებენ, სდევნიან მათ ეროვნებას, ენას და სხვა. 22 აპრილი ოზურგეთის სამოქალაჭო სასწავლებელში შედარებით მშვიდობიანად ჩატარდა, რადგან ამისათვის ინსპექტორმა პერევოზნიკოვმა განსაკუთრებული ზომები მიიღო: თვით დაესწრო საღვთო სჯულის მასწავლებელს მე-3 კლასში და კლასიდან გააძევა ის მოწაფეები, რომელნიც მის თარჩინასწრებითაც კი დისციპლინას არღვევდენ. მაგრამ 24 აპრილს გამოირკვა, რომ „ბუნტარულად“ სხვა კლასის მოწაფენიც ყოფილან განწყობილი, მაგ., ამ დღეს პირველი უფროსი კლასის მოწაფეები საღვთო სჯულის მასწავლებელს გაკვეთილის მოყოლაზე ერთ-ხმად უარი განუცხადეს. საგანგებოდ მოწვეულ პედაგოგიურ ზჩევაზე ზოგმა დაკითხულმა მოწაფემ აჩვენა, რომ მათი სურვილია საღვთო სჯულის რუსი მასწავლებელი შესცვალონ ქართველით. გამგისა და საღვთო სჯულის მასწავლებლის გარდა ამ წელს ოზურგეთის სამოქალაჭო სასწავლებელში ყველა მასწავლებელი უროვნებით ქართველი იყო). დადასტურდა ისიც, რომ ეს მოძრაობა მოწაფეთა არ ყოფილა მიმართული ტროიცეს, როგორც მკაცრი მასწავლებლის წინააღმდეგ. მოწაფეთა ამ გამოსცლების შედეგად გამორიცხული იქნა სასწავლებლიდან მე-3 კლასის ექვსი მოწაფე. რასაც შედეგად მოყვა მე-3 კლასის მოწაფეთა ერთსულოვანი გაფიცვა: შესწყვიტეს სასწავლებელში სიარული, სანამ გამორიცხულებს არ აღაღენდნენ<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, არავინ დაიჭერებს, თითქოს მოწაფეთა უს გაბრძოლება გამოწვეული ყოფილიყოს ქიქოძის მიერ 20 აპრილის შოწაფეთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვით. ეს სიტყვა მხოლოდ საბჭბად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მოწაფეთა პროტესტსა და გაფიცვას ღრმა იდეური და ორგანიზებული ფესვები აქვს, რომე-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 3155.

ლიც უფრო ნათელი გახდება სათანადო მასალების გამომუღავნებისა და შესწავლის შემდეგ.

ეს ბრძოლა ნორჩ ახალგაზრდებსა და აღმინისტრაციის შორის, რა თქმა უნდა, მთავრობის გამარჯვებით დასრულდა; აშისი მსხვერპლი გახდა მასწავლებელი ქიქოძე, როგორც მოწაფეთა წამქეზებელი: ის წლის დასასრულამდე გადაყვანილი იქნა ფოთს და შემდეგ კი აზერბაიჯანში უკრეს თავი.

ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა გამოსვლაზე ჩვენ შევჩერდით არა იმიტომ, რომ ის მიგვაჩნია დიდმნიშვნელოვან მოვლენად მოწაფეთა შორის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობის ისტორიაში, არამედ ამ მაგალითზე ნათელსაყოფად იმისა, რომ იმ შავბნელ დროში, როდესაც რუსეთის კოლონიების ცენტრებშიც კი ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა მიმქრალი და შებორკილი იყო ცარიზმის ჩატახებით, ამ დროს სადღაც მივარღნილი სამაზრო ქალაქის სკოლის 15-16 წლის მოწაფეები, რამდენიმე დღის განმავლობაში გაფიცვით თუ სხვა საშუალებით ებრძვიან ხელისუფლებას, შეშფოთებასა და აურჩაურს იწვევენ განათლების უწყებასა და აღმინისტრაციაში და ამით ამჟღავნებენ რევოლუციურ სულისკვეთებასა და ეროვნულ-ნაციონალურ შეგნებას.

ამ თავის დასაწყისში ნათქვამი იყო, თუ როგორი იდეებით იყო გატაცებული ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი 80-იანი წლების პირველ ნახევარში და თუ საიდან ითვისებდა ამ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ აზრებს ეს ახალგაზრდობა. აღნიშნული იყო გაკვრით, რომ ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ხარბად ეწაფებოდა მოწინავე ინტელიგენციის განმანთავისუფლებელ იდეებს და ბრძოლის ფერხულში ებმებოდა, გატაცებული ბრწყინვალე და ხშირად ფანტასტიური იდეებით. ეს აზრები მეტნაწილად სამშობლოს განთავისუფლებას დასტრიალებდა თავს.

რომ ასეთ აზრებით იყო გატაცებული ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა, ამას ააშკარავებს არა მარტო ის საქმე, რომელიც 1888 წელს უანდარმერიას ჩაუვარდა ნელში (რომლის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი), არამედ განათლების უწყებაც, რომელიც მოწაფეთა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი იდეებით გატაცებას ვერ მალავს, და, დირექტორიდან ვიდრე მინისტრამდის. დაეძებენ გზებს ამ იდეების მოსწავლეთა წრიდან აღმოსაფვრელად.

დასახელებულ საქმის გამო განათლების უწყების წარმომადგენელთა შორის გამართულ მიწერ-მოწერიდან იჩვევევა, რომ „ქართველ ახალგაზრდათა შორის დიდი ხანია შემჩნეულია“ ანტირუსული მიმართულების ნიშნები, მაგრამ, როგორც სჩანს, ასეთ მიმართულებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება“ (მზრუნველის მიმართვიდან ჭუთ. გიმნაზიის დირექტორის სტორანოვის სახელზე).

დირექტორის სტორანოვის აზრით, გიმნაზიის მოწაფეთა შორის მავნე მიმართულების გავრცელებას ხელს უწყობენ გარეშე პირები,—გამორიცხული სტუდენტები, სემინარიელები, გიმნაზიელები და, განსაკუთრებით, საზოგადოება, რომელიც თავს იყრის სააზნაურო სკოლის გარშემო“, და რომ ამ გავლენასთან ბრძოლაში უსუსურნი არიან ქართული ენის უცოდინარი მასწავლებლები და აღმზრდელები და რომ პოლიციის დაუხმარებლად შეუძლებელია ამ მავნე გავლენასთან ბრძოლა.

ამგვარსავე აზრს გამოსთვამს მზრუნველი იანოვსკი მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებაშიც:

„...ისეთ მხარეში, როგორც იმერწითა, გიმნაზიას არა მარტო სწავლება და აღზრდა უხდება, არამედ ძნელი და სისტემატიურობრძოლა იმ პირების გავლენასთან, რომელიც ცუდად არიან რუსებისადმი განწყობილნი, როგორც მათ თანამემამულეთა დამპყრობელი ხალხისადმი.

ასეთი პირები ენით. ნათესაური კავშირით და ეროვნებით უფრო ახლოს დგანან ბავშვებთან, ვიდრე მათი რუსი აღმზრდელები, რომელთა შორის ყველამ არ იცის ადგილობრივი ენა და ამიტომ არ ძალუდო სავსებით ადევნონ თვალყური ტუზემეც — მოწაფებსო“.

სწავლისა და აღზრდის საქმის „ტუზემცებისათვის“ ჩაბარება კი მზრუნველს მავნებლად მიაჩნდა, რადგან ისინი ვერ აღზრდიან მოწაფებს:

„ტახტისადმი და საერთო სამშობლო რუსეთისადმი ერთგულების სულისქვეთებითო“<sup>1</sup>.

მოყვანილ მიწერ მოწერიდან მჟღავნდება: 1) რომ მისი ავტორები, რომელიც „მოწოდებული არიან აღზარდონ მოწაფეებში ერთგულება“ „მამულისა და ტახტისადმი“ ვერ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე და ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალე-

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. 107, სერია ვ, საქ. № 2368.

ობას, 2) რომ სკოლაში იჭირება. გარეშე პირთა გავლენა ნაციონალურ განმანთავისუფლებელი შინაარსისა, 3) რომ ამ გავლენისაგან მოსწავლეების დასაცავად უსუსურია სასკოლო აღმინისტრაცია, მასწავლებლობა და აღმზრდელები, 4) რომ ქართველ მასწავლებელ-აღმზრდელთა გამოყენება ამ საქმისათვის შეუძლებელია და 5) რომ საჭიროა პოლიციის დახმარება.

იანოვსკი-სტოიანოვის მოყვანილ მოსაზრებებში შესაძლოა ყველაფერი სწორი იყოს, გარდა ერთია: რენეგატი, გაჩინოვნიკებული ქართველი მასწავლებელი თუ სხვა მოხელე „ტახტს“. არა ნაკლებ სამსახურს უწევდა, ვიდრე „ჭეშმარიტი რუსი“. ამისი მაგალითი მრავალია, მაგრამ ცარიზმის ბობოლა მოხელეები ასეთ „ქართველებსაც“ უნდობლობისა და ეჭვის თავლით უცქეროდენ.

1888 წლის 8 ივლისს ქუთაისის საგუბერნიო უანდარმთა სამართველოში აღიძრა საქმე ყოფილი მოწაფის ვარლამ ლოლუას შესახებ, რომელიც თითქოს საიდუმლო მიწერ-მოწერას აწარმოებდა რუსეთის შიგა გუბრენიებში მცხოვრებ სტუდენტებთან და რომ ამავე ლოლუამ წარმოსთქვა შეურაცხმყოფელი სიტყვები მეფის მიმართ, რომლის ჩამოსვლა კავკასიაში განზრახული იყო ახლო მომავალში. უანდარმთა გამოძიებამ ეს ბრალდება ლოლუას მიმართ წაყენებული არ დადასტურა; მაგრამ ვარ. ლოლუას ბინის გაჩერეკისას უანდარმებმა აღმოაჩინეს: 1) მოწაფის რვეული ლექსით, რომელიც იწყება სიტყვებით „მამულიშვილნო“ „Сыны отечества“ და რომელიც შეიცავს მოწოდებას ადგილობრივ ქართველ მოსახლეობისადმი იშიშვლოს მან ხმალი მტრად აღიარებული რუსების წინააღმდეგ და მოიპოვოს თავისთვის დამოუკიდებლობა; 2) რვეული ლექსით ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდლოლის ყიფიანის სიკვდილის შესახებ, რომელშიც, ქ. სტავროპოლიში უცნობ ბოროტმოქმედისაგან ყიფიანის მკვლელობა ბრალდება რუსებს; ლექსი ძოუწოდებს შურისძიებისაკენ და შემდეგ მასში გატარებულია აზრი, რომ დროა ქართველმა ხალხმა უკუაგდოს მარტო სიტყვები და შეუდგეს საქმეს, რათა იარაღით დამხსოვენი ქვეშევრდომობა, ამოწყვეტილ რუსები და მოიპოვოს თავისუფლება; 3) ფოტოგრაფიული სურათი — ყიფიანი სასიკვდილო სარეცელზე; 4) წერილი სათაურით: „რამდენიმე სიტყვა სტუდენტთა დემონსტრაციის შესახებ“, რომელშიც ამართლებენ სტუდენტს ლასხიშვილს, სხვებთან ერთად გარიცხულს მოსკოვის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღების გამო; გამოთქმულია მისდამი თანაგრძნობა და პატივისცემა, ხო-

ლო უნივერსიტეტის წესები კი გაკიცნულია და საერთოდ გატარებულია ის აზრი, რომ ჩვენს, „შავბნელ სახელმწიფოში“ გათელილია სამართლიანობა და ჭეშმარიტი პრინციპებით გატაცებულმა პირებმა მსხვერპლი უნდა გაიღონ, რომ სამართლიანობას გამორჩვება არგუნონ“<sup>1</sup>.

სამწუხაროდ ჩვენ იძულებულნი ვართ ამ მეტად საინტერესო ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი შინაარსის ლიტერატურას გავეცნოთ მხოლოდ იმ მოხსენებიდან, რომელიც აღნიშნული საქ-შის შესახებ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა წარუდგინა საიდუმლოდ კავკასიის მთავარმართებელს. შემდგომმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ 1888 წლის ობერვლიდან ქუთაისის გიმნაზიის მე-VII კლ. მოწაფეები სცემდენ ხელნაწერ უურნალს „განთიადს“, ყოველკვირეულს, ერთ ეგზემპლარად, რომელიც მოწაფეთა ხელიდან ხელში გადაღიოდა. ამ უურნალს რედაქტორიდა გიმნაზიელი პროკოპი ჩხენკველი, ხოლო ლოლუა, ჩხენკველის დავალებით, სხვადასხვა პირებისაგან. შედგენილ წერილებს და ფსევდონიმით ხელმოწერილს, გადასწერდა ხოლმე უურნალში; ასე დაამზადა მან სამი № 15—17.

მაგრამ ვარლამ ლოლუა არ კმაყოფილდებოდა მარტო ტეხნიკური მუშაობით. როგორც დაკითხულების მთელმა რიგმა დაარასტურა, ლოლუა თავის ნაცნობ-მეგობრებს, მათ შორის, რასაკვირველია, მოწაფეებსაც და მომსვლელებს უკითხავდა მთავრობის საწინააღმდეგო აღნიშნულ წერილებსა და ლექსებს, უკეთ რომ ვთქვათ, ის ეწეოდა ნაციონალურ-რევოლუციურ განმანთავისუფლებელი იდეების პროპაგანდასა და აგიტაციას.

მეტად საინტერესო და დამახასიათებელი მოვლენა: ვარლამ ლოლუა, 16 წლის ბავშვი, დარიბი აზნაურის შვილი საშეგრელოდან, სააზნაურო ცკოლის მესამე კლასიდან გამორიცხული უკიდურესი სიღარიბისა და ნაკლები წარმატების გამო, ამავე სკოლის ინსპექტორის დახასიათებით კარგი ყოფაქცევისა და მუყაითი, დარიბი იმდენად, რომ ქუთაისის პოლიცია მას ყველის მოპარვასაც კი აბრალებდა ღუქნიდან, აი, ეს თითქმის უსუსრი ბავშვი ფეხიზ-ლად აღევნებს თვალყურს ჩვენი ქვეყნის ავკარგს და ნაციონალური იდეების გამტარებლად გამოდის. ის მარტო არ არის: თავის გარშემო იკრებს გიმნაზიის მოწაფეებს — ლუკა ჩარკვიანს, ნესტორ მლივანს, მიხეილ შენგელაიას, ივანე აბაშიძეს, კლრ-

<sup>1</sup> იხ. ც. აზვ. ფ. 107; სერია ვ, საქ. № 2368.

შენტი თოფურიძეს და სხვებს. ხელმძღვანელობს ამ ახალგაზრდა ნაციონალისტების ჯგუფი პროკოფი ჩხერიელი, 19 წლის მოწაფე, მღვდლის შვილი, რომელიც რედაქტორობს უურნალ „განთიად“ და ათავსებს მასში სახელმძღვანელო წერილებს.

პროკურორის ზემოდ აღნიშნულ მოხსენებაში თუ სისწორით არის გადმოცემული წერილების და ლექსების შინაარსი, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ავტორები ეხებიან ქვეყნის მტკიცნულ საკითხებს და როგორც შეშვენის ახალგაზრდა მებრძოლებს, პათოსით და ტემპერამენტით წერენ ამ თემაზე. საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან, ღიმიტრი ყიფიანის მკვლელობა, სტუდენტების მღელვარება, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საჭმით და არა სიტყვით, ეს ის საკითხები იყო, რომელიც აწუხებდა ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილს და ხშირად მასზე ან სრულიად ვერ სძრავდა კრინტს, ან მეტად მიკიბულ-მოკიბულად და საერთო ფრაზებით ლაპარაკობდა.

ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო მასალა სამსახურს გაუწევს აგრეთვე ჩვენში 80-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების მკვლევარსაც.

80-იან წლების ქართველ მოსწავლეთა შორის ადგილი აქვს ისეთი ეროვნული შინაარსის მოძრაობასაც, რომელიც მიზნად არ ისახავდა ფართო პოლიტიკურ საკითხებს, როგორც ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეთა აღნიშნული ჯგუფი და არც ისეთი მშთოთვარე ფორმა მიუღია, როგორც ხონის სემინარიის მოწაფეთა გამოსვლა იყო 1884 წელს.

ასეთი წასიათისაა გორის საოსტატო სემინარიის მოწაფეთა კოლექტიური წერილი ერთ-ერთ რედაქციისადმი 1883 წელს: „სამწუხაო ჩვენ მოკლებული ვართ ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას.... ყველამ, და განსაკუთრებით ნასწავლმა კაცმა იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართულ ენას სოფლის მასწავლებლისათვის. ჩვენ არ ვინდა მხოლოდ ღიპლომი, არამედ საფუძვლიანად განათლებული კაცი, საფუძვლიანი მცოდნე ქართული ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის... უდაოა, თითოეულმა განათლებულმა კაცმა თავის სამშობლოს თანამგრძნობმა, უნდა იცოდეს, თუ რა ძნელია ქართული ენის სწავლება და ამიტომ მან ის ჩვენ კარგად უნდა გვასწავლოს. ამიტომ ჩვენ მივმართავთ შთელი სემინარიის სახელით ჩვენი მიწის პატივცემულ მოღვაწეთ, მიაქციონ ამას სათანადო ყურადღება“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 983; გვ. 17.

ერთ-ერთ თავში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა უბადრუკ მასწავლებლებს ნიშნავდა მთვრობა ქართული ენის მასწავლებლად იმ სასწავლებლებში, სადაც მას ქართული ენის გაუქმება ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებია. ასეთ სასწავლებლებში უვიც და უილაფო მასწავლებელთათვის ქართული ენის ჩაბარება განათლების უწყების პოლიტიკა იყო, რომლის წინააღმდეგ, მართალია, მშვიდობიანად, მაგრამ საჯაროდ, პრესის საშუალებით, უშუალო ხელმძღვანელობის თავზე გადაბიჯებით, გორის სემინარიის ქართველი მოწაფეები მიმართავდენ ქართული კულტურული საქმეების მესვეურთ. ესეც ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლის ერთერთი ფორმაა, მიმართული განათლების უწყების წარმომადგენელთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

## II. 1881 წლის სასწავლო გეგმის გაუქმება.

1881 წლის სასწავლო გეგმის შესრულებას დაწყებითს სკოლებში ფხიზლად ადევნებდენ თვალყურს არა მარტო გუბერნიის სახ. სკოლების დირექტორები და ინსპექტორები, არამედ თვით მზრუნველი იანვესკიც, რომელიც ზედმეტი სიფხიზლის გამოუხერხულ მდგომარეობაშიც ვარღებოდა ხოლმე. 1884 წლის დასაწყისში ქუთაისის სახ. სკოლების ინსპექტორი ქორქიევი, რომელმაც დაათვალიერა სენაკის, ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრის სკოლები, წერს მოხსენებაში მზრუნველს:

„ყველა დათვალიერებული სასწავლებელი ქართველებით დასახლებულ ადგილებშია და სწავლება მათში, თანახმად, „სასწავლო გეგმისა“, მიმდინარეობს სწავლების პირველ წელს განსაკუთრებით ქართულს ენაზე, შემდეგში კი რუსულის დახმარებითო“.

აქ იანვესკის სრულიად უსაფუძვლოდ „გეგმის“ დარღვევა მოეჩვენა და სასწრაფო შეკითხვას უგზავნის დირექტორს ლევიტსკის:

„.... გთხოვ მომახსენოთ, რა საფუძვლით მოხდა 1881 წ. 13 იანვარს აღილობრივ სკოლებისათვის კავკასიის ყოფილი ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის დარღვევა, რომლის მიხედვით რუსული ენის ზეპირი სწავლება უნდა იწყებოდეს პირველი წლის მეორე ნახევრიდან“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ქორქიევის მოხსენებით გეგმის არავითარ დარღვევას არ ქონია ადგილი. იქ ნათქვამი იყო, რომ ყველა სა-

<sup>1</sup> იხ. ც. ორქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1412.

უანი პირველ წელს ქართულ ენაზე ისწავლება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამავე წელს რუსული ენა არ ისწავლება; სწორედ ამგვარი შინაარსის განმარტება მისცა შეკითხვაზე მას. სკოლების დირექტორმა ლევიტსკიმ, რომელიც სკოლის გარუსების საქმეს ერთგულ ზარაჯად ედგა.

მიუხედავად ასეთი სიფხიზლისა, როგორც სათანადო მიწერ-შოწერილან ირკვევა, 1881 წლის გეგმამ მის ავტორებს იმედი არ გაუმართლა: საგნების სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანა არც რუსული ენის შესწავლის ხარისხს აუმჯობესებდა და საგნების შესწავლისათვისაც ზიანი მოჰქმნდა.

ქუთ. გუბ. სახ. სკოლების დირექტორი ლევიტსკი რუსული ენის ნაკლები წარმატების მიზეზად დაწყებით სკოლაში ასახელებს „ტუზემცებისათვის“ რუსული ენის სწავლის მეთოდიკის დაუმუშავებლობას, სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობას — კალანდარაშვილის სახელმძღვანელო არა დამაკმაყოფილებელია, უშინსკის „რაღნოე სლოვო“, თუმცა რუს ბავშვთათვის არის შედგენილი, მაგრამ წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ინოროდცებისათვისაც. „რადგანაც სოფლის სკოლებში რუსული ენის სწორი დაყენება — განაგრძობს ლევიტსკი — დამოკიდებულია დირექტორის მიერ ამ სკოლების ხშირ დათვალიერებისაგან ზოგით მასწავლებელთა აღიარებით დირექტორის „რევიზიის“ მოლოდინი ყოველთვის იწვევს მასწავლებელთა მიერ რუსულ ენაში შეცადინეობის გაძლიერებას), ამიტომ მე ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი რაოდენობა სკოლებისა დამეთვალიერებინა, ვრჩებოდი რა თითოეულ სკოლაში 4-5 საათიო<sup>1</sup>. საინტერესო და გულაზრილი აღსარებაა გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისა, რომელსაც რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად სხვა ილონე ვერაფერი უხმარია, გარეშე „რევიზიის“ მოლოდინში დამფრთხოებალ მასწავლებლების ამოქმედებისა.

იანოვსკი და მისი აგენტები ხედავდენ, რომ 1881 წლის გეგმა დასახულ მიზნებს სავსებით ვერ ასრულებდა. მართალია, ქართული ენა დაწყებით სკოლაში მეტად შეიზღუდა, საგნების სწავლების ენად რუსული გახდა, რაც ბავშვების გონებრივ დაჩლუნგებას იწვევდა, მაგრამ „გეგმამ“ ბავშვები ვერ გადააგვარა; მშობლიური ენის ჯეროვნად შესწავლისა და მასზე განვითარების საშუალება თუ წაართვა, რუსული მათ მშობლიურ ენად ვერ გახა-

<sup>1</sup> იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 1412.

და. საღ პედაგოგიურ თვალსაზრისშე მდგომი ხელმძღვანელები, ჯედან შესაფერ დასკვნას გამოიტანდენ, — მშობლიურ ენის თავის აღგილს დაუბრუნებდენ და რუსულსაც მისას მიაკუთვნებდენ. მაგრამ იანოვსკი და მისი თანამოძმენი ხომ საქმეს პედაგოგიური თვალსაზრისით არ უდგებოდენ, — „პოლიტიკოსები“ იყვნენ; პოლიტიკა კი ახალ ნაბიჯებს უკარნახებდა სკოლებში ქართული ენის გაუქმებისა და რუსულის განმტკიცების მიმართულებით. იანოვსკი-ლევიცკი შეუდგენ 1881 წლის გეგმის ლიკვიდაციას, მაგრამ არა ქართული დაწყებითი სკოლის აღსაღენად, არამედ ქართველთა შორის ნამდვილი რუსული დაწყებითი სკოლის დასახერგად.

იანოვსკიმ, როგორც გაიძვერა და გაქნილმა პოლიტიკოსმა, 1881 წლის გეგმის ლიკვიდაცია განიზრახა არა საკანონმდებლო გზით, არამედ ქვევიდან, მისი ნელ-ნელა გაუქმებით. ამისი ინიციატივა მან გორის საოსტატო სემინარიას დააკისრა.

1886 წელს გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ ქართულ დაწყებით სკოლაში მასწავლებლის გარჩაყანიდის მიერ მიცემული გაკვეთილის გარჩევასთან დაკავშირებით გაიმართა პედსაბჭოს სხდომაზე მსჯელობა რუსული ენის სწავლების დაწყების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარე გამოსთვევა, რომ რუსული სიტყვების ჩაწერის აუცილებლობას და ამ მიზნისათვის ადგილობრივი ენების ალფაბეტის უვარესობას იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ ადგილობრივ სკოლებში რუსული ენის წერა-კითხვა უნდა დაწყებული იქნას მაშინვე, როგორც კი ამისი შესაძლებლობა იქნება, სახელმობრ, როგორც კი გავლილი იქნება. მშობლიური ენის ანბანი. ამის საჭიროებას თავმჯდომარე და მისი მომხრენი ასაბუთებდენ იმით, რომ ზაფხულში ბავშვები ივიწყებენ პირველი წლის მეორე ნახევარში რუსული ენის ლექსიურად გავლილ მარაგს და სწავლის განახლებისას საჭირო ხდება გავლილის თავიდან დაწყებათ.

სკოლის ხუთი წლის გამოცდოლებამ დაგვანახა, ამტკიცებდენ ამ აწრის მომხრენი, რომ რუსული ენის სწავლების აღრიანი დაწყება, პედაგოგიურად სწორად წარმართული, იძლევა სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს, ხელს უწყობს რა მოწაფეთა მეტად საგრძნობ წარმატებას. ქართული და სომხური ენის მასწავლებლებმა სცადეს საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა და 1881 წლის გეგმაზე დაყრდნობით ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე აღრე რუსული ენის სწავლების დაწ-

ჭება ცუდ გავლენას მოახდენს სკოლაში ახლად შემოსულ სრულიად განუვითარებელ ბავშვებზე, არ მისცემს რა მათ საშუალებას ჯერ თავის სამშობლო ენაზე განვითარებისას და მშობლიური ენის წერა-კითხვისა და ცოცხალი რუსული ენის პრაქტიკულად შესწავლისასო.

ამის საწინააღმდეგოდ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „სასწავლო გეგმაში“ გათვალისწინებული ვადის მიზანია რუსული ენისა და წერა-კითხვის შესწავლის დაგვიანების თავიდან აცილება, თორემ „გეგმა“ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება რუსული ენის შესწავლის აღრიანად დაწყებას, ოლონდ ეს შესწავლა ხერხიანად, მაშასადამე, წარმატებითაც იყოს წარმართული.

შედეგად საბჭომ შემღევი დადგენილება მიიღო: „საოსტატო სემინარიასთან არსებულ დაწყებით სკოლებში რუსული ენის სიტყვიერად შესწავლა შეიძლება შემოღებული იქნას ოქტომბრიდან, ე. ი. ბავშვების შკოლაში შემოსვლის ერთი თვის შემდეგ, ხოლო რუსული წერა-კითხვა, პირველი მარტიდან“<sup>1</sup>.

გორის საოსტატო სემინარიას არ ჩამორჩენია ქუთ. სახ. სკ. დირექტორი ლევიტსკი, რომელიც 1887 წელს წერს თავის მოხსენებაში იანოვსკის:

„... დაწყებით სკოლებში რუსულ ენაში მოწაფეთა წარმატების გასაუმჯობესებლად, ჩემს მიერ წინადადება აქვს მიცემული მასწავლებლებს ზეპირისა და წერის შესწავლა რუსულ ენაზე დაიწყონ სასკოლო სწავლების პირველი ორი თვის გავლის შემდეგო“<sup>2</sup>.

ასე დაიწყეს იანოვსკიმ და მისმა აგენტებმა 1881 წლის სასწავლო გეგმის გაუქმება დაწყებით სკოლებში. მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელსაც მალე თან მოჰყვა ქართული ენის სრული განდევნა დაწყებით სკოლებიდან და მის ნაცვლად რუსულის დამკვიდრება.

1889 წლის 2 მაისს იანოვსკი განათლების მინისტრის ცირკულარის საფუძველზე მიწერილობას უგზავნის სახალხო სკოლების დირექტორებს სახალხო სკოლების პროგრამების უნიფიკაციის შესახებ.

თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი პროგრამებთან წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში წერს: „რვა წლის

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, საქ. № 3716.

<sup>2</sup> იხ. იგივე საქ., № 2093.

გამოცდილებამ მე იმ დასკვნამდის მიმიუვანა, რომ მოწაფე — ტუზემცების მიერ რუსული ენის უკეთ შესათვისებლად აუცილებელია ღროს გადიდება, რომელიც 'ამ ენის შესწავლას უნდა მოხმარდეს. ამ მოსაზრებათა გამო, წარმოდგენილ პროგრამებში მე პროექტირებული მაქვს რუსული ენის ლექსიკური შესწავლა დავიწყო წლის პირველი ნახევრიდან, ბავშვების შკოლაში შემოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ, რუსული წერა-კითხვის შესწავლა კი — პირველი წლის მუორე ნახევრიდან. „ტუზემური“ ენის, როგორც ცალკე საგნის, სწავლებას მე ვფარგლავ სკოლაში სწავლების პირველი წლით. შემდეგ წლებში ცალკე გაკვეთილები ამ საგნისათვის არ დაინიშნება, მაგრამ „ტუზემურ“ ენებზე წარმოებული იქნება ზეპირი და წერითი თარგმანი რუსული ენიდან და წინააღმდეგ რუსული ენის შესასწავლად პროგრამაში ჩემს მიერ რეკომენდაციაქნილი წიგნებით. არითმეტიკაში — „ამოცანების ზეპირი გადაწყვეტა პირველი ათეულის ფარგლებში წარმოებს „ტუზემურ“ ენაზე, ნაწილობრივ რუსულ ენაზედაცო“<sup>1</sup>.

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიტსკის მიერ წარმოდგენილ პროგრამებთან დართულ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „...ბავშვების სკოლაში შემოსვლის ერთი თვის შემდეგ იწყება მათთვის რუსული ენის შესწავლა... ნოემბრიდან რუსული ენის ზეპირ შესწავლას დაერთვის რუსული ალფაბეტის სწავლება. სკოლაში სწავლის პირველ თვეს არითმეტიკის სწავლება განსაკუთრებით ბავშვების მშობლიურ ენაზე სწარმოებს; ურთი თვის შემდეგ ბავშვები იწყებენ თვლის სწავლას 1 — 30 რუსულ ენაზე. გარდა ამისა, მათ უნდა მიაწოდონ გადასაწყვეტად პატარ-პატარა ამოცანები, რუსული ენის გაკვეთილებზე გავლილ ლექსიკურ მასალიდან შედგენილიო“<sup>2</sup>.

ახალი სასწავლო გეგმა, ორივე გუბერნიის სახ. სკოლათა დირექტორების მიერ წარმოდგენილი, თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ორივე დირექციის სკოლებში ქართული ენა, გაუქმებულია არა მარტო როგორც საგნების სასწავლო ენა, არამედ ამოგდებულია ის როგორც საგანი და ოდნავ დატოვებულია მხოლოდ პირველ წელს.

რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს სურათი, თუ რა ადგილი

<sup>1</sup> იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 5404.

<sup>2</sup> იხ. საქ. № 5404, ფ. 61.

დაიჭირა მშობლიურმა ენამ სხვა საგანტთა შორის ბავშვთა სწავლების პირველ წელსაც კი, მოვიყვანთ შემდეგ ცხრილს:

გაკვეთილების განაწილება ქუთაისის დირექციის ერთკლასიან სოფლის დაწყებით სკოლაში: ¹

#### ორშაბათი

1. რუსული ენა
2. არითმეტიკა
3. რუსული ენა
4. გიმნასტიკა
5. არითმეტიკა
6. სუფთა წერა (ხაზვა)

#### სამშაბათი

1. რუსული ენა.
2. რუსული ენა
3. მშობლიური ენა
4. გალობა
5. სუფთა წერა
6. მშობლიური ენა (წერა.)

#### ოთხშაბათი

1. საღვთო სჭული
2. არითმეტიკა
3. რუსული ენა
4. გიმნასტიკა
5. სუფთა წერა (ხაზვა)

#### ხუთშაბათი

1. რუსული ენა
2. საღვთო სჭული
3. სუფთა წერა
4. გალობა
5. მშობლიური ენა.

#### პარასკევი

1. რუსული ენა
2. საღვთო სჭული
3. არითმეტიკა
4. გიმნასტიკა
5. მშობლიური ენა.

#### შაბათი

1. რუსული ენა
2. არითმეტიკა
3. რუსული ენა
4. გალობა
5. სუფთა წერა.

ამრიგად, 32 კვირეულ საათში უმცროს ჯგუფში მშობლიურ ენას მხოლოდ 4 საათი აქვს დათმობილი, ძირი მე-5 — 6 გაკვეთილი, ხოლო, როგორც ვთქვით, საშუალოსა და უფროს ჯგუფებიდან ის საჯებბით განდევნილია.

ასე ანხორციელებდა იანოვსკი თავის პრინციპებს: „ყოველს კუთილად განწყობილს პირველდაწყებით სკოლაში სწავლება საზოგადოდ უნდა მიღიოდეს უპირატესად დედაენის შემწეობითათ.“

იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. № 5404, ფ. 62.

1881 წლის სასწავლო გეგმის გაუქმებამ და დაწყებით სკოლებში ქართული ენის შემღეგმა შევიწროებამ სახალხო სკოლის მოწინავე მასწავლებლებში უკმაყოფილება დაბადა, და თუ ისინი აშკარად ვერაფერს ამბობდენ, ცდილობდენ მაინც ახალი გეგმისათვის საბოტაჟი გაეწიათ.

ქუთაისის დირექციის ინსპექტორი ქორქიევი სწერს მოხსენებაში 1891 წელს აკეთის სკოლის მასწავლებლის ლ. ჩიმაკაძის შესახებ: „...თუმცა მას წინადადება ჰქონდა მიცემული წლის დასაწყისიდანვე არითმეტიკის სწავლება და საღვთო ხჯული საშუალო განყოფილებაში ეწარმოებია რუსულ ენაზე, მაგრამ ის პერველ ნოემბრამდის („რევიზორი“ ამ სკოლას ხუთ ნოემბერს ესტუმრა ტ. ხ.) ამ საგნებს ქართულ ენაზე ასწავლიდა“. ჩიმაკაძეს ასეთი ფრჩხილისათვის ოფიციალური შენიშვნა გამოუცხადეს.

„ამაღლების სკოლის მასწავლებელს (ჯიბლაძეს) განაგრძობს რევიზორი ქორქიევი — წინადადება მიეცა ალკვეთოს სკოლაში, ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“, როგორც არა რეკომენდაციაქნილი დირექციის მიერ და საღვთო ხჯული საშუალო განყოფილებაში რუსულად ასწავლოს“.

„შემდგომი მნიშვნელოვანი გადახვევა დირექციის მოთხოვნილებიდან იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა საგანი პირველსა და მეორე განყოფილებაში ისწავლებოდა ქართულ ენაზე, რისთვისაც ჩემს მიერ შენიშვნა ექნა მიცემული მასწავლებელს პეტრიაშვილს (ქუთაის. ქალ. სკოლა) და მიეთითა დაუყოვნებლივ გამოასწოროს ეს ნაკლიო“<sup>1</sup>.

მაგრამ მშობლაური ენის დევნა ქართული სკოლებიდან ამით არ დაუსრულებიათ იანვაკი-ლევიტსკის, თვითმპყრობელობის სასკოლო პოლიტიკის ამ ერთგულ და თავდადებულ გამტარებლებს საქართველოში. მათ არ ასვენებდათ ის გარემოება, რომ ბავშვებს პირველ დღეებში სწავლება მაინც მშობლიური ენიდან უნდა დაეწყოთ, რუსულსა და ანგარიშზე ქართული ენის საშუალებით უნდა გადასულიყვნენ. ქართულა ენისათვის სრულიად გეერდის ახვევის მიზნით რუსული ენის შესასწავლად ახალ მეთოდებს დაუწყეს ძებნა, რასაც შედეგად ლევიცის მიერ ცნობილი „ბუნებრივი“ მეთოდის შემოღება მოჰყვა; „მუნჯურ მეთოდად“ მონათლული ქართველი მასწავლებლების მიერ. მაგრამ ამ მეთოდით ქართული ენის დევნა და გარუსების პოლიტიკა იმ პე-

1. იბ. ც. არქ. ფ. 107, სერია ვ, საქ. 114.

რიოდში სწარმოებდა, რომელიც სცილდება ჩემი შრომის პირველი ნაწილისათვის აღებულ ქრონოგიურ ჩარჩოებს და ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები.

იანოვსკის პერიოდის კავკასიის სასწავლო ოლქის ისტორიკოსი რუსული ენის გავრცელებასა და იმ 50 ათას ბავშვს, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის სკოლებში სწავლობდნენ, უცქეროდა და აფასებდა როგორც აღგილობრივ მცხოვრებთა გარუსების საშუალებას:

„... და აი, რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ყურს მიაჰყორობს მგზავრი კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ლაპარაკს და უკვე ველარ გაიგონებს სხვადასხვა ენას, რაც მას დღეს იქ აოცებს... ჩოდესაც კავკასიის განაპირა მოსახლეობა კულტურით გაუერთიანდება და სულით შეედინება ცენტრალური რუსეთის მოსახლეობას, მაშინ ამ განაპირას თითოეული მთის მწვერვალის, თითოეული ხევის შესახებ შეიძლება ითქვას: „там русский дух, там русьюю пахнет“. <sup>1</sup>

ეს იყო სანუკვარი ოცნება ცარიზმის უველა აგენტისა და მოხელის, აქეთკენ იყო მიმართული იანოვსკისა და უველა მის თანამდინარეთა მოქმედება. მაგრამ ამ „ისტორიკოსის“ წინასწარმეტყველობის შემდეგ არ გაუვლია 17 წელსაც კი და ბოლშევიკური პარტიის დროშით, დიდი ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ დაამხო რეალურობებისა და განადგურა მისი შავბნელი საქმეები და ოცნებანი, და ძველ რუსეთში, ხალხთა საპყრობილები, შემავალ ერებს მიენიჭა თავისუფლება. და დღეს ვებერთელა სოციალისტურ საბჭოთა ტერიტორიაზე მოგზაური ნახულობს ერთ დროს ცარიზმისაგან ჩაგრული და დევნილი ხალხების აყვავებულ ქვეყნებს — ფორმით ნაციონალურის, შინაარსით სოციალისტურ კულტურის მატარებელთ, და გაიძანის: ეს საბჭოთა ქალაქია, ეს უაბრა სოფელია; აქ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაა, რა საბჭოთა უკრაინის და სხვა.

<sup>1</sup> იხ. „რუსკაია შკოლა“, 1901 წ., № 1, გვ. 76—77.

## ს ა რ ჩ ვ ა მ ბ ა

წინასიტყვაობა

3

1. თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა სა- ქართველოში . . . . .	5
2. მე-60 — 80 წლების რეაქცია განათლების დარგში . . . . .	23
3. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი და მისი 1881 წლის სასწავლო გეგმა . . . . .	33
4. ბრძოლა სამინისტროსა და საეკლესიო-სამრევლო უწყებათა შორის . . . . .	54
5. ქართული ენა „მსახურის“ როლში . . . . .	74
6. ირიბი თუ პირდაპირი ხელი . . . . .	81
7. ზოოლოგიური შოვინიზმი და დევნა ქართველობი- სათვის . . . . .	85
8. გლეხობის დამოკიდებულება სკოლებისადმი . . . . .	88
9. თვითმპყრობელობის გამარტინებელი პოლიტიკა სა- მეგრელოში . . . . .	96
10. ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა სასწავ- ლებლებში . . . . .	135
11. 1881 წლის სასწავლო გეგმის გაუქმება . . . . .	155

კორექტორი-გამომშვები ივ. ჯანუაშვილი.

---

გადაეცა წარმოებას 15/XII—39, ხელმოწერალია დასაბეჭდათ 13/II — 40,  
შთავლიტის აწმუნებულის № 1864. შეკვეთის № 1775, ფორმათა რაოდენო-  
ბა 10, ტირაჟი 1.100.

სახელგამის სტამბა, თბილისი, ორჯომისკიდის ქ. № 50.

3560 10 856000

37

б 931

Троф. ХУНДАДЗЕ

**Просветительная политика  
царизма в Грузии**

Издательство  
Научно-исслед. и та школ НКП Груз. ССР  
Тбилиси.  
1940.